

თამარ მეფის ღრთინდელი მატიაწა

(„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“)

თამარ მეფის დროსწერილი მატყანა

(„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა
და საძიებლები დაურთო
მარინე ქადაგიძემ

*ვუძლენი ბაბუის, კონსტანტინე
გაჩეჩილაძის ნათელ სსოვნას*

თბილისი
2001 წ.

რედაქტორი ბ. ალასანია

რეცენზენტები: მ. ჩხარტიშვილი
მ. სანაძე

წიგნში იბეჭდება შუა საუკუნეთა ქართული ისტორიული მწერლობის ერთ-ერთი ძეგლის, XIII საუკუნის უსახელო ისტორიკოსის თხზულება, ე.წ. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტექსტი გამოკვლევითა და საძიებლებით.

თამარის ისტორია საყურადღებო წყაროა XII-XIII სს-ის მიჯნის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის.

შისავალი

ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის კვალი-სად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყაროების, კერძოდ წერილ-ბითი ძეგლების შესწავლასა და გამოქვეყნებას.

ისტორიული წყაროების ახალი ჯგუფების გამოვლენასთან ერთად, არანაკლებ საჭიროა ადრე ცნობილი წყაროების ხელახლა შესწავლა და მათში ისეთი მონაცემების მიკვლევა, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდათ. წყაროს სრული ინფორმაციული შესაძლებლობების გამოვლინება მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომლის საფუძველზე ხდება ძეგლთა ხელახალი პუბლიკაცია.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ვინაიდან ისტორიული ძეგლი არ არის რეალობის არა მარტო სრული და ადეკვატური ასახვა, არამედ შეფერადებულია მისი შემქმნელის სოციალური, ეთნიკური, სულიერი თავისებურებებით, მასში ერთგვარად აირეკლება ეპოქის დონე, ჟანრობრივი თავისებურებები, უკანასკნელისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკა, ფორმულები, შტამპები და სხვ.¹, წყაროთა ყოველი სახეობა კვლევის გარკვეულ მეთოდებს მოითხოვს². სოგად ხერხებთან ერთად თითოეული წყარო ინდივიდუალურ მიდგომასაც საჭიროებს.

¹ *ა. გავახიშვილი*, ძვ. ქართ. საისტ. მწ., თხ. VIII, თბ., 1977; ქართული წყაროთმცოდნეობა, I-V, თბ., 1978; *რ. კიკნაძე*, საქართვ. ისტ. წყაროთმც. საკითხ., თბ., 1982; *А.Я. Гуревич*, Общий закон и конкретная закономерность в истории – Вн, 1965, №8 с. 19; *А.П. Каждан*, О работе историка: путь исследователя. – Вн, 1968, №11 с. 108; *А.П. Пронштейн*, Истолкование исторических источников. – Вн 1969, №10; *Б.В. Задера*, Методы работы над историческим источником, М. 1969; *Я.К. Лурье*, О некоторых принципах критики источников, в книге: – Источниковедение отечественной истории, I, 1973. და სხვ.

² *რ. კიკნაძე*, თანამედროვე წყაროთმცოდნეობის სოციურთი აქტუალური პრობლემა, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 3.

გ. აღახანია, *რ. კიკნაძე*, წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ., 1988, გვ. 11.

წყაროთმცოდნეობაში მნიშვნელობა ენიჭება წყაროს როგორც სოცად შეფასებას, დათარიღებასა და ავტორის ეინაობის დადგენას, ასევე ცალკეული ცნობების გაანალიზებას, რის გარეშეც საერთოდ შეუძლებელია ძეგლის შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთება³.

ნებისმიერი წყარო, ისევე როგორც მისი თითოეული ცნობა, უნდა შემოწმდეს სხვა დამატებითი საკონტროლო მასალით, რომელიც მას დაადასტურებს, ან, პირიქით, გააბათილებს⁴. ასეთი რამ შესაძლებელია, როდესაც არსებობს პარალელური წყარო და მასთან შედარების საშუალება.

წყენი ნაშრომი ეძღვნება თამარის ეპოქის ამსახველი ერთ-ერთი ძეგლის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს წყაროთმცოდნეობით შესწავლას. როგორც ცნობილია, ამავე ეპოქას აღწერს ანონიმი ავტორის თხზულება – ცნობილი „ისტორიანი და აზიანი შარავანდედთანი“-ს სახელით და აგრეთვე ე.წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანი.

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (თამარის ე.წ. მკორე ისტორიკოსის თხზულება) ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. მასში დაცული ცნობები XII-XIII საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ყოფის შესახებ არაერთი მკვლევარის შესწავლისა და დაკვირვების საგნად იქცა.

თამარის ისტორია მრავალმხრივ არის საინტერესო, როგორც მასში არეკლილი ეპოქის, ასევე იმ ხანის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების დონის ასახვის თვალსაზრისით. ამასთან, საჭიროა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თხზულებაში აბიექტური ისტორიული სინამდვილე, რომელიც თავისთავად საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია და ძეგლის ავტორის სუბიექტური მოსაზრებები. თხზულებაში დაცული ცნობების ყოველმხრივი შესწავლა-განხილვით შესაძლებელი ხდება აღნიშნული წყაროდან რეალური ინფორმაციის მიღება.

წყენს მიერ ამ ძეგლზე მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა. ერთის მხრივ, ნაშრომში მოცემულია წყაროს ე.წ. „გარეგანი კრიტიკა“, რომელიც ითვალისწინებს ძეგლის შექმნის თარიღის, ავტორის, სათაურისა და ტექსტის დადგენას. წყენს მიერ განხილულია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები,

³ გ. ალახანია, რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

⁴ იქვე, გვ. 121.

სადაც თამარის მეორე ისტორიის ტექსტია შემორჩენილი და მათი შედარების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად აღდგენილია ტექსტის პირვანდელი სახე. ასეთი სამუშაოს ჩატარება სვენის ასრით, აუცილებელი იყო, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ტექსტის ყოველმხრივი შესწავლა, მასში არსებული ცნობების განხილვა.

მეორეს მხრივ, ნაშრომში მოცემულია ძეგლის პერმენეტიკული ანუ შინაარსობრივი ანალიზი, ე.ი. კრიტიკულად არის განხილული ის ცნობები, რასაც გვაწვდის აღნიშნული ისტორიული თხზულება.

ძეგლის ატრიბუციისა და დათარიღების მიზნით, ჩავატარეთ ტერმინოლოგიური კვლევა, თხზულების მხატვრული ანალიზი, ძეგლის მიმართება სხვა ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებებთან, როგორც არის პიმნოგრაფია, პაგიოგრაფია, სახობებო პოეზია.

ისტორიული მწერლობის ჩამოყალიბება ხდებოდა არა განცალკევებით, არამედ სხვა ჟანრებთან მუდმივ ურთიერთობაში. სვენ შევეცადეთ განვითარების ეს გზაც წარმოგვეჩინა, გამოგვეყო ის შრეები, რომლებიც იღეკებოდა მასში და რომლის შედეგად თამარის მეორე ისტორია წარმოგვიდგება არა როგორც მხოლოდ მშრალი ქრონიკა, არამედ მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ნაწარმოები.

თამარის ე.წ. მეორე ისტორიკოსის თხზულების „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს შესწავლის ისტორია

თამარის ეპოქა ყოველთვის იქცეოდა მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ 1916 წელს გამოცემულ ნაშრომში ი. ჯავახიშვილი წერდა, რომ თამარის ეპოქას უთუოდ ბევრი აღმწერელი და ისტორიკოსი ეყოლებოდა, მაგრამ მათი ნაშრომებიდან მხოლოდ ერთმა მოაღწია ჩვენამდე¹ (მეცნიერს მხედველობაში აქონდა თამარის ე.წ. პირველი ისტორიკოსის თხზულება, რომელიც (ვნობილია სათაურით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). 1923 წელს ი. ჯავახიშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წიგნსაცავში მიაკვლია „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთ უცნობ (ე.წ. ჭალაშვილისეულ) ნუსხას, სადაც აღმოჩნდა თამარის ახალი ისტორია. ახლად აღმოჩენილ ნუსხაში მკვლევარმა ორი ნაწილი გამოარჩია: ძველი და ახალი. ჭალაშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილი ი. ჯავახიშვილმა პალეოგრაფიულად XVI-XVII სს-ით დაათარიდა².

ამავე ნუსხის ახალი ნაწილი, როგორც ხელნაწერიდანვე ირკვევა, დათარიღებულია 1731 წლით და გადაწერილია ურაჯ ჭალაშვილის მიერ ვახტანგისეული ტექსტის შემცველი ხელნაწერიდან³. კ. გრიგოლია ამავე ნუსხის ძველ ნაწილს ქალაქის მიხედვით XVI ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს⁴.

დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ, ჭალაშვილისეული ხელნაწერის ძველ ნაწილში აღწერილია დემეტრე

¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1916, გვ. 165; უახლესი გამოც., თხზულებანი, VII, თბ., 1977, გვ. 221.

² ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. თსუ მოამბე, III, 1923, გვ. 187; უახლესი გამოც., თხზულებანი, VIII, გვ. 374.

³ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწერი Q-207, გვ. 253-305.

⁴ კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 110-111.

1-ის მეფობა („ცხოვრება დემეტრე მეფისა“)⁵. ზუსტად ისე, როგორც ეს ანახეულ „ქართლის ცხოვრებაშია“ (ე.წ. ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე). ამას უსათაუროდ მოხდევს თამარის ეპოქის ისტორია უცნობი ავტორისა, რომელსაც ი. ჯავახიშვილმა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ უკვე ცნობილი თხზულების ავტორისაგან (პირველი ისტორიკოსისაგან) განსასხვავებლად თამარის მეორე ისტორიკოსი უწოდა აღმოსენის რიგის მიხედვით.

1923 წლის 3 ივნისს ი. ჯავახიშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა, ხოლო იმავე წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა, რომელშიც დაახასიათა ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა მეცნიერებისთვის, განიხილა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ძირითადი წყაროთმცოდნეობითი საკითხები, აჩვენა მისი, როგორც წყაროს, ღირებულება. ნაშრომში ძველევარს არ უცდია ძეგლის დასათაურება. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ დასაწყისი ნაწილი სრულად არ არის წარმოდგენილი⁶.

ი. ჯავახიშვილმა ამავე ნაშრომში ფრთხილად გამოთქვა მოსაზრება, რომ თხზულების ავტორი ტექსტში მოხსენიებული ბასილი ეზოსმოძღვარი შეიძლება იყოს.

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების აღმოსენით გაირკვა, რომ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიას ხელთ აქონდა პირველი და მეორე ისტორიკოსების ნაშრომები და მათი ცნობების შეერთებით შეუქმნია თამარის ცხოვრების ის ტექსტი, რომელიც შევსებულ „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი.

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტი ჭალაშვილისეულ ნუსხაში მხოლოდ სანახევროდ არის შემონახული – ბასიანის ბრძოლის დაწყებამდე (1202 წ.). შემდგომი თხრობა ეახტანგისეული რედაქციის ტექსტის მიხედვით შეუესია ერაჯ. ჭალაშვილს. ი. ჯავახიშვილმა იმთავითვე სწორად განსაზღვრა დაკარგული ტექსტის აღდგენის ერ-

⁵ ქართლის ცხოვრება, ჭალაშვილისეული ნუსხა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-207, ფ. 251-253.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოსენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. თსუ მთაწმბე, IV, თხზულებები, VIII, გვ. 375-395.

თადერთი შესაძლებელი და მისაღები მეთოდი. რამდენადაც შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორია, როგორც გამოირკვა, ძირითადად პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა შერწყმით არის გადმოცემული, მან მოელ თხრობას გამოაკლო „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი და დარჩენილი ნაწევრები სავარაუდოდ მიიწინა მეორე ისტორიკოსის შემოქმედებად.

ი. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1923 წელს აღნიშნავდა, რომ ამ მეთოდით უკვე აღდგენილი ჰქონდა თამარის მეორე ისტორიკოსის ტექსტის დაკარგული ნაწილი. სამწუხაროდ, ეს ტექსტი მხოლოდ მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა, 1944 წელს, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით⁷. ამ პუბლიკაციაში თხზულებას მიცემული აქვს პირობითი სათაური: „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (თხზულების სათაური ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში) და აღნიშნულია, რომ აღდგენილია თხზულების ი. ჯავახიშვილისეული პირობითი სათაური.

აქვე, რედაქციის წინასიტყვაობაში გამოქვეყნებულია შემორჩენილი ნაწევრი ი. ჯავახიშვილის მიერ თამარის მეორე ისტორიკოსის შესახებ დაწერილი გამოკვლევისა, სადაც მეცნიერი იმეორებს, რომ როდესაც ეს ძეგლი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შექმნდათ, მისთვის იმგვარადვე, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებისათვის, შესავალი მოუცილებიათ⁸.

ი. ჯავახიშვილმა შეისწავლა თხზულების ტექსტი, შეუდარა თამარის პირველ ისტორიას („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) და მათ შორის განსხვავებებიც აღნიშნა.

თამარის მეორე ისტორიკოსი არ იძლევა ბრძოლის სურათებს – იგი არაა სამხედრო მოქმედებათა დამსწრე, თვითმხილველი, ე.ი. სამხედრო პირად ვერ ჩაითვლება. არც სამეფო დარბაზობას აღწერს, მაშასადამე, არც დარბაზის მოხელე ან წევრია, წუნსა და ბრალს სდებს უმაღლეს მმართველს.

⁷ ბასილი ესოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი გამოცემა ი. ჯავახიშვილისა. ი. ჯავახიშვილის მასალა და საბუქტად გაამზადეს ნ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ. – ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1944, არსებობს აგრეთვე ცალკე ამონაბუქტი დამოუკიდებელი პაგინაციით. ნვენს ნაშრომში ყველგან ეს ამონაბუქტია დამოწმებული.

⁸ იქვე, გვ. 11.

მკვლთა წრეს (ასე მაგალითად – მხარგრძელებს განძასთან და-
კავშირებით, თამარის ქმრის ამრჩეუებს და სხვ.), ე.ი. არც მათ
წრეს ეკუთვნის.

სამაგიეროდ იგი კარგად იცნობს თამარის შინაურ
ცხოვრებას, დეტალურად აქვს აღწერილი მისი გარეგნობა,
ლოცვა, თუ ვინ ახლდა ლოცვის დროს, რაც იმის მიმანიშნე-
ბულია, რომ ავტორი თამართან ახლოს მდგომი პირია.

ი. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თამარის
მეორე ისტორიკოსი ანტონ მწიგნობართუხუცესის, ჭყონდიდ-
ლის მომხრეთაგანია, რადგან ტექსტში დიდი ალგილი აქვს
დათმობილი ანტონის ქებას.

მკვლევარმა შენიშნა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი
კარგად იცნობს და იყენებს საღმრთო წერილს, შემთხვევებს
მსოფლიო ისტორიიდან, ბერძნული ჟამთააღმწერლობის
ძეგლებს, ქართულ საისტორიო თხზულებებს, მაგრამ პირველი
ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მას არ მოეპოვება სპარსული,
არაბული მხატვრული მწერლობიდან ამოღებული მაგალითები.
არაფერი აქვს ნათქვამი აგრეთვე შინაური პოლიტიკური
ბრძოლის, ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის შესახებაც,
თუმცა, ი. ჯავახიშვილი აქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ
ავტორს ეს ამბები უცოდინარობის გამო არ აქვს გამოტოვე-
ბული, რასაც მოწმობს საინტერესო ცნობა ლიპარიტის გვარის,
კახაბერის ძეთა შესახებ, რომელთაც დახოცეს ანტონ ჭყონდი-
დელის ორი ძმა და ისინი თამარმა ჯერ კიხეში ჩამწყვდია,
ხოლო შემდეგ ექსორიაქმნით საქართველოთგან საბერძნეთის
მაკედონიაში განდევნა. ეს ცნობა „ისტორიათა და აზმათა“
ავტორს არ მოეპოვება.

ი. ჯავახიშვილის აზრით, თამარის მეორე ისტორიკოსი
ერთგვარად გაუბოდა თამარის გამეფების პირველ წლებში
მომხდარი ამბების აღწერას.

თამარის მეორე ისტორიკოსი გაკვრით ახსენებს თამა-
რის პირველი და მეორე ქმრების შერჩევას. სამაგიეროდ, აშ-
კარად გამოსხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას თამა-
რის პირველი ქმრისადმი, მათდამი, ვინც „ესოდენ მიძიმესა
საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“ – მისი არჩევის დროს.

ი. ჯავახიშვილმა პირველი და მეორე ისტორიკოსების
ტექსტების დრმა ანალიზით დაადგინა, რომ ეს თხზულებები
განსხვავებიან ერთმანეთისაგან ვნით, ფაქტების აღწერით, ამ
ფაქტებისადმი დამოკიდებულებით.

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ სვინაქსარული საკითხავია. მკვლევარმა ივარაუდა, რომ „წევნ საქმე გვაქვს თამარის ხსენების დღეს სვინაქსარულ საკითხავთან“-ო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების ერთადერთი ნუსხა „ქართლის ცხოვრებაშია“ და არა სვინაქსარებში ან სხვა საეკლესიო კრებულებში. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ტიპური მატიანეა. მასში ნათლად არის წარმონეწილი თამარის ცხოვრების თითოეული მომენტი. თამარის გარეგნობის აღწერისას, მისი ხასიათის თითოეული შტრიხის გადმოცემისას იგრძნობა ავტორის პოეტური ნიჭი, რაც თხზულებას მაღალმატერულობასაც ანიჭებს.

ძეგლის ავტორობის საკითხი განიხილა ს. ყაუხჩიშვილმა. მან გაიზიარა ი. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ თამარის მეორე ისტორიის ავტორი ბასილი ეზოსმოდვარი⁹. ამავ აზრისა არიან მკვლევარნი კ. თუმანოვი¹⁰, ვ. ღონდუა¹¹, შ. მესხია¹², ა. კიკვიძე¹³, ა. შანიძე¹⁴, ნ. ბერძენიშვილი¹⁵. ა. კიკვიძეს მიაჩნია, რომ ბასილი ეზოსმოდვარი სამკვდევლო პირია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ვიცით, ტერმინი „ეზოს-

⁹ ქც. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1959, გვ. 021 (გვ. 9, სქ. 9).

¹⁰ Cyril Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, Georgetown University press, 1963.

¹¹ ვ. ღონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 99-113.

¹² შ. მესხია, შოთა რუსთველის ეპოქა (საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XII საუკუნეში), კრებული შოთა რუსთაველს, თბ., 1966, გვ. 18.

¹³ ა. კიკვიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული ქარგა, კრებული „შოთა რუსთაველი“, 1968, გვ.

¹⁴ А.Г. Шанидзе, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина „ეზოსმოდვარი“ „Эзойсמודз-гвари“ в древнегрузинском, – საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1941, ტ II, №12, გვ. 181-182.

¹⁵ ნ. ბერძენიშვილი, თამარის ეპოქა ბასილი ეზოსმოდვარის მიხედვით, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 211.

მოდღვარი“, იგივე „ესოთუხუცესი“ ნიშნავდა მეფის კარის გარ-
გებულს, საკარისკაცოთა უმაღლეს წოდებას.¹⁶

ი. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი მონაკვეთის ატრი-
ბუციის საკითხი იმთავითვე მსჯელობისა და კამათის საგნად
იქცა. ეს კამათი ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთებს შორის
სტილისტურმა სხვაობამ გამოიწვია.

სამეცნიერო ლიტერატურაში თამარის მეორე ისტორი-
კოსის თხზულება სოგიერთმა მკვლევარმა მთლიანად ან
ნაწილობრივ შოთა რუსთაველის სახელს დაუკავშირა. ამ სა-
კითხს დაწვრილებით შევეხებით შესაბამის თავში.

ი. ჯავახიშვილის დაჯალებით ვ. დონდუამ თამარ მეფის
მეორე ისტორიკოსის თხზულება თარგმნა რუსულ ენაზე და
დაბეჭდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ კრებულში.¹⁷
თარგმანში მას ბოლო ნაკვეთის (რომელიც ვახტანგისეული
ქართლის ცხოვრებიდან არის აღდგენილი) მხოლოდ პირველი
აბზაცი აქვს მოყვანილი, რადგან მთლიანად ამ ფრაგმენტს
მეორე ისტორიკოსს არ უკავშირებს. ნაშრომში „თამარ მეფის
ეპოქის ისტორიიდან“¹⁸ ვ. დონდუა ადარებს „ვეფხისტყაოსანსა“
და თამარის პირველ და მეორე ისტორიებს. ამავე თემას
განიხილავს მკვლევარი ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი“ და თამარ-
ის ისტორიკოსები.¹⁹ ვ. დონდუას აზრით, პოემა და ორივე ის-
ტორიკოსის თხზულება ეპოქიდან გამომდინარე მსგავს კლუ-
მენტებს შეიცავს. ნაშრომში გავლუბებულია კარაღეულები
თამარსა და თინათინს, ნესტან დარეჯანს შორის, დაძებნილია
ანალოგიები. განხილულია ანტონ I-ის ცნობა თამარის ისტორიის
ავტორად შოთა რუსთაველის მიხედვის შესახებ. თუმცა ვ.
დონდუა იქვე აღნიშნავს, რომ მას თამარის მეორე ისტორიის
ავტორად ბასილი ექოსმოდღვარი მიანიია.

¹⁶ ამის შესახებ იხ. გ. მახვირაძე, ტერმინ „ესოთუხუცესის“
მნიშვნელობისათვის „წმინდა დარიოსის წამების“ მიხედვით,
მრავალთავი VII. 1980, გვ. 127; ი. ანთელაია, საქართველოს
კენტრალური და აღგილობრივი მმართველობა XI-XIII სს.,
1983, გვ. 12.

¹⁷ Басили, Жизнь царицы цариц Тамар, Памятники эпохи
Руставели, перевод, введение В.Д. Дондуа, Л., 1938.

¹⁸ В.Д. Дондуа, Из истории эпохи царицы Тамар. Исторические
разыскания, П, Тб., 1973, с. 90-98.

¹⁹ ვ. დონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები,
საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 99-113.

ა. ბარამიძის აზრით, შესაძლებელია ი. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი ბოლო ნაკვეთი მივიჩნიოთ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს კუთვნილებად, რადგან ერთი და იგივე მწერლის თხზულება შეიძლება სხვადასხვა სტილით იყოს დაწერილი.²⁰

თამარის მეორე ისტორიის ავტორად ი. ლოლაშვილმა შოთა რუსთაველი არ მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, „ამ თხზულებას აშკარად აკლია დიდი პოეტის ხელი“, თუმცა მკვლევარს არც ბასილი ეზოსმოდღვარი მიაჩნია ძეგლის ავტორად.²¹

კ. გრიგოლია იზიარებს კ. კეკელიძისა და ი. ლოლაშვილის მოსაზრებას, რომ თამარის მეორე ისტორიის ავტორი არც შოთა რუსთაველია და არც ბასილი ეზოსმოდღვარი.²²

თხზულების ავტორად ბასილი ეზოსმოდღვარს არ მიიჩნევენ აგრეთვე მ. ბერძნიშვილი²³ და ი. ანთელავა.²⁴

კ. გრიგოლია მოგვიანებით კვლავ შეეხო ამ საკითხს,²⁵ განიხილა რა ვახტანგისეულ, შეესებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემორჩენილი ის ნაკვეთი, რომელსაც ანტონ კათალიკოსი რუსთველს მიაწერს, მკვლევარმა შოთა რუსთაველი თამარის სულ სხვა ისტორიის ავტორად მიიჩნია, ხოლო ხსენებული ნაკვეთი – თამარის დღეისთვის უცნობი მატეანის დაბოლოებად.

²⁰ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 489.

²¹ ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 16.

²² კ. გრიგოლია, თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დასარიღებისათვის, თსუ შრომები, ტ. 108, 1964.

²³ Жизнь Царицы цариц Тамар, перевод и введение В.Д. Дондуа, исследование и примечания М.М. Бердзنيшвили, Тб., 1985, стр. 62.

²⁴ ი. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, 1988.

²⁵ კ. გრიგოლია, თამარის კიდევ ერთი მემატეანე ისტორიკოსი, თბ., 1977, გვ. 23-31.

ი. ჯავახიშვილმა განსახდერა თხზულების დაწერის თარიღი — 1210-1213 წწ.²⁶

პ. ინგოროევა ასევე თვლიდა, რომ თამარის მეორე ისტორია XII ს-ის პირველ მეოთხედშია დაწერილი.²⁷

თამარის თანამედროვედ მიიჩნია თამარის მეორე ისტორიკოსი კირილე თუმანოვიძე,²⁸ და აქედან გამომდინარე. მისი თხზულება(ც თამარის დროს დაწერილად იგულისხმბ. მან აღნიშნა, რომ ბასილი (კ. თუმანოვის აზრით თამარის მეორე ისტორიკოსი), პირველი ისტორიკოსის მსგავსად თანამედროვე და თვითმხილველია აღწერილი მოვლენებისა. ამასთან, თხზულებათა შედარებისას კ. თუმანოვი უპირატესობა „ისტორიანსა და ახმანს“ მიაკუთვნა. რადგან იგი უფრო სრულყოფილად მიიჩნია, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ბასილი უსახმოოდღარს სააშკარაოზე გამოაქვს მეფის კარზე მომხდარი ამბები, უხვად აქვს მოტანილი მასალა მეფის პირადი ცხოვრების შესახებ. თხზულების დათარიღების საკითხში ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი მკვლევართათვის მასში მოხსენიებული რუსუდანის ასაკია.

მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს თხზულების პირველსავე აბზაცში და(კულ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ რუსუდანმა 80 წელს მიაღწია ქალწულად.

ცნობა ძეგლში დასახელებული ორი რუსუდანის შესახებ უკავშირდება თვით ძეგლის დაწერის თარიღს.

კ. კეკელიძე, ვ. დონდუა, ს. კაკაბაძე, ი. ლოლაშვილი თვლიან, რომ თამარის მეორე ისტორია მისი გარდაცვალების უმაღ არაა დაწერილი და თხზულებას უფრო გვიან, XIII ს-ის მეორე ნახევარში დაწერილად მიიჩნევენ. თუმცა, ანტონ კათალიკოსის ცნობაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძე თვლის, რომ თამარის მეორე ისტორიის ავტორი შოთა რუსთაველია, ხოლო ძეგლის დაწერის თარიღი 1222 წელი, რადგან სწორედ 1222-1223 წლებში უნდა ყოფილიყო რუსუდანი, თამარის და, 80 წლის. ტექსტში და(კული ცნობაც ს. კაკაბაძის აზრით, თამარის დას ეკუთვნის, რომელიც გიორგი III-ის უკანონო ასულია. ს. კაკაბაძე იმოწმებს XIX ს-ის ხელნაწერს, სადაც იხსენიება თამარის

²⁶ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება... გვ. 389.

²⁷ პ. ინგოროევა, ჩახრუხაძე, პოეტო-მოგზაური, — ჟურნ. „კავკასიონი“, 1924, №1-2, გვ. 277.

²⁸ Cyril Toumanof, დასახ. ნაშრ.

დის, რუსუდანის ქმრის სახელი – ბაგრატი, რომელიც რუსუდანს ისე „ესვა ქმრად“, ე.ი. ბაგრატი ფორმალურად იყო რუსუდანის მეუღლე. 1223 წელს თამარის და ცოცხალი აღარ ნანს. ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია თამარის მეორე ისტორიაში დაცულ ცნობას: ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დავითის დროშა არც ერთხელ არ იქნა დამარცხებული-ო. ნაგულისხმევია დავით აღმაშენებელი. ცნობილია, რომ ქართველთა ჯარი დამარცხდა გარნისთან ბრძოლაში 1225 წელს, ხორეზმ-შაჰ ჯალალ ედ-დინის მიერ. შეუძლებელი იყო ამის მომსწრეს დაუპირაცხებლად მიეჩნია დავითის დროშა. აქედან გამომდინარე ს. კაკაბაძე ასკვნის, რომ თხზულება ც 1225 წლამდე დაწერილად უნდა მივიჩნიოთ.²⁹ აქვე არის ნახსენები თამარის მამიდა რუსუდანიც. გასარკვევია, რომელ რუსუდანს გულისხმობს აღნიშნული ცნობა.

თამარის გვერდით ორი რუსუდანის ვინაობის საკითხზე იმსჯელა ვ. დონდუამ შრომაში „თამარ მეფის და რუსუდანი“.³⁰ მკვლევარი განიხილავს საკითხთან დაკავშირებულ მოსასრებებს: მ. ჯანაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, დ. ბაქრაძის, დ. კარიჭაშვილის და სხვათა. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტექსტზე დაყრდნობით ვ. დონდუა ასკვნის, რომ თამარის ისტორიაში ცნობილ ორ რუსუდანთაგან ერთი – თამარის მამიდაა, ხოლო მეორე კი – თამარ მეფის და რუსუდანი. იგივე მოსასრებაა გამოთქმული ვ. დონდუას მიერ უფრო ადრინდელ ნაშრომში.³¹

მკვლევარს მსჯელობისას ფხოტრეტის (სვანეთი) მაცხოვრის ხატის ჩარჩოსზე გაკეთებული წარწერის ტექსტიც განუხილავს. შეუსწავლია მეცნიერთა ახრი წარწერის ირგვლივ და რუსუდანის ვინაობის შესახებ სათანადო დასკვნაც გამოუტანია. ვ. დონდუა იმოწმებს პ. ბუტკოვის ნაშრომს³² და აღნიშნავს, რომ მკვლევარი, ცხადია, თამარის დის მოხსენიებისას გარკვეულ ტრადიციას ემყარებაო.

²⁹ ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 112.

³⁰ ვ. დონდუა, თამარ მეფის და რუსუდანი, ენიშკის მოამბე V-VI, თბ., 1940, გვ. 321-328.

³¹ В.Д. Дондуа, Бабили, историк царицы Тамар, Памятники эпохи Руставели, изд. Государственного Эрмитажа, Л., 1938, с. 332.

³² П. Бутков, О браках князей русских с грузинами и ясынями в XII веке. Журн. «Северный архив», 1825, №IV.

ბოლოს, ასკენის ვ. დონდუა, თხზულებაში დაცული ცნობა, რომ რუსუდანი „ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიქუარა მტკიცედ ქალწულება“ – ხომ არ ნიშნავს, რომ იგი მონაზვნად აღიკვეცა? აღიძვრის კითხვა, რა ადგილი ეჭირა რუსუდანს (თამარის დას) გიორგი III-ისა და შემდგომ თვით თამარ მეფის კარზე? შესაძლებელია ყველა ეს საკითხი ძიების დროს ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის სხვა საკითხებსაც დაუკავშირდეს.

კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ თუ თამარის დას, რუსუდანს მიჰაკუთვნებთ თხზულებაში დაცულ ცნობას, მაშინ თხზულებაც უფრო გვიან დაწერილად უნდა მივიჩნიოთ, როდესაც თამარის და 80 წლის იყო უკვე და ეს ფაქტი ცნობილი იყო ავტორისთვის. კ. კეკელიძე ადგენს რუსუდანის დაბადების თარიღსაც. თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, როდესაც გიორგი III გაემყვდა, მას შვილი არ ჰყავდა. თუ ჩაეთვლით, რომ რუსუდანი იყო მისი პირველი შვილი, რომელიც დაახლოებით 1155 წელს დაიბადა, მაშინ 80 წლისა იქნებოდა 1236 წელს და თხზულებას ამაზე ადრე დაწერილად ვერ მივიჩნევთ.

ამრიგად, თამარის მეორე ისტორიის დაწერის უადრეს თარიღად კ. კეკელიძემ 1236 წელი მიიჩნია, როდესაც თამარის და რუსუდანი 80 წლის იქნებოდა და ე.ი. თხზულებაში დაცული ცნობაც მასვე მიაკუთვნა.³³

ი. ლოლაშვილი, ძეგლის დაწერის უადრეს თარიღად კ. კეკელიძემ 1236 წელი მიიჩნია, როდესაც თამარის და რუსუდანი 80 წლისაა, ხოლო უგვიანეს თარიღად თამარის შვილის, რუსუდანის გარდაცვალების თარიღს – 1245 წელს ასახელებს.³⁴

კ. გრიგოლიას აზრით³⁵ ტექსტში მოხსენიებული რუსუდანი თამარის შამიდაა, ამრიგად, კ. გრიგოლია თამარის მეორე ისტორიის დათარიღების საკითხში იზიარებს ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას.

³³ კ. კეკელიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა, – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 277.

³⁴ ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსების ვინაობის საკითხი, 1961, გვ. 36.

³⁵ კ. გრიგოლია, თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღებისათვის. თსუ შრომები, ტ. 108, 1964.

კ. გრიგოლია განიხილავს კ. კეკელიძის მოსაზრებას, რის საფუძველზეც თხზულება 1236 წლამდე დაწერილად ვერ ჩაითვლება. თუ ეს თარიღი სწორია, აღნიშნავს კ. გრიგოლია, მაშინ თამარის მეორე ისტორიკოსი მოსწრებია თამარის ორივე შვილის მეფობას, და მაშინ გაუგებარია, რატომ არაფერს ამბობს მათი მეფობის შესახებ.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ რუსუდანი თამარზე უფროსი არ იყო – აღნიშნავს მკვლევარი – გიორგი III სწუხდა უშვილობას, შემდეგ კი იშვა თამარ – ეკითხულობთ ისტორიაში. მაშასადამე, რუსუდანი 1156 წელსაც არ არის დაბადებული და ძეგლის უადრესი თარიღიც, 1236 წელი, არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულიად.

როგორც აღვნიშნეთ, ს. კაკაბაძემ რუსუდანი გიორგი III-ის უკანონო შვილად მიიჩნია. ი. ჯავახიშვილმა სწორად შენიშნა, რომ ასეთი შვილები უფლისწულებად არ მოიხსენიებოდნენ საქართველოში. მათ არც წყაროში იხსენიებდნენ, ან მოიხსენიებდნენ დამამკვირებელი ფორმით. ამრიგად, ასკენის კ. გრიგოლია, არ დასტურდება ამ ძეგლის უადრესი – 1236 და უგვიანესი – 1250 წ. თარიღები.

ამ პერიოდში თათარ-მონღოლებმა დაიპყრეს საქართველო, აეტორი კი მოუწოდებს მკითხველს, თავისი თვალთნახოს თამარის მიერ აყვავებული მიწა. მაშასადამე, თხზულება მანამდეა დაწერილი.

თამარის მეორე ისტორიკოსმა დეტალურად აღწერა თამარის ავადმყოფობა, მისი გარდაცვალებით გამოწვეული გლოვა, რაც იმას მოწმობს, რომ თხზულება თამარის გარდაცვალების უმალ დაიწერა, რადგან, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, გლოვა ერთ წელს გრძელდებოდა საქართველოში და ფრაზა – „ჩვენთან იგლოვს (ვა და ყოველი ქუეყანა“-ო სწორედ თამარის გარდაცვალების პერიოდს უნდა მიუთითებდეს.

ფაქტი, რომ რუსუდანი 80 წლამდე ქალწულად მიაღწია, რადგან თამარის დის სახელდებას მისდევს, მასვე მიუკუთვნებს მკვლევარებმა. კ. გრიგოლიას მიუღებლად მიიჩნია ეს აზრი, რადგან თამარის დის – რუსუდანის დახასიათებისას, აეტორი არაფერს ამბობს მის ღვაწლზე, როგორც თამარის დახასიათებისას. თამარის ასე შემამკობელი ისტორიკოსი, რომლის მთავარი მიზანი სწორედ თამარის განდიდება იყო, მის დასე არ დაწერდა: „რამდენად აღემატა შეგნებით და გვირგვინოსნობით ყველა მასზე ადრე ყოფილ დედოფლებსა“-ო.

ამგვარად, კ. გრიგოლიამ აღნიშნული ცნობა მხოლოდ თამარის მამიდა რუსუდანს მიაკუთვნა. რადგან თამარის და თხზულეუბაში არსად დახასიათების ობიექტად არ არის ნაგულისხმევი და ისე მოიხსენიება მხოლოდ, როგორც თამარის მამიდის, რუსუდან დედოფლის აღზრდილი. „ოთხმოცი წლის ჰასაჰის მიტანება(კ“ – აღნიშნავს მკვლევარი – თამარის მამიდას ეხება.

ამრიგად, კ. გრიგოლია თამარის მეორე ისტორიის დაწერის დროდ მიიჩნევს ი. ჯავახიშვილისეულ დათარიღებას – 1210-1213 წწ.

ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთს განიხილავს ა. შანიძე თავის ნაშრომში „ბასილი ეზოსმოდღერის ისტორიული თხზულების ერთი შერყენილი ადგილის გამართვისათვის“.³⁶ იგი მისაღებად მიიჩნევს კ. გრიგოლიას აზრს, რომ თხზულებაში დაკვლი ცნობა თამარის მამიდას – რუსუდანს ეხება და აქედან გამომდინარე ტექსტსაც XIII ს-ის დასაწყისში დაწერილად მიიჩნევს.

ნ. ბერძენიშვილმა³⁷ სპეკიალური ნაშრომი მიუძღვნა თამარის მეორე ისტორიას. მისი აზრით, ავტორი შესაძლოა თამარის თანამედროვეა, მაგრამ ისტორიას მოგვიანებით წერს.

ვ. დონდუას მიერ თარგმნილი თამარის მეორე ისტორიის გამოცემას გამოკვლევა დაურთო მ. ბერძენიშვილმა, მკველვარმა განიხილა ძეგლთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.³⁸ მის მიერ ჩატარებულია ტექსტის მრავალმხრივი ანალიზი. თხზულების მონაცემებზე დაყრდნობით მ. ბერძენიშვილი მსჯელობს თამარის მეორე ისტორიის ავტორის, დაწერის დროის შესახებ. მკვლევარი განიხილავს იმ დროის საქართველოს გარეშე თუ შინაპოლიტიკურ ვითარებას. ნაშრომში ვაძკე მსჯელობის საგანია საკითხი თამარის დის რუსუდანის შესახებ. მ. ბერძენიშვილი ასკენის, რომ ძეგლში მოხსენიებული რუსუდანი არის არა თამარის და, არამედ დემეტრე I-ის ასული. ე.ი. თამარის მამიდა. აქედან გამომდინარე მ.

³⁶ ა. შანიძე, ბასილი ეზოსმოდღერის ისტორიული თხზულების ერთი შერყენილი ადგილის გამართვისათვის, თსუ შრომები, ტ. 99, 1962.

³⁷ ნ. ბერძენიშვილი, თამარის ეპოქა ბასილი ეზოსმოდღერის მიხედვით. საქართველოს ისტორიის საკითხები. VII. თბ., 1974, გვ. 219.

³⁸ Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В.Д.Дондуа. Исследования и примечания М.М.Бердзенишвили.

ბერძენიშვილი აზუსტებს თხზულების დაწერის დროსაც გამოკვლევაში აგრეთვე მოცემულია ძეგლის ტერმინოლოგიური დახასიათება, თამარის პირველი და მეორე ისტორიების შედარება და სხვ.

ი. ანთელავას აზრით, თამარის მეორე ისტორიკოსი დაკით ლაშას ძისა და დაკით რუსუდანის ძის ეპოქის მოღვაწეა.³⁹

თხზულების სპეციალურად შესწავლის გარდა მასში დაცული ცალკეული ცნობები არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი.

ი. ჯავახიშვილის შემდგომ თამარის მეორე ისტორიაში დაცულ ცნობებს XII ს-ის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხთა გაშუქების მიზნით მრავალმა მეცნიერმა მიაქცია ყურადღება. ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ განიხილა თითოეული ცნობა, რომელიც მხოლოდ თამარის მეორე ისტორიაშია დაცული და ეპოქის რეალური სურათის ამსახველია.⁴⁰ კერძოდ ყურადღება გაამახვილა ცნობაზე მონაპირეთა ინსტიტუტის შესახებ და დაადგინა მათი ფუნქციები: ა) სანაპიროთა სამამულოდ დაუფლება; ბ) ახლად მოპოვებული ქვეყნების სანაპიროზე დართვა; გ) სანაპიროდან გამოყვანილი საკუთარი ლაშქრით მონაპირეობა; დ) უმადნაფიცობის პირზე სამსახური – ემობა.⁴¹

ნ. ბერძენიშვილი შეეხო აგრეთვე ყველა იმ ცნობას, რასაც თამარის მეორე ისტორიკოსი გვაწვდის, სანდოდ მიიჩნია ისინი და პირველ ისტორიაში დაცულ მასალასთან ერთად გამოიყენა XII ს-ის საქართველოს ისტორიული სურათის აღსადგენად.

ქართლის ცხოვრების გადმოცემისას ს. ყაუხჩიშვილმა საგანგებოდ განიხილა ის ტერმინები, რომლებიც თამარის მეორე ისტორიაში იყო დაცული. ამით მკვლევარმა დიდი

³⁹ ი. ანთელავა, ბოცო-ბასილი აღის მონასტრის აღაპებში. – XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 157.

⁴⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტ. საკითხები, წ. II, თბ., 1965; იგივე, წ. V, 1971; იგივე, წ. VI, 1973; იგივე, წ. VII, 1974; იგივე, წ. VIII, 1975; იგივე, წ. IX, 1979.

⁴¹ ნ. ბერძენიშვილი, თამარის ეპოქა ბასილი ეზოსმოდღერის მიხედვით, საქ. ისტ. საკ. VII, თბ., 1974, გვ. 226-227.

წვლილი შეიტანა თამარის მეორე ისტორიის შესწავლის საქმეში.⁴²

ბ. მელიქიშვილის ნაშრომში⁴³ განხილულია თამარის მეორე ისტორიაში დაცული რამდენიმე ცნობა; კერძოდ, მონაპირეთა შესახებ, რის საფუძველზეც მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ის განუწყვეტელი ომები, რასაც აღარმოიქმნა საქართველოს სამეფო XII-XIII სს. ნაწილობრივ გამოწვეული იყო უცხო ლაშქრის შენახვის აუცილებლობით“.⁴⁴ თამარის დროს უცხო მხარეთა რბევამ, ჩანს, უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო და გეგმაზომიერად სწარმოებდა“.⁴⁵

ბ. მელიქიშვილს განხილული აქვს აგრეთვე თამარის მეორე ისტორიაში დაცული ცნობები ქართლის კათალიკოსის,⁴⁶ იმერელ სვანთა აჯანყების,⁴⁷ ანტონ გლონისთავისძის შესახებ.⁴⁸

XII ს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების შესწავლისას ჯ. სტეფნაძემ უხვად გამოიყენა თამარის მეორე ისტორიაში არსებული ცნობები. მან ძირითადად სანდოდ მიიჩნია მეორე ისტორიაში დაცული მასალა. მკვლევარის აზრით, მეორე ისტორიკოსის ცნობები „უმრავლეს შემთხვევაში უტყუარია და დასტურდება სხვა მონაცემებითაც“.⁴⁹

თამარის პირველი და მეორე ისტორიების შედარების საფუძველზე და უცხოური წყაროების დამოწმების შედეგად მრავალი ფაქტი და მოვლენა დასტურდება, სწორდება. ასე მაგ. ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს, რომ შამქორთან ბრძოლა დაწვრილ-

⁴² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მისედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 115-150.

⁴³ ბ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების სოციურთი საკითხი. გვ. 65-107.

⁴⁴ იქვე, გვ. 83.

⁴⁵ იქვე, გვ. 87.

⁴⁶ ბ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

⁴⁷ იქვე, გვ. 98.

⁴⁸ იქვე, გვ. 101-102.

⁴⁹ მ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII ს-ში. თბ., 1974, გვ. 8.

ბათ აქვს აღწერილი პირველ ისტორიკოსს,⁵⁰ ხოლო მეორეს კი მასი უმთავრესი დეტალები აქვს წინ წამოწეული“⁵¹ (ქ. ცხ. გვ. 127).

თამარის მეორე ისტორია უხე მასალას გვაწვდის მონაპირეთა ინსტიტუტის შესახებ.

ჯ. სტეფნაძის აზრით, ეს არის ერისთავთა ახალი კატეგორია, რომელიც გამოიწვია ქვეყნის ტერიტორიის ზრდამ, შემოერთებული მიწების განსაკუთრებული გამგებლობის საჭიროებამ და მეზობელ ქვეყნებთან მუდმივი საომარი მოქმედებისათვის მზადყოფნის აუცილებლობაც.⁵²

ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში მონაპირეთა ექსტენსივიზაციისკენ ლტოლვის პროცესი არ შეინიშნება.⁵³ მონაპირის ფუნქციები განსხვავებული იყო სპასალარის ფუნქციებისგან, თუმცა, ზოგჯერ, ერთი და იგივე პირი მონაპირეც იყო და სპასალარიც (მაგ.: ყვარყვარე ჯაყელი). გამორიცხული არ არის, რომ ერთი და იგივე პირს ორივე სახელო ჰქონდა.

ჯ. სტეფნაძემ⁵⁴ ყურადღება მიაქცია თამარის მეორე ისტორიაში დაცულ ცნობებს შამქორის ბრძოლასთან⁵⁵ და განძასთან⁵⁶ დაკავშირებით, აგრეთვე აბუ-ბექრის⁵⁷ შესახებ.

თამარის მეორე ისტორიაში დაცულ მასალას იყენებს მ. ლორთქიფანიძე თავის ნაშრომში,⁵⁸ სადაც განხილულია XII ს-ის საქართველოს პოლიტიკური ვითარება, სახელმწიფო წყობილება, ქალაქები, ვაჭრობა და სხვ. მისივე ნაშრომში „რა არის ქართლის ცხოვრება“ სრულად არის წარმოდგენილი და გაშუქებული არა ერთი საკითხი: „ქართლის ცხოვრების“

⁵⁰ ქ. ცხ. II, გვ. 68-72.

⁵¹ ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

⁵² იქვე, გვ. 183.

⁵³ იქვე, გვ. 184.

⁵⁴ ჯ. სტეფნაძე, საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობა XII-XIII სს-ის მიჯნაზე. — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970.

⁵⁵ ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

⁵⁶ იქვე, გვ. 125.

⁵⁷ იქვე, გვ. 124.

⁵⁸ მ. ლორთქიფანიძე, XI-XII სს. ქართული ისტორიის წყაროები, — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

თავდაპირველი შედგენა, მისი თანდათანობითი შექცევა და სხვა.⁵⁹

შ. ბადრაძემ ნაშრომში „საქართველო XII-XIII სს-ის მიჯნაზე ვრცლად განიხილა და მრავალი კუთხით წარმოადგინა საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდი. თამარის მეორე ისტორიაში დაცული ცნობების გაანალიზების შედეგად გამოკვლევაში არაერთი საკითხია გაშუქებული. ჴერძოდ, ცნობა კახაბერის ძეთა შესახებ, გუზანის დასაჯის შესახებ და სხვ.⁶⁰

ნ. შენგელია ნაშრომში „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში“ გადმოგვცემს თამარის საგარეო პოლიტიკას.⁶¹ ავტორი თამარის მეორე ისტორიის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ საქართველოს განაპირა ტერიტორიებიდან თურქთა ნაშთები იღვევებოდა. მტრები ისე იოლად ვერ ბედავენ საქართველოზე თავდასხმას: „და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს“.⁶² თამარის მეორე ისტორიაშივე, აღნიშნავს ნ. შენგელია, არის დაცული ცნობა რუქნ-ად-დინის თამარისათვის მოხსენების შესახებ: „გიბრძანებია ნათესავსა ჴედა თაყისუფალსა დაღებად ხარკი“.⁶³

თამარის მეორე ისტორიაში დაცული ცნობები გამოიყენა აგრეთვე რ. მეტრეველმა ნაშრომში „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში“. მან აღნიშნა, რომ „თამარის მეორე ისტორია“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ბევრ ისეთ ცნობას შეიცავს, რომელიც არსად სხვაგან არ არის, მნიშვნელოვანწილად ავსებს „ისტორიანი და აშმანი შარავანდედთანის“ მონაცემებს და იძლევა საშუალებას XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დამდეგის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გაშუქებისათვის.⁶⁴

⁵⁹ მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება, თბ., 1989.

⁶⁰ შ. ბადრაძე, საქართველო XII-XIII სს-ის მიჯნაზე – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV სს-ში. თბ., 1979, გვ. 296.

⁶¹ ნ. შენგელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV სს-ში. თბ., 1979, გვ. 316.

⁶² ქც. II, გვ. 130.

⁶³ ქც. II, გვ. 133.

⁶⁴ რ. მეტრეველი. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

როგორც ვხედავთ, თამარის მეორე ისტორია XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის საინტერესო და უადრესად საჭირო წყაროს წარმოადგენს.

თამარის მეორე ისტორიას სამეცნიერო ლიტერატურაში უკავშირებენ თქმულებას დედოფალ დინარაზე.⁶⁵

თქმულება დინარას შესახებ განიხილა გ. პაიჭაძემ ნაშრომში „Повесть о Динаре“⁶⁶. მკვლევარმა ვრცლად წარმოადგინა რუსეთ-საქართველოს ისტორია, ფართოდ განიხილა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებები თქმულების შესახებ, გააშუქა არაერთი საკითხი მასთან დაკავშირებით გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები.

გ. პაიჭაძის აზრით, თქმულება დინარაზე რუსული ორიგინალური ნაწარმოებია, დაწერილი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით XVI საუკუნეში. საქართველოზე არსებული ცოდნის შედეგად, რუსულ-ქართული ურთიერთობების გადრმავეების მიზნით. დინარა არ არის ისტორიული პირი. ავტორმა გამოიყენა ცნობები თამარ დედოფლისა და ჰერეთის დედოფლის დინარას შესახებ. მათი შერწყმით

⁶⁵ А. Зимин, Повесть о царице Динаре, в книге: Пересветов и его современники. М., 1958, стр. 102-108, §3.

Л.Г. Дзоценидзе, Повесть о Динаре, Сборник научных трудов Тбилисского гос. Университета, №7, 1955, стр. 136.

⁶⁶ Г. Паїчадзе, Повесть о Динаре (Критический обзор истории изучения памятника) – Юбилейный сборник, посвященный 100-летию со дня рождения академика И.А. Джавахишвили. Тб., 1976.

წარმოიქმნა თქმულება დინარაზე. გ. პაიჭაძის აზრით, თქმულების მიზანი იყო რელიგიურ-დიდაქტიკური ნაწარმოების შექმნა, რაც იმ პერიოდის რუსეთის პოლიტიკური ვითარებით აიხსნება.

წყაროს ბარეზანი კრიტიკა

§1. „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ჭალაშვილისეული ნუსხის არქეოგრაფიული აღწერილობა და პალეოგრაფიული ანალიზი

„ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ თხზულებათა ტექსტის გამოცემას და მის შესწავლას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა უძღოდეს კრებულის ყველა ნუსხის წინასწარი გამოკვლევა, მათი შედგენილობის, გადაწერის დროის დადგენა, ტექსტის აღდგენა-დაზუსტება, ცალკეული ძეგლების ურთიერთმიმართების გარკვევა.

ნათელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული თხზულებების შესწავლა შეუძლებელია მთლიანი ნუსხის, კრებულის კოდიკოლოგიური შესწავლის გარეშე, ვინაიდან ნაწილი მხოლოდ მთლიანთან ურთიერთმიმართებაში გაიაზრება, ისევე, როგორც მთელის შესწავლა მხოლოდ მისი შემადგენელი ნაწილების ანალიზით არის შესაძლებელი.

ასეთი შესწავლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია პალეოგრაფიული ანალიზი, როგორც წყაროს შინაგანი და გარეგანი კრიტიკის დიადექტიკურად გამაერთიანებელი წარუთმცოდნეობითი სამუშაოს გარეგანი პირველადი მხარე.¹

ჩვენი კვლევის საგანია ამჟამად „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ნუსხა, სადაც თამარ მეფის მეორე ისტორიაა დაცული. როგორც ცნობილია, არც ერთ სხვა ნუსხაში ეს თხზულება წარმოდგენილი არ არის. ჭალაშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად XVI-XVII სს-ით თარიღდება.

ჩვენს მიერ შედარებულ იქნა ჭალაშვილისეულ სულ-ნაწერში (Q-207) დაცული „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისის“ ის ტექსტის ძველი ნაწილი მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ პირთან (S-30, გადაწერილი XVII ს-ის ბოლოს – XVIII ს-ის დამდგ.), რომელშიაც დაცულია თამარის პირველი ისტორია

¹ Е.А. Белоконь, К вопросу о методике палеографического анализа документов конца XVIII в первой четверти XIX в. В книге: Теория и методы источниковедения и вспомогательных исторических дисциплин, М., 1985, с. 110.

– „ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“. ამ ხელნაწერთა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლისა და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად გაირკვა, რომ ეს ორი ხელნაწერი სხვადასხვა გადამწერის მიერ არის გადაწერილი.

ამის შემდეგ ჩვენ შევუდარეთ Q-207 ხელნაწერი, გადაწერის დროის მიხედვით მასთან ყველაზე მეტად დაახლოებული ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ Q-795 ნუსხას, რომლის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული.

აღნიშნული ნუსხა ჯამბაკურ-ორბელიანთა საგვარეულო ბიბლიოთეკაში იქნა აღმოჩენილი ი. ჯავახიშვილის მიერ 1913 წ. ნუსხაში არსებული მინაწერის მიხედვით იგი გადაწერილია ალექსანდრე მეფის თანამეცხედრის ანა დედოფლის ბრძანებით. ამ მინაწერზე დაყრდნობით, იგი დათარიღდა ალექსანდრე კახთა მეფის (1476-1511) სეობის წლების გათვალისწინებით – დაახლოებით 1479-1495 წწ. და მას პირობითად ანასეული ეწოდა.² ამგვარად, Q-795 უძველეს ხელნაწერად ითვლებოდა „ქართლის ცხოვრების“ ნვენამდე მოღწეულ ნუსხათა შორის.

ნ. შოშიაშვილმა სპეციალურად შეისწავლა ე.წ. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი და პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ იგი გადაწერილი უნდა იყოს XVI ს-ის დასასრულს ან XVII ს-ის დასაწყისში და ამდენად ანასეულ ხელნაწერს არ წარმოადგენს.³

მან აღნიშნა, რომ ძეგლის ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს ჭეირონიშანიც, რომელიც, რ. პატარიძის აზრით, XVI ს-ის ბოლოს ეკუთვნის.

ამრიგად, Q-795 (ე.წ. ანასეული) ხელნაწერი ფაქტობრივად ანასეულის პირია. ხელნაწერი შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ პირველ ხუთ თხზულებას. დავით აღმაშენებლის ისტორიას მისდევს გადამწერის ანდერძი. ანდერძის შემდეგ ტექსტი გრძელდება ე.წ. „ღაშა გიორგის დროინდელი მატინითა“ და „იოანე სედასნელის ცხოვრებით“. ამასთანავე, „ღაშა გიორგის დროინდელი მატინანე“ სრული სახით მხოლოდ ამ ხელნაწერშია შემონახული.

² ი. ჯავახიშვილი, ქართლის ცხოვრება, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 302-305. მისივე ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება. – თხზულება, VIII, გვ. 376.

³ ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი, მრავალთავი V. 1975. გვ. 55.

ახ. რაც ხელნაწერში ანდერძის შემდეგ გრძელდება, ნ. შოშიაშვილმა Q-795-ის გადაწერის დანართად მიიხნია, მთ უბეჭდეს, რომ სწორედ ამ მონაკვეთში (თამარის პერიოდის ამსახველ ნაწილში) საქართველოს სამეფო დინასტია მოხსენიებულია ფორმით „ბაგრატიონი“, რაც მკვლევარის აზრით, არც ღაშა გიორგის ხანაში და არც XV ს-ში არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

„ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ნუსხა (Q-207), როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1923 წელს იქნა მიკვლეული ი. ჯავახიშვილის მიერ. მანვე დაახლოებით დაათარიდა ხელნაწერი XVI-XVII სს. ჭალაშვილისეული ნუსხა ქაღალდისა და ჭვირნიშების მიხედვით შეისწავლა კ. გრიგოლიამაც, და ხელნაწერის ძველი ნაკვეთი XVI ს-ის 60-იანი წლებით დაათარიდა.⁴ ხოლო ახალი ნაწილი, მისი აზრით, ერაჯ ჭალაშვილის მიერ ვახტანგისეული რედაქციის შემცველი ხელნაწერიდან არის გადაწერილი თავსა და ბოლოში 1731 წელს. ძველი ხელნაწერი რუსეთში ერაჯ ჭალაშვილის ხელში მოხვდა, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ ახლად შემწადებულ ხელნაწერში ის მოლიანად ჩააქერა.

კ. გრიგოლიას აზრით, ეს ფრაგმენტი ვახუშტი ბატონიშვილის ხელშიაც მოხვედრილა (აღბათ ვახუშტის რუსეთში ყოფნის დროს), რომლის მინაწერებიც (მეფეთა სახელები) ხელნაწერის კიდეებს ამშვენებს. ასევე მიწერილია მეფეთა სახელები ვახუშტის მიერ ძველ ნაწილშიც – მეფე ბაქარიდან (ფ. 93) – გიორგი მეფემდე (ფ. 253).

დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ, ჭალაშვილისეული ნუსხის ძველ ნაწილში, აღწერილი დემეტრე I-ის მეფობა⁵ (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ფ. 251, ა-253 ა), სუსტად ისე, როგორც ეს ანასეულ „ქართლის ცხოვრებაშია“ (ე.წ. „ღაშა გიორგის დროინდელი მატრიანე“). ჭალაშვილისეულ ხელნაწერში (Q-207) თამარის მამის გიორგი III-ის ისტორია სულ რამდენიმე წინადადებით არის წარმოდგენილი, უფრო მოკლედ, ვიდრე ანასეულში (Q-795), ხოლო ამას უსათაუროდ

⁴ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, თხზულებანი, VIII, გვ. 374; კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 110-111.

⁵ იხ. ქართლის ცხოვრების ჭალაშვილისეული ნუსხა (ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-207 ხელნაწერი).

მოსდევს თამარის ეპოქის ისტორია, რომელიც განსხვავდება როგორც Q-795-ის შესაბამისი მონაკვეთისაგან, ასევე მანამდე ცნობილი „ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანის“ ტექსტისაგან.⁶ როგორც აღვნიშნეთ, ი. ჯავახიშვილმა ე.წ. მარიამისეული „ქართლის ცხოვრებით“ უკვე ცნობილი თხზულების ასევე უსახელო ავტორისაგან განსასხვავებლად ჭალაშიელისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაკულ თამარის ისტორიის ავტორს მეორე ისტორიკოსი უწოდა. ხელნაწერი მთავრდება ვახტანგ V-ის მეფობის აღწერით (1658-1675), რომელსაც მოსდევს იოანე ზედაზნელის ცხოვრება.

ჭალაშიელისეული „ქართლის ცხოვრების“ (Q-207)
შედგენილობა:

თავნაკლულია. იწყება ო/ს (77 გვ.) გვერდით. ახალი პაგინაციით 2r.

...ნი იგი აღრეულნი ქართლს მეოფნი და უცხონი იგი ნათესაჳნი მოსრნა და დატყუენა დედანი და ყრმანი უცენნი თუთხმეტის წლისა უმცირესნი და დაუტეენა ნათესაჳნი ქართლოსი ანნი და დაუტეეა მათ ზედა პატრიკად სახელით ახორ ძე იარედოსისი, ნათესაჳი მისი ქუეყნით მაკელარით და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყნით პრომით რომელსაც აქციან ფრდაქათს ესე ფრტაოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი... და დაუტეეა ქართლს ერისთავად ახორ.

1. ცხოვრება ფარნავეაზისი, რომელი იყო პირველ მეფე ქართლისა ქართლოსიანი (3-12 გვ.).

და ამანვე ფარნავეაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა ესევე არს არმაზი, რამეთუ ფარნავეაზ სპარსულად არმაზს ერქვა...“ (გვ. 11).

2. „მეორე მეფე საურმაგ ძე ფარნავეაზ მეფისა ქართლოსიანი“ (გვ. 12r-13v).

3. „მესამე მეფე მირვან შვილებუელი საურმაგ მეფის ნებროთიანი“ (გვ. 13v-14v).

4. „მეოთხე მეფე ფარნაჯომ ძე მირვან მეფისა ნებროთიანი“ (გვ. 14v-16v).

⁶ თამარის ცხოვრება და შემდგომი ტექსტიც „ქართლის ცხოვრებისა“ შეუვსია ერაჯ ჭალაშიელს რუქნ-ად-დინის დროიდან ვიდრე XVII საუკუნემდე.

5. მეხუთე მეფე არშაკ არშაკუნიანი“ (16r-v).
6. „მეექვსე მეფე არტაგ ძე არსაკ მეფისა არშაკიანი“ (16v).
7. „მეშვიდე მეფე ბარტომ ძე არტაგ მეფისა არშაკუნიანი“ (17r -19r).
8. „მერვე მეფე მირვან ძე ფარნაჯომ მეფისა ნებროთიანი“ (19r -19v).
9. „მეცხრე მეფე არშაკ ძე მირვან მეფისა ნებროთიანი“ (19v-21v).
10. „მეათე მეფე ადერკი ასულის წული ბარტამ მეფისა და ძე ქართამისი ბარტამ მეფის შვილობილისა არშაკიანი“ (21v-23v).
11. „მეათერთმეტე მეფენი მცხეთით ბარტომ და არმა'სით ქართამ. ძენი ადერკი მეფისანი არშაკუნიანი“ (23v- 25r).
12. „მეათოთხმეტე მეფენი მცხეთით კაის, ძე ბარტომ მეფისა და არმა'სით ფარსმან, ძე ქართამ მეფისა არშაკუნიანი“ (24r).
13. „მეათოთხმეტე მეფენი შიდა ქართლის არმა'სეღ, ძე კაოს მეფისა და არმა'სით ახორკ ძე ფარსმან მეფის არშაკუნიანი“ (25r).
14. „მეათოთხმეტე მეფენი შიდა ქალაქსა ამზასპ, ძე არმა'სეღ მეფისა და არმა'სით დერკ ძე ახორკ მეფისა არშაკუნიანი“ (30r).
15. „მეათხუთმეტე მეფენი შიდა ქალაქს მირდატ, ძე ამზასპ მეფისა და არმა'სით ფარსმან ქველი ძე დეროკ მეფისა, არშაკუნიანი“ (31r-35r).
16. „მეათექვსმეტე მეფე ადამი, ძა ფარსმან ქველისა, არშაკუნიანი“ (35r).
17. „მეათშვიდმეტე მეფე ფარსმან, ძე ადამისი არშაკუნიანი“ (35r).
18. „მეათვრამეტე მეფე ამზასპ, ძე ფარსმანისი, არშაკუნიანი“ (35r).
19. „მეათცხრამეტე მეფე რეგ, დისწული ამზასპ მეფისა, არშაკუნიანი“ (38r).
20. „მეოცე მეფე ვანე, ძე მეფისა რევისა, არშაკუნიანი“ (39r).
21. „მეოცდართე მეფე ბაკურ, ძე მეფის ვანესი, არშაკუნიანი“ (39r).

22. „მეოცდაორე მეყუ მირდატ, ძე ბაკურ მეფისა, არმა-კუნიანი“ (39v).

23. „მეოცდასამე მეყუ ასფაგურ, ძე მირდატ მეფისა, არ-შაკუნიანი“ (40r).

24. ქ. თავი. სხვა. შემოსულა სპარსთა ქართლად. მე-ფობა მირიანის ქასრეს ძისა“ (42r).

42r-v განსვხვაებული ხელია. 43r-დან 272r-მდე არის ჭაღლაშვილის ხელით გადაწერილი „ქ.კ.ს.“-ა.

25. „აწ ვაძსენოთ ცხორება მირიანისი ძისა ქასრე არ-დაშერისა, სასანიანისა“ (45v).

26. „მოქცევა მირიან მეფისა და ყოველისა ქართლისა, წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ (50v).

26a. „თქმული აბიათარ მღვდლისა, რომელი დაემოწავა წმიდასა და სანატრელსა ნინოს“ (64v).

27. „თქმული მისეუ აბიათარ მღვდელისა...“ (66r).

28. „თქმული სიდონია დედაკაცისა...“ (73r).

29. „წიგნი რომელი მიუწერა პატრიარქმან კრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა და ყოველთა ქართ-ველთა“ (89v). აქვე მინაწერია სხვა ხელით და სხვა მეყლით. რომელიც ანასეულის ხელს ჰგავს. 89v გვერდის ფორსაცხე კიდესე:

„ქ. ვახტანგს ვაქებთ მეყეთა ზედან მეფესა მფლობელსა, მალლით ცხებულსა ზეგარდმო ლომსა ქართველთა მპყრო-ბელსა ინდოეთს, სტამბოლს, საბერძნეთს, მტერთა ძალისა მსწრობელსა

და სამოთხეც დაემკვიდრბის მისსა უებროდ მშობელსა“.

იქვე გვერდით კიდესე იმავე ხელით განაგრძობს:

„ინდოეთს კრა შმალი და სინდეთს აბაშს სტამბოლს და ურუმთა

ბაღდადით ნიჭი მოიღო ბეგარი დასდვა ჩხურუმთა“.

მინაწერი იმავე ხელით არის 87v-ზე. მიმართვია წმინდა მარიამისადმი. მინაწერში არაფერია საგულისხმო, ამიტომ არ ამოვიწერეთ.

30. მეყუ ბაქარ (93v) ტექსტში სინგურით ან რაიმე სხვა ნიშნით არ არის გამოყოფილი.

31. მეყუ მირდატ (94v) მხოლოდ კიდესეა მიწერილი მკრთალად სინგურით.

32. მეყუ ყარაზბაქარ (94v).

33. მეფე თრდატ (96r).

34. მეფე ფარსმან (96r).

35. მეფე მირდატ (96v).

36. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, მეფისა. მშობელთა...“ (97r) სათაური მსხვილი ასოებით სინგურით არის გამოყოფილი.

37. მეფე დანი - კვლავ კიდესეა წითლად მიწერილი. 153r.

38. მეფე ბაკურ - კვლავ კიდესეა წითლად მიწერილი. 154r.

39. მეფე ფარსმან - კვლავ კიდესეა წითლად მიწერილი. 154r.

156v-ზე წინა მინაწერების ხელით მიწერილია:

„ღმერთო ჩემო გევედრები, სიტყვა ჩემი შეისმინე...“

შემდეგ ძნელად იკითხება არის ვედრება ღმერთისადმი.

40. „ერისთავთ ერისთავი სტეფანოს“ 159r (მიწერილია სინგურით კიდესე).

41. „მოთავარი ადარნასე“ - 160r (მიწერილია სინგურით კიდესე).

42. „წამება წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართველთა“ 171r.

43. ჯუანშერ - 174v გვერდით სინგურით

44. მეფე დავით კურაპალატი - 176v გვერდით სინგურით

45. მეფე ბაგრატ - 177v გვერდით სინგურით

46. მეფე დავით - 179v გვერდით სინგურით

47. მეფე ადარნასე - 180r გვერდით სინგურით

48. ბაგრატ მეფე - 188r გვერდით სინგურით

188v-ზე უმნიშვნელო მინაწერია იმავე ხელით. ვედრება დაძმისადმი.

49. ბაგრატ მეფე - 198r გვერდით სინგურით

214-215-216 გვერდები ჩართულია განსხვავებული ხელით.

50. „აქა დიდი და დიდი განბოძობილი დავით დაიბადა მსგავსი...“ (215v)-216v დაუწერელია.

217r იგივე ხელით განაგრძობს, რაც ამ სამი ფურცლის წინ იყო. ტექსტიც მიეყება 213v-ს, რომლის ბოლოში სიტყვა წყდება: „... ნიანია წარუღო ქუთაისისა საჭურჭლე და შედგა ქუთაისანი ბაგრატეულნი“. ე.ი. მათ შორის ხელნაწერში ჩაკ-

ერებული ფურცლები – 3 ფურცელი (214, 215, 216) ხელოვნურად მოთავსებულია ამ ადგილას, ტექსტის ბუნებრივი მსკლელობა შემდეგ 217v-ზე, იმავე ხელითა და მელნით გრძელდება ტექსტი.

ჩვენი აზრით 214r-ზე წინა ტექსტის განგრძობა განსხვავებული ხელით გადამწერის შეცდომაა. უთუოდ მომდევნო ფურცლები იმ დროს დაკარგული იყო, შემდეგ მოინახა და აიკინძა.

51. დავით მეფე – 220v მინაწერია გვერდზე სინგურით.

52. ცხორება დემეტრე მეფისა სრულყო რა დავით სრბამეფობრივი ქორანიკონსა (251r).

53. გიორგი მეფე ძე დავითისი 253r (გვერდით სინგურით).

54. „დაჯდა ნებითა ღთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა...“ 255r.

55. მესამეოცე მეფე ღაშა გიორგი რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქუეყანის მანათობელად ძე თამარ მეფეთ მეფისა ბაგრატიონი (305v).

56. მესამეოცე და ერთე მეფე რუსუდან ძე თამარ მეფისა და დაა ღაშა გიორგი მეფისა ბაგრატიონი (320r).

57. მესამეოცე და ოორე მეფენი დავით ძე ღაშა გიორგი მეფისა და კდ დავით ძე რუსუდან მეფისა დისა ღაშა გიორგი მეფისა ბაგრატიონნი (371v).

58. მესამეოცდასამე მეფე ქართლისა დიმიტრი თავდადებული ძე დავით მეფისა ბაგრატიონი (414v).

59. შემსამეოცდა ოთხე მეფე ვახტანგ ძე დავით აფხაზთა მეფისა ძისა რუსუდანიისა ბაგრატიონი... (437v).

60. მესამეოცდახუთე მეფე დავით ძე დიმიტრი მეფისა ბაგრატიონი (441v).

61. დასუეს მეფედ ესე მეხუთე გიორგი ძმისა მისისა დავითის წილ (447v).

62. მესამეოცდა ექვსი მეფე ქართლისა ვახტანგ ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა და ძმა დავით მეფისა ბაგრატიონი (452r).

63. ქ. დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მაფისამან გიორგიმ რომელი აღუწარდა პაპისა მისსა დიდსა ბექას, ესე გიორგი იგი არს რომელი... მესამეოცდაშვიდე... ბაგრატიონი (459r).

აქედან გვერდის ფორზაცზე სინგურით მიწერილია მეფეთა სახელები

64. მეფე გიორგი (468r) ბაგრატიის ძე.
65. 478v-ზე „მეფე დავით“, „მეფე ალექსანდრე“, „მეფე გიორგი“.
66. 479r-ზე „მეფე ალექსანდრე“ გიორგის ძე.
67. 479v-ზე „მეფე ვახტანგ“ ალექსანდრეს ძე.
68. 479v-ზე „მეფე გიორგი“ ძმა ვახტანგისი.
69. 480r-ზე „მეფე ბაგრატ“ ძე გიორგისი.
70. 481v-ზე „მეფე კონსტანტინე“ ბაგრატიის ძე.
71. 485r-ზე „მეფე ალექსანდრე“ კონსტანტინეს ძმა.
72. 485v-ზე „მეფე კონსტანტინე“ ძე ალექსანდრესი.
73. 487v-ზე „მეფე დავით“ ძე კონსტანტინესი.
74. 489v-ზე „მეფე დავით“ ძე კონსტანტინესი.
75. 496r-ზე „ლუარსაბ“ ძმისწული ქართლის მეფე გიორგისა.
76. 511v-ზე „სვიმონ“ ძე ლუარსაბისა.
77. 528v-ზე „მეფე გიორგი“ ძე სვიმონისა.
78. 534r-ზე „მეფე ლუარსაბ“ ძე გიორგისა.
79. 554v-ზე „მეფე ბაგრატ“ ძმისწული მეფის სვიმონისა.
80. 560r-ზე „მეფე სვიმონ“.
81. 574r-ზე „როსტომ მეფე“, სააკაძე გვარდ., რომელი აღზრდილი იყო ეფენის კარსუდ.
82. 596r-ზე „შანაყას“ (—შანაყას) მეფე.
83. 606r-ზე მეფე ფარსმან, ძმისწული ფარსმან მეფისა ხოსროიანი.

მეფის იოანე ზედაზნელის (ჯხოვრება

„მეფის ფარსმანის ძე იოანე შუამდინარე მოწაფენითურთ თუხით განმანათლებელნი ქართლისამ და განწმედელნი სჯულისანი დამაშუენებული ეკლესიათანი, რომელთა ქმნეს სასწაულები და ნიშები მრავალნი...“

ანასკული ქართლის (ჯხოვრების (Q-795) შედგენილობა:

დასაწყისი ფურცლები დასიანებული და კიდევ შემოკვეთილია, აღდგენის შემდეგ ბევრი სიტყვა დაკარგულია ფურცლების კიდებზე:

მეფე მირიან (გვ. 27)

მეფე ბარტამ (გვ. 30)

მეფე არმაზ (გვ. 79)
 მეფე მირიან (გვ. 98) აქაც მირიან მეფეა ნახსენები
 მეფე ბაქარ, ძე მირიანისა (გვ. 117)
 მეფე თრდატ (გვ. 123)
 მეფე მირდატ (გვ. 124)
 მეფე ვახტანგ გორგასალი (გვ. 125)
 მეფე დანი (გვ. 229)
 მეფე ფარსმან (გვ. 231)
 მეფე ბაკურ (გვ. 232)
 მეფე ლეონ (გვ. 287)
 მეფე დემეტრე, ძმა ლეონისი (გვ. 290)
 მეფე ბაგრატ (აფხაზთა და ქართველთა მეფე) (გვ. 300)
 მეფე ძე მისი (ბაგრატიისი) გიორგი (გვ. 301)
 ცხორება დიდისა მეფეთ მეფისა თამარისი (გვ. 416) Q-795
 ცხორება გიორგი მეფისა თამარის ძისა (გვ. 421)

ხელნაწერის დასასრულს: „ცხორება წმინდისა მამისა ნუენისა იოვანე სედაძნელისა რომელი ბრძანებითა ღთისათა და წინამძღურობითა სულისა წმიდისათა მოივლინა ქუეყანით შუა მდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა განახლდა და განავრცო წმიდამან ნუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოსმან მიწესნი არიან“ (გვ. 426).

Q-795 ხელნაწერი ერთი ხელთ არის გადაწერილი, ხოლო ჭალაშვილისეულ ნუსხაში, ი. ჯაფახიშვილის აზრით, ოთხი ძირითადი ხელი გამოიყოფა.⁷

ხელნაწერთა აღწერილობა აქ ორ ძირითად ხელს გამოიყოფს:⁸ 1. გვ. 2-42 და 214-216⁹ ურაჯ ჭალაშვილის მიერ გადაწერილი. 2. გვ. 43-214 და 217-225r (პირველი სამი სტრიქონის

⁷ ი. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 196-197.

⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა აღწერილობა, Q-1, თბ., 1957, გვ. 228.

⁹ ჭალაშვილმა შეავსო ეს ნაწილი, რადგან, შესაძლოა, ხელნაწერი ცუდად გაირჩეოდა. 214 გვ-ის დასაწყისი წინა გვერდის სიტყვის ნაწილია – „ქეთათის შიგან“. „გიორგი მეფემ მისცა ლიპარიტის ძეთ წობანი“. აქვეა 215v-ზე სინგურით გამოყოფილი დავით მეფის დაბადება. 216r ბოლომდე არაა შევსებული, v-ც არ არის დაწერილი. 217r ისევ ძველი ხელნაწერია.

ნათვლით). ძველი ხელი (ეს არის ძირითადი ხელი ძველი ხელნაწერისა, რომელიც შეავსო ერაჯ ჭალაშვილმა).

ჩვენი აზრით, Q-207 ხელნაწერი, ხელის მიხედვით, შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

1. 2r-40v ჭალაშვილის ხელი.
2. 41r-v (კარიულია).
3. 42r-v კვლავ ჭალაშვილის ხელია.
4. 43r-213v - ძველი ხელნაწერის ხელია.
5. 214r-216v - ჭალაშვილის ხელითაა შევსებული.
6. 217r-271v - ადრინდელი ხელია.
7. 272r-616v - ახალი ნაწილია, რომელიც ჭალაშვილის დაწერილად ითვლება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნუსხის ძველ ნაწილს რამდენიმე გადამწერი წერდა. ხელნაწერის აღნიშნულ მონაკვეთში (217r-271v გვ-ები) კმ (28) რვეულის დასასრულს 222v-ზე სამი სტრიქონი დასაწყისში განსხვავებული ხელით არის ნაწერი.

...ვე ნაშობი იქედნეთა და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღუაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ არღრვინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვიდრი, რამეთუ აიხსნა უშჯულოება მათა მათთა წინაშე უფ“ ...ლისა - განაგრძობს უკვე იგივე, ძველი ხელი.

217 გვ-დან 231 გვერდები ადრინდელი ხელნაწერის, მაგრამ განსხვავებული ხელია.

231r-272r-მდე სხვა გადამწერის ხელია. განსხვავება ამ ორ ხელს შორის მცირეა, ასოთა მოხაზულობის სიმსხოთი განისაზღვრება, მაგრამ მაინც აშკარაა. ამრიგად, ხელნაწერის ძველ ნაწილში სამი განსხვავებული ხელია.

თვით ჭალაშვილისეული ნაწილიც (გვ. 272-616) ჩვენი დაკვირვებით, ხელის თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი. მერთაღად, მაგრამ მაინც, ამ ნაწილშიაც სხვადასხვა ხელი გამოიყოფა: 272r-368r-ს შუამდე ერაჯის ხელია. ოდნავ განსხვავებული ხელით არის გვერდები: 368r-ს შუა გვ-დან - 406r; 406r-426r; 426r-457r; 457r-ს შუა ნაწილიდან - 551r-მდე და უკანასკნელი ნაწილი 551r-616r კვლავ ერაჯ ჭალაშვილის ხელს ჰგავს. აღნიშნულ მონაკვეთში (272-616 გვ.) არსებული სხვაობები მერთაღია, სხვაობს მელნით, წერის მანერით, დაწერილობის საერთო იერითა და ზოგი ასოს მოხაზულობით.

ეს ყველაფერი ორი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა: 1. ან ერაჯ ჭალაშვილი წერდა აღნიშნული ხელნაწილს ამ ნაწილს თავისი სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში, 2. ან სხვადასხვა გადამწერები წერდნენ ხელნაწერს (ახალი ნაწილის შუა მონაკვეთს – 368r-551r), რომლებიც ერაჯ ჭალაშვილის თანამედროვენი (რაც ასოთა მოხაზულობაშიც აირეკლა) და მისი მიმბაძველები იყვნენ. თუმცა, ერაჯ ჭალაშვილის ხელით ნასწორებულ გვერდებზე (277r; 380r; 401r; 451r; 456v; 461v; 490v; 494v; 497r) აშკარად ჩანს სხვაობა ერაჯის ხელსა და გადამწერთა ხელს შორის. ეს გარემოება მხარს უჭერს ვარაუდს, რომ აღნიშნული მონაკვეთი (368r-551r) ერაჯ ჭალაშვილის შედამხედველობით არის გადაწერილი სხვა გადამწერთაგან და მის მიერვეა ნასწორებული. ამავე დროს, იმის გამო, რომ ერაჯმა თავსა (2r-42v) და ბოლოში (272r-368r, 551r-616r) თავისი ხელით შეაქსო Q-207 ხელნაწერი და ანდერძშიც მხოლოდ თავისი თავი მოიხსენია ხელნაწერის გადამწერად, იგი მთელი ახალი ნაწილის გადამწერად იყო მინიჭებული.

ამგვარად, როგორც ირეკევა, ჭალაშვილისეული ნუსხა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იწერებოდა.

ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელნაწერის ელ. ჭალაშვილისეულ ნაწილშიც ვხვდებით სოგიერთი ასოს განსხვავებულ მოხაზულობას, რასეც ქვემოთ გვაქნება საუბარი.

რაც შეეხება თამარის ისტორიას, იგი მოიცავს გვერდებს ხელნაწერის 255r-დან 305v-მდე.¹⁰ ამ ნაწილში, ჩვენს აზრით, სამი ხელია: ორი – აღრინდელი, ერთი – ერაჯ ჭალაშვილისეული.

„ხელნაწერთა აღწერილობის“ მიხედვით თამარის ისტორია ორი ხელით იყო შესრულებული – ძველი ნაწილი 255r-დან 271v-მდე და ახალი, ერაჯ ჭალაშვილის მიერ ჩამატებული ნაწილი – 272r-დან 305v-მდე.

¹⁰ თამარის ცხოვრება ჭალაშვილისეულ ხელნაწერში ვრცლად არის გადმოცემული, თუმცა სრული არ არის, ნაკლებია, წყდება რუქნ აღ-დინის ამბებთან (1202 წ-მდე). მისი აღდგენა ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ მეშვეობით მსხერხდა, რადგან ამ უკანასკნელში „თამარის ცხოვრება“ ძირითადად თამარის პირველი და მეორე ისტორიების შერწყმის შედეგადაა წარმოდგენილი.

ხელნაწერის ძველი ნაწილი (კერძოდ ის, სადაც თამარის ცხოვრებაა აღწერილი), ჩვენი დაკვირვებით, ორი ხელით არის დაწერილი. 255r-267v-ს შუა გვერდამდე და 267v-ს შემდეგ სტრიქონიდან აგრძელებს სხვა ხელი: „... და ინდოურითა ქჳითა და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხვითა გარდა ამას ყოველსა ზედა აღზუავნა გული“ ... 271v-ს ჩათვლით.

შემდეგ (305v-მდე) თამარის ცხოვრებას ჭალაშვილის ხელი განაგრძობს.

ხელნაწერზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თვით ჭალაშვილი, სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში ავსებდა ნუსხას, როგორც უკვე აღვნიშნეთ. ამიტომ ხელნაწერის ახალი, ჭალაშვილისეული ნაწილის გადაწერის სხვადასხვა პერიოდი (სოფ. ჯერ მელნის სხვაობაც იძლევა ამ განსხვავებას) მერთალად აისახა 272-305 გვ-ზეც; 272r-279v; 279v-295v; 296r-305v.

ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ ნაკლულია: იწყება ო'ს (77) გვ-ით. ახალი პაგინაციით დაუნომრავთ 2r-ით. ტექსტი იწყება: „...ნი იგი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუენა... და დაუტევა ქართლს ერისთავად ა'სონ“.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი Q-795 და ჭალაშვილისეული ნუსხის ძველი ნაწილი დაახლოებით ერთი პერიოდის ხელნაწერებია, რის გამოც ჩვენ შევუდარეთ ისინი ერთმანეთს და შევეცადეთ გამოგვეყო პალეოგრაფიული თავისებურებები, დაგვედგინა, რომელი უფრო ადრინდელი ხელითაა დაწერილი. კერძოდ, განვიხილეთ შემდეგი გრაფემები: ანახეული:

ჟ = ჯ; $\sqrt{}$ = ყო; $\zeta, \zeta, \zeta, \zeta$ (თავი აწეული); ჭ (დახვეული); $\text{ტ} || \text{ტ}$, ზ = ავ. ტ (მუცლიანი გ); $\text{ჩ} // \text{ჩ}$; $\text{უ} // \text{უ}$ ურ; ჭ = კ. (ბმ. 416-420).
 ჭალაშვილისეულიშია: ზ ; ხ ; ჩ ; წ (თავი დაწეული); ჭ ; $\text{ჩ} = \text{ჩ}$ (თავი შეუკრავი); ჯ ; ჭ (არ არის დახვეული); ტ (მუცლიანი გ); ტ ; $\text{უ} // \text{უ}$ = ერ.

Q-207 (ძველი ნაწილი) Q-795
 „ვი“, „უ“, „ღ“ და „ღ“ - ზემოთ არის „ტ“ = ვი; „ყ“ = ყ
 ამხტარი - „საყწილი“, „მოკუქის“
 და სხვ. „ტ“ = ვი; „უ“ = უ
 „ზ“; „უხეი“ - ბმ. 90 „ტ“ = ვი; „ტ“ = ვა;

„საზნეფოქასა“

„შ“ „უ“

„ძ“ = „ძ“

„ფ“ = „ძ“

„იკვალნეს“ - 99

„შ“ - დაბალი, დაწოდილია

„გი“ = გი - 133

გვ 222რ-ზე 9-10-ჯერ, განსხვავებული მეღნით, ხელ-
როვით წარწერაა „რამაზ“ - რამაზ

გრაფემა ჩ

ასო ჩ-ს ბუნი XVI ს-ის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ხაზს ქვევით ჩამოდის. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩ-ს ხან მოკლე ბუნი აქვს, ხან გრძელი, ხაზს ქვევით ჩამოსული. XVII საუკუნის მეორე ნახევარში გრძელბუნიანი ჩ იშვიათია.

ჩ-ს ბუნის ზედა განივი ხაზი უკვე რკალის ფორმას იღებს. XVI ს-ში ეს რკალი ჯერ არ არის შეკრული, თუმცა ზოგჯერ თითქმის იკერება. ასე რომ, ჩ-ს სახეცვლილება იძლევა საკმაოდ თვალსაჩინო ქრონოლოგიურ საფეხურებს. XVI საუკუნის შუა წლებამდე მისი ბუნი ყველა შემთხვევაში ხაზს ქვევით ჩამოდის, ხოლო XVI ს-ის ბოლო წლებამდე მისი ბუნის ზედა რკალი შეკრული არ არის. XVII ს-ში ჩ-ს ბუნის ზედა რკალი ზოგჯერ შეკრულია და ზოგჯერ გახსნილია.¹¹

ასო ჩ-ს ბუნი Q-207 ხელნაწერი ნუსხის ადრინდელ, ძველ ნაწილში ყველგან ხაზს ქვევით ჩამოდის, Q-795-ში კი ხაზს ქვევით თითქმის აღარ ჩამოდის. Q-207 ხელნაწერში ბუნის ზედა ნაწილში რკალი არ არის, ოდნავ მოხრილი ბუნია, რაც რკალის ჩანასახს წარმოადგენს - Q-795 ხელნაწერში კი ასო ჩ-ს ბუნის ზედა რკალი გამოკვეთილია და თითქმის შეკრულია: „ჩ“.

ასე რომ, ასო ჩ თავისი მოხაზულობით XVI საუკუნის შუა წლებამდე პერიოდს განეკუთვნება Q-207 ხელნაწერის ძველ ნაწილში.¹²

¹¹ ჩ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

¹² ქვევით ყველგან, სადაც ანასეულს ვეადარებთ ჭალაშვილისეულ ხელნაწერს, იგულისხმება, რომ ჭალაშვილისეულის (Q-207) ძველ ნაწილს ვუდარებთ მხოლოდ და

გრაფიკა „ა“ – ორივე ხელნაწერში ახალი, მხედრული მოკვანილობისაა, როგორც ის ეალიბდება XVI ს-ის პირველ ნახევარშივე.

გრაფიკა „ბ“ – Q-207 ხელნაწერში ზოგჯერ ხაზს ქვემოთ გვხვდება, Q-795 ხელნაწერში კი „ბ“ უფრო ხაზს ზემოთ არის დაწერილი და პატარა წრივით.

„ხაზს ზემოთ ბ-ს დაწერა სრულიად მტკიცედ იღებს ქვედა ქრონოლოგიურ სფეროდ XVI ს-ის შუა წლებს და ყველა ქართული წერილობითი ძეგლი, ხაზს ზემოთ დაწერილი ბ-ანით, უნდა დათარიღდეს XVI ს-ის შუა წლების შემდგომი ხანით“.¹³

ასო „შ“-ს ბუნი მოხრილია და ზედა რკალი ზოგჯერ თითქმის შეკრულ წრეს ქმნის Q-207-ში. ასევეა Q-795-ში, მაგრამ ჭალაშვილისეულში მ-ს უფრო დიდი თავი აქვს, ანასეულში კი მისი თავი პატარავდება.

ასევე შეიძლება ითქვას „გ“-ზე და „ტ“-ზეც. ანასეულში „გ“-ს უფრო პატარა მუცელი აქვს ჭალაშვილისეულის „გ“-სთან შედარებით. „ტ“-ც რამდენადმე უფრო ვიწროა Q-795 ხელნაწერში, ვიდრე Q-207-ში.

„ძ“ მორკალულია ორივე ხელნაწერში.

„ნ“ რთული („ი“-სთან გადაბმაში „ნ“), როგორც გვხვდება ჯერ კიდევ XVI ს-ში,¹⁴ არ გვხვდება არც ერთ ჩვენს მიერ დასახელებულ ხელნაწერში.

„ო“ – XVI ს-ში იღებს ტალღისებური, განივი ხაზის სახეს „ო“¹⁵. ასეთი „ო“-ა ორივე (Q-207, Q-795) ხელნაწერში.

„პ“-ც არ სხვაობს ჩვენს მიერ დასახელებულ ხელნაწერებში, მაგრამ ორივეში (Q-207, Q-795) ხან 5 თავიანია, ხან 6 თავიანი და ზოგჯერ 7-თავიანიც გვხვდება.

საინტერესოა ასო „ქ“ დასახელებულ ხელნაწერებში.

„ასო ქ-ს ბუნი XV ს-ის მეორე ნახევარში შიგნით მორკალული ხდება, მაგრამ მას ჯერ კიდევ არა აქვს სვეით ქუდი. XVI ს-ში ქ-ს უნდება პატარა ქუდი, რომელიც თანდათან დიდდება და XVII ს-ში უკვე მოზრდილია: „ქ“¹⁶.

არა თვით ჭალაშვილის მიერ გადაწერილს ე.ი. მოგვიანო პერიოდის ხელს.

¹³ ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

¹⁴ იქვე, გვ. 48.

¹⁵ იქვე.

¹⁶ ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

Q-207-ში ქ-ს თავი, „ქუდი“ ჯერ კიდევ პატარაა, ხოლო Q-795-ში ოდნავ დიდია.

ასევე – „გრაფიკა ზ-ს ზედა წრე დაპატარავებას იწყებს ჯერ კიდევ XV ს-ში. XVI ს-ის მოვლ სიგრძეზე ზ-ს ზედა წრე ჯერ კიდევ აღემატება თავისი ზომით ქვედას, თუმცა არა იმდენად, როგორც წინა პერიოდში“.¹⁷

ზ-ს ზედა თავი Q-207-ში უფრო დიდად სხვაობს ქვედას, ვიდრე Q-795-ში. სადაც, როგორც ნ. შოშიაშვილმა აღნიშნა – „ზ“ ძველში (იგულისხმება ანასეული – Q-795 ხელნაწერი – მ.ქ.) გვხვდება თანაბარი ზომის ზედა და ქვედა რგოლებით“.¹⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოეთქვათ ვარაუდი, რომ Q-207 ხელნაწერის ძველი ნაწილი უფრო ადრინდელი ხელთ არის დაწერილი (დაახლოებით XVI ს-ის პირველი ნახევარი), ვიდრე Q-795 („XVI ს-ის ბოლოს ან XVII ს-ის პირველ ნახევარში“¹⁹).

ამრიგად, შესაძლებელი ხდება Q-207 და Q-795 ხელნაწერების გადაწერის თარიღთა გამოჯენა და ჭალაშვილისეული ნუსხის (Q-207) ძველი ნაწილის ანასეულის პირზე (Q-795) უფრო ადრინდელად მიჩნევა. ეს განსხვავება დაახლოებით ნახევარ საუკუნეს არ აღემატება და იმდენად მცირეა, რომ მხოლოდ ზოგიერთი ასოს მოხაზულობაზე აირეკლება („წ“, „ბ“, „ს“, „ქ“...), ხოლო დანარჩენი ასოები არსებით სხვაობას არ იძლევა ხელნაწერთა დასახასიათებლად.

მნიშვნელოვანია, რომ Q-207 ხელნაწერის ძველი ნაწილის გვ. 45-ს ფორსა(კ)ზე, გვერდით არეზე – არის მინაწერი: „მეფე ღალი და უკადრი გამხიარულდა მეტადრე“ – მინაწერის ხელიცა და მეღანიც იგივეა, რაც ანასეული „ქართლის ცხოვრებისა“ (Q-795). ეს კიდევ უფრო ამაგრებს მოსაზრებას, რომ ჭალაშვილისეული ხელნაწერის ძველი ნაწილი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ანასეულ ხელნაწერს, ვინაიდან Q-795-ის გადაწერს ხელთ აქონია აღნიშნული ნუსხა (Q-207), რომელსედაც მისი მინაწერიც არის შემონახული.

როგორც უკვე შემთავაზებულა, თვით ხელნაწერის იმ ნაწილშიც, სადაც ჭალაშვილის ხელია, ზოგიერთი ასოს განსხვავებულ მოხაზულობას ვხვდებით. ასეა, მაგალითად, ასო

¹⁷ იქვე, გვ. 47-48.

¹⁸ იქვე, გვ. 50.

¹⁹ იქვე, გვ. 55.

„ე“-ს მოხაზულობა („ე“ და „ე“), აგრეთვე „რ“ („რ“ და „რ“), „ჯ“ („ჯ“ და „ჯ“) და სხვ.

საინტერესოა გრამატიკული ფორმების შედარება ამ ორ ხელნაწერში.

ჭალაშვილისეული ხელნაწერის ძველი ნაწილის შესწავლისას გაირკვა, რომ 'სოგიერთი სიტყვა ანასეულ ხელნაწერში უფრო გვიანდელი ფორმით გვხვდება.

ჭალაშვილისეულშია (Q-207) ანასეულშია (Q-795)

პერეთი / / ერეთი	ერეთი
აღაშენა	აშენა
არა სადა იყო	არსად იყო
მისხა	მისა
მოუბნარი	მოუბარი

ამრიგად, ამ ორი ნუსხის ენობრივი შესწავლის საფუძველზე (კ. ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ნუსხა ე.წ. „ანასეულ ნუსხაზე“ (Q-795). უფრო ადრე ჩანს დაწერილი.

საინტერესო იყო ვახტანგისეული ხელნაწერის ხელზე დაკვირვება. „ახალი ქართლის ცხოვრება“ S-4730 ხელნაწერი – თავბოლონაკლებია. იგი მოსე ჯანაშვილის კუთვნილი ყოფილა და შემოუწირავს წერა-კითხვის სასოგადოებისათვის. ხელნაწერი ორი სხვადასხვა ხელით არის ნაწერი. თამარის ისტორია 158წ-ზე იწყება და მთავრდება 234წ-ზე. ამ ნაწილის ხელი ერთიდაიგივეა, ერთი გადამწერის მიერაა შესრულებული. გადაწერის პერიოდი უახლოვდება ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილის მიერ გადაწერილი ნაწილის დროს (Q-207 – 1731 წ. S-4730 – 1779 წლამდე). ამ უკანასკნელის ქვედა ქრონოლოგიური 'ხღვარი მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებს განეკუთვნება).

§2. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ და მისი ტექსტის აღდგენის მეთოდი

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებმა ხელნაწერთა სახით მოაღწიეს წყენამდე. გადამწერები რომ არ ყოფილიყვნენ, წყენი წარსულის შესანიშნავი ძეგლები, – ეროვნული საუნჯე, – მცირე რაოდენობით მოაღწევედა წყენამდე. უამთა სიავემ, ძნელბედობის ხანამ, მტერთა შემოსევებმა არა ერთი ხელნაწერი იმსხვერპლა.¹ ქართველი გადამწერები აღადგენდნენ დაზიანებულ ხელნაწერებს, ავსებდნენ ნაკლებად, ხელს უწყობდნენ ხელნაწერთა გამრავლებას, სათუთად უნახავდნენ წინაპართა ნააზრევს მომავალ თაობას. ამდენად, დიდია ძველ მწიგნობართა დამსახურება მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის წინაშე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: გადაწერის დროს მნუსხველი 'ხოგჯერ თავისებურად ასწორებდა და ავსებდა ტექსტს, სხვაგვარად გაიზრებდა ამა თუ იმ პასაჟს, დამახინჯებულ თუ მისთვის გაუგებარ ცალკეულ ადგილებს. ასე თანდათან ხდებოდა ძველი ტექსტების შერყვნა და გავრცელება ხელნაწერების საშუალებით. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლის, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიც საკმაოდ არის შერყენილი. მისი შეესება-შესწორება, როგორც ნანს, ადრევე დაწყებულია და გრძელდებოდა XIX ს-მდე, თეიმურაზ ბატონიშვილამდე. უნდა ითქვას, რომ ყველა თავისებურად ასწორებდა და ავსებდა კრებულის ტექსტს, რაც 'ხოგჯერ კიდევ უფრო მეტ დამახინჯებებს იწვევდა და საბოლოოდ ცვლიდა ტექსტის პირვანდელ სახეს. „ქართლის ცხოვრების“ შერყენილი ტექსტის აღდგენისათვის საჭიროა გადამწერთა მიერ ნამატებულ, თუ შეცვლილ ადგილთა მიგნება-წარმოიხედა, მასში გვიან მიმატებული და პირვანდელი ადგილების გამოყოფა. ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამართვის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიამ,

¹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი პირველი, 1962, გვ. 42.

რომლის მუშაობა „ორგანიზაციულად ფართოდ დაგეგმილ საქმიანობას წარმოადგენდა“.²

ერთ ხანს, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყველა განსხვავება, რაც „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მარიამისეულ ნუსხასა და ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს შორის არსებობს. „სწავლულ კაცთა“ საქმიანობას მიეწერებოდა, მაგრამ შემდგომ, ვახტანგამდელი ტექსტის შემცველი ახალი ნუსხების აღმოჩენით დადასტურდა, რომ უკვე XV-XVII სს-ის ხელნაწერებს ახასიათებდათ ზოგიერთი ის ნიშანი, ადრე რომ მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხების თავისებურება ეკონათ“.³

ვახტანგის კომისიამ შეავსო და გამართა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი მისთვის ხელმისაწვდომი მასალის საფუძველზე. კომისიის მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: 1) „სწავლულმა კაცებმა“ პირველ რიგში „განმართეს“ „ქართლის ცხოვრება“, ე.ი. შეასწორეს გადაძწერთა მიერ საუკუნეთა მანძილზე დამახინჯებული, არასწორად ამოკითხული ადგილები. 2) მათ „აღწერეს“, მიუმატეს XIV-XVIII სს-ის ისტორიის შემცველი ნაწილი⁴ ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ რამდენიმე შემთხვევა გვხვდება, როცა ერთი და იგივე პერიოდის ისტორია სხვადასხვა თხზულებით არის წარმოდგენილი. კომისიამ ამასაც მიაქცია ყურადღება და გააერთიანა ეს თხზულებები.⁵

თხრობა თამარის ეპოქის შესახებ ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ძირითადად ემყარება თამარის ე.წ. პირველ ისტორიას – „ისტორიანი და აწმანი შარავანდელთანი“, რომლის ტექსტი დამოუკიდებელი სახით 1884 წელს აღმოჩნდა კრებულის ე.წ. მარიამისეული ნუსხის პირში. ტექსტის რედაქტირების დროს „სწავლულმა კაცებმა“ „ისტორიათა და

² ს. კაუხნიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 029.

³ ს. კაუხნიშვილი, ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. XLVI; P.K. Кикнадзе, Очерки по источниковедению истории Грузии, Тб., 1980, стр. 100.

⁴ კ. გრიგალია. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 197-218. შ. ხანთაძე. ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ., 1985, გვ. 27.

⁵ კ. გრიგალია. ახალი ქართლის ცხოვრება. გვ. 224-246.

აშმათა“ თხრობა შეავსეს სხვა წყაროებიდან ამოღებულ ცნობებით. ამავე დროს, როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, კომისიას ტექსტების შერწყმის დროს მათი გაწორება გამართვაც უცდია და ზოგი რამ დაუმატებია სხვა, უცნობი წყაროებიდან.⁶ საბოლოოდ, მკვლევარის აზრით, კომისიამ „გამართა ბრწყინვალე სტილის ტექსტი, რომელიც შინაარსით წააგავს პირველდელ ტექსტს“.⁷ აქვე უნდა ითქვას, რომ ე. თაყაიშვილი ვახტანგის კომისიის ნაკლბაც აღნიშნავდა. მისი აზრით, იმ მიზნით, რომ ტექსტი მოვლიანად აზრიანი გაეხადა, კომისიამ ზოგი გაუგებარი ადგილი სულ გამოტოვა, სხვები კი თავისებურად გადააკეთა.⁸ ამავე დროს კომისიის მიერ ნატარებული რედაქციის შედეგად „ქართლის ცხოვრებაში“ დაკარგა მატთანეთა კრებულის ხასიათი.⁹

„ისტორიანი და აშმაანი შარავანდელთანი“ მხოლოდ ე.წ. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხით იყო ცნობილი, და, აქედან გამომდინარე, ყოველი ნასწორება ვახტანგისეულ რედაქციასა და „სწავლულ კომისიას“ მიეწერებოდა. არსებითად შეიცვალა ვითარება, როდესაც მას მიაკვლიეს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებშიაც: „თეიმურაზისეულში“ და „მანაბლისეულში“, რომლებშიაც თამარ მეფის ე.წ. პირველი ისტორიის რამდენადმე შესწორებული-გამართული რედაქციებია დაცული.

„ისტორიანი და აშმათა“ ტექსტის გამართვა სცადეს მ. ბროსემ, ე. თაყაიშვილმა, ი. ჯავახიშვილმა. მათ ბევრი ადგილი განმარტეს, გაასწორეს, მაგრამ მათ მიზნად არ დაუქსახავთ მოვლიანი ტექსტის დადგენა.

პირველი იყო კ. კეკელიძე, რომელმაც წარმოადგინა თამარის პირველი ისტორიის ტექსტის ადგენის ცდა.

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ვახტანგმა მიზნად დაისახა მოვლიანად „ქართლის ცხოვრების“ და მასთან ერთად

⁶ *E. C. Takaišvili*, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. 1-4. Тифлис, 1906-1912, с. 66. შემდგომში გაირკვა, რომ ეს წყაროები იყო ძირითადად თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება და აგრეთვე ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრის ნაწარმოები.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ იქვე. გვ. 113.

„ისტორიანი და აზმათა“ ტექსტის აღდგენა გაწმენდა, მაგრამ ქოკელაძის ვერ მოუხერხებია ეს. გარკვეული აღვილები კომისიამ თავისებურად გაიაზრა, შეკვალა (რიგ შემთხვევაში მკდარადაც). ზოგი სულ გამოსტოვა და ა.შ.¹⁰ ხაზს უსვამს რა კომისიის მუშაობის დიდ მნიშვნელობას, რ. კიკნაძე ასკვნის: „ხამართლიანობა მითხროვს აღინიშნოს, რომ ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის გარეშე ბევრი რამ „ისტორიანი და აზმანი“ ტექსტში ალბათ დღესაც გაუკებარი იქნებოდა.“¹¹

როგორც ითქვა, ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ეპოქის ისტორიის მოსათხრობად ძირითადად გამოყენებულია „ისტორიანი და აზმათა“, რომელშიც ვრცელი დამატებებია შეტანილი სხვა თხზულებებიდან, კერძოდ ერთ-ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, მოთავსებულია ჭალაშვილისეულ ხელნაწერში, რომელსაც ი. ჯავახიშვილმა მიაკვლია. მანვე გამოარკვია, რომ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი შინაარსით ორ ნაწილად იყოფა. ერთი მხრივ აქ არის ვახტანგის წინადროინდელი ხელნაწერი, ხოლო მეორე მხრივ ვახტანგისეული რედაქციის ტექსტი.¹²

როგორც აღინიშნა, „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მარია-მისეული და ჭალაშვილისეული ნუსხებისა და ვახტანგისეული რედაქციის ტექსტის შედარებითი შესწავლის საფუძველზე ი. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ის დამატებითი ცნობები, რაც შეესებულ „ქართლის ცხოვრებაში“ „ისტორიანი და აზმათა“ ტექსტისაგან განსხვავებით არის შეტანილი, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებებიდან ყოფილა ამოღებული.

ამრიგად, ნათელი გახდა, თუ რა დამატებით წყაროს იყენებდა ვახტანგის კომისია „ისტორიანი და აზმათა“ ტექსტის

¹⁰ *ქ. ქველიძე*, შესავალი წიგნში: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ცდა ტექსტის დადგენისა), აკად. ქ. ქველიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 1. *ს. ყაუხჩიშვილმა* 1959 წელს გამოსცა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ყველა კითხვასხვაობის მინიშნებით და გათვალისწინებით.

¹¹ *რ. კიკნაძე*, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 31, შენ. 19.

¹² *ი. ჯავახიშვილი*, ახლად აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება“ და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, - თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1978, გვ. 373-374.

შესავსებად. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრება“¹³ ძირითადად თამარის პირველი („ისტორიანი და ასმანი შარავანდედთანი“) და აღმოსენის რიგის მიხედვით მეორედ წოდებული (ჭალაშვილისეულ ნუსხაში დაცული) ისტორიების საფუძველზეა შედგენილი. დაახლოებით მსგავსი ოპერაცია აქვს ნატარეზული კომისიას კრებულის დასაწყის ნაწილშიც, სადაც „მატიანე ქართლისას“ (აგრეთვე, ნაწილობრივ, ჯუანშერის თხზულების) ტექსტში დაშლილად არის ნართული სუმბატის ქრონიკა, რადგან ორივე ნაწარმოებში გადმოცემულია VIII-XI სს-ის ამბები და, თანაც, სუმბატის თხზულება, ქრონოლოგიის უხეში დარღვევით, კრებულში დავით აღმაშენებლის ცხოვრების შემდეგ არის შეტანილი.¹⁴

ჭალაშვილისეულ ნუსხაში დაცული იყო თამარის ისტორიის ნაკლები ტექსტი, ისიც მხოლოდ პირველი ნაწილი. ი. ჯავახიშვილმა ტექსტის მეორე ნაწილის აღდგენის მეთოდიც შეიმუშავა. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ შეკვსებული „ქართლის ცხოვრების“ თამარის მეფობის აღწერა უნდა შეუდარდეს „ისტორიათა და ასმათა“ ტექსტს და, რაც შეკვსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ სუდმეტი აღმოსნდება, ის იქნება მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ამოღებული. ი. ჯავახიშვილმა ამ მეთოდით აღადგინა კიდევ მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტის მეორე ნახევარი.¹⁵

¹³ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის ტექსტში ცალკეულ ნაწილებს სათაურები არ გააჩნიათ. კომისიამ თხრობაში შეიტანა მეფეთა სათვალავი, რომლის მიხედვით „იყო მეფე თამარ სამოცდა მესამე“. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ რუმინანცვეისეულ ნუსხაში სათანადო აღვიდას, აშიაზე წითელი მელნით მიწერილია: „აქ დაიწყო ცხოვრება თამარისი“ (*კ. ვრთვლითა*, ასალი ქართლის ცხოვრება, გვ. 240, შენ. 2). ქვემოთ კრებულის შესაბამის ნაწილს სრულიად პირობითად „თამარის ცხოვრებას“ ვუწოდებთ.

¹⁴ დაწერ. იხ. იქვე, გვ. 225-238.

¹⁵ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოსენილი „ქართლის ცხოვრება“, გვ. 387, იხ. აგრეთვე *М.А. Казагудзе*, Об эффективности метода реставрации утраченной части "Жизни царицы цариц Тамар" – Актуальные проблемы изучения и издания

გამოკლების მეთოდით აღდგენილი ტექსტი თამარის ისტორიისა ი. ჯავახიშვილმა 1937 წელს გადასცა ლენინგრადში იმხანად მუდმივად მცხოვრებ ვ. დონდუას რუსულად გადასათარგმნად. როგორც უკვე აღინიშნა, ვ. დონდუამ იგი თარგმნა და გამოსცა 1938 წელს ი. ჯავახიშვილისეული პირობითი სათაურით – „Жизнь царицы цариц Тамары“.¹⁶

თამარის მეორე ისტორიის სასტამბოდ მომზადებისა და გამოცემის შემდეგ ი. ჯავახიშვილის დედანი მის არქივში არ დაბრუნებულა, უკანასკნელ დრომდე უცნობი იყო მისი ბედი და ხელნაწერი აქამდე დაკარგულად ითვლებოდა.¹⁷

1984 წელს ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების არქივში აღმოჩნდა საქაღალდე, რომელშიც ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი ფურცლებია დაცული.

მუეაოს საქაღალდე ჭრელ ყდაშია ჩასმული (31x22), რომელზედაც ფანქრით წარწერილია: „ბასილი ეზოსმოძღვარი“. (საყარაუდოა, რომ წარწერა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლის მ. კახაძის ხელითაა გაკეთებული). უდას ბეჭდური წარწერა აქვს მსხვილი ასოებით: „Папка для бумаг“. უდას შიგნითა მხარეს პატარა თეთრ ქაღალდზე საფირმო წარწერაა: „Типография им. Стачки 1902 года РУИ и П,

письменных исторических источников. Тезисы докладов. Тбилиси, 1926, стр. 50-51.

¹⁶ Памятники эпохи Руставели. Л., 1938.

¹⁷ ბუნებრივია, მის შესახებ არაფერია თქმული არც ი. ჯავახიშვილის არქივის აღწერილობაში (იხ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს: ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. თბ., 1976). ამავე აღწერილობაში 303 გვერდზე მითითებულია ი. ჯავახიშვილის პირად არქივში № 2035-ით აღნიშნული სარა ბარნაველის მიერ გადაწერილი თამარის ისტორია. აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ეს ისტორია არის ბასილი ეზოსმოძღვრის თამარის ისტორია. ჩვენ შევეუდარეთ სარა ბარნაველის მიერ გადაწერილი ტექსტი ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ თამარის ისტორიებს, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ იგი არ წარმოადგენს თამარის არც პირველ და არც მეორე ისტორიას.

საქაღალდეში მოთავსებულია:

1. ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი საკითხავის ფრაგ-
მენტი. ძველი პაგინაცია ფანქრით არის გაკეთებული და
თითქმის გადახულია 11-16 გვერდები. მეთერთმეტე გვერდზე
ფანქრით გაკეთებულია მინაწერი – გვ. 431. საკითხავის ტექსტი
იწყება: – „...ერთისა მახლობელნი სახითა მეოტ იქმნა რისხ-
ვისაგან მეფისა განივდა უდაბნოდ მთასა სინასა“...

წყდება: „...და ბუნებისა მისისა ხელვიდა მას კაცად და
ბუნება იგი ღმრთაებისა დაუსაბამო ვერა ცან და კუალად
აგარიანნიცა“... ამ საკითხავის სიუჟეტი ემყარება ლეუკენდას,
რომელიც მოგვითხრობს, რომ სინას მთაზე, მაყვლოვანში,
მოსეს გამოცხადდა ღმერთი ანგელოზის სახით.

2. რეუელის ლურჯი ყდა. ყდის გარეკანზე არის
წარწერა ლურჯი მელნით: „V, ბასილი ეზოს-მოძღვარი
ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“. ყდაში მოთავსებულია
ხელით ნაწერი ფურცლები და სტამბურად ნაბეჭდი ტექსტიც.
ნაწერი ფურცლები ი. ჯავახიშვილის ხელით არის შესრულე-
ბული. პაგინაცია ფანქრით არის გაკეთებული 1-49 გვ. 33-ე
ფურცელი პაგინირებულია ორი ნომრით „33-34“, ე.ი. ამ
რეუელში სულ არის ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი 48
ფურცელი (22 X 18). პირველ ფურცელზე მოთავსებულია
წარწერა: „ბასილი ეზოს-მოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა
თამარისი“.

ტექსტი იწყება 2r-ზე:

„დაჯდა მეფედ გიორგი ძე დავითის დემეტრეს
შვილისა,¹⁸ ქორონიკონსა სამას სამოცდა თხუთმეტსა, ამან და-
ეყნა მირჭმასა შინა ყოველნი ჟამნი და დღენი მისნი და იმეფა
კეთილთა მეფობითა და მატა ყოველთა საყდართა, მონასტერთა
და ებისკოპოსთა /წყალობასა/. ამას შვილი არა ესუა და
მისთვის მწუხარე იყო უშვილოებისათვის“...

¹⁸ ტექსტში სიტყვების თავზე არის ნუმერაცია ამ სახით:
„დავითის“ ზემოთ წერია ციფრი „2“, „დემეტრეს“ ზემოთ –
ციფრი „1“, „შვილისა“ – „ზე-„ე“-“. ამრიგად ტექსტი შემდეგ-
ნაირად იმართება: გიორგი ძე დემეტრესი დავითის
შვილისა“.

წყდება: „...და ამას შინა თუ რამე ხადით ესმით, ანუ ნახიან ყო/ვლად არა მომედგრდებოდის განსუენებისა ძილთა, არცა რას დააკადებდესა, რომელიცა წინააღმდგომი ცნოან სამეფოსა და თამარისი:

აიქებოდა ნილოსი და იე“...¹⁹

ალაგ-ალაგ ტექსტი წითელი მელნით არის ნასწორები, ზოგიერთი სიტყვა წითელი ან შავი ფანქრით არის შეკვლილი.²⁰ სქალითებში კი აღნიშნულია ჭალაშვილისეული ნუსხის (B) წაკითხვები. ფურცლების კიდებზე არის მუხლობრივი დაყოფა – 5, 10 და ა.შ. აქვეა მიწერილი რეკულებრივი ნუმერაცია(ვ: „რკ.332“, „333“, „334“, „335“, „335“ და სხვ. აქვეა მიწერილი ჭალაშვილისეული ხელნაწერის გვერდობლივი პაგინაცია, რომელიც მ. კახაძეს უნდა ეკუთვნოდეს.

მეორე ფურცელზე მითითებულია ხელნაწერის გვერდების პაგინაცია: 253r, 253v, მეოთხე ფურცელზე – 254r, მეხუთეზე – 254v და ა.შ. მოაურდება 271v-ით (49 ფურცელი). ცხადია, მითითებული ნუმერაცია აღნიშნავს „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეული ხელნაწერის გვერდებს, საიდანაც ი. ჯავახიშვილი იწერდა ტექსტს. მეთექვსმეტე ფურცლის ბოლოს სწერია:

...„სელსა მისსა და ესეოდენ მიძიესა საქმესა“...²¹

მეოცე ნომრით აღნიშნულ ფურცელზე²² ხელით ნაწერ ტექსტთან ერთად ჩაწებებულია ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“²³ ამოჭრილი ფრაგმენტი: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელი, მწიგნობართუხუცესი, ქართველი მირიანის ძე კათალიკოსი“²⁴ მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთა-

¹⁹ ტექსტი გადმოწერილია ჭალაშვილისეული ნუსხიდან (Q-207, ფ. 253r-273v). იხ. აგრეთვე, ბასილი უსოსმომდგარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 13-25; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 115-131.

²⁰ ამოთგან ნაწილი მ. კახაძის ხელითაა შესრულებული.

²¹ ეს სიტყვები გადაშლილია, რადგან ფრაზა ორჯერაა გადმოწერილი.

²² აქვე აღნიშნავთ, რომ ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი ეველა ფურცელი მხოლოდ r-ზეა დაწერილი.

²³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ჭიჭინაძის გამოც. ტფ., 1897, გვ. 425.

²⁴ სიტყვა „კათალიკოსი“ – გადაშლილია მელნით.

ვისიცა, და არა-ვინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი და²⁵ არცა მცირე, რამეთუ ყველანი სძულობდეს მას“.²⁶

ამავე რეველში მოთავსებულია ყრაგმენტი ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“²⁷ სრულიად დაშლილი – 16 ფურცელი, რომლებსაც აქვთ პაგინაცია ბეჭდურში 463-494 გვ. ფანქრით გაკეთებული, 50 გვ-დან 72 გვ-მდე (ნათვლით). ჩანს, ი. ჯავახიშვილი ტექსტზე მუშაობისას აღნიშნულ ფურცლებსაც იყენებდა. ტექსტში მრავლად მოიპოვება ჩასწორებული, გადახაზული, ჩამატებული ადგილები; ჩამატებულია სიტყვა ან ასო, დასძულია აბსაცის აღმნიშვნელი ნიშანი. გადახაზულია ასო ან სიტყვა, ან რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი ყრა'ხა, მთლიანი ფრაზები გადახაზულია შემდეგ გვერდებზე: 50; 51; 54; 61; 64; 72.²⁸

63²⁹-ე და 494³⁰-ე გვერდები მთლიანად გადახაზულია წითელი ფანქრით.

ოთხი ნაბეჭდი ფურცელი: 477-478; 479-480; 481-482; 483-484, არ არის დანომრილი ფანქრით³¹ (როგორც აღინიშნა, ასევეა 494-ე გვერდიც). ეს ოთხი ფურცელი ი. ჯავახიშვილს სამუშაო ცალად არ გამოუყენებია, რადგან ტექსტი თამარის მეორე ისტორიკოსს არ ეკუთვნის, „ისტორიანი და ასმანი მარავანდელთაის“ ნაწილია. დანარჩენებისაგან განსხვავებით

²⁵ სიტყვა „და“ გადაშლილია მელნით.

²⁶ სიტყვა „მას“ გადაშლილია (გვერდების ზოგიერთ V-ზე არის რამდენიმე მინაწერი-ნანიშნა ფანქრით, მკრთალად, რომლებიც მ. კახაძეს უნდა ეკუთვნოდეს). ასეთებია მაგ.: 8V-ზე – იხ. ჭაა 405“; 23 – „დედანში: განგება ღირს“; 24V – ციტატა ბიბლიიდან (გადახაზულია ჩამნიშვნელის მიერ) შეს. 21,2. მსაჯ. 13,9; ლკ. 1,24“; 31V – „უნაკლულობა“ გახაზულია ჩამნიშვნელის მიერ); 41V – „დედანში: კაცი ჯაყელი“; 46V – „დედანში: ალაღებულთა“.

²⁷ ქართლის ცხოვრება, I, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 463-494.

²⁸ ბეჭდურის პაგინაცია შეესაბამება: 463, 464, 465, 467, 474, 485, 486, 493.

²⁹ შეესაბამება ბეჭდურის 476-ე გვერდს.

³⁰ პაგინაცია ბეჭდურისა, ფანქრით არაა დანომრილი.

³¹ აღნიშნული გვერდები მოთავსებული იყო ამავე საქაღალდეში ცალკე ქაღალდშემოვლებულ შეკვრაში.

ფურცლებზე არავითარი მინაწერი არ არის, არც მიხედობრივი დაყოფა და არც რაიმე შენიშვნაა გაკეთებული.

4. ცალკე ქაღალდშემოვლებულ შეკვრაში, რომელიც ასევე საქაღალდეშია, ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი 5 ფურცელია, რომელთაც პაგინაცია წითელი ფანქრით აქვთ გაკეთებული. ეს არის ფრაგმენტი ი. ჯავახიშვილის მიერ თამარის ისტორიის ტექსტზე ნატარებული კვლევისა, რომელიც მის მიერვეა სოგან ნასწორები.³²

იწყება ასე:

„ისტორიათა და აზმათა“ და „ქართლის ცხოვრების“ შევსებული ტექსტების შედარებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას არც ხელთნაწერში უნდა აქონდეს დასაწეისი სრულიად შენახული, არამედ მას შესავალი უნდა აკლდეს. თავისდა-თავადაც ძნელად წარმოსადგენია, რომ ქართველს ისტორიკოსსა მე-XI და XII საუკუნეში თავისი ასეთი დიდი გვირგვინოსანის მეფობის მომთხრობელი ნაწარმოები, როგორც თამარი იყო, ამგვარი სიტყვებითა და მატიანისებური კილოთი დაეწყო, როგორც იგი B-ში იწყობა“... (I ფ.). წყდება გამოკვლევის ეს ნაწილი მე-5 ფურცელზე: „...ისე იყო გაურცვლებული, რომ ორსავე ისტორიკოსს შეეძლო დამოუკიდებელიც ეხმარა ამგვარი შედარება, მით უმეტეს, რომ თვით სურათი ორსავე შემთხვევაში სხვადასხვანაირად არის დანახული და ამ მხრივ მათ შორის მსგავსება არ არსებობს. ეხლა უკვე ვიცი, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემსვსებული მხოლოდ წყაროების ცნობებისა და ნაწყვეტების ჩამრთველი ტექსტის გადაამკობელი კი არ იყო, არამედ „...აქ გვერდის შუაზე წყდება წინადადება. შემდეგ არის მოთავსებული ი. ჯავახიშვილის ხელით ნაწერი ოთხი ფურცელი. ამათგან სამი ფურცელი შავი ფანქრით არის დანომრილი: „7“, „12“, „17“. სამივესე ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ფრაგმენტებია. შვიდი ციფრით დანომრილი ფურცელი იწყება: „ქუეყანისათა და ესე უსაკუირველეს მინნს ყოველისამე“... ამ გვერდზე ნაწებებულია ბეჭდური ტექსტი „ქართლის ცხოვრებიდან“: „დაჯდა ნებითა

³² გამოქვეყნებულია. იხ. ბასილი ენოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, 1944, გვ. II-III.

ღვთისათა³³ მეფე/დ³⁴ თამარ.³⁵ დასაბამითგანთა წელთა: –
 „ექ/უ/სი³⁶ ათ ას ექ/უ/ს³⁷ ას ოთხ მოც-და ექ/უ/სსა:³⁸
 ქორონიკონსაი,³⁹ ოთხას ას ორ-მოც⁴⁰ და სამსა“.⁴¹ ქარაგუსს
 ნიშანი და ბეჭდური ტექსტის ეველა ჩასწორება ი. ჯავახიშვილისეულია. ორი სტრიქონის ქვემოთ კიდევ ნაბეჭდი ტექსტის
 ფრაგმენტებია ჩაწებებული: „დანისი, სახელით ბურდუსან“.⁴²
 რომელი შმატა სიკეთესა /დედათასა სხუითა/⁴³ ევევლთა
 დედათა⁴⁴ /გარნა თამარის დედობითა/⁴⁵ სიძლი /სხუა მისებრი
 მაშინ/⁴⁶ არა ეხილვა ქართლისა თემსა (ესე თვთ)“.⁴⁷

აქ მთავრდება ნაბეჭდი ტექსტი. ამას მოსდევს: „(და
 შემდგომითი შემდგომად აქონ ამიერთგან)“.⁴⁸

³³ ასო „კ“ – გადახაზულია.

³⁴ ჩამატებულია ასო „დ“.

³⁵ სიტყვა „მეფე“-ს თავსე აქვს ნუმერაცია – „2“. სიტყვა
 „თამარ“-ს აქვს „1“. ე.ი. აღნიშნული ადგილი ასე იკითხება:
 „დაჯდა... თამარ მეფედ“.

³⁶ ჩამატებულია ასო „უ“, ნაბეჭდშია – „კ“.

³⁷ ასო „უ“ – ჩამატებულია, წერია – „კ“.

³⁸ ნაბეჭდში ასო „ვ“-ს ნაცვლად წერია ასო – „ე“.

³⁹ ნაბეჭდში წერია – „ქრისტეს აქეთ“.

⁴⁰ ტექსტში გადაშლილია სიტყვები – „ას ორ-მოც“.

⁴¹ ნაბეჭდ ტექსტში აღნიშნულ ადგილას წერია „ათ ექვს“. ეს
 ნაწილი ამოჭრილი და ჩაწებებულია ზ. ჭიჭინაძის მიერ
 გამოცემული „ქართლის ცხოვრებიდან“. აღნიშნული ნაწილი
 მსხვილი შრიფტით არის აწყობილი, რადგან ეს ფრაზა სინ-
 გურით წერია ჭალაშვილისეულ ხელნაწერში.

⁴² გადაშლილია – „დანისი, სახელით ბურდუსან“.

⁴³ ეს ორი სიტყვა – „დედათასა სხუითა“, მელნით არის
 ჩამატებული ი. ჯავახიშვილის მიერ.

⁴⁴ გადაშლილია სიტყვა – „დედათა“.

⁴⁵ ჩამატებულია ი. ჯავახიშვილის მიერ სიტყვები – „გარნა თა-
 მარის დედობითა“.

⁴⁶ ტექსტში ჩაწერილია ი. ჯავახიშვილის ხელით – „სხუა
 მისებრი მაშინ“.

⁴⁷ გადახაზულია ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები – „ესე თვთ“.

⁴⁸ მელნით არის ჩაწერილი და შემდეგ გადაშლილი
 ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა – „და შემდგომითი შემდგომად
 აქონ ამიერთგან“.

მე-17 ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია „334“. მე-12 ნომრით აღნიშნულ ფურცელზე ჭალაშიელისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი იწყება ასე: „...ყვეს და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა“... წყდება: „...აცნობეს თამარს და აწუეედეს“... ფურცლის კიდეში ფანქრით არის მიწერილი ი. ჯავახიშვილის მიერ: „გაგრძელება 414“. კიდებზე მინაწერებია: „336“, „341“, სქოლიოშია: 1 (ემ-დგომად.⁴⁹ 17 ნომრით აღნიშნულ ფურცელზე ტექსტი იწყება შემდეგნაირად:

...ამასა ეამსა მკირედ რამე აღიძრნესა იმერელ სუანნი მსგავსად ჩუეულებისა“...

აქვეა ნაწებებული ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოჭრილი ადგილები: „ხოლო თამარ ევედრებოდა ღმერთსა და იკონებდა, თუ ვის მიანდო დავით და სპა თვისი, და განსაგებელი სახლისა თვისისა“... წყდება: „...და მწიგნობართუხუცესობა, რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკმეს, არავე დაეკეს, ამიერთგან იწყეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსა—თვს და ერის უმჯობესთა“...

აღნიშნული სამი გვერდი „7“, „12“, „17“, გადმოწერილი ჭალაშიელისეული „ქართლის ცხოვრებიდან“, აღდგენილია ზ. ჭიჭინაძისეული ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოჭრილი ნაწილებით.

ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებით“⁵⁰ შევსებული გვერდი მე-7 ემთხვევა ი. ჯავახიშვილის ხელნაწერის, მთლიანი ტექსტის მე-7 გვერდს, მეთორმეტე გვერდი ემთხვევა ი. ჯავახიშვილის მიერ გადაწერილი ტექსტის მე-14-15 გვერდებს, ხოლო მე-17 გვერდი – 21-22-ე გვერდებს.

ეს სამი გვერდი, შესწორებებით და ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩამატებული ნაწილებით⁵¹ ჩართულია ი. ჯავახიშვილის მთლიან ტექსტში თამარის მეორე ისტორიისა, გარკვეული ცვლილებებით.

მთლიანი ტექსტის მე-15 გვერდზე ჩამატებულია ფრაზა, რომელიც ამ ნაწილის შავ ცალში, მე-12 ნომრით პაგინირებულ

⁴⁹ იგულისხმება ჭალაშიელისეული ხელნაწერი.

⁵⁰ ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 402, 384.

⁵¹ იქვე, გვ. 402, 384, 425, 426.

ფურცელზე არ არის: „შეკრებს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და“...⁵²

აღნიშნული მე-12 გვერდის ბოლოს მიწერილია ფანქრით ი. ჯავახიშვილის მიერ „ – გაგრძელ. ქ(კ 414“.

მე-17 გვერდზე, ნაბეჭდ ნაწილებში ნაწერილია ჭალაშვილისეული ხელნაწერიდან ჩამატებული სიტყვები და ფრაზები: „ქვემდებარეობა ქრისტიანე“, „უსომოდ“ ამოღებულია: „შემქმნებული საურავთა“, „შვიდავუ სამეფოთა, და დიდებულთა განსრახეთა“.

იოკვევა, რომ აღნიშნული სამი გვერდი („7“, „12“, „17“) არის ტექსტის ცალკეული ნაწილების აღდგენის ცდა.

ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოტრიალი ნაწილით არის შევსებული ი. ჯავახიშვილის ხელით გადაწერილი თხზულების მოლიანი ტექსტის მე-20 გვერდი, რომელსაც პავინაცია 16 გადასწორებული აქვს 20-ად. ამ გვერდის გაგრძელება უნდა იყოს აღნიშნული მე-17 გვერდი, რომელიც მოლიანი ტექსტის 21-22-ე გვერდებს ემთხვევა.

დასახელებულ გვერდებთან არის მეოთხე, დაუნომრავი ფურცელი, რომლის ორივე მხარეს (r,v) ი. ჯავახიშვილს ნაუწერია. ცალკეული სიტყვები. მაგ. „თაყუანისს(კემოდენ, ძღუენი, მოძღუარი, უსაკუირველეს... და ა.შ. (22X18).

5. აქვე არის მცირე ზომის ფურცლები, ნაწერი ზოგი ფანქრით, ზოგი მელნით, სხვადასხვა ჩანიშვნები, ზოგი დაუწერელია, სულ 32 ფურცელია.⁵³ ეს ყველა მითავესებულია ერთ დიდ მოკეცილ ფურცელში, რომელსაც მელნით აწერია: – „(ცხორება და ქცევანი მეფეთ-მეფისა თამარისნი“/, წარწერა ი. ჯავახიშვილის ხელით არის შესრულებული. მისივე ხელით სიტყვა „ქცევანი“-ს თავზე, მკრთალად, ფანქრით მიწერილია – „საქმენი? (გვ. 24)“. ქვემოთ ნაწებებულია ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრებიდან“⁵⁴ შემდეგი ფრაგმენტი: „და დაფარული-იგი ცეცხლი ვითარცა საღრტილსა შორის კვეთებითა რკინისათა გამოკრთის, ეგრეთვე ვიწრო⁵⁵ აღმობრწყინებად ამბავთა თამარისთა და სიტყვით ოდენ მცირედი რამე ნაბერწყალი დი-

⁵² აღნიშნული ფრაზა ფანქრით არის გადახაზული მოლიანი ტექსტის მე-15 გვერდზე.

⁵³ პავინაცია ფანქრით ჩვენ გავაკეთეთ.

⁵⁴ *ხ. ჭიჭინაძის* გამოც. ნაწ. I, გვ. 402-403.

⁵⁵ ეს სიტყვა ტექსტში ჩამატებულია ი. ჯავახიშვილის ხელით, მელნით.

დისა მის საკმისა აღმოვაჭვო, და მიგითხრა მიუთხრობელი და ხიჯვეით გამოუთქმელნი ცხოვრებანი და ქცევანი თამარ ბრანისანი”.

როგორც ვხედავთ, ახლად აღმოჩენილი საქაღალდე შეიცავს საყურადღებო მასალას, რომელიც საშუალებას იძლევა თვალთ გაავადვენოთ თამარის მეორე ისტორიის ტექსტზე ი. ჯავახიშვილის მუშაობის პროცესს, შევაფასოთ დაკარგული ტექსტის აღდგენის მისეული მეთოდის თავისებურებანი და ეფექტურობა.

თამარის მეორე ისტორია პირველად ამ ხელნაწერშია დასათავსებული ი. ჯავახიშვილის მიერ. მკვლევარის საგულისხმო შენიშვნები ტექსტზე მუშაობისას, ჩამატებული ნაწარმებული ადგილები, დიდად საყურადღებოა თანამედროვე მკვლევართათვის, თხზულების ტექსტის რესტავრაციის პროცესის ნათელ სურათს წარმოაჩენს და წარმოადგენას იძლევა ი. ჯავახიშვილის მიერ გამოყენებულ მეთოდზე. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ თვით მკვლევარი არ თვლიდა სამუშაოს დამთავრებულად.⁵⁶

თუქცა ი. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაო აუცილებელი იყო სავარაუდო, მაგრამ სრული ტექსტის მისაღებად. სწორედ ამ სამუშაოს შედეგად ჩვენ ხელთ გვქვს თამარის ეპოქისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ისტორიული ნაწარმოების სრული ტექსტი.⁵⁷ ამასთანავე, მკვლევარის აზრით, დარჩენილია მრავალი სავარაუდო და გასარკვევი ადგილი, რაც შემდგომ ძიებას და დაკვირვებას მოითხოვს. კერძოდ, უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა, „კომისიას“ თამარის ისტორიის შედგენისას, გარდა პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებებისა, გამოუყენებია კიდევ მრავალი

⁵⁶ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქაძვე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, ტფილისი, 1923, გვ. 205.

⁵⁷ რ. კიკნაძე, წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდიკის სოგიერთი საკითხი. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 51.

ცნობა, რომელიც ამ ისტორიებში არ იყო დაცული.⁵⁸ ამ დასკვნამდე მივიდნენ სხვა მკვლევარებიც.⁵⁹

როგორც აღინიშნა, ი. ჯავახიშვილმა გადასათარგმნად გადასცა ვ. დონდუას „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.

საინტერესო იყო თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტის ი. ჯავახიშვილისეული და ვ. დონდუასეული ხელნაწერების შედარება.

ვ. დონდუას არქივში დაცულია საერთო რვეული,⁶⁰ რომელიც ი. ჯავახიშვილის ხელნაწერიდან გადმოწერილ ტექსტს შეიცავს. ამ ხელნაწერშიც, ისევე როგორც ი. ჯავახიშვილთან, პირველ გვერდზე მხოლოდ სათაურია დაწერილი („ბასილი ელსიმოდვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“), ხოლო ტექსტი იწყება რვეულის მეორე გვერდზე.

ვ. დონდუას ხელნაწერში გასათვალისწინებელია ი. ჯავახიშვილის ყველა შენიშვნა, იმ განსხვავებით, რომ ი. ჯავახიშვილს გაშიფრული აქვს ქარაგმები, ვ. დონდუას ყველა ეს სიტყვა ქარაგმით უწერია.⁶¹

ვ. დონდუას ხელნაწერის მე-16 გვერდზე წყდება მეორე ისტორიის ტექსტი: „აივსებოდა ნილოსი და იე“... ასევე წყდება ი. ჯავახიშვილთანაც (გვ. 49). ი. ჯავახიშვილთან ტექსტის გაგრძელება წარმოდგენილია ნაბეჭდი გვერდებით (ზ. ჭიჭინაძის გამომცემული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით).

ვ. დონდუას ხელნაწერში ტექსტის დასაწყისი არის მე-17 გვერდზე, ხოლო აღნიშნული რვეულის მე-2 გვერდზე გადაწერილია ის ნაწილი, რომელიც ი. ჯავახიშვილის ხელნაწერის 35-ე გვერდზეა დაწერილი. სხვა მხრივ ი. ჯავახიშვილისა

⁵⁸ როგორც შემდეგ გამოირკვა, ნაწილი ამ ცნობებისა აღებული იყო „ლაშა გიორგის დრიონდელი მატიანიდან“.

⁵⁹ ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა წიგნში: ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 018; კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 245; რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ასმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 30.

⁶⁰ ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ვ. დონდუას პირადი არქივი, №80 საქაღალდე.

⁶¹ შესაძლოა, ი. ჯავახიშვილის ხელნაწერის პარალელურად, ვ. დონდუა ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრებითაც“ სარგებლობდა.

და ვ. დონდუას ტექსტები ერთნაირია. ვ. დონდუას გადმოწერილი აქვს ი. ჯავახიშვილის ყველა ჩანიშვნა და ჩამატებული სიტყვა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ი. ჯავახიშვილმა ნაბეჭდი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებით შეავსო, ვ. დონდუას ხელნაწერში არ მოიპოვება. მხოლოდ მითითებულია, რომ: „ჭიჭინაძე /უკანასკნელი სიტყვების ადგილი დაბეჭდილში (ბას. უსასმოდვ.) – გვ. 2515“ ე.ი. ვ. დონდუამ მიიღო ი. ჯავახიშვილის აღდგენილი ტექსტი. მკვლევარს ასეც უწერია თავისი ხელნაწერის მე-16 გვერდზე” „1) В моем экземпляре Чичинадзеvской ქ[ცა] исправления карандашом восстанавливают текст р[и] ჭალაშუ. Исправления я делал по восстановленному тексту Джавахишвили”.

წყაროთმცოდნეობის განყოფილების არქივში მიკვლეული საქაღალდე ი. ჯავახიშვილისეული ხელნაწერი მასალით შუქს ჰყენს დიდი მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობას ერთ მეტად მნიშვნელოვან მხარეს.

ახლადადგომილ საქაღალდეში დაცულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ი. ჯავახიშვილის შემოქმედებითი მეთოდის დახასიათებისათვის, ისე თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტზე შემდგომი მუშაობისათვისაც, მისი ცალკეული ადგილების გამართვა-გასწორების მიზნით. აქ კარგად ჩანს ის შავი სამუშაო, რომელიც დიდმა მეცნიერმა გასწია თხზულების ტექსტის აღსადგენად.

საინტერესოა პირველი და მეორე ისტორიკოსის შედგენილობისა და ტექსტობრივი ურთიერთობის გარკვევა. მით უმეტეს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ისინი შერწყმულად არის წარმოდგენილი.

შეაჯერა რა ორივე თხზულების ტექსტები, კ. გრიგოლიამ დაასკვნა, რომ კომისიამ გააერთიანა ერთი და იგივე ეპოქის შესახებ მონათხრობი განსაკუთრებული წესით: „ანალოგიურ თხზულებათაგან მას საფუძვლად ერთ-ერთი შეურყეველი, ხოლო სასურველი ცნობები მეორედან შეუტანია მასში“.⁶²

რაკი მეორე ისტორიკოსის ტექსტმა სრული სახით ვერ მოაღწია ჩვენამდე, ხოლო მისი მეორე ნაწილის აღდგენა ხერხდება ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრების“ ტექსტისათვის „ისტორიათა და აზმათა“ გამოკლებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვა-

⁶² კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 225.

თონ „სწავლულ კაცთა“ მუშაობის მეთოდის უფრო დაკვირვებით შესწავლას, კერძოდ, იმის დადგენას, რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ისინი თამარის ისტორიკოსთა თხზულებების შერწყმის დროს. ამისათვის აუცილებელია „თამარის ცხოვრების“, „ისტორიათა და აზმათა“ და მეორე ისტორიკოსის თხზულების პირველი ნაწილის შედარებითი ტექსტოლოგიური შესწავლა. კერძოდ, „თამარის ცხოვრების“ პირველ ნაწილს ჯერ უნდა გამოვაკლოთ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი და დარჩენილი ნაწილი შევუდაროთ თამარის მეორე ისტორიას. შემდეგ იგივე ოპერაცია უნდა განმეორდეს შებრუნებით: „თამარის ცხოვრებას“ გამოაკლდეს „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. თუ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დადგინდება, რომ მეორე ისტორიისა და „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტები მეტნაკლებად სრულად არის „თამარის ცხოვრების“ პირველ ნაწილში შეტანილი, არ არის გამოტოვებული არც ერთი ეპისოდი, მნიშვნელოვანი ცნობა და ა.შ., მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომისიის წევრებს ტექსტების შერწყმის დროს მიზნად ჰქონიათ დასახული მაქსიმალური ხისრულით გამოიყენებინათ ორივე თხზულების ინფორმაციული მასალა. ბუნებრივია, რომ ისინი „თამარის ცხოვრების“ მეორე ნაწილის შედგენის დროსაც დაახლოებით ასევე მოიქცეოდნენ. აქედან კი შესაძლებელი გახდება დასკვნის გაკეთება, რომ ი. ჯავახიშვილის მიერ გამოკლების მეთოდით აღდგენილი მეორე ნაწილი მეორე ისტორიკოსის თხზულებისა, მართალია, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არ არის პირკანდელი ტექსტი, მაგრამ მას არ აკლია არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ცნობა.

ი. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული გამოკლების მეთოდის გამოყენებით სვენ შევეცადეთ შეგვემოწმებინა ვახტანგის კომისიის მუშაობის მეთოდი.

ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიის პირველი ნაწილიდან (1202 წ-მდე)⁶⁵ გამოიყვავით „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი. დარჩენილი ნაწილი ვახტანგისეულ ნუსხაში უნდა ყოფილიყო „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტოლფასი. აღმოჩნდა, რომ ვახტანგის კომისიამ „თამარის ცხოვრების“ პირველი ნაწილის შედგენის დროს

⁶⁵ როგორც ცნობილია, თამარის მეორე ისტორიის ტექსტი ჭალაშვილისეულ ნუსხაში წყდება 1202 წლის ამბების აღწერას.

სრულად არ გამოიყენა მეორე ისტორიის ტექსტი. კერძოდ, თამარის გამეფება (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1152-1161ს) ვახტანგის კომისიას „თამარის ცხოვრებაში“ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან შეუტანია, იგივე უნდა ითქვას თამარისათვის პირველი ქმრის არსების შესახებაც (მეორე ისტორია, გვ. 119ს). გიორგი რუსის თამარისათვის ქმრად მოყვანის ამბავი უფრო ვრცლად და ხატოვნად არის მოთხრობილი პირველ ისტორიაში და ვახტანგის კომისიასაც ამ უკანასკნელით უსარგებლია „თამარის ცხოვრების“ შედგენისას (პირველი ისტორია, გვ. 3513-3622).

ასევეა გიორგი რუსის აჯანყების ამბავიც (იხ. მეორე ისტორია, გვ. 12215-18), რომელიც „სწავლულ კაცებს“ პირველი ისტორიიდან (გვ. 48) შეუტანიათ „თამარის ცხოვრებაში“, თუმცა აქედანაც ვრცელი მონაკვეთი არ შესულა ვახტანგის კომისიის მიერ შედგენილ ისტორიაში (პირველი ისტორია, გვ. 4810- 494).

„სწავლულ კაცებს“ თამარის მეორე ისტორიიდან გამოუტოვებიათ ცნობები თამარის მიერ სახელმწიფო მმართველობაში ჩატარებული ცვლილებების შესახებ (გვ. 1237-19), რადგან თხრობა ამ მოვლენის შესახებ აგრეთვე „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან არის აღებული.

მეორე ისტორიიდან „თამარის ცხოვრებაში“ არ შეყვდა ცნობა ღაშა გიორგის დაბადების შესახებ (გვ. 12414-15), გარდასთან ბრძოლა (გვ. 12617-1274, აგრეთვე გვ. 12713-16), შამქორთან გამართული ბრძოლის აღწერა (გვ. 12721-1284). ყველა ამ ცნობის სანაკვეთად, „სწავლულ კაცებს“ ჩაურთავეთ თხრობა თამარის პირველი ისტორიიდან, სადაც იგივე ფაქტები აღწერილია უფრო ვრცლად.⁶⁴ საინტერესოა, რომ ვრცელი და მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი თამარის მეორე ისტორიისა, რომელიც მონაპირეთა შესახებ გვაწვდის მასალას (გვ.

⁶⁴ თუმცა ზოგი ფაქტი, როგორც არის, მაგალითად, ცნობა ტრაპიზონის იმპერიის აღების შესახებ, სულ არ მოიპოვება პირველ ისტორიაში. ძალიან მოკლედ არის აღწერილი კარის აღებაც. ამის შესახებ იხ. *Г.З. Анчабадзе, Специфика отображения военной истории в параллельных источниках. Тезисы докладов всесоюзной научной сессии в г. Батуми в 1985 г. 17-19 октября, Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников, Тб., 1985, стр. 12.*

1295-1312), სულ გამოუტოვებიათ „სწავლულ კაცებს“ „თამარის ცხოვრების“ შედგენისას. ამდენად, ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრებაში“ საერთოდ არაფერია თქმული მონაპირეთა ინსტიტუტის შესახებ.

ამგვარად გამოირკვა, რომ „თამარის ცხოვრებაში“ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტექსტის პირველი ნაწილი არასრული სახით შესულა.

ამის შემდეგ ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრების“ პირველი ნაწილიდან გამოეყავით თამარის მეორე ისტორია. ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდა, რომ ვახტანგის „კომისიის“ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიც არასრულად. გარკვეული ადგილების გამოტოვებით გამოუყენებია „თამარის ცხოვრების“ შედგენის დროს. კერძოდ, ცნობა გუზანის და მისი დასჯის შესახებ (პირველი ისტორია, გვ. 562-6), განძახთან ბრძოლის დაწვრილებითი აღწერა (პირველი ისტორია, გვ. 76-78), ვახტანგის კომისიას მეორე ისტორიიდან აუღია, გამოტოვებულია აგრეთვე თამარის პირველი ისტორიიდან თამარის ქების, მისი საქმეების ხატოვანი აღწერის ნაწილების, რომელნიც მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს არ შეიცავენ. ასევეა ღაშა გიორგის დაბადების ამბავიც (პირველი ისტორია, გვ. 571-581). მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის „სწავლული კაცები“ შეეცადნენ შეძლებისდაგვარად არ გამოეტოვებინათ არც ერთი ცნობა, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რაც მათთვის ხელმისაწვდომ წყაროებში იყო, და შეეცნათ, გაემდიდრებინათ თამარის ისტორია, შეექმნათ მისი ცხოვრების და მეფობის მთლიანი სურათი.

ვერ მოხერხდა კომისიის წევრთა მიერ ორი ისტორიიდან ცნობათა შერჩევაში რაიმე გარკვეული პრინციპის დადგენა. ჩვენი შეხედულებით, კომისიის წევრები შერწმული ტექსტის შედგენისას სურვილისამებრ ირჩევდნენ მათთვის საჭირო და მათი აზრით უფრო მნიშვნელოვან პასაჟებს ამა თუ იმ თხზულებიდან, გაუგებარ ფრაზებს ცვლიდნენ მიახლოებითი ან განსხვავებული მნიშვნელობის წინადადებებით. მაგ.: „ვინა უწყოდეთ ესეცა, რომელ წყალობათა და მოხედუათა ღვთისათა“...⁶⁵ „ვინა უწყოდეთ ესეცა, რომელ წურთათა ღვთისათა“... („ისტორიანი და აზმანი“, გვ. 531).

⁶⁵ ქართლის ცხოვრება, დასაბამითიდან მეთცხრამეტე საუკუნემდის, ს. პეტერბურლი, ნაწ. I, მ. ბროსეს გამოც., 1844, გვ. 296.

სიტყვებს, რომლებიც არ გაირჩეოდა, არ იკითხებოდა მათთვის ხელმისაწვდომ ნუსხებში, კომისიის წევრები ცვლიდნენ სხვა მნიშვნელობის სიტყვებით, ხშირად დამახინჯებულია გეოგრაფიული და საკუთარი სახელები. მაგ.: „მხარგრძელი“ (თამარის პირველი ისტორია) – „ხელგრძელი“ (ვახტანგისეული ქც). „ტორნადიად“ (პირველი ისტორია) – „განძად“ (ვახტანგისეული ქც).

სოგჯერ გადმოცემულია სიტყვათა მიახლოებითი მნიშვნელობა: „განაგეს“ (მეორე ისტორია, გვ. 119₁₈) – „განიზრახეს“ (ვახტანგ., გვ. 285). „დღითა“ (მეორე ისტორია, გვ. 120₁₂) – „უამისა“ (ვახტანგ., გვ. 287) და სხვ.

ხშირად არის შეცვლილს ზმნები მიმღებობით. არის შემთხვევები, როდესაც ერთი რომელიმე სიტყვა შეცვლილია და გადატანილია ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცელი ფრაზით: „ვინათგან“ (პირველი ისტორია, გვ. 613) – „სოლო კვალად არა მრავლისა უამისა“ (ვახტანგ., გვ. 300).

ვახტანგისეულ კომისიას შეუცვლია მთელი ფრაზებიც: „წარმოძღებელნი და გამოძღებელნი ქალაქის“ (პირველი ისტორია, გვ. 38₁₀) – „წარუხენეს ქალაქნი და გამოიღეს“ (ვახტანგ., გვ. 287)

ვახტანგისეულ რედაქციაში რამდენიმე ადგილას გადმოცემულია თამარის ისტორიკოსთა ტექსტების შინაარსი, სოგჯერ მეორდება ესა თუ ის ფრაზა: მაგ.: „შეკრბეს ანის და წარემართნეს არდაველსა მყოფთა“ (ვახტანგ., გვ. 328) – იმავე გვერდზე ფრაზას მოსდევს: „შეკრბეს ანის და წარემართნეს არდაველს, გარდაველს...“

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის კომისიის მიერ ერთი და იგივე ფაქტი, კარის აღება, ორჯერაა ჩართული „თამარის ცხოვრების“ ტექსტში, ერთხელ პირველი ისტორიის მიხედვით⁶⁶ ხოლო მეორეჯერ, როგორც ვარაუდობენ, თამარის მეორე ისტორიის მიხედვით.⁶⁷ თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეორე ისტორიის ის ნაწილი, სადაც კარის აღებაა მოთხრობილი, ი. ჯავახიშვილის მიერაა აღდგენილი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებიდან“ გამოკლების მეთოდით.

⁶⁶ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“, გვ. 97 (ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ გვ. 318).

⁶⁷ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. გვ. 143₁₁ – 144₉ (ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 326).

შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ გადაადგილებულია თამარის ისტორიკოსთა ფრაზები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კომისიის წევრებს გამოერჩათ, ან მერე ჩათვალეს საჭიროდ ამა თუ იმ ფრაზის ჩართვა.

ტექსტების ურთიერთშეჯერებისას ჩვენთვის საინტერესო იყო გამოგვეყო თამარის პირველი და მეორე ისტორიებიდან ის ადგილები, რომლებიც ვახტანგის კომისიას არ შეუტანია „თამარის ცხოვრებაში“. გამოირკვა, რომ ისინი თანაბრად იღებდნენ ცნობებს პირველი და მეორე ისტორიებიდან თამარის ისტორიის შესადგენად და, ამასთან, არჩევდნენ ისეთ ტექსტს, რომელშიც ესა თუ ის ფაქტი ვრცლად და დამაჯერებლად იყო მოთხრობილი.

ტექსტების ურთიერთშეჯერებით გამოიყო ვახტანგისეული „თამარის ცხოვრებაში“ ის შრე, რომელიც პირველ და მეორე ისტორიებში არ გვხვდება.

ნათელი გახდა ვახტანგის კომისიის მუშაობის მეთოდი, მისი საქმიანობის მნიშვნელობა.

ვახტანგის კომისიამ შეავსო, განაურცო და გაამდიდრა „ქართლის ცხოვრება“ მისთვის ხელმისაწვდომი მასალით. მან შემოგვინახა მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა თამარის შესახებ, რომელიც დღეისთვის ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტით. „სწავლულ კაცთა“ კომისია შეუცადა გაემართა ტექსტი, რის შედეგადაც ჩვენს ხელთ არის თამარის ცხოვრებისა და საქმიანობისადმი მიძღვნილი ერთი მთლიანი ვრცელი თხზულება. ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ მეშვეობით საშეაღება გვეძლევა გავმართოთ და გავასწოროთ ჩვენამდე მოღწეულ თამარის ისტორიებში დამახინჯებული ან სრულიად დაკარგული ნაწილები. მაგალითად, როგორც ითქვა, ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებიდან“ გამოკლების მეთოდით ი. ჯავახიშვილმა აღადგინა თამარის ისტორიის ტექსტის მეორე ნაწილი.

თამარის მეორე ისტორიის დაკარგული ნაწილის რესტავრაციის ჯავახიშვილისეული მეთოდი ჯერჯერობით უნდა მივიჩნიოთ ტექსტის აღდგენის მეტ-ნაკლებად მისაღებ მეთოდად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამარის მეორე ისტორიის ბოლო ნაკვეთის⁶⁸ შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული საქეცნიერო ლიტერატურაში.

ჟ. დონდუამ თამარის მეორე ისტორიის რუსული თარგმანის გამოცემისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო ნაკვეთის მხოლოდ პირველი აბსატი ჩართო, რადგან ეს ფრაგმენტი მან არ მიიხსნია თხზულების დაბოლოებად.

კ. გრიგოლიას აზრით, ეს ბოლო ნაკვეთი ჩვენთვის უცნობი ავტორისაა, რადგან იგი განსხვავდება მეორე ისტორიკოსის თხზულების ტექსტის ძირითადი ნაწილისაგან თამარ მეფის მოღვაწეობის შეფასებაში, აგრეთვე, მისი აზრით, ავტორი იმეორებს უკვე ნათქვამს – თამარის გარდაცვალების აღწერის შემდეგ, უბრუნდება მისი საქმიანობის აღწერას და კვლავ მოკლედ აღნიშნავს მეფის გარდაცვალებას.

მ. ბერძინიშვილის აზრით, ასეთი განმეორება კანონისომიერია, აღწერილი ფაქტების შემდეგ, თამარის მეორე ისტორიკოსი გვაწვდის მათ შეფასებას. ყოველი ჩამოთვლილი ფაქტის შემდეგ ავტორი განიხილავს, აფასებს მას, ასევეა ტექსტის ბოლოს განმეორებული, აღწერილი ფაქტების აღნიშვნა-განიხილვა, რაც ყოველად დროულია – ასკენის მკვლევარი.

მართლაც, თამარის მეორე ისტორიკოსი თანმიმდევრობით მიჰყვება მომხდარ ფაქტებს, როგორც თეიმბხილველი და დამსწრე მის მიერ აღწერილი ამბებისა. მხოლოდ ყოველი აღწერილი ფაქტის მერე იძლევა მის ანალიზს, შეფასებას, ამ ფაქტის საკუთარ გააზრებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მ. მარსაგიშვილი⁶⁹ საგანგებოდ შეისწავლა ტერმინები თამარის მეორე ისტორიის ტექსტის ჩვენამდე მოღწეული ნაწილიდან და შეუდარა იგი ამ ბოლო ნაკვეთში არსებულ ტერმინებს. მან აღნიშნა მათ შორის განსხვავებები და გამოთქვა მოსაზრება, რომ

⁶⁸ ეს ბოლო ნაკვეთი ჭალაშვილისეულ ხელნაწერში არ მოიპოვებოდა და იგი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული თამარის ცხოვრების მიხედვით აღადგინა ი. ჯაფარიშვილი (იხ. მ. ქადაგიძის სადისერტ. ნაშრ. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, როგორც საისტორიო წყარო“, გვ. 24-38).

⁶⁹ მ. მარსაგიშვილი, თამარ მეფის მემკვიდრეთა და შოთა რუსთაველის მიმართებისთვის. „მაკნე“, ენისა და ლიტერატურის სერია. 1990. №4.

ბოლო ნაკვეთი არ უნდა იყოს თამარის მეორე ისტორიის დაბოლოება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დაკვეთით ი. ნადარეიშვილმა ჩაატარა აღნიშნული მონაკვეთების სტატისტიკური ანალიზი.

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს შედარებით – სტატისტიკური კომპიუტერული ანალიზისათვის ტექსტი დაყოფილ იქნა ექვს ნაწილად, სამი – პირველი ნაწილიდან, რომელიც არ არის საეჭვო და სამი – აღდგენილი ნაწილიდან, მათგან ბოლო ორი ნაწილი სადავო, ბოლო ნაკვეთიდან არის აღებულნი.

გამოყენებულ იქნა ტექსტის სტატისტიკურად შეფასების მეთოდი, რომელიც ცნობილ ტექსტებზე შემუშავებული და გამოქვეყნებულია 1988 წ. X სამეცნიერო ჟურნალში „საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე“ (1).

ტექსტებისათვის შემუშავებულ იქნა სიტყვების კოდირების წესები, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვა წარმოდგენილია მისი შესაბამისი მორფოლოგიური კატეგორიით (გამოყენებულ იქნა 67 მორფოლოგიური კატეგორია).

სემიოტ აღნიშნულ მეთოდში ჩადებულია სტილის სიხშირული ანალიზი, ე.ი. თუ რამდენჯერ იყენებს ავტორი ტექსტის შექმნის პროცესში ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიასა კომბინაციებს. შესაძლებელია, ავტორმა სტილი შეცვალოს, მაგრამ მისი გამოყენების სიხშირე, როგორც წინასწარი კვლევებით გაირკვა, მყარია. ავტორი ვერ უწყევს კონტროლს ამ სიხშირეებს. ეს ხდება ქვეცნობიერად და ჩვენთვის კი სწორედ შემოქმედების ეს პროცესია საინტერესო, რომ შევძლოთ ვთქვათ ორი ტექსტი ერთი ავტორისაა თუ სხვადასხვას ეკუთვნის. ამგვარ მოსახრებებზე დაყრდნობით, ჩატარებულმა სამუშაოებმა ნათელი გახადა, რომ პირველი ოთხი ტექსტი ერთგვაროვანია და ერთ ავტორს ეკუთვნის. რაც შეეხება უკანასკნელ სადავო მონაკვეთს, იგი საგრძნობლად განსხვავდება პირველი ოთხისგან. ამგვარად, შინაარსობრივი და სტატისტიკური კომპიუტერული ანალიზით გაირკვა, რომ აღნიშნული ბოლო ნაკვეთი არ შეიძლება წაითვალოს თამარის მეორე ისტორიის ორგანულ ნაწილად.

✓ §3. თამარის მეორე ისტორიის დასათაურების
საკითხისათვის

ძველი ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლთა დასათაურების თავისებურებები სხვადასხვა დროის ქართული წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხია. აღნიშნული მჭიდროდ უკავშირდება წერილობით ძეგლთა დიფერენციაციას და ქართული მწერლობის განვითარების დონეს. წერილობითი ძეგლების დიდი ნაწილმა გვიანდელ გადაიწერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით მოაღწია სვენამდე. მათი ტექსტების შემცველი ხელნაწერები ხშირად თავბოლონაკლებია, რის გამოც უცნობია როგორც სათაურები ამ თხზულებებისა, ისე ავტორთა ვინაობა და დაწერის დროც, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ სრულად მოღწეულ ხელნაწერებში, მათ შორის „ქართლის ცხოვრებაშიც“, ისტორიული თხზულებები მეტწილად დაუსათაურებელია. რასაკვირველია, გვსვდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც თხზულებას აქვს სათაური, „ზოგჯერ რიგის მიხედვით არის დალაგებული მეფეთა ცხოვრებანი და თითოეული, რიცხვით გამოიყოფა, მაგრამ ეს უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს და გარკვეულ პრინციპს არ ექვემდებარება. ამასთან, დასათაურების ეპისოდური და არათანაბარი ხასიათი იმის მანვენებელია, რომ ეს სათაურები არ არის ავტორისეული, არამედ მოგვიანოა და გადაიწერს ან რედაქტორს უნდა მიეწეროს.¹ რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებების სათაურებს, სვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია ი. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ თხზულებებს „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს, წინამდევალ თხრობასთან გადაამის მიზნით ჩამოაშორეს დასაწყისი და მასთან ერთად სათაურებიც. თუმცა, ამავე დროს, არსებობს შეხედულება, რომ ზოგიერთი თხზულება (მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორია, საქართველოში მონღოლთა ბატონობისადმი მიძღვნილი ე.წ. უამთაღმწერლის ნაწარმოები) საგანგებოდ „ქართლის

¹ Летопись Картли, введение и примечания Г.В. Цулая, Тб., 1982.

ცხოვრებისათვის“ უნდა იყოს დაწერილი.² შუა საუკუნეთა ქართულ ისტორიულ მწერლობაში (ჰაგიოგრაფიული ძეგლების გამოკლებით, რომლებსაც ადრიდანვე ჰქონიათ სათაურები, თუმცა საკმაოდ ერთფეროვანი), ეპოქის ლიტერატურულ-თეორიული პრინციპების შესაბამისად, საერთოდ არ იყო მიღებული (ვალკეულ თხზულებათა დასათაურება.³

იმისათვის, რომ გაადვილდეს ისტორიული წყაროს გამოყენება და ციტირება, მისი ტექსტოლოგიური შესწავლა, მის შესახებ მსჯელობა, მეგლევარნი იძულებულნი არიან დაარქვან მას სახელი ტექსტის გამოცემებსა და სპეციალურ გამოკვლევებში თვითონ თხზულების შინაარსის მონაცემების საფუძველზე.

ამის გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დამკვიდრდა ისტორიულ თხზულებათა პირობითი დასათაურება, რაც სავსებით გამართლებულია პრაქტიკული მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დარგში დამსახურება ი. ჯაფახიშვილისა, რომლის სახელთან არის დაკავშირებული როგორც „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის პირობითი სქემის, ისე კრებულში შესული და ვალკე არსებული თხზულებების დიდი ნაწილის პირობითი დასათაურება. მეგლევართა მიერ შემოთავაზებული სათაურები თანდათან იმდენად შეისისხლხორცა

² რ. კიკნაძე, ქართლის ცხოვრების შესწავლის ისტორიიდან – საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 25, 27; ახლახან გამოითქვა ავრეთვე მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრება“ არ არის კრებული, რომ ის სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი ერთიანი ნაწარმოებია. ამის შესახებ იხ. *Н.Ф. Шошаашвили*, Некоторые вопросы истории создания “Картлис цховреба”. – Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников” – Тезисы докладов, Тб., 1985, с. 107.

³ გ. ალახანია, ჰაგიოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის შედარებითი შესწავლისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983 წ. №4, გვ. 73-91; გ. ალახანია, ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების კლასიფიკაციის საკითხები – ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, 1985, გვ. 3-37. *Г. Аласаниа*, Классификация грузинских письменных исторических источников, с. 97-125.

წყენმა ისტორიოგრაფიამ, რომ დღეს ხშირად სპეკიალისტებსაც აღარ ახსოვთ მათი პირობითობა.

ამჯერად წვენ საგანგებოდ გვამჩნევს თამარის ე.წ. მეორე ისტორიკოსის თხზულების (XIII ს.) დასათაურებელ საკითხი.

1923 წელს ი. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამარის უცნობ, ე.წ. მეორე ისტორიას შეიცავდა. ჭალაშვილის მიერ შევსებულ ამ ხელნაწერში დემეტრე I-ის მკვლელობის შემდეგ (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ფ. 251ა–253ა), უსათაუროდ თამარის ეპოქის ისტორია არის მოთავსებული. აქ დასაწყისში გიორგი III-ის გამეფებაა მოხსენიებული, მერე კი მოთხრობილია თამარის დაბადებისა და აღზრდის ამბები, აღწერილია მისი გარეგნობა და სულიერი თვისებები (ფ. 253ა–255ა). ამას მოსდევს ფრაზა, სადაც სინგურით წერია პირველი შეიღის სიტყვა და მერვე სიტყვის პირველი ასო: „დაჯდა წებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექსუიათას ექუსას ოთხმოცდა ექუსსა, ქორონიკონსა ოთხას და სამსა“ (ფ. 255ა),⁴ რომელიც მკვლევარმა მეორე ისტორიის დასაწყისად მიიჩნია.

ი. ჯავახიშვილს არ უცდია ნაშრომის დასათაურება არც 1923 წლის 3 ივნისს წაკითხულ მოხსენებაში საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე, არც იმავე წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, რომელშიც დახასიათებულია ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, განხილულია თამარის მეორე ისტორიკოსის ძირითადი წყაროთმცოდნეობითი საკითხები, ნახეყვები მისი, როგორც წყაროს ღირებულება. მან მხოლოდ გამოთქვა ვარაუდი, რომ თხზულების დასაწყისი ნაწილი სრულად არ იყო წარმოდგენილი.⁵

⁴ ქც. II, თბ., 1959, გვ. 116.

⁵ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. — თსუ მოამბე, III, 1923, გვ. 187; უახლესი გამოც. ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., თხზულებანი, VIII, 1977, გვ. 374; კ. გრიგორიძე, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 110-111.

ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით ი. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი ტექსტის პუბლიკაციაში⁶ თხზულებას მიეკუთვნება მუხლი აქვს პირობითი სათაური: „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (თხზულების სათაური ჩანს მუდმივად კვადრატულ ფორხილებში და ახლავს გამომცემლის შენიშვნა, რომ აღდგენილია თხზულების ი. ჯავახიშვილისეული პირობითი სათაური). რედაქტორის წინასიტყვაობაში გამოქვეყნებულია შემორჩენილი ნაწყვეტი ივანე ჯავახიშვილის მიერ თამარის მეორე ისტორიკოსის შესახებ დაწერილი გამოკვლევებისა, სადაც მეცნიერი გამოთქვამს მოსახსრებას, რომ „როდესაც ეს ძეგლი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შექქონდათ, მისთვისაც ისევე, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებებისათვის, შესაეალი მოუკვეციათ“.⁷

ი. ჯავახიშვილის პირად არქივში (№421)⁸ დაცულია მანქანაზე გადაბეჭდილი გასწორებული ტექსტი წერილისა — „ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ“, სადაც მკვლევარი, სხვა ძეგლებთან ერთად, მოიხსენიებს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებას სათაურით „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.⁹ წერილი დათარიღებულია 1936 წლის 6 თებერვლით.

როგორც უემოთ აღუნიშნეთ, ქართული დედნის გამოქვეყნებამდე, 1936 წელს, თამარის მეორე ისტორიის ტექსტი ი. ჯავახიშვილმა რუსულად სათარგმნად შესთავაზა ვ. დონდუას. აღსანიშნავია, რომ როგორც 1936 წლის 29 მაისს ვ. დონდუასათვის მიწერილ წერილში, ასევე 1923 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, ი. ჯავახიშვილი თხზულებას უბრალოდ თამარის მეორე ისტორიას უწოდებს.¹⁰ ამავე დროს, ვ. დონდუას

⁶ ბასილი ესოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გამომცემა ი. ჯავახიშვილისა, თბ., 1944.

⁷ იქვე, გვ. 11.

⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ (ისტორიული მიმოხილვა, აღწინდელი მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივები), ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, თბ., 1976, გვ. 58, №421(265).

⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, მრავალთავი, V, 1975, გვ. 262.

¹⁰ თამარის მეორე ისტორია, ი. ჯავახიშვილი, კერძო წერილი — „მნათობი“, 1968, №9, გვ. 140, შდრ. გვ. 144.

პირად არქივში დაკრულ საერთო რვეულს სათაურად აქვს: „ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (ი. ჯავახიშვილის აღდგენილი ტექსტი).¹¹

რვეულში მოთავსებულია ვ. დონდუას ხელით გადაწერილი ქართული ტექსტი თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებისა. საფიქრებელია, რომ ტექსტი სწორედ ჩვენს მიერ 1984 წელს წყაროთმცოდნეობის არქივში მიკვლეული ჯავახიშვილისეული ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი.

როგორც უკვე ითქვა, 1938 წელს ვ. დონდუამ ლენინგრადში გამოაქვეყნა თამარის მეორე ისტორიის რუსული თარგმანი პირობითი სათაურით: „Жизнь царицы цариц Тамар“.¹²

ი. ჯავახიშვილის ნაშრომში „ქართული საისტორიო ძეგლებს ახალი გამოცემის შესახებ (დათარიღებული 1936 წლის 6 თებერვლით) მოცემულია სია გამოსაცემი ძეგლებისა. სიაში ეკითხულობთ: „№24. ბასილი აზოს მოძღვარის ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.¹³

ი. ჯავახიშვილის ხელნაწერში, სადაც ჭალაშვილისეული ნუსხიდან გადმოწერილი თამარის მეორე ისტორიის ტექსტია აღდგენილი, თხზულებას ი. ჯავახიშვილის ხელით გაკეთებული აქვს სათაური „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. ამგვარად ირკვევა, რომ ი. ჯავახიშვილმა თამარის მეორე ისტორიის ტექსტის გამოსაცემად მომზადებისთანავე (ანუ, როგორც მისი გამოკვლევიდან ჩანს, 1923 წელს) დაარქვა ამ ძეგლს პირობითი სათაური.

რამდენად მართებულია ძეგლის ეს პირობითი დასათაურება?

სიტყვა „ცხოვრებას“ ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქონდა, მათ შორის, „თავგადასავლის“, „ისტორიის“. თამარის მეორე ისტორიის ტექსტის შესწავლით დადგინდა, რომ არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, როდესაც სიტყვა „ცხოვრება“ ტექსტში „ისტორიის“ მნიშვნელობით იხმარე-

¹¹ ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პროფ. ვ. დონდუას სახ. კაბინეტი. ვ. დონდუას პირადი არქივი, №80.

¹² *Басили, Жизнь царицы цариц Тамар. — Памятники эпохи Руставели, перевод, введение В.Д. Дондуа, Л., 1938, с. 33-76.*

¹³ ი. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ, მრავალთავი, V, თბ., 1975, გვ. 266.

ბოდეს. მაგალითად: „სასოება ცხოვრებისა მოიპოვეს“,¹⁴
 „წარუძღუნა ძელი ცხოვრებისა“,¹⁵ „მიმინიჭებეს მეცა
 ცხოვრება ვედრებისათვის შენისა“,¹⁶ „ნიშნი ცხოვრებისანი...
 სხუად ფერად იხილვებოდეს“,¹⁷ „საფლავებან... დაგუაჭირვა
 ცხოვრება“,¹⁸ „რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის
 მიერ იყვნეს“,¹⁹ „წესიერად ცხოვრებულნი კაცნი მარადღე იყვიან
 წინაშე მისსა“,²⁰ „მთავარნი განისწავლნეს სიწმინდით ცხოვრუ-
 ბად“,²¹ „აკურთხა ღმერთმან ცხოვრება მისი“.²²

ამავე დროს, ისტორიის მნიშვნელობით თხზულებაში
 გვხვდება სიტყვა: „მატიანე“: „განიგემნე ყოყელნი მატთანნი
 ძველთა გინა ახალთა მეფეთა მამებელნი“,²³ თუმცა, აქვე ისიც
 უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი მხოლოდ თხზულების უკა-
 ნასკნელ სადავო მონაკვეთშია. თამარის მეორე ისტორიაში
 ვხვდებით ტერმინ „ჟამთააღმწერელსაც“.²⁴ ამის გამო შესაძლოა
 თამარის მეორე ისტორიას „თამარის ჟამთააღმწერლობა“ ან
 „თამარ მეფის დროინდელი მატთანე“ ეწოდოს, ხოლო მის
 ავტორს – თამარის ჟამთააღმწერელი, რადგან ეს სათაურებიც
 ისეთივე პირობითი იქნება, როგორც ი. ჯავახიშვილისეული
 „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ და უფრო გამართლებული
 შეიძლება იყოს. რაც შეეხება თხზულების სათაურში თამარის
 „მეფედ მეფედ“ ხსენებას, უნდა ითქვას, რომ თუმცა ტექსტში
 ის არც ერთხელ არ იხსენიება ამ წოდებით, მაგრამ X საუკუ-
 ნიდან მოყოლებული ქართველ მეფეებს ეს ტიტული აქონდათ
 და დოკუმენტურ წყაროებში თამარიც „მეფედ მეფედ“ არის
 სახელდებული.²⁵ ჩვენი ისტორიკოსი ამ ტიტულით იხსენიებს

¹⁴ ქვ. II, გვ. 125.

¹⁵ იქვე, გვ. 126.

¹⁶ იქვე, გვ. 132.

¹⁷ იქვე, გვ. 145.

¹⁸ იქვე, გვ. 146.

¹⁹ იქვე, გვ. 147.

²⁰ იქვე, გვ.

²¹ იქვე, გვ. 149.

²² იქვე.

²³ იქვე, გვ. 149.

²⁴ იქვე, გვ. 130-22.

²⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. 1, თბ., 1984,
 გვ. 80, 97, 102, 103.

თხზულების დასაწყისში თამარის მამას: „დაჯდა... თამარ მეფედ... შვილი მეფეთ-მეფისა გიორგისი“.²⁶

საფიქრებელია, რომ ი. ჯავახიშვილმა თამარის მეორე ისტორიას დაეითის ისტორიკოსის თხზულების ანალოგიით დაარქვა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თვითონ დაეითის ისტორიის სათაურიც „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეითისი“ – რამდენადმე პირობითია, რადგან ამ სახით ის არ გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. ე.წ. მარიამისეულ ნუსხაში არის მხოლოდ „ცხოვრება მეფეთ მეფისა“.²⁷ ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში უფრო ვრცელი სათაურია: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეითისი, გიორგის ძისა, რომელი იყო სამოცდამეთ-ვრამეტე შვილი შვილთაგანი დაეით წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა დაეით აღმაშენებელი“.²⁸ უთუოდ საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ დაეითის ისტორიკოსის თხზულებაში სიტყვა „ცხოვრება“ არ გვხვდება ისტორიის მნიშვნელობით და ტერმინი „მეფეთ-მეფე“-ც არ იხმარება არავის მიმართ.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად პირობითი, შერქმეული სათაურებით არის ცნობილი როგორც „ქართლის ცხოვრების“ ძეგლები, ისე (კადაკე არსებული ისტორიული თხზულებებიც. ამასთან, 'სოკიერითი სათაური თვითონ თხზულებათა დასაწყისი ფრაზებიდან არის ამოღებული. ასეთია, მაგალითად, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ან „მეფეთა ცხოვრება“ (ტექსტში: „ვიწყო მითხრობად ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანე მამათა და ნათესაეთა“),²⁹ ჯუანშერის – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ტექსტში: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა მშობელთა და შემდგომად თვით მის ღიღისა და ღმრთის მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“),³⁰ სუმბატ დაეითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ტექსტში: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონი-

²⁶ ქც, II, გვ. 116.

²⁷ ქც, ე.წ. მარიამ დედოფლისეული ნუსხა (S-30) ე. თაყაიშვილის აღწერილობა, 1906, გვ. 281.

²⁸ ქც. დასაბამითგან მეთ-ცხრამეტე საუკუნემდის, ტ. I, მ. ბროსეს გამოც. სპბ. 1849, გვ. 236.

²⁹ ქც, I, 1955, გვ. 3.

³⁰ იქვე, გვ. 139.

ანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისმან“),³¹ თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ტექსტში: „რომელმან წყლისა მოაბადნი, როგორთა მიძლე ჰყავ ანგელოსთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა-ბრგუნელი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა შარავანდედთასა“),³² სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ტექსტში: „ძლიერებითა ღუთისათა ეიწყოთ ცხოვრება მეფეთა, მსმენელთათვის არა უნდომი ამბითა უცხოთა ქვეყანასათა, არა მარტივად ქართლისა, ჩემის თვალთნახული, სოგიერთი მნახავთაგან სმენითა“),³³ პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ტექსტში: „ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილ იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნისასა და შთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი, და მე, პაპუნა ორბელიანმა, ჰვლ-ვეყავ აღწერად“).³⁴

სოგიერთი ძეგლის დასათაურება კი უფრო თავისუფალია, თუმცა შერჩეულია თვითონ თხზულებათა შინაარსისა და თავისებურებათა გათვალისწინებით. საკმარისია დავასახელოთ VIII-XI სს. ისტორიის შემცველი ნაწარმოებები, რომელსაც ი. ჯავახიშვილმა „მატიანე ქართლისა“ უწოდა,³⁵ ანდა მონღოლთა ბატონობის ხანისადმი მიძღვნილი თხზულება, რომელსაც თ. ჟორდანიამ დაარქვა „ასწლოვანი მატიანე“.³⁶ სწორედ ეს სათაურია აღდგენილი თხზულების ახალ გამოცე-

³¹ იქვე. გვ. 372.
³² ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 1.
³³ ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1954, გვ. 305.
³⁴ *პაპუნა ორბელიანი*, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ვაგარეიშვილმა, თბ., 1981.
³⁵ *ი. ჯავახიშვილი*, მატიანე ქართლისაჲ, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 199-200.
³⁶ *თ. ჟორდანი*, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწკობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ტ. III, თბ., 1967, გვ. 563-567; *რ. კიკნაძე*, უამთაღმწერლის დასათაურების საკითხისათვის, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 58-59.

მაში.³⁷ ამავე რიგის არის ცხრაძმისხევის გამგებელთა საგვარეულო მატიანის ჟორდანიასეული სათაური „ძეგლი კრისტაეთა“³⁸ და XVIII საუკუნის ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების დასახელება „საქართველოს ცხოვრება“.³⁹

მეორე მხრივ, ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ ორგანული ნაწილია. ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ მრავალ ავტორთა მიერ შესრულებულ სხვადასხვა პერიოდის ისტორიებს, – წერდნენ გაგრძელებებით, ყოველგვარი სათაურის გარეშე, ასე რომ, შესაძლოა იმ პირველად ავტორისეულ ტექსტში, თამარის მეორე ისტორიას არავითარი დასათაურება არ ჰქონდა, მით უფრო თუ ის საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ დაიწერა. ვახტანგის კომისიამ დაასათაურა და სინგურით გამოჰყო მეფეთა ცხოვრებანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენს ნაშრომში ძეგლის დასახელებისას მიემართავეთ სახელწოდებას – „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, რომელიც თუმცა პირობითია, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე მიღებულია და დაშკიდრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

³⁷ უამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთორევაზ კიენაძემ, თბილისი, 1987.

³⁸ თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. I; ვ. არახაძია, ძეგლი ქართული საგვარეულო მატიანეები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 1988.

³⁹ რ. კიენაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 18.

§4. თამარის მეორე ისტორიის დაწერის დრო, თხზულების დანიშნულება, სტრუქტურული თავისებურებანი და ავტორობის საკითხი

ი. ჯავახიშვილი თხზულების ავტორის ვინაობის დადგენასაც შეეცადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, და წამოაყენა ვარაუდი, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი შეიძლება იყოს ყოფილიყო მეფის ეზოსმოდღვარი ბასილი. ჰიპოთეზა მან თხზულების ტექსტში დაცულ ცნობაზე დაამყარა: როდესაც თამარი რეჟან-ად-დინის წინააღმდეგ გასასტუმრებელ ჯარს ღოცავს, ჯერის მეორე მხარე ბასილი ეზოსმოდღვარს უჭირავს. ი. ჯავახიშვილის აზრით, ასეთი უმნიშვნელო დეტალის აღნიშვნა ავტორის მიერ საკუთარი ვინაობის გამოვლენის სურვილზე მიუთითებს.¹ თუ რამდენად მართებულია „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისის“ ავტორად ბასილი ეზოსმოდღვრის მიჩნევა, ამას ქვემოთ შევეხებით.

თხზულების ავტორს, როგორც უკვე აღვნიშნა, ი. ჯავახიშვილმა მეორე ისტორიკოსიც უწოდა. ამჟამად სწორედ ეს სახელწოდებაა დამკვიდრებული.

ი. ჯავახიშვილმა შეისწავლა თხზულების ტექსტი, შეუდარა თამარის პირველ ისტორიას („ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი“) და მათ შორის განსხვავებებიც აღნიშნა.

მეცნიერის აზრით, მემატიაზე, ანტონ მწიგნობართუხუცავის, ჭყონდიდლისა და ვაზირთა მომხრეთაგანია, რადგან ტექსტში დიდი ადგილი ეთმობა ანტონის ქებას.²

ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი კარგად იცნობს და იყენებს საღმრთო წერილს, შემთხვევებს მსოფლიო ისტორიიდან, ბერძნული ჟამთააღმწერლობის ძეგლებს, ქართულ საისტორიო თხზულებებს, თუმცა პირველი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ამას არ მოეპოვება სპარსული, არაბული მხატვრული მწერლობიდან ამოღებული მაგალითები. არაფერი აქვს ნათქვამი აგრეთვე ში-

¹ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე მანამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, - თსუ მოამბე, III, 1923, გვ. 187; უახლესი გამოცემა ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, თბ., 1977, გვ. 390.

² ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 389.

ნაური პოლიტიკური ბრძოლის, ყუთლუ-არსლანისა და მისი დასისი შესახებაც.³

როგორც უკვე აღინიშნა, თამარის მეორე ისტორიის ავტორად ბასილი ეზოსმოდვერის მიჩნევა დამაჯერებლად არ ჩანს. ეს მოსაზრება კიდევ იმიტომ არაა სარწმუნო, რომ ტუქსტის მიხედვითაც აშკარაა, ძეგლის ავტორი სასულიერო პირია, ხოლო ტერმინი ეზოსმოდვეარი, იგივე ჩუხჩარხი, როგორც ამას ილია ანთელაეა ვარაუდობს,⁴ აღნიშნავს უმაღლეს წოდებას, რომლის წარმომადგენელიც საერო პირები არიან.

ძეგლის ავტორის სასულიერო წოდებაზე მიგვიითიუბებს თუნდაც ის, რომ ის არ აღწერს ომის ზღვრებს და კარგად აქვს გადმოცემული საეკლესიო კრება, რაზეც არაფერია ნათქვამი პირველ ისტორიაში. თამარის მეორე ისტორიკოსი ხაზს უსვამს თამარის სულიერ სისპეტაკეს და დეტალურად აღწერს მისი მხურვალე ლოცვის სცენებს. მაგ.: როდესაც საქართველოს ეპისკოპოსნი „შემო-რა-კრბენ“ თამარის წინაშე, ავტორი აზბობს: „მიეგებოდა მათ თამარ დიდთა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა, და არა კაცთა. შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თვთ დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით“.⁵ ხომ არ მიუთითებს ეს ადგილი სასულიერო პირის სიამაყეს, რომელიც საერო წოდებასთან უპირატესობით არის გამოაწვეული, რაც არ უნდა მაღალი იყოს იგი?

თამარ მეფე მიმართავს სასულიერო წრის წარმომადგენლებს: „დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განკადეთ გულარძინილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარაგანდელი ესე მეფობისა ორს და არა ღმრთის მბრძოლობისა“⁶ – „თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათვს ჩუენდა... დაამტკიცეთ... თქვენ სიტყვით, ხოლო მე განწურთით... თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა ებგური“.⁷

აშკარად გამოსჭვივის ავტორის, როგორც სასულიერო წრის წარმომადგენლის დამოკიდებულება საერო, თუნდაც მეფის წოდებასთან.

³ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 391.

⁴ ი. ანთელაეა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა საქართველოში XI-XII სს. 1984 წ. ავტორუფერატი.

⁵ ქც, II, 1959, გვ. 118.

⁶ იქვე.

⁷ ქც, გვ. 118.

ამგვარად ტექსტში უხვად მოიპოვება მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი სასულიერო წრის წარმომადგენელია:

„არაოდენ ქუყანა იაგარსა განადიდებდა თამარ, არამედ სარწმუნოება განმტკიცებოდა“,⁸ ეკლესიები იმკობოდა მრავალი სამკაულით, ლოცვა და „ღამისთევანი მრავლდებოდა“, ღვთის წყალობა გამრავლდა და „ეშმაკი მოუძღურდა“⁹⁻¹⁰ – აღნიშნავს ავტორი. ჩვენი აზრით, აქ, სასულიერო წრის წარმომადგენლის თვალთ დახახული და აღწერილი ფაქტები ჩანს. ამ კუთხით უდგება იგი თამარის ცხოვრებასაც, თამარის ამ მხრივ საქმიანობაზე ამახვილებს ყურადღებას, ამით უნდა შეამკოს და განადიდოს იგი.

თამარის მეორე ისტორიკოსი ხაზს უსვამს თამარის ღვთისმოსაობას „სიყუარულისათვის ხუცესთა და მონაზონთა“. აღნიშნულია, რომ „წესიერად ცხოვრებულნი კაცნი, მარადღე იყვნინან წინაშე მისსა, და მახლობელად სასუენებელისა ძიხციის“ მათ საყოფელი“.¹⁰ თამარ ეხმარებოდა სასულიერო პირთ. მიდიოდა მათთან და თვითონვე უეღიდა აყადმყოფებს. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ სასულიერო პირთა შორის, რომელნიც თამართან იყვნენ დაახლოებულნი, იყო ის, ვინც შემდგომ დაწერა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.

თამარის მეორე ისტორიის ავტორი რომ სასულიერო პირი იყო, ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ აქცენტის თამარის ცხოვრების სარწმუნოებრივ მხარესუა გაკეთებული. მისი ღვთისმოსაობის აღნიშვნისას თხზულებაში ჩასმულია ტექსტი ფსალმუნიდან: „არარაჲ დაიდვა თამარ გულსა თვისსა, ვითარ“¹¹ დასაბამი იგი სიბრძნისა, შიში ღმრთისა...“¹² და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, ბასილი ეზოსმოდღერის მინევა თამარის მეორე ისტორიკოსად სარწმუნო არ ჩანს.

სამეცნიერო ლიტერატურაში თამარის ისტორიებს შოთა რუსთაველის სახელს უკავშირებენ. ამ თეორიას საფუძვლად დაედო „ეფეხისტკაოსნის“ პროლოგის მე-4, მე-19 სტროფები და ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკის“ პირველი რედაქციის მე-16 თავში მოხსენებული ცნობა შოთა რუსთაველის როგორც

⁸ იქვე, გვ. 129.

⁹ იქვე.

¹⁰ ქც, II, გვ. 147.

¹¹ იქვე, გვ. 141.

¹² ფსალმ. 110₁₀; „დასაბამი სიბრძნისა, შიში უფლისა“.

თამარის ისტორიის ავტორის შესახებ. ნაშრომის ამ თავში ანტონი აშუქებს სალიტერატურო ენის ზოგიერთ პრობლემას, უმთავრესად სტილის საკითხებს. ამ ნიშნით იგი აჯგუფებს ძველ ავტორებსა და ლიტერატურულ ძეგლებს სამ ჯგუფად. მოაქავს ციტატები ამ ავტორთაგან. სწორედ აქ არის მითითებული შოთა რუსთაველი, როგორც თამარის ცხოვრების აღმწერი: „...წერილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრება მეფისა თამარისა“. აქვე ანტონი ძველი ავტორების ჩამოთვლისას მათ მოკლე დახასიათებასაც იძლევა: „...იოანე ფილოსოფოსსა ქართუმლთასა დავითს, ეფრემს და არსენის ღრამმატიკოსთა ღირსთა, არსენის ქართუმლთა მამათმთავარსა, შოთა რუსთაველსა, გამომთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისა და სხუათა“ (ესარგებლობთ ი. აბულაძის ნაშრომში დამოწმებული ციტატით).¹³

ამაღლებული სტილით დაწერილი თხზულების საილუსტრაციოდ ანტონ კათალიკოსს მოჰყავს ციტატა. შოთა რუსთაველის მიერ დაწერილი საისტორიო თხზულებიდან: „არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბლისასა, არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისამან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი თუსი მარტობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფლად ენებათა“.¹⁴

ამ ცნობას პირველად პროფ. ა. ცაგარელმა მიაქცია ყურადღება. მან შეუწყნარებლად მიიჩნია ის აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარის მეორე ისტორიის“ ავტორი ერთიდაიგივე პირი ყოფილიყო. ეს აზრი მეცნიერმა ამ ორი ნაწარმოების ჟანრობრივ-სტილისტური სხვაობით დაასაბუთა.¹⁵

ს. კაკაბაძეს თხზულების ავტორად შოთა რუსთაველი მიაჩნია.¹⁶ ამასთან, მისი აზრით შ. რუსთაველი არა მხოლოდ ბოლო ნაკვეთის, არამედ მთლიანად თხზულების ავტორია, რომლის ბოლოშიაც მკვლევარნი ათავსებენ აღნიშნულ ნაკვეთს. თავის მოსაზრებას მეცნიერი ანტონ I-ის გრამატიკი-

¹³ ი. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, შრომები, III, 1982, გვ. 203(237).

¹⁴ კ. გრიგოლია, თამარის კიდევ ერთი მემატიანე ისტორიკოსი, 1977, გვ. 24.

¹⁵ А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, Санкт-Петербург, 1873, с. 99.

¹⁶ ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 110-111.

დან მოტანილი ციტატით ასაბუთებს, რომელიც, შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულებიდან არის ამოღებული. ამ მატრიანის ტექსტის დასაწყისი აღმოჩნდა ჭალაშვილისეულ ხელნაწერში. ს. კაკაბაძის აზრით, აღნიშნული ხელნაწერი უნდა გამკრალიყო 1795 წელს, ალა-შაჰ-ხანის თავდასხმის დროს, როდესაც განადგურდა საკათალიკოსო და სამკვლავო წიგნსაცავები.

ს. კახიანიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ გამოსცემისას აღნიშნული „ბოლო ნაკვეთი“ მიაკუთვნა ბასილი ენსონის ვარს, იმავე სახით, როგორც იგი გამოსცა ი. ჯავახიშვილმა. რაც შეეხება ურთიერთკავშირს შოთა რუსთაველსა და თამარის ისტორიკოსებს შორის, ამ საკითხის შესახებ მეტყველებს არ გამოუთქვამს მოსაზრება.¹⁷

კ. კეკელიძის აზრით, შოთა რუსთაველს თამარის ეპიქაზე უთუოდ ექნებოდა დაწერილი ისტორიული თხზულება. მაგრამ არა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, არამედ რაღაც სხვა, დღემდე უცნობი ნაწარმოები, „ამიტომ ეს საკითხი უნდა მოიხსნას და სხვა გზები გამოიძებნოს ამ საისტორიო თხზულების ნამდვილი ავტორის აღმოსაჩენად“.¹⁸

ი. აბულაძემ ყურადღება მიაქცია ა. ცაგარელის მიერ შენიშნულ ცნობას შოთა რუსთაველზე, დაცულს ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში. 1937 წელს რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ი. აბულაძემ წამოაყენა დებულება, რომ პოეტს მართლაც უნდა ჰქონოდა თამარისადმი მიძღვნილი ისტორიული თხზულება და ეს უკანასკნელი არის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. ამასთანავე, ამ ძეგლს მან მიაკუთვნა ი. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი ბოლო ნაკვეთიც.¹⁹

ანტონ I-ის მიერ რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ ციტატას ი. აბულაძემ მიაკვლია ვახტანგისეული ახალი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში დაცულ თამარის ისტორიის იმ ბოლო მონაკვეთში, რომელიც იწყება სიტყვებით: „იცივალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“... ეს ნაკვეთი ე.წ. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ არ არის. ი. ჯავახიშვილმა

¹⁷ ქც. II, გვ. 146-149.

¹⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1981, გვ. 125.

¹⁹ ი. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, — ენიშის მოამბე, III, 1938, გვ. 210-207; უახ. გამოც. ი. აბულაძე, შრომები, III, 1982, გვ. 202-207 (235-241).

აღნიშნა, რომ ის, რაც ვახტანგისეული რედაქციის თამარის ისტორიაში ზედმეტი აღმოჩნდება ე.წ. მარიამისეულთან შედარებით, თამარის მეორე ისტორიკოსს უნდა მიეკუთვნოს, აქედან გამოძვინარე ი. აბულაძემ ეს ნაკვეთი მეორე ისტორიკოსს დაუკავშირა და მის ავტორად შოთა რუსთაველი მიიჩნია.

ი. აბულაძე აღნიშნავდა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის დაკავშირება ანტონის შემოხსენებულ ცნობებსა და ციტატასთან აუცილებლად საჭიროა. ამასთან, საკითხის გასარკვევად აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ ყოველმხრივი შედარება თამარის მეორე ისტორიკოსის სახელით ცნობილ ისტორიასთან.²⁰

ა. ბარამიძის აზრით ერთი და იგივე მწერლის თხზულება შეიძლება სხვადასხვა სტილით იყოს დაწერილი და ამრიგად, დასაშვებია, რომ აღდგენილი ბოლო ნაკვეთიც „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს კუთვნილებად მივიჩნიოთ.²¹

შეეხო რა ანტონის ამ ცნობას, ა. ბარამიძემ აღნიშნა ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე მწერალს შეიძლება უანრობრივად სრულიად განსხვავებული თხზულებები ჰქონდეს, ამის გამო ანტონის ცნობის შეუწყნარებლობა არ შეიძლება. ეს ცნობა ანგარიშგასაწევია და მნიშვნელოვანი ფაქტიც. თუმცა საბოლოოდ და გადაწყვეტით ამ საკითხის შესახებ პატივცემული მეცნიერი არაფერს ამბობს.²²

მ. წერეთელმა პარიზში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“,²³ რომელშიაც შეეხო „ვეფხისტყაოსნისა“ და თამარის ისტორიკოსთა ურთიერთმომართებას. მისი აზრით, შოთა რუსთაველი თამარის პირველი ისტორიის ანუ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორია. ამის დასამტკიცებლად მ. წერეთელს მოჰყავს პარა-

²⁰ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207 (241).

²¹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 489.

²² იქვე.

²³ მ. წერეთელი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟურნ. „ბუდი ქართლისა“, ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული. „Le destin de la Georgie“. Recueil Historique, Scientifique et Littéraire Georgien. Paris. №6, 1949; №7, 1950; №8, 1950; №9, 1951.

ლუღლი'სმები „ეკუფხისტკაოსნიდან“ და „ისტორიანი და აზმანი“-ს ტექსტიდან.

ანტონ კათალიკოსის ცნობას ყურადღება მიაქცია ი. ლოლაშვილმა²⁴. მან თხზულებაში გამოყენებული ციტატებისა და მათი წყაროების სისწორე შეამოწმა და ამის საფუძველზე სახდოდ მიიჩნია ანტონის ცნობა, რომ შოთა რუსთაველმა აღწერა თამარის ისტორია. მაგრამ ისტორიის ის ნაწილი, სადაც ანტონის მიერ მოტანილი შოთას სიტყვებია ჩართული, ანუ ის ნაწილი, რომელსაც ი. ჯავახიშვილი თამარის მეორე ისტორიკოსს აკუთვნებდა, ი. ლოლაშვილმა თამარის პირველ ისტორიას („ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი“) დაუკავშირა და აქედან გამომდინარე შოთა რუსთაველი თამარის პირველი ისტორიის ავტორად მიიჩნია. ამ დებულების დასაბუთება მკვლევარმა სცადა ტექსტებში ნაპოვნი სიტყვათღამთხვევისა და რიგ მსგავსებათა საფუძველზე.²⁴

განიხილავს რა ანტონის აღნიშნულ ცნობას, ი. ლოლაშვილი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველს მართლაც ექნებოდა შექმნილი ისტორიული თხზულება. მისი აზრით, აღნიშნული ციტატა შოთას ეკუთვნის. ბოლო ნაკვეთი, საიდანაც არის მოტანილი ანტონის ციტატა, ი. ლოლაშვილის აზრით „ისტორიანი და აზმანი“-ს დასასრული, ანუ „ბოლო სიტყვაა“. ამასე დაყრდნობით ი. ლოლაშვილს შ. რუსთაველი მიაჩნია თამარის ე.წ. პირველი ისტორიის ანუ „ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი“-ს ავტორად.²⁵

კ. გრიგოლიას აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში შემონახული ბოლო ნაკვეთი, რომლის მიხედვითაც ი. ჯავახიშვილმა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება შეავსო, ფაქტობრივად სულ სხვა თხზულებას წარმოადგენს. მეცნიერის აზრით, იგი შოთა რუსთაველის იმ ისტორიული თხზულების ფრაგმენტია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. „ჩვენ ვფიქრობთ, არ შეიძლება ანტონს არ დაუჯეროს ადამიანმა. მისი ცნობა სწორად უნდა გამოხატავდეს ისტორიულ სინამდვილეს.“²⁶

²⁴ ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა უინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 16.

²⁵ იქვე.

²⁶ კ. გრიგოლია, თამარის კიდევ ერთი მემბტიანე ისტორიკოსი, 1977, გვ. 24-31.

ე. დონდუა ეხებოდა რა შოთა რუსთაველისა და თამარის ისტორიკოსთა ურთიერთმიმართების საკითხს, აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და თამარ მეფის ისტორიკოსთა ორივე, ჯერჯერობით ცნობილი, დიდებული ნაშრომი – უსახელო ავტორის „ისტორიანი და აზმანი“ და ბასილისეულად მინეული „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ – ერთი ეროვნული შემოქმედების ნაყოფია, ერთი კულტურის – მოქმედი ხალხის უბადლო მონაპოვარია“.²⁷ როგორც ვხედავთ, აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

თუ საშუალო საუკუნეთა ლიტერატურას გადავავლებთ თვალს, ნათელი სურათი იქმნება: პოეტები და მემატიანეები, მიუხედავად მათ შორის უანობრივი სხვაობისა, ერთსა და იმავე საქმიანობას ეწევიან: პირველი განადიდებენ და ხოტბას ასხამენ მეფეთა ცხოვრებას, მხატვრული ფორმით ხორცს ასხამენ, ხოლო მეორენი აღწერენ შედარებით მშრალი ფორმით. მკაცრად იცავენ ფაქტობრივ მასალას – ზეპირი გადმოცემა იქნება ეს თუ წყაროთა შეჯამებითა და ავტორის მიერ შერჩევით ამოკრებილი ფაქტები. თუმცა აქაც ზოგჯერ თავს იჩენს მხატვრულ ფორმათა ელემენტები.

ასეა თუ ისე, ორივე სახის თხზულება გარკვეულ წერტილში ერთიანდება და სხვადასხვა ფორმით აღწერს და გადმოგვცემს მეფეთა საქმიანობას, განსხვავებულ სამოსელში წარმოადგენს ერის წარსულს.

ამდენად, ანტონის ცნობა, რომ შოთა რუსთაველს უნდა ჰქონოდა დაწერილი თამარის ისტორია, ეურადსაღებია, რადგან ესოდენ განსწავლული და თამარის კართან დაახლოებული პირი საისტორიო თხზულების წერასაც მოჰკიდებდა ხელს და ცხადია, მის მიერ შექმნილი მათიანე უდავოდ საინტერესო იქნებოდა, აქაც გამოჩნდებოდა რუსთაველისეული ნიჭის ელვარება. თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი ისტორიული თხზულება შესაძლებელია მშრალი ქრონიკა იყოს და ამდენად სავარაუდოებელ ისტორიულ თხზულებასა და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთშედარებისას მათ შორის ენობრივი, სტილისტური, მხატვრული ფორმების მსგავსებისა და ტერმინოლოგიური დამთხვევების ძიებაც სარწმუნო დასკვნამდე

²⁷ ე. დონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსება. – საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 99.

ვერ მიგვიყვანს. მემბტიანის, ჟამთააღმწერლის და პოეტ-
შეპოქმედთა დაპირისპირება-შედარებისას არც ჟანრობრივი
განსხვავებაა ავტორის ვინაობის დადგენისათვის ამოსავალი.
აქ არც მსგავსება იძლევა არგუმენტაციის რაიმე საფუძველს
და არც ამ ჟანრთა შორის სრული განსხვავება არ ნიშნავს
ერთი და იგივე ავტორის უარყოფის დადგენას მათ შორის
მსგავსების არ არსებობის შემთხვევაშიაც კი.

რა გზით უნდა წარიმართოს კვლევა აღნიშნული სა-
კითხის გადასატრელად?

ყინ არის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს
ავტორი?

თამარის რომელი ისტორიის ავტორია შოთა რუს-
თაველი?

თუ ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლით თამარის სამივე
ისტორიის ტექსტს, განვსაზღვრავთ მათ სტილს, გამოვყოფთ
მათში ავტორთა კონცეფციას, ინდივიდუალურ თავისებურე-
ბებს, პოლიტიკურ შეხედულებებს, წერის მანერას და აქედან
გამომდინარე მათში მივაგნებთ ავტორის გარკვეულ მიკერძოუ-
ბას რომელიმე პირის ან საზოგადოების რომელიმე სო-
ციალური ფენის მიმართ, ეს საფუძველს მოგვცემს თუნდაც
მკრთალად შემოვხაზოთ თხზულებათა ავტორების შემო-
ქმედებითი პორტრეტები, რომელთაგან უთუოდ გამოიყოფა
ერთი – შედარებით უფრო მიახლოებული შოთა რუსთაველ-
თან. ამასაც მხოლოდ კიპოთეზის ძალა ექნება, სანამ რაიმე
უფრო ხელმოსაჭიდი და სარწმუნო წყარო არ იქნება მიკვ-
ლეული.

მ. მარსაგიშვილმა სპეციალურად შეისწავლა და შეუ-
დარა ერთმანეთს თამარის პირველი და მეორე ისტორიებისა
და „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტერმინები და სტილისტური
კონსტრუქციები.²⁸ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებით
მან საეჭვოდ მიიჩნია თამარის მეორე ისტორიკოსისადმი ე.წ.
ბოლო მონაკვეთის მიკუთვნება, სადაც თამარის ავადმყოფო-
ბისა და გარდაცვალების ამბებია აღწერილი. ასევე, შოთა
რუსთაველის კავშირი აღნიშნულ თხზულებასთან.

მ. მარსაგიშვილი შენიშნავს, რომ რამდენადაც აღნიშ-
ნულ ძეგლებს შორის ავტორთა სტილისა და წერის მანერის

²⁸ მ. მარსაგიშვილი, თამარ მეფის მემბტიანეთა და შოთა
რუსთაველის მიმართებისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერა-
ტურის სერია, 1990, №4.

რაიმე სერიოზული მსგავსება არ აღმოჩნდა, ანტონის საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი არის თამარ მეფის ისტორიკოსი, კვლავ საკამათოდ რჩება.²⁹

საკითხის უკუთ გარკვევის მიზნით ჩვენ ამოვიკრიბეთ „ვეფხისტყაოსნიდან“, „ისტორიათა და აზმათა“-დან და თამარის მეორე ისტორიიდან სოციალური, სამოხელეო, პოლიტიკური და სხვა ტერმინები და შევუდარეთ ერთმანეთს. მასაღის სიუხვის გამო წარმოვადგენთ მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშს:

არის ტერმინები, რომლებიც გვხვდება თამარის მეორე ისტორიის ტექსტის მხოლოდ პირველ ნაწილში (კერძოდ, ბასიანის ბრძოლამდე): „აზნაური“, „ათაბაგი“, „ამირა“, „დარბაისერი“, „დედოფალი“, „ეზგური“, „ერისთავთ-ერისთავი“, „ეკსორია“, „თანასაყდარი“, „მოთავარი“, „მზარეული“, „მმარაიებელი“, „მნე“, „მონაპირე“, „მოქენე“, „მოდღუარი“, „ნიჯადი“, „პატრიარქი“, „ჟამთაღმწერელი“ და სხვ.

აგრეთვე არის ტერმინები, რომლებიც თამარის მეორე ისტორიის მხოლოდ მეორე ნაწილშია: „აგარაკი“, „ავაზაკი“, „ანდერძყოფა“, „არზანგი“, „ეზოსმოდღარი“, „ხეღამდგომელი“, „თავადი“, „მეებნე“, „მევირე“, „მემროწლე“, „მენავე“, „მეუფე“, „მეჩანგე“, „მთიბავი“, „მთხველი“, „მკურნალი“, „მცველი“, „მწოდებელი“, „ნაცვალი“, „საზრდელი“, „ხუცესი“, „ჯუარის მტერთველი“, „მატიანე“ და სხვ.

სხვა დანარჩენთაგან ცალკე გამოვეყავით „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ავტორის სამწერლობო ენისათვის განსაკუთრებით დაშახასიათებელი ტერმინები. ესენია:

„ელმოდა“ – სტიოდა, „აღზუავენება“ – გაამაყება. ამადლება; „წინასწარმცნობელობა“, „წინამბრძოლი“ – მოწინააღმდეგე, „მიმდემი“ – განუწყვეტელი; „ივენეს მიმდემნი დამისთევანი“, „აუზიდავი“ – გაქცევა – მიდრკეს სიულტოლად“. აღნიშნული ტერმინები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არ არის.

არის ტერმინები, რომლებიც გვხვდება თამარის მეორე ისტორიის ტექსტშიაც და „ვეფხისტყაოსანშიაც“. ესენია: „აზადობა“, „ანდერძყოფა“, „სპასალარი“, „სპასპეტი“, „სეფე“, „სეფის პირნი“, „მოციქული“, „მსახურება“ და „მონაპირე“. როგორც ვხედავთ, ამ ნაწარმოებთა ურთიერთშეჯერებით, მათი ტექსტოლოგიური და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მათ შორის განსხვავება სჭარბობს, ხოლო მცირე ტერმინოლოგიური დამთხვევა ამ ორი

²⁹ *მ. მარსაგიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

ავტორის მოღვაწეობის ერთიდაიმავე პერიოდით აიხსნება. ამრიგად, ჩვენის აზრით, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ავტორი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ორი სხვადასხვა პირია.

თამარის მეორე ისტორიკოსი თამარის ეპოქის თანამედროვედ, ხოლო მისი თხზულება იმ პერიოდში დაწერილად მიიჩნია კირილე თუმანოვიძე.³⁰ მისი აზრით, თამარის მეორე ისტორიკოსი, პირველი ისტორიკოსის მსგავსად, ადწერილი მოვლენების თანამედროვე და თვითმხილველია. ამასთან, თხზულებათა შედარებისას კ. თუმანოვიძე უპირატესობა „ისტორიათა და ასმათა“ ცნობებს მიაკუთვნა, რადგან ის უფრო სრულყოფილად მიიჩნია, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ბასილ ეზოსმოძღვარს სააშკარაოზე გამოაქვს მეფის კარზე მომხდარი ამბები, უხვად აქვს მოტანილი მასალა მეფის პირადი ცხოვრების შესახებ. გასარკვევი იყო რომელ რუსუდანს ეკუთვნოდა, ტექსტში არსებული ზემოხსენებული აღნიშნული ფრაზა, რადგან თუ მაჰიდას ეკუთვნოდა, მაშინ თხზულებაც უფრო ადრე დაწერილად გამოდიოდა, ხოლო თუ თამარის დის შესახებ მიეიწინევდით ცნობას – 80 წელს ქალწულად მიღწევის შესახებ, მაშინ თხზულების დაწერის დროც უფრო გვიან გადაიწყოდა, რადგან ეს ფაქტი ავტორისათვის იყო ცნობილი.

მკვლევართა უმრავლესობამ აღნიშნული ცნობა თამარის მაჰიდას, დემეტრე I-ის ქალიშვილს მიაკუთვნა. ამრიგად, თამარის მეორე ისტორია უფრო ადრე დაწერილად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ, თამარის გარდაცვალების უმაღლეს.

ი. ანთელავას აზრით, „თამარის მეორე ისტორია არ უნდა იყოს დაწერილი თამარის გარდაცვალების ახლო ხანაში და მისი თანამედროვის მიერ“.³¹ მკვლევარმა ხაზი გაუსვა თამარის მეორე ისტორიაში დაცულ ცნობას: „ხოლო შემოკრებეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი“³² – საეკლესიო კრების შესახებ. ი. ანთელავა აღნიშნავს, რომ „ტერმინი „ორი სამთავრო“ არ ეკუთვნის თამარის ხანას, არამედ მოგვიანო,

³⁰ შუა საუკუნეების ქართული ისტორიული ლიტერატურა, VIII-IX სს.

³¹ ი. ანთელავა, ბოცო-ბასილი აღის მონასტრის ალაპებში, წიგნში – XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 153.

³² ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 118.

ორი დავითის პერიოდისაა, და ამდენად თამარის მეორე ისტორია(უფრო გვიან უნდა იყოს დაწერილი.³³

ამ მოსაზრებას უპირისპირდება ნ. ბერძენიშვილის აზრი. ტექსტში დაცული ამავე ცნობის შესახებ.³⁴ მკვლევარს მიაჩნია, რომ აქ არის ნაგულისხმევი დასავლეთისა და აღმოსავლეთის საეკლესიო სამთავროები. თამარი ეკლესიის მიხედვით ერთიან ორგანიზაციად თვლის საქართველოს, მაგრამ ძველი საეკლესიო ორგანიზაციის კვალი მთლად დაშლილი არაა. მისი აზრით, აქ შეიძლება ქუთათელი ასრულებდეს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამთავროს მეთაურის როლს, მაგრამ არა კათალიკოსობით.

თამარის მეორე ისტორიის ტექსტიდან ნათელი ხდება, თუ სად დაიწერა თამარის ისტორია და სად იმყოფებოდა თხზულების დაწერისას მისი ავტორი. შესაძლებელია, ისტორიკოსი დიდი ხნის წინ მომხდარ ამბებსაც აღწერდეს, მაგრამ საყურადღებოა, რომ, როდესაც ავტორი ხაზს უსვამს თამარის დეაწლს ეკლესია-მონასტრების წინაშე არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს გარეთაც, ვფიქრობთ, ჩანს, თუ სად იმყოფება იგი თხზულების დაწერისას: „ხოლო იერუსალიმისათვის... წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმი-ფეშხუმებსა“.³⁵ აგრეთვე – „მოიწინეს... მონაზონნი შაკისა მთისა, ანტიოქიით და კუპრისა ჭალაკით... მთაწმიდით და მრავალთა აღგილთად... შეიწყნარა თამარ... არა გაუშენა... მისცნა ყოველთა დიადი... აღავსნა ყოველითა საჯმრითა... მისცა დიდძალი ოქრო... წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწინეს“.³⁶ ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილ არც ერთ მონასტერში არ მოღვაწეობს თამარის მეორე ისტორიკოსი, ის საქართველოშია, მეფის კართან ახლოს მდგომი პირია, მეფესთან ერთად ხედება საქართველოში ჩამოსულთ.

თამარის პირველ და მეორე ისტორიკოსთა თხზულებების შესწავლისას ჩვენ შევეცადეთ გვეპოვნა მათ შორის მსგავსება, ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე დაგვედგინა ამ ორ პირთა შორის რომელია თამარის თანამედროვე.

³³ ი. ანთელაეა დასახ. ნაშრ., გვ. 156.

³⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 176.

³⁵ ქკ, II, გვ. 141.

³⁶ იქვე, გვ. 142.

„ისტორიათა და აზმათა“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტექსტების შედარებითმა შესწავლამ გვინიყენა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი უფრო გვიან მოღვაწეობდა, რადგან ის განსხვავებები, რომლებიც დღემდე აღმოჩნდა ამ თხზულებებს შორის, მოწმობს, რომ მეორე ისტორიკოსი უფრო გათვითცნობიერებულია თამარის ცხოვრების დეტალებში. თამარის მეორე ისტორიკოსს აქვს აღწერილი ძრავალი ყოფითი სურათი, მოტანილი აქვს არაერთი ცნობა ბეჭის შესახებ, რომელიც არათუ თანამედროვეს, არამედ მხოლოდ მასთან დაახლოებულ პირს შეეძლო სცოდნოდა.

ავტორი თვითმხილველი და დამსწრე ჩანს აღწერილი ფაქტებისა. ის ცოცხალი სურათებით ამდიდრებს თხზულებას, დაწვრილებით აქვს აღწერილი საეკლესიო კრება. იქმნება კრების რეალური სურათი, შთაბეჭდილება, რომ ავტორი თვით ესწრება ამ კრებას, რაც ამაგრებს მოსასრებას, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი საეკლესიო პირია. კრების აღწერისას ავტორი ამბობს: „ჯდა უკუე თამარ მცირედ-უამ შორის მათსა, მერმე მოიღო კურთხევა მათგან და წარვიდა პაღატად თუსად“.³⁷ ესვეც იქ დამსწრის გამოხატულებაა. ამავე კრებას ესწრება ანტონ ქუთათელი, საღირის ძე, რომელიც ავტორს საინტერესოდ ჰყავს დახასიათებული: „ანტონ ქუთათელი, საღირის-ძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმითა და სიტყვთ“.³⁸ ნათლად გამოსჭვივის ავტორის გარკვეული სიხსლოვე, პირადი სიმპათია ანტონ ქუთათელისადმი.

რეალურ სურათს იძლევა თამარის მეორე ისტორიკოსი, როდესაც მიუსლიმანთა (სპარსთა) შესახებ მოგვითხრობს: „სპარსნი... უღონოებამან მოიცუნა... შეიღებნეს სამოსელნი და პირნი და მივიდეს წინაშე ხალიფასსა... რათა უბრძანოს ყოველთა სპარსელთა შეწყენად მათდა“.³⁹ ხალიფამ „იღუქმად წარაველინა“ კაცი სპარსეთს. სპარსელებმაც „იწყეს ამოღმართ რომ-გვროს და ინდოეთისა და ქუემთო სამარყანამდი და დარუბანდამდი... შეკრბეს ადარბადაგანს და მაშინდა გააქულავენეს წაკიდება თუსი“⁴⁰ ამბობს ავტორი.

³⁷ ქც, II, გვ. 118.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე, გვ. 125.

⁴⁰ იქვე.

აქვეა საინტერესო შტრიხი თამარის პორტრეტისათვის - „უბრძანა... არა ავითა გულითა არცა დედაკაცურითა ხიტყვითა“.⁴¹ შეკრებილიყო ქართველთა ღაშქარი. გამარჯვებულებს გახარებული ხედება თამარ მეფე: „მოუგებოდა მათ... ისარებდა და მადლობდა ღმერთსა, მოიკითხვიდა თუთუელსა, ვითარცა შეილთა“.⁴² ასევე - „შევიდა თამარ და დავით და შეიღეს დროშა ნუქარდინისი... შეიყვანეს პირველად ეზინკელნი“⁴³ და სხვ. ავტორი თანამონაწილე, თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ამბებისა, ადამიანები, რომელთა შესახებაც გვაწვდის ცნობებს, მის დროს მოღვაწეობდნენ. მაგ.: ასპაანის-მის დახასიათებისას ნათქვამია: „...გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არცა, ღმერთო, უბელო“.⁴⁴ თითქოს ასპაანის სიცოცხლეშია დაწერილი ეს ფრაზა.

ავტორის თვალთ ნანახი სურათები უხვად არის გადმოცემული ტექსტში. სპარსეთზე გამარჯვების შემდგომი სცენის აღწერისას იგი ამბობს: „ინდოეთითგან მზარეულნი, წუერითა ზიდვითა მოიყვანებდეს წინაშე დავით მეფისა“;⁴⁵ აგრეთვე, განძაში გამართულ დღესასწაულს ასე აღწერს ავტორი: „ღორის ჳორცითა დიდად ძალი პურობა გარდაიჭადეს“.⁴⁶ ეს ფრაზებიც - „ესეოდენ მოსაწყინელიცა იყო სიძრავლე იგი ტყუეთა“;⁴⁷ „ადივსნეს ყოველნი ველნი გარემო ტყილისისანი“⁴⁸ და „ვიდრემდის თოვლმან არა დაამძიმის კარაი“;⁴⁹ მნახველის მიერ გამოთქმულს ჰგავს,

თამარის მეორე ისტორიკოსი არა ყალბი პათოსით, არამედ თავშეკავებული აღფრთოვანებით გადმოგვცემს ქართველთა გამარჯვებას, თითქოს იგი მონაწილეობას იღებს საერთო დღესასწაულში.

⁴¹ ქც.
⁴² იქვე, გვ. 128.
⁴³ იქვე, გვ. 140.
⁴⁴ იქვე, გვ. 130.
⁴⁵ იქვე, გვ. 127.
⁴⁶ იქვე.
⁴⁷ იქვე, გვ. 128.
⁴⁸ იქვე.
⁴⁹ იქვე, გვ. 131.

სხარტი და ხორც⁵⁰ შესხმულია ცნობა თამარის ბრძანების გაერკველების შესახებ – „ბრძანება და წიგნები ქროდა მალე-მსრბოლთა“.⁵⁰

მეორე ისტორიკოსის თვითმხილველობაზე მიგვანიშნებს ტექსტის ის ადგილიც, სადაც ბასილი ეზოს მოძღვარია ნახსენები: „ერთითა ველითა თვთ მას (თამარს) ეპყრა ქელი ჯუარისა, ხოლო ერთითა ეზოს მოძღუარისა ბასილის და ჯკრის-მტყვიროველსა“.⁵¹

თვითმხილველის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია მკორე დეტალიც: „ესრეთ ნებიურად მდგომარე იყენეს და არა უდგა დარაჯნი სულტანსა“.⁵² ან კიდევ: „ვითარ იხილეს სულტანი (ქართველთა), კოტად ცხენნი აჩქარნეს და მიმართეს“,⁵³ „ვითარ იხილნეს სპარსთა, რამეთუ აუზიდავად მიდიოდეს, ღააგდეს სადგომი მათი და სიმაგრეთა მიმართეს“,⁵⁴ „ხოლო ქრისტიანეთა იხილნეს რა მათ წინაშე გაქცეულნი მიეტევენეს, და არა უტევენეს წარსლვად, არამედ გარემოიკვენეს“⁵⁵ – ამბობს ავტორი.

თამარის დასაფლავების აღწერისას მეორე ისტორიკოსი ამბობს – „სახელთა ზედა აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს“.⁵⁶ თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ციტატა ტექსტის იმ ნაწილშია, რომელიც არ ეკუთვნის თამარის მეორე ისტორიკოსს.

საყურადღებოა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი სოგჯერ მესამე პირში გადმოგვცემს ფაქტების მსვლელობას, არ ნანს მომხდარი ამბების თანამონაწილედ. ყველგან წერია „მითწივნეს“, „იახლნეს“, „იხილეს“, „მიეტევენეს“, „გარემოიკვენეს“ და სხვ. ეს არის მწერლის მიერ შერჩეული თხრობის თავისებური ხერხი. ამ გზით ავტორს სურს გარეშე თვალთ დაინახოს და მკითხველსაც დაანახოს თხსულებაში აღწერილი ამბები. შესაძლებელია, ეს საკუთარი ობიექტურობის ხაზგასმის სურვილით იყოს გამოწვეული. ამავე დროს მონაპირეთა

⁵⁰ ქც. გვ. 134.

⁵¹ იქვე, გვ. 136.

⁵² იქვე, გვ. 137.

⁵³ ქც. II, გვ. 137.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე, გვ. 146.

ლაშქრობების აღწერისას, აშკარად ჩანს ავტორის თანამონაწილეობა, თამარის სიახლოვეს ყოფნა: „ერთსა დღესა მოიწიის მრავალი ამბავი და მახარობელი, რომელთა ნამეცნავე არსდა შეუძლებელ არს აღწერა, ესე ღმერთმან უწყის თვით“.⁵⁷ ეს – „მოიწიის“, თითქოს მიუთითებს, რომ ავტორი თამარის კარსუა. მასთან ახლოს მდგომი პირია.

რიგ სიტუაციებში ჩანს მეორე ისტორიკოსის ემოციური განწყობაც კი აღწერილი ამბების მიმართ. ასე მაგალითად -- „ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხლომნი, მისგან ახმულნი... ხალიფა შეშინებულნი“⁵⁸ და სხვ., – ამბობს ავტორი. როგორც უკვე ითქვა, ეს ფრაზა შეეძლო დაეწერა ისტორიკოსს მონღოლ-თათართა შემოსევაზე, მანამდე, სანამ ძლიერი იყო საქართველო და ურყევი იყო მისი ძალაუფლება.

თამარის მეორე ისტორიკოსის ემოციურ განწყობასა და დამოკიდებულებას გადმოსცემს ფრაზა – „მირმირან შიშითა ცოცხალი გამოუშუეს“.⁵⁹

საოცარი სიცხადით არის დასურათებული თამარის ლოცვის სკენები: „თამარ უძლოდა წინა შიშუელთა ფერკითა და ცრემლითა ასოულებდა ღაწუთა თუსთა“⁶⁰ ან – „თვთ წარივადნა სამოსელნი ფერკითანი და ფერკივ შიშუელთა ფერკითა მიიწია ტაძარსა ღმრთის-მშობელისასა მეტეხთა“.⁶¹ ასევე - „თვთ (თამარ) განვიდა უმაღლესსა ადგილსა, სადა ყოველთა ხედვიდა, და დაეარდა მუკლთა თუსთა ზედა დიდხან, და ტიროდა წინაშე ღმრთისა. მერმე აღდგა რა იხილუებოდა ადგილი იგი ყოველად დაღტობილად ცრემლთაგან მისთა“.⁶²

ავტორი აღნიშნავს, რომ თამარს არ უნდოდა გიორგი რუსის შერთვა, ამბობდა – „არა ვიცი კაციისა ამის უცხოს ქცევა“-ო და მალე დამტკიცდა თამარის სიტყვები, რადგან გამოუვლინდა გიორგი რუსის „სკეითური ბუნება“ – „სიმძვრელეთა შინა საძაგელთა უწყსოებად იწყო მრავალთა“-ო, აღნიშნავს ისტორიკოსი.

⁵⁷ ქც. II, გვ. 130.

⁵⁸ იქვე, გვ. 123-124.

⁵⁹ იქვე, გვ. 128.

⁶⁰ იქვე, გვ. 134.

⁶¹ იქვე, გვ. 126.

⁶² იქვე, გვ. 136.

საინტერესოა, რომ თხზულების ავტორი არ ახსენებს სახელებით გიორგი რუსს და მის მომყვანს: „წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და... ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსაც; იგი მოიყვანებდეს“.⁶³

თამარის მეორე ისტორიკოსი თავიდანვე აძაგებს გიორგი რუსს, მისი მოყვანის გადაწყვეტილებას წინასწარვე უკმაყოფილო ხედება, რადგან თხზულების წერისას მან უკვე იცის ამ ქორწინების შედეგი. ავტორმა თავისუფლად გამოთქვა თავისი დამოკიდებულება გიორგი რუსისადმი მაშინ, როდესაც უკვე იცოდა, რომ თამარი გაშორდა მას. ასევე თავიდანვე ჩანს ავტორის სიმპათია დავით სოსლანისადმი, რადგან მან იცის, რომ დავითი თამარის ერთგული მეუღლეა.

თამარის ქმრის გაძევების დროსაც, როგორც უკვე აღინიშნა, თამარის მეორე ისტორიკოსი უფრო რეალურ სურათს გვიხატავს, ვიდრე პირველი. აქ თამარი არ ტირის, არამედ განრისხებულია. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარის“-ში საინტერესოა თხრობა მირმარანის შესახებ: „იყო ვინმე კაცი სპარსი, მარგანშეთ სიძე, სახელით მირმირან. ესე შემოხუეწით იყო წინაშე თამარისსა სათხოველისა რომლისათუსმე“...⁶⁴

ამასთან, მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა ავტორს, ტექსტში მაინც გამოსჭვივის მისი ნამდვილი სათქმელი, გულისტკივილი თამარის ქმრად გიორგი რუსის არჩევასთან დაკავშირებით: „ესოდენ მიძიქსა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“⁶⁵-ო.

აღსანიშნავია, რომ თხზულებაში თამარის მეორე ისტორიკოსი დაუფარავად, შეუნიღბავად გამოხატავს თავის პირად დამოკიდებულებას, სიმპათიას სხვა პირებისადმიც. მაგ.: მხარგრძელებისადმი. არაა აუცილებელი, ეს იმის მანყენებელი იყოს, რომ ავტორი არ ეკუთვნის მათ წრეს. შესაძლოა, გარკვეული სუბიექტური მიზეზების გამოც კილავედეს ამა თუ იმ პირს. ყოველ შემთხვევაში, ავტორი აშკარად გამოთქვამს თავის მოსაზრებებს და ისეთ შთაბეჭდილება იქმნება, რომ თხზულება არც იყო გათვალისწინებული შემდგომი გავრცელებისათვის, არ იყო შესრულებული ოფიციალური დაკვეთით.

⁶³ ქც. II, გვ. 119

⁶⁴ იქვე, გვ. 127.

⁶⁵ იქვე, გვ. 120.

ასევე მოურიდებელი აღფრთოვანებითაა ავტორის მიერ გადმოცემული თამარ ჭეფის გარეგნობაც: „ტანსა ზომიერბა გრემანობა თუალითა და დაწუთა სპეტაკთა სუდა ვარდგბრეც ფეროვნობა, მორცხვ ხედვა, ღალი მიმოსხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და უღიზღო სიტყვის სინარჩარე და ზრახვისა უნუკნობა“.⁶⁶

ტექსტის ბოლო ნაკვეთში აღწერილია თამარ ჭეფის საქმიანობა არა მხოლოდ სამეფო ტახტზე, ოფიციალურ გარემოსა და სახელმწიფო გამგებლობაში, არამედ მკედრო, ოჯახურ ვითარებაშიაც: „რაჟამს მოიცალოს მარტოებით ყოფად, ჭეის აღიღის სასთუელი, გინა სპკერავი და ნაშრომსა მას თვსთა ჳელითა“.⁶⁷

მეორე ისტორიკოსი ძალიან ახლოს იცნობს თამარს. მისი ცხოვრების მრავალ ნიუანსს. შესაძლოა, იგი თამარის ხუცესი ყოფილიყო.

საოცარი სიცხადითაა გადმოცემული თამარის გარდაცვალება. შესაძლოა ავტორი ესწრებოდა თამარის უკანასკნელ წუთებსაც კი. მათი აღწერა შუშანიკისა და იაკობ ხუცესის დამოკიდებულებას მოგვაგონებს ზოგჯერ.

„მუნ დგომასა შინა გამოაჩნდა სენი რამე“⁶⁸... „რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა მის სუდა“.⁶⁹

ავტორმა ისიც კი იცის, რომ თამარი დიდხანს ყარავდა თაყის ავადმყოფობას, – „დიდხანს ყარვიდა, რათა არაყინ შეაწუხოს გარნა ურგებელ იქმნა რა ჳირი, არა მიმთუალველი კურნებისა, მაშინდა განაცხადა“.⁷⁰

მხოლოდ თამართან გამორჩევით დაახლოებულ პირს შეუძლო სვოდნოდა მის მიერ დიდხანს დაფარული ავადმყოფობის შესახებ. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო თამართან ესოდენ დაახლოებული პირი? ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ – „საბრალობელ მინნს დიდად ერთუულნი იგი კაცნი, თუ ვითარ უგულებელს ყვეს უგოდენი ტკივნეულობა მისი, რამეთუ

⁶⁶ ქც. II, გვ. 116.

⁶⁷ იქვე, გვ. 147.

⁶⁸ იოანე ბაგრატიონის ცნობით, თამარი თითქოს ჳლეკით ყოფილა ავად.

⁶⁹ იქვე, გვ. 144.

⁷⁰ იქვე, გვ. 144.

წარმოიყვანეს კუბოთა ტფილისს... და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად გაძნელდა ხენი იგი უწყალო“-ო.⁷¹

და კელაჲ, ბოლო ნაკვეთში თვითმიხილველის მიერ არანვეულებრივი სიცხადით ჩანს აღწერილი თამარის ხენისაგან დაუძღურება: „ლაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭკნობად. და თუალთა მათ ტბაებრ შისა შემცხრომელთა სიმრუქედ მიმართეს“.⁷² ასევე – „შემოუწოდა ყოველთა... განიმტკიცა თავისთვის, და მკნედ მჯდომარე ესრეთ ეტყოდა – გვეფერები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მაკსენებელ ჩემზედა“.⁷³ ეს სიტყვები უფრო ავტორის სურვილს გამოხატავს, ვიდრე მომაკვდავი თამარის მიერ წარმოთქმულს. ავტორი შიშობს, რომ მომავალში თამარამ არ დაივიწყოს თამარი, მისა საქმენი. აქედანაც ჩანს, რომ მეორე ისტორიკოსი თამარის თანამედროვეა. შესაძლოა იგი ესწრებოდა თამარის გარდაცვალებას – „მერმე უკანასკნელ კმა აღმოუტკევა ჯა ყოველთა მშუდობა მისცა ესრეთ მეტყუელმან“⁷⁴ – ამბობს ავტორი. ფრაზაც – „ესრეთ გუანდა, დაღათუ ჩუენ თანა იგლოვეს ცა და ყოველი სოფელი“⁷⁵ – პირველ პირშია ნათქვამი ავტორის მიერ, იგი დამწუხრებელია თამარის გარდაცვალების გამო.

თამარის მეორე ისტორიის ავტორი თვითონვე ამბობს ტექსტში, რომ იგი თვითმიხილველია აღწერილი ამბებისა: „ვითარცა თვთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყვსაებრ ბრძნისა“⁷⁶ – ამბობს იგი. აგრეთვე – „ამიერთგან განგება ღირს, რომელმან შეუძლოს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თვთეულად ვერავენ აღრიცხუნეს, აგრეთვე ვერცაყინ ესენს აღწერნეს, და რომელთა ოდენ შეუძლონ, საეტყუელ მინის მამავალთაგან შემდგომად არა დარწმუნებად“.⁷⁷ ავტორი აშკარად გამოთქვამს, რომ ძნელად თუ მოიძებნება მომავალში ისეთი ადამიანი, ვინც აღწერს თამარის ცხოვრებას.

71 ქც. II, გვ. 144.
72 იქვე, გვ. 145.
73 იქვე, გვ. 145.
74 იქვე, გვ. 145.
75 იქვე, გვ. 146.
76 იქვე.
77 იქვე, გვ. 123.

ნაწარმოები თამარის გარდაცვალების შემდგომ არის დაწერილი. ავტორი აფასებს თამარის ეპოქას, როგორც უკვე განვლილს: „არა ვერავისა ღონითა აცხოვნებდა ერსა“,⁷⁸ „დღეთა შინა თამარისთა არაეინ გამოჩნდა მიმძლავრებული მკაცრიერებითა მისისთა, არცაეინ დასჯილი“,⁷⁹ „არა ოდენ თვისსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა“,⁸⁰ „სა'სარელ იყო თამარ მტერთა სუდა“. ⁸¹ პირველი ისტორიკოსისგან განსხვავებით, მეორე ისტორიაში მოიპოვება ორი საგულისხმო ცნობაც: თამარი, გარდაცვალების შემდგომ „მცირედთა შინა დღეთა მცხეთად დადევს“, შემდგომ კი გელათს „დაამკვიდრეს“.⁸²

პირველ ისტორიაში, მცხეთად დასვენების ამბავი არ არის აღნიშნული. აგრეთვე, თამარის მეორე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარმა სიკვდილის წინ შეავედრა უფალს თავისი შეილები, გიორგი და რუსუდან და ისინი წარჩინებულთ წააბარა.⁸³ ეს ფაქტი განსხვავებულად არის „ისტორიათა და სხმათა“ ტექსტში. აქ მოკლედაა ნათქვამი თამარზე, რომ „სამეფო დაუტევა ძესა თვისსა ლაშას“.⁸⁴ ასევე საერთოდ არ მოიპოვება თამარის პირველ ისტორიაში ცნობა თამარის მეორე შეილის, რუსუდანის დაბადების შესახებ. თამარის მეორე ისტორიაში კი აღნიშნულია, რომ ლაშას დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ „დაორსულდა (თამარ) და შვა ასული... რუსუდან“.⁸⁵

საყურადღებოა ისიც, რომ, როდესაც ავტორი ლაშა გიორგის დაბადების ფაქტს აღნიშნავს, თხზულებაში ნათქვამია: „ყოველითურთ მსგავსი პაპისაო“,⁸⁶ ხოლო თამარის ასულს, რუსუდანს, თვით თამარს ადარებს - „თვისი შემსგავსებული“-ო.⁸⁷

⁷⁸ ქც. II, გვ. 141.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე, გვ. 143.

⁸² ქც., გვ. 146.

⁸³ იქვე, გვ. 145.

⁸⁴ იქვე, გვ. 143.

⁸⁵ იქვე, გვ. 143.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ იქვე.

თამარის მეორე ისტორიაში მოიპოვება უაღრესად საინტერესო ცნობები მონაპირეთა ინსტიტუტის შესახებ.⁸⁸ რომელიც აგრეთვე „კეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება, ხოლო პირველ ისტორიაში არ არის ნახსენები. მონაპირეთა ინსტიტუტი კი სწორედ თამარის დროს არსებობდა საქართველოში.⁸⁹

მონაპირეები ანუ სახდერების დამცველნი, სპასალარების და ამირსპასალარების მეთაურობით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მათი მოვალეობანი მეფის მიერ იყო დაწესებულიც და შემოფარგლულიც, საკუთარი ინიციატივით მესობედო ქვეყნის შემფრთხილება ან რომელიმე ქალაქის დარბევის უფლება მათ არ ჰქონდათ. ეს დისციპლინა, ხაერთოდ მთელი ხალხის ერთად დარაზმულობა აღმოჩნდა ქვეყნის სამხედრო ძლიერების საწინდარი. წერდა რა თამარის დროის ისტორიკოსი მონაპირეთა და საერთოდ ქვეყნის სიძლიერის შესახებ, ექვობდა კიდევ, — ირწმუნებდა თუ არა შემდგომი თაობა მის მაგარ აღწერილს: „...რათა არა ტყუილი ვისმე და სღაპარი გისინდეს თქმულნი ესე მომავალთა ჟამთა“.⁹⁰

ტექსტში ხშირად არის მოტანილი თამარის სიტყვებაც.

ამგვარად, ამ ორი ისტორიის ტექსტების შეჯერებისას აშკარაა, რომ მეორე ისტორიკოსისათვის მრავალი ისეთი დეტალია ცნობილი, რაც პირველი ისტორიკოსისათვის უცნობია.

რა თქმა უნდა, ასევე მრავალი ცნობა, რომელიც თამარის პირველ ისტორიკოსს მოუპოვება, მეორესთან არ გვხვდება. შესაძლოა, თხზულების დაკარგულ ნაწილში იყოს ეს ცნობები, ან თამარის მეორე ისტორიკოსმა შეგნებულად აუარა გვერდი სოციერთ მომენტს, მაგალითად: ყუთლუ-არსლანის დასახე და თამარის გამეფების პირველ წლებში მომხდარ შინაურ ბრძოლებს. არ არის გამორიცხული, რომ მან საგანგებოდ აარიდა თავი თამარის გამეფებასთან დაკავშირებულ უთანხმოებას და ნათელ ფერებში გადმოგვცა სამეფო კარის ამბები, რათა თამარის განდიდებისათვის სათანადო ფონი შეექმნა.

⁸⁸ ქც., გვ. 129-131.

⁸⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 92; ვ. ღონღუა, რუსთაველის ეპოქის საქართველო. — საისტორიო ძიებანი, IV, თბ., 1973, გვ. 78-79.

⁹⁰ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1944, გვ. 35.

თამარის პირველი („ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“) და მეორე („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“) ისტორიების შედარება არაერთ მიკვლევარს ჩაუტარებია. მათი ისტორიულ რიგზე ურთიერთშეჯერებისას ყურადღება ექცევა თხზულებებში მოცემული ცნობების ინტერპრეტაციას. ერთსა და იმავე ფაქტს თამარის პირველი და მეორე ისტორიის ავტორები განსხვავებულად გადმოგვცემენ. სხვაობს აგრეთვე მათი დამოკიდებულებაც რომელიმე ისტორიული პირის ან მოვლენის მიმართ. არის ცნობები, რომლებიც მხოლოდ პირველ ან მხოლოდ მეორე ისტორიაშია დაცული. ამდენად, ეს არა ძეგლი ერთმანეთს ავსებს.

მაგალითად: თამარის მეორე ისტორიის ტექსტის დასაწყისში მოკლედ არის აღნიშნული გიორგი III-ის გამეფება, გარდაცვალება,⁹¹ ხოლო პირველ ისტორიაში ტექსტის ვრცელი ნაწილი გიორგი III-ის მეფობას, მის პოლიტიკურ საქმიანობას ეხება.⁹² ეს უკანასკნელი გიორგი III და თამარის ცხოვრებაა.

მეორე ისტორიის ტექსტში დაცულია ცნობა თამარის დის – რუსუდანის შესახებ,⁹³ რაზეც არაფერია ნათქვამი პირველ ისტორიაში, ლაშა გიორგის დროის მატიანეში.

თამარის მეორე ისტორიაში არის მოცემული თამარის გამეფების შესახებ თარიღიც. „დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექუსითას ექუსასათხმოცდა ექუსსა, ქორონიკონსა თთხას და სამსა“.⁹⁴

თამარის მეორე ისტორიკოსს მოეპოვება საგულისხმო ცნობები საეკლესიო კრების შესახებაც,⁹⁵ რაზეც არაფერია თქმული თამარის პირველ ისტორიაში, ხოლო შინაპოლიტიკური ბრძოლებისა და ყუთლუ-არსლანის შესახებაც, როგორც აღუნიშნეთ, არაერთარ ცნობას არ გვაწვდის თამარის მეორე ისტორია, არ არის თამარის პირველი ქმრის მომყვანის სახელიც. თუმცა პირველ ისტორიკოსს დასახელებული პყავს

⁹¹ ქც. II, გვ. 115.

⁹² იქვე, გვ. 1-25.

⁹³ იქვე, გვ. 115.

⁹⁴ იქვე, გვ. 116.

⁹⁵ იქვე, გვ. 117-118.

ვინმე – “სანქელ სორაბაბულ”,⁹⁶ რომელმაც მოიყვანა გიორგი რუსი, სუხდალის თავადი იური, ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი.

„ორისა და ნახეურისა წელთა“ ითმენდა თამარ უკუოვრებათა რუსისათა“⁹⁷ – აღნიშნულია თამარის მეორე ისტორიაში. პირველ ისტორიაში კი ვკითხულობთ – „ითმენდა თამარ... ორ წლამდის“.⁹⁸

პირველ ისტორიაში, როგორც უკვე აღინიშნა, სხვაგვარად არის გადმოცემული გიორგი რუსთან თამარის გაშორების სცენა(კ.⁹⁹ აქ თამარი განიცდის, სუსტი ქალია, ხოლო მეორე ისტორიაში იგი ამაყი და ძლიერი პიროვნებაა.¹⁰⁰

საყურადღებოა, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარის“-ში მოკლულაა ნათქვამი, რომ ივანე მხარგრძელმა „სჯული სომეხთა“ დააგდო და „ნათელ იღო“.¹⁰¹ ხოლო პირველ ისტორიაში ვრცლად არის გადმოცემული სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრება,¹⁰² უფრო დაწვრილებით აქვს გადმოცემული აგრეთვე, სამოხელეო აპარატში თამარის გამეფების დროს მომხდარი ცვლილებებიც, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს,¹⁰³ მასწინ, როცა, მეორე ისტორიაში მხოლოდ ანტონ გლუნისთავისძის, ზაქარია და ივანე მხარგრძელთა და ჭიაბერის შესახებაა საუბარი.¹⁰⁴

თამარის ასულის, რუსუდანის დაბადება მხოლოდ მეორე ისტორიაშია აღნიშნული,¹⁰⁵ პირველ ისტორიაში კი ამასე არაფერია ნათქვამი და მხოლოდ ერთგან წერია – „იხარებდეს... თამარ... ორთა შვილთა თანა“¹⁰⁶-ო.

როგორც უკვე აღინიშნა, თამარის მეორე ისტორიკოსი საგანგებოდ არ აღწერს ლაშქრობებს, თამარის დროს მომხდარ

⁹⁶ ქც. II, გვ. 37.

⁹⁷ იქვე, გვ. 120.

⁹⁸ იქვე, გვ. 41.

⁹⁹ იქვე, გვ. 41.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 121.

¹⁰¹ იქვე, გვ. 123.

¹⁰² იქვე, გვ. 81-90.

¹⁰³ იქვე, გვ. 32-34.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 123.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 124.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 75.

ბრძოლებზე არ ამახვილებს ყურადღებას,¹⁰⁷ როგორც პირველი ისტორიკოსი. ტექსტში ვრცლად და ხატოვნად არის გადმოცემული თამარის ღოცვის სცენები, რაზეც არაფერია ნათქვამი პირველ ისტორიაში.

მეორე ისტორიკოსი ხაზს უსვამს თამარის საქმიანობას ეკლესია-მონასტრების განმტკიცებისათვის, ბასილი ესოსმოძღვრის შესახებ ცნობაც მხოლოდ ამ ისტორიაშია.¹⁰⁸

პირველი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მეორეს მოეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ „საქარიაჲ და იყანე (მხარგრძელეჲმა) განძა მირ-მირანს მისცეს.“¹⁰⁹ მეორე ისტორიკოსი ამ ფაქტთან დაკავშირებით თავის უკმაყოფილებასაც გადმოგვცემს.

თამარის მეორე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარის დროს არაფინ ისჯებოდა არც სიკვდილით, არც „ასოთა მოკუეთით“. დაუსჯიათ მხოლოდ მეფისაგან გამდგარი და მის წინააღმდეგ მებრძოლი ფეოდალი გუშანი სამხრეთ საქართველოდან, ისიც თამარისაგან ფარულად, დავით სოსლანის ბრძანებით.¹¹⁰

სხვაგვარად გვაწვდის ამავე გუშანის შესახებ ცნობებს თამარის პირველი ისტორიკოსი: გუშან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა,¹¹¹ „გაიტანს“ ტაოს-კარს, ვაშლოვანს, წავა შაპარმენის ქვეყანაში და მასთან ერთად კოლის მთასთან შეყრის ლაშქარს ქართველთა წინააღმდეგ. გუშანს დაამარცხებენ საქარია ფანასკერტელი, „ძინიელნი“ და „კაღმახელნი“. შეიჭრობენ გუშანის ცოლ-შვილსაც, რომელთაც თამარ მეფე შეიწვიალებს.¹¹² პირველ ისტორიაშივე ჩანს გუშანი შეწვიალებულთა სიაში, სხვა დიდებულებთან ერთად.¹¹³

თამარის მეორე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ თამარმა თავისი მეფობის 23-24 წელს იკითხა კარის ამბავი, რადგან სარგის თმოგველი და სხვანი ვერ იღებდნენ კარს.¹¹⁴

¹⁰⁷ მაგ. მოკლედია ნათქვამი, რომ ქართველთა მიერ აღებულ იქნა ანისი და დვინი (გვ. 130).

¹⁰⁸ ქც. II, გვ. 136.

¹⁰⁹ ქც. II, გვ. 127.

¹¹⁰ იქვე, გვ. 127.

¹¹¹ იქვე, გვ. 49.

¹¹² იქვე, გვ. 55-56.

¹¹³ იქვე, გვ. 81.

¹¹⁴ იქვე, გვ. 143.

პირველ ისტორიაში არაა მოცემული კარის აღების თარიღი, ხოლო თვითონ ფაქტს, რუქნ-ად-დინის ლაშქრობის ამბავი მოსდევს.¹¹⁵

თამარის ავადმყოფობა და გარდაცვალება მოკლედ აქვს გადმოცემული პირველ ისტორიკოსს,¹¹⁶ მაშინ, როცა მეორე ისტორიის ბოლო ნაკვეთის ვრცელი ნაწილი თამარის ავადმყოფობას, გარდაცვალებას, გლოვას ეხება, თითქოს ეს არის თქსულების ძირითადი მიზანიც.¹¹⁷ თამარის გარდაცვალების თარიღიც „თუქსა იანვარსა ის“, მხოლოდ მეორე ისტორიაშია.¹¹⁸

თამარის მეორე ისტორიაში მოიპოვება ცნობა ლიპარციის ძეგა შესახებ,¹¹⁹ მაგრამ არაა აღნიშნული, რომ სამეფო ღაშას დაუტოვა თამარმა სიკვდილის წინ, რასაც პირველი ისტორიიდან ვგებულობთ.¹²⁰

მეორე ისტორიაში არ არის ფაქტი ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალების შესახებ,¹²¹ რაც მოიპოვება პირველ ისტორიაში. მასშივეა აღნიშნული, რომ ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, თამარმა ივანეს შეაძლია ამირსპასალარობა, ხოლო ივანემ ამასე უარი თქვა და ათაბაგობა ითხოვა.¹²² ეს ცნობა მეორე ისტორიაში არ მოიპოვება.

თამარის მეორე ისტორიაში პირველ ისტორიკოსთან შედარებით, ნაკლები ისტორიული პირები არიან ნახსენები. მაგალითად, პირველ ისტორიაში თამარის ქმრად გიორგი რუსს ასახელებს – აბულასან-ამირა ქართლისა.¹²³ მის შესახებ მეორე ისტორიკოსი არავითარ ცნობას არ გვაწვდის. ასევე არაფერია აქ, როგორც აღინიშნა, გიორგი რუსის მომყვანი ზანქელ სორაბაბელის შესახებაც.

თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსები, მთელ რიგ შექმთხევეებში, სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ მომხდარ ამბებს. მრავალს უმატებენ ან აკლებენ, გვაძლევენ ფაქტების სა-

¹¹⁵ ქვ. II, გვ. 92.

¹¹⁶ იქვე, გვ. 112-113.

¹¹⁷ იქვე, გვ. 144-150.

¹¹⁸ იქვე, გვ. 146.

¹¹⁹ იქვე, გვ. 131.

¹²⁰ იქვე, გვ. 113.

¹²¹ იქვე, გვ. 109.

¹²² იქვე, გვ. 110.

¹²³ იქვე, გვ. 36.

კუთარ გააზრებას, გამოხატავენ მათდამი თავიანთ დამოკიდებულებას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ორი ისტორია ერთმანეთს ავსებს. მეორე ისტორიის ტექსტი თითქმის არ იმეორებს პირველი ისტორიკოსის მიერ აღწერილ ფაქტებს. ან ავსებს მათ უფრო ხატოვნად, მაგრამ მოკლედ გადმოგვცემს, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მეორე ისტორიაში მოიპოვება მრავალი საგულისხმო ცნობაც, რაც პირველ ისტორიკოსს არ აქვს მოტანილი.

თამარის პირველი და მეორე ისტორიების შედარებით ანალიზის საფუძველზე გაირკვა აგრეთვე, რომ ზოგიერთი ისტორიული ფაქტი ან ცნობა, ორივე ისტორიკოსს ერთგვარად აქვს გადმოცემული. მაგ.: გიორგი რუსს ორივე ისტორიკოსი უარყოფითად ახასიათებს, მაგრამ პირველი ისტორიკოსი თავიდან არაფერს ამბობს ამასზე, მეორე კი — თავიდანვე გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ გიორგი რუსის ამრწველებმა „ვერ კეთილად“ განაგეს ეს საქმე.

ცნობა იმის შესახებ, რომ თამარ და დაეით დიდებულს შეიყარნეს და იქ იქორწინეს, ორივე ისტორიკოსს აქვს აღნიშნული.¹²⁴ ბასიანის ბრძოლის აღწერაც პირველსა და მეორე ისტორიკოსებს მსგავსად აქვთ გადმოცემული.

ამრიგად, თამარის ეპოქის შესახებ არსებული ორი ისტორიის შესწავლის საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვაძლევს შევახსოვოთ XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიული სურათი. თამარის მეორე ისტორია „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ განსხვავდება თამარის პირველი ისტორიისაგან — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. იგი დამოუკიდებელი წყაროა და მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ავტორი მოვლენების საკუთარ გააზრებას გვაწვდის, თავისებურად, საინტერესოდ აღწერს ფაქტებს, რითაც კიდევ უფრო იზრდება წყაროს ღირებულება.

თვით თამარის ისტორიის ტექსტშივე მოიპოვება საგულისხმო ცნობები იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყო თამარის ისტორიკოსებს შორის უფრო ადრინდელი. აქ ნათქვამია — „რათა არა ტყუილი ვისმეს ეგონოს და სდაპარი განნდეს თქმულნი ესე მომავალთა უამთა“.¹²⁵ ეს სიტყვები ადასტურებს

¹²⁴ ქც. II, გვ. 47, გვ. 122.

¹²⁵ ქც. II, გვ. 128.

ჩვენს ვარაუდს, რომ თამარის მეორე ისტორიის ავტორი მისი თანამედროვეა.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად პირობითია „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ავტორის თამარის მეორე ისტორიკოსად მიჩნევა, ხოლო „ისტორიანი და აზიანი შარავანდედთანი“-ს ავტორის – თამარის პირველ ისტორიკოსად, თუმცა ტრადიციულად, შესაძლოა, დარჩეს კიდევ ეს პირობითი სახელწოდებები და თხზულებებიც „პირველ“ და „მეორე“ ისტორიებად იწოდოს მხოლოდ აღმოსწინის რიგის გამო.

ტექსტში ყურადღებას იქცევს ფრაზა – „მხიარულად ამბისაგან მეტყველი პირი აწ მწუხარებისა მიმართ მიიქცევის, რამეთუ მეფულეების აწ წარმოთქმა ყოვლისა სოფლისა საგლოველისა ამბისა“¹²⁶ – რომელიც სათაურივითაა გამოყოფილი, თითქოს ესაა თხზულების ძირითადი მიზანი.

შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ეს თხზულება არც იყო გათვალისწინებული „ქართლის ცხოვრებაში“ შესატანად. ნაწარმოები არ უნდა წარმოადგენდეს ოფიციალურ ისტორიას. იგი უფრო ავტორის თვალთ დანახულსა და განცდილ-გააზრებულს გადმოსცემს.

ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. თამარის მეორე ისტორიკოსი თამარის თანამედროვეა და მასთან დაახლოებული პირია.
2. აქედან თხზულებაც დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდგომ ახლო პერიოდში.
3. მეორე ისტორიის ავტორი სასულიერო პირი ჩანს.
4. იგი მხოლოდ საკუთარი თვალთ დანახულსა და განცდილს აღწერს, ვფიქრობთ, თამარის ისტორიის აღწერისას მას არ უსარგებლია რომელიმე წერილობითი წყაროთი.

¹²⁶ ქც. II, გვ. 144.

§1. ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიაში

ძველი ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლები ღარიბია ქრონოლოგიური მონაცემებით. საკმარისია ითქვას, რომ ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროს „ქართლის ცხოვრების“ სოგიერთ თხზულებაში საერთოდ არ არის ნაჩვენები თარიღები, ხოლო რაც არის, ისიც საგანგებო კვლევასა და დასუსტებას საჭიროებს.¹

ამავე დროს ნებისმიერი პერიოდის ისტორიის გადმოცემის დროს ფაქტები აუცილებლად უნდა დალაგდეს ქრონოლოგიურად, განისაზღვროს როგორც სივრცეში, ისე დროშიც.² ამის გამო მკვლევარნი იძულებულნი არიან სხვადასხვა არაპირდაპირი მონაცემით და პარალელური მასალით ისარგებლონ საქართველოს ისტორიის თარიღების დადგენის დროს და სოგჯერ სავარაუდოდ განსაზღვრონ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა.

მწირი მასალა მოიპოვება წყაროებში თამარის მეფობის ხანის ქრონოლოგიისათვისაც. „ქართლის ცხოვრების“ შევსებისა და რედაქტირების დროს, როგორც უკვე აღინიშნა, ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიამ დიდი სამუშაო ჩაატარა, მნიშვნელოვნად შეავსო თამარის პირველი ისტორიის ტექსტი

¹ *თ. ჟორდანიას*, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფ., 1892, გვ. LII, LIV; *ა. ბარამიძე*, ნარკვევები XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბ., 1979, გვ. 76; ი. ჯავახიშვილი იძულებული იყო ისიც კი ეთქვა, რომ „ქართველ ისტორიკოსებს ქრონოლოგიური ცნობებისათვის მაინცდამაინც თავი ძალიან არ შეუწყუხებიათ“, იხ. *ი. ჯავახიშვილი*, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977).

² *ჟ. ოდიშელი*, მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაუთმო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 3; *Э. Бикерман*, Хронология древнего мира, М., 1976, стр. 7.

სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ცნობებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქრონოლოგიურად არ გაუმდიდრებია თამარის ხანის ისტორია.³ პირველმა ვახუშტი ბაგრატიონმა ზედა ისტორიული თხზულებების ხელახლა გადამუშავება და თარიღებით გამდიდრება.⁴ ვახუშტი გვევლინება ქართული ქრონოლოგიის ფუძემდებლად, მაგრამ, როგორც პლ. იოსელიანმა აღნიშნა, მისი ქრონოლოგია მკაცრ კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს.⁵ თუმცა, მიუხედავად გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომებისა, ვახუშტის მონაცემები მაინც დიდად საყურადღებოა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისათვის.⁶ ეპოქის ქრონოლოგიის დადგენაში დიდი დამსახურება მიუძღვით მარი ბროსეს და ი. ჯავახიშვილს. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წლებშიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სოგიერთი მოვლენის თარიღი დღესაც საკამათოა სკენს ისტორიოგრაფიაში.“

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობაში ხშირად დარღვეულია მოვლენათა თანმიმდევრობა.⁷ აღნიშნულია აგრეთვე, რომ „ისტორიანი და ახმანი“ არ არის სუსტ ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი თხზულება, რომ მასში გვხვდება ქრონოლოგიური წინააღმდეგობანი.⁸ არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომლის მიხედვით თამარის მეორე ისტორიკოსსაც „თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სრულებით არ აინტერესებს და იგი არც იცავს მას.“⁹

³ რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ახმანი შარავანდელთანი“, თბ., 1975, გვ. 105-106.

⁴ ა. ბარამიძე, ნარკვევები XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიიდან, გვ. 91-93.

⁵ იქვე, გვ. 96.

⁶ რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და ახმანი შარავანდელთანი“, გვ. 130.

⁷ ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის სოგიერთი საკითხი იბნ-ალ-ასირის ცნობათა შექსე. საქართველოს რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 10, 116-120, 126-127.

⁸ ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 93, 95.

⁹ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1956, გვ. 121.

უკელაფერი ეს, რა თქმა უნდა, ართულებს XII ს-ის უკანასკნელ ოცწლეულსა და XIII ს-ის დამდეგის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის აღდგენას და ამავე დროს გადაუდებლად აყენებს დღის წესრიგში არსებული მასალის უკრო დრმა და ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობას.

ამრიგად, ჩვენ განვიხილავთ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში დაცულ ქრონოლოგიურ მასალას და შევეცდებით ვუჩვენოთ მისი მნიშვნელობა თამარის მეფობის ხანის ისტორიულ მოვლენათა დათარიღების საქმეში.

თხრობის დასაწყისში ისტორიკოსი გვაწვდის ცნობას თამარის მამის გიორგი III-ის გამეფების შესახებ: „დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შვილისა“¹⁰ ქორონიკონსა სამას სამოცდაოთხუთმეტსა.¹¹

კინკლოსური ცნობის მიხედვით, გიორგი გამეფდა 1156 წელს.¹² ამავე თარიღს იმეორებს სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც.¹³ სამთავისის წარწერის მიხედვითაც გიორგი 1156 წელს გამეფებულა,¹⁴ ხოლო პალარწინის წარწერით – 1156 წელს.¹⁵

გიორგი III-ის გამეფების წელი უშუალოდ უკავშირდება მამამისის, დემეტრე I-ის გარდაცვალების თარიღს. ლაშა გიორგის დროინდელ მემატრიანეს დემეტრეს გარდაცვალების ორი თარიღი აქვს ნაჩვენები – 1154 და 1155.¹⁶

ლაშა გიორგის დროინდელ მატრიანეში, შესაძლოა გადამწერის შეცდომაა დემეტრე I-ის გამეფების თარიღთან დაკავშირებით. მაგ. ე.წ. ანასეულ (Q-795) ნუსხაში, იგივე ფაქტის თარიღია „სამას სამოცდაოთხუთი“ (1145) სამას სამოცდაათხუთმეტის (1155 წ.) ნაცვლად, ჭალაშვილისეულში (Q-207) კი დემეტრე I-ის გარდაცვალება სამას სამოცდაოთხი (1144 წ.) ქორონიკონით არის დათარიღებული, ხოლო გიორგი III-ის

¹⁰ ხელნაწერში შეცდომით არის: „ძე დავითისი, დემეტრეს შვილისა“.

¹¹ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, ქც. II, თბ., 1959, გვ. 115.

¹² ვ. ოდიშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

¹³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983, გვ. 227.

¹⁴ იქვე, გვ. 227.

¹⁵ იქვე, გვ. 228.

¹⁶ ქც. I, თბ., 1955, გვ. 366, 367 (ხელნაწერში „სამასსამოცდაოთხუთი“ წერია, რასაც ი. ჯავახიშვილი გადამწერის დაუდევრობით ხსნიდა).

გამეფების თარიღად დასახელებულია სამას სამეოცდა თხუთმეტი, რაც პირველი უსუსტობის შემთხვევით ხასიათს აშკარას ხდის.

დემეტრეს გარდაცვალების თარიღად სომეხი ისტორიკოსი ვარდანი ასახელებს 1157 წ.¹⁷ შირვანელი პოეტი ფელექსი (გარდ. 551/1156 წ.) დემეტრეს გარდაცვალების გამო დაწერილ ეპიგრამაში აღნიშნავს, რომ მან 63 წელი იცოცხლა.¹⁸ სამწუხაროდ, ამ ცნობის გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან უცნობია დემეტრეს დაბადების თარიღი (ხ. ბუნიატოვის აზრით, იგი 1093 წელს დაბადებულა, მაგრამ ეს თარიღი გამოყვანილია დემეტრეს გარდაცვალების თარიღიდან: 1156-63=1093).¹⁹

როგორც ვხედავთ, წყაროებში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებია შემონახული დემეტრე I-ის გარდაცვალებისა და გიორგი III-ის გამეფების თარიღთან დაკავშირებით. ამ წყაროთა სოფიერთი მონაცემი მხარს უჭერს თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობას. მთელი ამ მასალის გათვალისწინებით ი. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ გიორგი III 1155-1156 წ. ასულა ტახტზე. საბოლოოდ სვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა 1156 წელი.

თამარის მეორე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს თამარის გამეფების თარიღიც: „დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექუსითას ექუსას ოთხმოცდაექუსსა, ქორონიკონსა ოთხას და სამსა.“²⁰ ამ ცნობით თამარი 1183 წელს გამეფებულა.²¹

კინკლოსური ცნობებით გიორგი III 1184 წ. გარდაიცვალა და იმავე წელს გამეფდა თამარი.²² ამასვე ადას-

¹⁷ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანა, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 227.

¹⁸ З.М. Буниятов, Грузия и Ширван в первой половине XII в., сб.: Грузия в эпоху Руставели, Тб., 1966, с. 285, 290.

¹⁹ იქვე, გვ. 285.

²⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 116 (ამგვარად თამარის მეორე ისტორიკოსი დათარიღების ორნაირი სისტემით სარგებლობს „ქორონიკონით“ და „დასაბამითგან“).

²¹ პირველი ისტორიის მიხედვით დემნას აჯანყების შემდეგ გიორგი III-მ გაამეფა თამარი 1178-1179 წწ. (იხ. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 243-244). მეორე ისტორიკოსთან ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გვხვდება.

²² ი. ივლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-26.

ტურებენ ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი და საჰანის მონასტრის სომხური წარწერაც.²³ ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანის სიტყვით, გიორგი III-ემ „იმეფა ოცდარვა წელი და მიიკვალა სტაგირს კახეთისასა, თუესა მარტსა ოცდაშვიდს სამშაბათსა ვნებისასა“.²⁴ ჩვენი გამოანგარიშებით 27 მარტს სამშაბათი მოდის 1184 წელს.

ი. ჯაფახიშვილია გიორგის მეფობის 28 წელი მიუძღობა 1156 წელს და მიიღო მისი გარდაცვალების თარიღი — 1184 წელი.²⁵ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, ლაშა გიორგის დროინდელ მემბტიანეს, როგორც აღვნიშენეთ, დემეტრე I-ის გარდაცვალების (და შესაბამისად გიორგის გამეფების) თარიღად დასახელებული აქვს 1154 და 1155 წწ. ამავდროულად თუ ვიანგარიშებთ, შეიძლება მივიღოთ, რომ გიორგი III გარდაიცვალა 1182 ან 1183 წელს, ხოლო თამარი, როგორც ვიცით, გამეფდა მისი გარდაცვალების უშუალოდ.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ თამარის მეორე ისტორიკოსს დასახელებული აქვს მეფის გარდაცვალების თვე და რიცხვი: „თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარსა იმ“.²⁶ რამდენადაც თამარის გარდაცვალების წელი დღესაც საკამათოა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მეორე ისტორიკოსის ცნობას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დადგენისათვის. ქართული, სომხური და არაბული წყაროების მონაცემებით თამარი გარდაიცვალა 1207 წელს.²⁷ სხვა თარიღი წყაროებში მითითებული არ არის. მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ მეფე გარდაცვლილა ქართველთა მიერ კარის აღებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ე.ი. ის არსებითად მხარს უჭერს დასახე-

²³ ი. ჯაფახიშვილი, საქართველოს ძლიერებისა და აქევეების ხანა, თხზულებანი, ტ. II, 1983, გვ. 244.

²⁴ ქც. I, 1955, გვ. 367.

²⁵ ი. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

²⁶ ქც. II, გვ. 146.

²⁷ ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 228-230; ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის სოციურთი საკითხი იბნ აღ-ასირის ცნობათა შუქზე, გვ. 124-129; ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, „ცისკარი“, 1976, №1.

ლექბულ თარიღს და თვისა და რიცხვის ჩვენებით მნიშვნელოვნად აკონკრეტებს მას.²⁸

კონკრეტული თარიღების გარდა, მეორე ისტორიკოსს მოტანილი აქვს სხვა სახის ქრონოლოგიური მასალაც, რომლის საფუძველზეც შეიძლება თამარის მეფობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის დათარიღება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მემატინანეს ნაჩვენები აქვს თამარის მეფობის ხანგრძლივობა. პირველ შემთხვევაში ის წერს: ხოლო წარმოეთქუათ ესეცა, რამეთუ ოცდაძესამედ, გინა-თუ მეოთხედ, აღმავლობასა მეფობისა მისისასა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა“.²⁹ კარის აღება არაბული და სომხური წყაროებით 1206 წლით თარიღდება,³⁰ ე.ი. ეს ამბავი მართლაც, თამარის მეფობის 23-ე წელს მომხდარა. ჩვენს ისტორიკოსს ისიც აქვს აღნიშნული, რომ „თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწუდია ყოველი გუარი კეთილმეფობისა“.³¹ აქ უკვე მეფობის მთელი პერიოდია ნაგულისხმევი. ასეთივე ცნობა მოეპოვება ლაშა გიორგის დრიონდელ მემატინანესაც („მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელისადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა“³²). სომეხი ისტორიკოსი ეარდანი თამარის მეფობის ხანგრძლივობას 22 წლით განსაზღვრავს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში იმით არის ახსნილი, რომ ქართველ ავტორებს არასრული 23 წელი აქვთ

²⁸ ეციქრობთ, თამარ მეფე გარდაიცვალა 1207 წლის 18 იანვარს ხუთშაბათ დღეს; ლაშა გიორგის დრიონდელი მემატინანის მიხედვით, თამარი გარდაიცვალა 12 იანვარს, ოთხშაბათ დღეს (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369) სარგის კაკაბაძის აზრით, ხელნაწერში შეკდომაა დაშვებული, ზუსტი თარიღია 18 იანვარი, ოთხშაბათი დღე დათუშვა 1207 წლის ოთხშაბათი 17 იანვარზე მოდიოდა, მაგრამ წინა აზიის ქვეყნებში, მისივე სიტყვით, დღე იანვარიშებოდა წინა დღის საღამოდან (ხ. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 229).

²⁹ ქვ. II, გვ. 143.

³⁰ ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 273; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

³¹ ქვ. II, გვ. 150.

³² იქვე, გვ. 369.

აღნიშნული, ვარდანს კი სრული 22.³³ მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ლაშა გიორგის დრიონდელი მემკვიდრე და მეორე ისტორიკოსიც თამარის გამეფების უფრო აღრინდელ თარიღს უჩვენებენ და, ალბათ, იქიდან ანგარიშობენ 23 წელიწადს.

თამარის მეორე ისტორიკოსთან გვხვდება კიდევ ერთი დამატარიღებელი ცნობა, რომლის ზუსტი ახრი, სამწუხაროდ, დადგენილი არ არის. ქართველთა მიერ კარის აღებისა და სამეფოდ დაჭერის შესახებ თხრობის შემდეგ ისტორიკოსი წერს: „და ვისცა ათწვდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისაგან გუმეცრებიან და მისთა ლაშქართაგან, წყდრ-წადისა ერთისა დღეთა თუ ვითარ შეუძლო ყოველთა მათ ვარეთა აღმართოლენ შეხედენ, რომელნი პქონან ცხენნი მკარგრძელთა ოდენ სახლთა, ზემოთ და ქუემოთ“.³⁴ ი. ჯავახიშვილმა ოდნავ განსხვავებული პუნქტუაციით გამოაქვეყნა ეს წინადადება და, რაც მთავარია, „ათწვდმეტის“ ნაცვლად აღადგინა – „(ოცდა)ათწუიდმეტსა“.³⁵ ამ აღდგენის საფუძველზე მ. ბერძნიშვილმა ივარაუდა, რომ შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს თამარის სიცოცხლის მთელი ხანგრძლიობა დაბადებიდან გარდაცვალებამდე (1207 წლამდე).³⁶ თ. ჟორდანიას კი, რომელიც შეესებუელი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იცნობდა ამ წინადადებას, ფიქრობდა, რომ აქ ივარაუდებოდა თამარისა და დავითის ერთობლივი მეფობის პერიოდი მათი ქორწინებიდან დავითის გარდაცვალებამდე.³⁷ ასეთი ვარაუდის საფუძველს მკვლევარს, ალბათ, ისიც აძლევდა, რომ შეესებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ეპიზოდს მოსდევს თხრობა დავითის გარდაცვალების შესახებ.³⁸ ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარის მეორე ქორწინების თარიღად დადგენილია

³³ ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 229.

³⁴ ქვ. II, გვ. 144.

³⁵ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, ი. ჯავახიშვილის გამოც., 1944, გვ. 32.

³⁶ Жизнь царицы цариц Тамар, перевод и введение В.Д. Дондуа, исследование и примечание М.М. Бердзنيшвили, Тб., 1985, с. 62.

³⁷ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 296.

³⁸ ქვ. დასაბამითგან მეთცხრაშეტე საუკუნებდე, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1849, გვ. 326-327.

1188 წელი, ხოლო დავითის გარდაცვალების თარიღად — 1205 წელი.³⁹ მათი თანამეფობის ხანა, მართლაც 17 წელიწადს შეადგენს, მაგრამ ამ პერიოდს გულისხმობს თუ არა ისტორიკოსის სიტყვები, ამის გადაჭრით თქმა, რასაკვირველია, არ შეიძლება.

თამარის მეორე ისტორიკოსი ხშირად გადმოუცემს ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც სხვადასხვა მონაცემების მიხედვით მეტნაკლები სისუსტით არის დათარიღებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენათა შემაჯავრობელი ქრონოლოგიური რიგი თითქმის მთლიანად ეთხევეა მათ თანამედროვე თარიღებს. მაგ., როგორც მეორე ისტორიაში ფაქტების თანამიმდევრობის შეკვლად ირკვევა, ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას წინ უსწრებს ბასიანის ბრძოლა. ბასიანის ბრძოლა კი (მართალია თარიღი თამარის მეორე ისტორიაში არ გვხვდება) უცხოური წერილობითი წყაროების შედგენად დადგენილია, რომ 1202 წელს მოხდა.⁴⁰

ტექსტის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ თხზულების წერა თამარის სიცოცხლეშივე დაიწყო მეორე ისტორიკოსმა. აღწერილი ფაქტები თანამიმდევრობით, ქრონოლოგიურად არის დალაგებული და არა თემატურად, როგორც მაგალითად, იქნებოდა უფრო გვიან აღწერილ ისტორიაში. არაა გამოყოფილი ცალკე თამარის პირადი ცხოვრება. მისი დროის ლაშქრობები, თამარის პოლიტიკური საქმიანობა და ა.შ. ისტორიკოსი, რომელიც შემდგომ აღწერს ეპოქას, ძალაუვნებურად თემატურად ალაგებს მოქმედებების მსვლელო-

³⁹ ა. აბდლაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, №2, გვ. 145; გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც ლათინურ წყარო, თბ., 1981; გვ. 23; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25; რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“, გვ. 128-131.

⁴⁰ გ. ალახანია, ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975, №1, გვ. 89-92; ნ. შენგელაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. თბ., 1979, გვ. 328.

ბას. თამარის მეორე ისტორიკოსი კი თანმიმდევრობით მიჰყვება მომხდარ ფაქტებს, როგორც თვითმხილველი და დამსწრე მის მიერ აღწერილი ამბებისა. მხოლოდ ყოველი აღწერილი ფაქტის მერე იძლევა მის ანალიზს, შეფასებას, ამ ფაქტის საკუთარ გააზრებას.

თამარის მეორე ისტორიაში არ გვხვდება არც ერთი უხეში ანაქრონიზმი. არ მართლდება მოსაზრება, თითქოს ისტორიკოსი არ იცავდეს თხრობის ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. როგორც გამოიჩინა, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ სუსტ ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი ნაწარმოებია. მის მიერ მოწოდებულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს თამარის მეფობის პერიოდის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესასწავლად.

§2. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ როგორც საისტორიო წყარო

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (ე.წ. მეორე ისტორია) ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. მასში დაცული ცნობები იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ყოფის შესახებ არაერთი მკვლევარის შესწავლის საგნად იქცა.

თამარის მეორე ისტორია ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ეპოქისა და იმდროინდელი საქართველოს ყოფის ამსახველი ძეგლი. თხზულებაში დაცული ცნობების შესწავლა-განხილვით შესაძლებელი ხდება აღნიშნული წყაროდან რეალური ინფორმაცია მივიღოთ.

ნებისმიერი ისტორიული წყაროს შეფასებისას, მას შემდეგ, რაც დადგინდება მისი დაწერის დრო, წარმომავლობა, შემადგენლობა, მოცულობა, დანიშნულება, აუცილებელი ხდება მისი პერმენენტული ანუ შინაარსობრივი ანალიზი, ე.ი. იმ მასალის სანდოობის დადგენა, რომელსაც ესა თუ ის კონკრეტული წყარო შეიცავს.

შესაძლოა, მთლიანად წყარო არ იყოს მიჩნეული სანდოდ, მაგრამ გამოყენებულ იქნეს ცალკეული მათგანის მონაცემები. მეორეს მხრივ, თუ წყაროში აღმოჩნდება ცნობა, რომელიც ეწინააღმდეგება ლოგიკური აზროვნების კანონებს, ჩვენ უფლება გვქვია, ვგვი შევიტანოთ მასში მაშინაც კი, თუ მთლიანად წყარო სანდოდ არის მიჩნეული.¹

ამის გამო, რომ ჩვენამდე მოღწეულია ორი თხზულება, სპეციალურად მიძღვნილი თამარის ისტორიისადმი, ჩვენ საშუალება გვქვია შევადაროთ მათში დაცული ცნობები, შესაძლებისდაგვარად გამოვარჩიოთ ისინი, რომლებიც უფრო სანდონი არიან.

ი. ჯავახიშვილის შემდეგ თამარის ეპოქის ისტორიული ვითარება დაახასიათა ნ. ბერძენიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ში არის ადგილი – „ურჩნი თვისნი დაამდაბლნა... და ამისთვის მათ ზედა მეორე ხოლამონ იქმნა მეფეთა შორის“.² სხვა ადგილას ისტორიკოსი

¹ Я.К. Лурье, О некоторых принципах критики источников, в книге: – Источниковедение отечественной истории, I, 1973, М.

² ქ(ვ) II, გვ. 148.

ამბობს: „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა... მტერთაგან უსრუნველობასა“.³

მკვლევარის აზრით, აქ ავტორი თამარის პოლიტიკას ახასიათებს და უპირისპირებს მას სხვათა პოლიტიკას.⁴

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ იმ პერიოდშია დაწერილი, როდესაც საქართველოში ნიადაგი მომზადდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნელად. ეს იყო საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის პერიოდი. რაღა თქმა უნდა, ამ პერიოდში შექმნილი პოეტური თუ ისტორიული თხზულება ერთი გარემოს წარმონაქმნია. მათში სხვადასხვა ფორმით აირეკლება ქვეყნის ყოფის ესა თუ ის მხარე. თამარის ორივე ისტორია, ისევე როგორც შოთას უკვდავი ქმნილება, საუკეთესო წყაროა XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

მესაკუთრეთა კლასის გაბატონება მწარმოებლებზე ქმნიდა სოციალური ჩაგერის პროდუქტს „გლახაკს“. თამარის მეორე ისტორიაში ეს პროცესი აისახა, როგორც ხელისუფლების დიდი საზრუნავი. ისტორიკოსი გადმოგვცემს პირადად თამარის ზრუნვას მათზე: „გლახაკათუს განქინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი“, მათ საერთო შემოსავლის „ნათალი“ ურიგდებოდათ „დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცველამდეცა“.⁵ თამარის ზრუნვა ქვეყნის შევიწროებული ფენის მიმართ, ძლიერი მეფის წყალობის შესანიშნავი ნიმუშია, მან იცის, რომ ყველგან უნდა მისწვდეს მისი წყალობა, გამჭრიახობა და სიბრძნე. ყოველ უბანში უნდა იგრძნობოდეს მმართველის მზრუნველი ხელი. სწორედ ეს ტენდენციაა „ვეფხისტყაოსანშიც“:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.⁶

ორივე თხზულება ერთსა და იმავე პერიოდის წარმონაქმნია, ერთი სულისკვეთების გამომხატველი. ეს მსგავსებაც სავსებით ბუნებრივია. მეორე ისტორიკოსი აღწერს თამარის გულმოწყალებას: „ადაესებდა უელსა მოქენეთასა და

³ იქვე, გვ. 147გ-ი.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. II, თბ., 1965, გვ. 40.

⁵ ქც. II, გვ. 147.

⁶ შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1986, გვ. 173.

წილებსა გლახაკთასა... ქურიეთა და ობოლთა და დაერდო-
მილთა“.⁷

სახელმწიფოს სიძლიერის ნიშანია, როდესაც დიდი თუ პატარა მისთვის განკუთვნილ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს, მეფის დიდი ავტორიტეტიც რამდენადმე განაპირობებს ბაღის ასეთ განწყობას: „ყოველნი თუს-თუს იღუწიდეს, რათამცა თამარ მოიმაძღეს და ვინაცა გამოაჩინნეს საქმეთა შინა საქებულთა“.⁸

ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი დაკითხის „გალობანი სინანულისანით“ ხელმძღვანელობს და მის მსგავსად ახასიათებს თამარის პოლიტიკას.

თამარ არ იპყრობს და არ იერთებს ქვეყნებს, რადგან ეს მაინც და მაინც საქებარი რამ არ ყოფილა. სასურველია ქვეყნის დამორჩილება, მფარველობის ქვეშ ყოლა, მაგრამ არა თავისუფლების ჩამორთმევა, არა პოლიტიკური ერთეულის და მისი მეთაურობის მოშლა-გაუქმება. დავით კი პირიქით, მომხრე ყოფილა ქვეყნის დაპყრობისა და „შერთვისა“.

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში გადმოცემულია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთდაპირისპირება თამარის სათნოების მკვეთრი უპირატესობის აღიარებით. თხზულების ავტორი, ჩვენის აზრით, დიდი დავითის იდეოლოგიური ღერძის მოტრფიალედ ვერ ჩაითვლება. ეს ჩანს დავითისეული „ძალალობის“ პოლიტიკის მძაფრ კრიტიკაში. დავითი „უსამართლო“ და „მომხეუტელია“, მას „ვერმადრისობა“ სჭირს. თამარი განსხვავებული პოლიტიკის გამტარებელია. თხზულების ავტორი აშკარად თამარის პოლიტიკის მომხრეა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ თამარის დროს დიდებულებმა „უგვაროები“ დაამხეს, მეფობის თანაზიარობის ფორმალური უფლებაც მოიპოვეს და ერისთავ-ვაზირობის თავიანთი სახლის პრივილეგიად გადაქცევა სცადეს. ამის შესაბამისი იყო თამარის მეფობაში საქართველოს შემოერთებული ქვეყნების ერისთავებსა თუ ვაზირებზე გაცემა. მხოლოდ კარი დარჩა სამეფოდ და როგორც მეორე ისტორიაში ჩანს, ესეც სადავო გამხდარა.

ქც. II, გვ. 129-9.

⁸ ქც. II, გვ. 129-19-20.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, თამარი მონაპირეებს უსიარებს მეფობას და სამეფო დოვლათს, ეს უკანასკნელნი განსაზღვრავდნენ საგარეო პოლიტიკის ხაზს.⁹

მეორე მხრივ, ამ დამორჩილებული ადგილების გაცემა, ნიშნავდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, რაც არ სურდათ დიდგვაროვნებს, ხოლო პირიქით კი ძლიერდებოდნენ ვაზირ-ერისთავები. ამის გამო მეფე ამჯობინებდა დამორჩილებული ქვეყანა ისევ ძველი მფლობელის ხელში დაეტოვებინა ყმადნაფიცობის პირობით.

თამარის მეორე ისტორიკოსი, საქართველოს არც ერთი დიდებულის „სახლს“ არ ასახელებს, რითაც ხაზს უსვამს ყმადნაფიცს შორის განსხვავებას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდებულები მიისწრაფოდნენ ყმადნაფიცობისაკენ.

ნ. ბერძენიშვილი ასკენის, რომ თამარის დროს შემუშავდა საშინაო „პოლიტიკური წონასწორობის“ შესაბამისი საგარეო (სამეზობლო) პოლიტიკის კურსი.¹⁰

თამარის საშინაო პოლიტიკა კავშირშია მის საგარეო პოლიტიკასთან. მის დროს იმარჯვებენ დიდებულები, კონტროლს უწევენ სამეფო ტახტის მოქმედებას და ნახევრად-ხელმწიფობას აღწევენ თავიანთ ქვეყნებში. თამარის საგარეო პოლიტიკა, აქედან, გამარჯვებულ დიდებულთა მეფის პოლიტიკაა.¹¹

ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას აქცევს თამარის მეორე ისტორიაში დაცულ ცნობას კარის აღების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ – „ეს ქალაქი და ციხე თუსად დაიჭირა (თამარ) ყოველთაგან, რომელი აიხვნა სორაკერტით რახსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის“.¹²

მკვლევარს ეს ადგილი იმის დასტურად მიაჩნია, რომ თამარის დროს სახელმწიფო მნიშვნელობის ბრძანების გაცემა მეფეთა და ვაზირთა სახელით ხდებოდა, სახელმწიფო მმართველობაში „დიდებულთა“ „თანადგომი-ერთნებაობა“ თუ „იქყობის თანაზიარობა“ იყო.¹³

⁹ ნ. ბერძენიშვილი, თამარის ეპოქა ბასილი ე'სოსამოდვრის მიხედვით, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974. გვ. 211-234 (225).

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

¹¹ იქვე.

¹² ქც. II, გვ. 144.

¹³ ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საქ. III, 1966, გვ. 163.

ნ. ბერძენიშვილმა განიხილა თამარის ქმრად გიორგი რუსის მოყვანის საკითხიც, თამარის ისტორიების მიხედვით.

მისი აზრით, ორი კრება, დიდებულებისა და საეკლესიო, ერთმანეთის პარალელურად მიდიოდა, რადგანაც, როგორც პირველ ისტორიაშია აღნიშნული, თამარის გათხოვების საკითხი აბულასანმა დიდებულთა სხდომაზე დასვა.

მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ საკითხზე ჯერ საერო პირებმა ითათბირეს, კითხეს თამარის მამიდას – რუსუდანს, ხოლო შემდეგ ეს გადაწყვეტილება მოახსენეს საეკლესიო კრებას, რომელიც კარგად არის აღწერილი თამარის მეორე ისტორიაში (გვ. 119-120).

ასევე, მხოლოდ მეორე ისტორიაშია აღნიშნული, თუ რა მონაცემით იქნა არჩეული თამარის ქმრად რუსი უფლისწული. აქ ნათქვამია: „წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასა“.¹⁴

როგორც ცნობილია, თამარი გაშორდა გიორგი რუსს.

თამარის მეორე ისტორიკოსი ხაზს უსვამს გიორგი რუსის მეორედ მოყვანაში იმერელ-სვანთა ინიციატივას: „აღიძრნეს იმერელ-სუანნი... რუსი მოიყვანეს რეცა კუალად განსამეფებლად, ეუბნებოდეს მესხთაჲსა მირთვასა, რომელი ვერა უძლეს, არამედ უყროსლა შეიმტერნეს, გააქცივნეს და წარვიდეს სირცხვილყულნი, რამეთუ ღმერთი თამარისათვის მოურნეობდა“.¹⁵

ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა,¹⁶ რომ გიორგი რუსი, გარკვეული წრისათვის იყო სასურველი კანდიდატურა, რადგან, ალბათ, დაიცავდა მათს ინტერესებს, აქედან გამომდინარე უკვე ამ ნიადაგზე დაუპირისპირდებოდა იგი თამარის „ეროგულებს“.

თამარის მეორე ისტორიაში იმდროინდელი საქართველოს ყველა ასპექტია აღბეჭდილი. ძეგლში ვკითხულობთ საქართველოს საზღვრების დაცვისა და დამცველთა შესახებ. იმ დროინდელი ტერმინით „მზღვართ“ გამაგრების შესახებ. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „ნაპირნი“, „სანაპირონი“, ე.ი. საზღვრები, ხოლო ამ საზღვრების დამცველებს კი „მონაპირენი“ ერქვათ. მათი საქმე იყო ნაპირობა. მონაპირენი ანუ საზღვართა დამცველნი დღესდღეამ შეუსვენებლივ იცავდნენ საზღვრებს: „მონაპირენი, რომელნი იყვნეს, ღამეთა დღე

¹⁴ ქც. I, გვ. 119.

¹⁵ იქვე, გვ. 122.

¹⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკ. VII, 1974, გვ. 160.

თაკე ზედა დართვიდეს შეუსუენებულად, და რომელნი შიგნით იყვნეს იგინი სანაპიროთა დაჯდეს. და ესევეთარმან გულს-მოდგინებაჲმან და მოსწრაფებაჲმან ყოველთაჲმან ესევეთართა მიიღწია სამეფო“.17 თამარის მეორე ისტორია საცულდისხმო ცნობებს გვაწვდის მონაპირეთა ინსტიტუტის შესახებ. ირკვევა, რომ თამარის დროინდელ საქართველოში ეს საქმე დაგეგმილი იყო მაღალი ორგანიზებულიობით. მონაპირეობდნენ ოლქების მიხედვით. თითოეულ უბანს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. ესენი იყვნენ უმაღლესი რანგის დარბაზის რიგის მოსელეები, ცნობილი სარდლები, სპასალარები, თვით ამირსპასალარებიც კი.

მეორე ისტორიის მიხედვით მონაპირეთა დასაცემად „ნაპირნი“ შემდგენიარად იყო განაწილებულნი:

გაგი და იქიდან მტკვრის აუზის აყოლებით (აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ), ძორაკერტი, ტაშირი, ჯავახეთი-მხარგრძელთა სახლის შეილებს ებართ: „რამეთუ პირველ ქუემოთი სანაპიროი გაგი იყო, რომელნი კქონან საქარას მხარგრძელსავე, ვარამის მამასა, და ესენი მუნ მონაპირეობდენ, კაცნი მცნენი, ბრძოლასა შინა მრავალგზის გამოცდილნი და განმარჯუებულნი და შიშითა ღმრთისათა და პატრონისა ერთგულობითა დიდად საქებულნი.

ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ საქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ღომურად“.18

თმოგველი – სარგის მხარგრძელი ჯავახეთს მონაპირეობდა: „და შემოთ ჯავახეთი, სადა სარგის მჭარგრძელივე თმოგუელი და შაღვა თორელი მონაპირობდეს“.19

„ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯუებული და ერთგული მეფეთა.

შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არცა, ღმერთო, უბედო. ამას საქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხუნა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა თვისსა ზედა, გარნა საქებულთა ზედა შერთო თავი. მარტოღ იქმოდა მრავალთა და დიდთა

17 ქც. II, გვ. 12920.

18 ქც. II, გვ. 12924-27.

19 ქც. II, გვ. 12930.

საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელო-
ვანნი ციხენი და აღგილნი.

ქვემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის-ძენი, და უფროსდა
ტბელი, და მაკატლისძენი მონაპირობდეს, რომელთა შინათა
განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და
ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა
აწყენდეს“.²⁰

როგორც ვხედავთ, თამარის მეორე ისტორიკოსის
თხზულებაში მონაპირეობის ინსტიტუტის სიძლიერე ნათლად
არის გადმოცემული. ხალხის დარაზმულობა, სამხედრო
თავდაცვის ორგანიზებულობა, მეფისადმი ერთგულება, მტრისა
და მოყვრის გარჩევა, ომისა და ზავისადმი შეგნებული და-
მოკიდებულება. თხზულებაში – „თურქნი“ – საქართველოს
საუკუნოვანი თავდამსხმელნი, ხალხის ცნობიერებაში შეური-
გებელ მტრად წარმოდგენილნი, განსაკუთრებული სიფსოსლით
უნდა აელაგმათ. თურქებმა თამარის მეფობაშიაც სცადეს
ძველებურად დამრბე-დამპყრობელური იერიში, რომელიც
ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. თამარის
მეორე ისტორიაში მონაპირეთა ინსტიტუტის ძალასა და მე-
მართა დარაზმულობასთან ერთად, მათი უფლება-მოვალეობა
შკაცრად იყო განსაზღვრული. ამ მოვალეობათა ზღურბლს თა-
მარის რიდისა და პატივისცემის გამო ვერაფერს გადასცდებოდა.
მეფის გულმოწყალება და გლახაკთა განკითხვა საჭირო
შემთხვევაში საოცრად ითავსებდა სიმკაცრესა და მომსახურე-
ლობას. თამარმა იცოდა მონაპირეთა ერთგულების ფასი, ზა-
გრამ ისიც ესმოდა, რომ მათთვის განუსაზღვრელი უფლებების
მიცემით არაერთი უსამართლო დარბევა, მოსაზღვრე მახლო-
ბელ ციხე-ქალაქთა თვითნებურ ომში ჩათრევა და სხვა ამ-
გვართა მოხდენის საშიშროება შეიქმნებოდა.

ამის შესახებ თხზულებაში ვკითხულობთ: „ესე ყოველი
რა გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვნიერ თამა-
რისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განაცონე:
მონაპირეთა მონახიან საქმე ანუ ციხე აღსაღებელი, ანუ თურ-
ქნი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა
მოსარბეველი, მოიწსენიან თამარს და მან განიხჯის საქმე ოგი
და გამოიკითხის“.²¹

²⁰ იქვე, გვ. 129-130.

²¹ ქც. II, გვ. 130¹⁰⁻¹⁵.

მეორე ისტორიაში არსებული ცნობებით, არც ერთი მონაპირე არაა დასაველეთ საქართველოდან, ხოლო მათგან ოსიხი – მხარგრძელებია.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოლიტიკური ცენტრი აღმოსავლეთში გადმოსულა.

თამარის მეორე ისტორიკოსი მონაპირეს განიხილავს, როცორც სამხედრო მოხელეს, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ მონაპირენი მეყიდრად სხედან სანაპიროებში.

ნ. ბერძენიშვილი თამარის პირველსა და მეორე ისტორიკებში არსებული ცნობების შედარებას ახდენს. იგი აღნიშნავს, რომ მეორე ისტორიის ბოლოს წარმოდგენილია ეპოქის, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა და მისი მმართველის, თამარის იდეალი. მეორე ისტორიკოსი, პირველისგან განსხვავებით, არსებითად მსჯელობს სხვადასხვა, პოლიტიკურ საკითხზე. „ამ დროს იქნა განხორციელებული კომპრომისული პროგრამა – თანაზიარობა მეფობისა“.²² მკვლევარის აზრით, მეფობის თანაზიარობა, სრულიად შეუთავსებელია ღვთისნებითობის თეორიასთან. მეორე ისტორიკოსი მომხრეა ღვთისნებითობის თეორიისა და ამაში ხედავს ნ. ბერძენიშვილი იმის მიხედვით, რომ ყუთლუ არსლანის გამოსვლა არც არის აღწერილი თხზულებაში. თამარის მეორე ისტორიკოსი არ ხედავს მეფის თანაზიარობას. მკვლევარს კი მიაჩნია, რომ თამარის გარდაცვალების დროსაც, როდესაც იგი უკანასკნელ სიტყვებს ამბობს დიდებულების წინაშე და სამეფოსა და შეილებს აბარებს მათ, აქაც თანაზიარ მეფობა ჩანს.²³

თამარის მეორე ისტორიაში წინაპოლიტიკური ამბები არ არის ასახული, ეს არც ავტორის მიზანი უნდა იყოს, რადგან იგი სოგადი მსჯელობით კმაყოფილდება – აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი.²⁴ მეორე ისტორიკოსი არაფერს ამბობს თამარის პირველად კურთხევის შესახებ და გიორგის გარდაცვალების შემდეგ ისეა, თითქოს თამარის მამიდა, რუსუდანი იჯდა მეფედ. თუმცა, ერთგან გაკერითაა ნათქვამი, რომ „ყოველთა ერთკმაქმნილთა აწვეს თამარს ჳრმალი მამული თანასაყდრითურთ მამისა მინიჭებული“.²⁵

²² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 212-213.

²³ იქვე, გვ. 217-218.

²⁴ იქვე, გვ. 219.

²⁵ ქც. II, გვ. 116.

ჩვენის აზრით, ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ თამარის მეორე ისტორიკოსმა კარგად იცის ფაქტი თამარის პირველად კურთხევის შესახებ გიორგი III-ის მიერ, მაგრამ, როგორც ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, ისტორიკოსს ეს კურთხევა არ მიაჩნია, მან იცის, რომ ყველაფერი დიდებულების ხელშია და ეს ფაქტი ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ თამარის ისტორიკოსებს.

მიუხედავად ამისა, მონაპირეთა სამხედრო ორგანიზაციის აღწერით, თამარის მეორე ისტორიკოსი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ეს ორგანიზაცია ცენტრალიზებულია, რომ მეფის გარეშე არაფერი კეთდება.

ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ მონაპირეთა ინსტიტუტის ასეთი ქება და იმის აღნიშვნა, რომ მეფის და აქედან ქვეყნის ძლიერება და ერთიანობა მონაპირეებსა და მოკიდებულები იმაზე მიუთითებს, რომ თხზულების დაწერის დროს თამარი ცოცხალი აღარ არის, მონაპირეთა ინსტიტუტიც აღარ არსებობს, ან შეცვლილი სახით არის ამ დროისათვის.²⁶

მხარგრძელები აღარ არიან მონაპირენი, რადგან უკვე სამემკვიდრეოდ ფლობენ მათ მიერ მონაპირეებულ მიწებს. ასევე, ყველა მონაპირე სამამულოდ უყურებს დროებით მყოფობაში გადაცემულ მიწებს. ამრიგად, ნ. ბერძენიშვილის დასკვნით – „ბასილის სურათი წარსულის რომანტიკაა და არა მისი დროის სინამდვილე“.²⁷

დრო-მონაპირეობა, მეფის სიძლიერის პირობებში და შესაძლოა, თურქ-სელჯუკებთან პოლიტიკურ მესობლობაშია წარმოქმნილი, მაგრამ თუ მას ერისთავობას დაუეკავშირებთ, მაშინ ისევე, როგორც სავაზიროები შეუთავსეს ერისთავთ – ერისთავობას, რომ გაექროთ ეს უკანასკნელი და შეძლებს პირიქით მოხდა, ერისთავთა ინსტიტუტმა სძლია და ვაზართა ინსტიტუტი გაუქმდა, შესაძლებელია, იგივე პროცესი მოხდა მონაპირეთა მიმართაც, – შეუთავსეს იგი ერისთავთა ინსტიტუტს და ამ უკანასკნელმა შთანთქა მონაპირეთა ინსტიტუტი. მკვლევარის აზრით, მონაპირე-სამხედრო მოხელე (ოღონდ არა ადმინისტრაციული), ერისთავის მონათესავეა.²⁸

²⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 225-226.

²⁷ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 22.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 228.

ერისთავ-მონაპირენი მკვიდრნი ხდებოდნენ (არიშიანები - შაქი შირვანის ქუეყანაში, გაგელები - შამქორში, ივანე და ზაქარია - სომხითში, თორელები - ტაო-კლარჯეთში).

უღარებს რა თხზულებებში დაცულ ცნობებს ერთმანეთს, ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი ძლიერებად წარმოგიდგენს ზაქარია და ივანე მსარგრძელებს, რომელთაც მეფის გარეშე გადაწყვიტეს განძის გადაცემა მირმირანისათვის შამქორის ომის შემდეგ: „ცნობამდე თამარისსა... მისცეს შესანახავად“.²⁹

ჩვენის აზრით, დასაშვებია, რომ ამის უფლება მართლაც; მქონდათ მსარგრძელებს. ასეც რომ არ ყოფილიყო, და თუ „სუდმეტი ინიციატივა გამოიჩინეს და სანამ მეფე გაიგებდა („ცნობამდე თამარისსა“, „შესანახავად მისცეს“, ე.ი. დროებით, მერე კი, ალბათ, თვით თამარ გადაწყვეტდა ამ საკითხს), თვით გადაჭრის განძის საკითხი, სწორედ ამის გამოა, რომ საყვედურობს მათ ისტორიკოსი.

ჩვენის აზრით, თამარის მეორე ისტორიკოსი ერთმმართველობას უსვამს ხაზს თამარის მეფობის დროს. მისი აღნიშვნით, ყველაფერი თამარის გადასაწყვეტია, მეფის ძალაუფლება არაეისზე ნაწილდება. კერძოდ, თხზულებაში ვკითხულობთ: „ესე ყოველი გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა“.³⁰

როგორც უკვე აღინიშნა, მრავალ ფაქტს თამარის ხანისას, პირველი და მეორე ისტორიკოსები სხვადასხვანაირად გადმოსცემენ. საყურადღებოა, რომ პირველ ისტორიაში სპარსთა წინააღმდეგ ომის გამარჯვების მახარობლად ჭიაბერ მანდატურთხუცესია დასახელებული, მეორეში კი - სარგის თმთაგველი.

ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი ორჯერ აღნიშნავს სავაზიროს შერჩევას: ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ და გიორგი რუსის მეორედ მოსვლის შემდეგ, მეორე ისტორიაში კი ერთხელ არის სავაზირო შერჩევა აღნიშნული მას შემდეგ, რაც შეერთავს თამარ სოსლანს და მოხდება იმერელ-სვანთა აჯანყება. ისიც გაკვრით არის და ისტორიკოსი არ აღნიშნავს, მეფე ნიშნავდა მათ თანამდებობაზე თუ „ერთნებაობათანადგომით“ ხდებოდა ეს, თუმცა მკვლევარი აქვე აღნიშნავს,

²⁹ ქც. II, გვ. 128.

³⁰ იქვე, გვ. 130₁₁₋₁₂.

რომ შესაძლოა ზმნები მიგყითითებდნენ ამაზე და გულისხმობდნენ, რომ „ერთნებაობა-თანდგომით“ ხდებოდა სავაზიროს შერწყვა: „მოიყუანეს“, „დასუეს“, „მისცეს“, „უბოძეს“, „შეიწკაღნეს“.³¹

ბ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია თხზულების დასაწყისში არსებულ ცნობას საეკლესიო კრების შესახებ: „შემორაკრბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი“³²... მან აღნიშნა, რომ აქ იგულისხმება დასავლეთ და აღმოსავლეთ საეკლესიო სამთავროები.³³ თამარ ერთიან ორგანიზაციად თელის საქართველოს, ეკლესიის მიხედვით, მაგრამ ძველი საეკლესიო ორგანიზაციის კვალი მთლად წაშლილი არაა, აქ, შესაძლოა, ქუთათელი ასრულებდეს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამთავროს მეთაურის როლს, მაგრამ არა კათალიკოსობით. „მთავარი“ – სოგადი, უფროსის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

თამარ, საეკლესიო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობს: „ნუ თუაღ ახუამ მთავრითა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უდებჰყოფ სიმცირისათვის.“³⁴

მკვლევარს მიაჩნია, რომ არაერთი განსხვავება მთავარსა და ერისთავთ-ერისთავს შორის არაა.

თვით ტერმინ „ქართლში“ თამარის ისტორიკოსი გულისხმობს საქართველოს სამეფოს (გვ. 115₁₂, 116₂₃; 112₁₁; 147), რომლის „გარშემოც“ „მახლობელი“ სამეფოებია დასახლებული და ამით ქართლის საზღვრებიც მოცემულია: „ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქთა, და ტრაპიზონელთა“.³⁵

ბ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ თამარის პირველი ისტორიის პირველი ნაწილი, 1196 წელს არის დაწერილი, ხოლო დანარჩენი, გაცილებით გვიან არის დამატებული.

მეორე ისტორიის დაწერის თარიღად მკვლევარს მიაჩნია სანაოდ ი. ჯავახიშვილის დათარიღება (1210-1213 წწ.) და აქედან მეორე ისტორიკოსს თანამედროვედ თელის, ხოლო მის თხზულებას თამარის გარდაცვალების უმაღლ დაწერილად.

³¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

³² ქ(ვ) გვ. 118.

³³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 176.

³⁴ ქ(ვ) II, გვ. 118.

³⁵ იქვე, გვ. 147₁₁₋₁₂.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობებს განიხილავს გ. მელიქიშვილი.³⁶ მკვლევარი ყურადღებას აქცევს ტექსტის ერთ ადგილს, სადაც აღნიშნულია: „ამას ყოველსა დაუშრომლად რა მოქმედებდა (თამარ), არა თვისისა ქონებისა მოქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესოდენტა ქალაქთა და ვიხეთა, არამედ თუთ მათეე მისცემდა, რომელთა აუკვალსებდა, თვსთა ლაშქართა, ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარუდო სპარსათა შანშუბისა თანა მრავალუამ მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი. და ამათ ორთა პირთათვს იქმსოდა: პირველად რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ ერთმანეთისა წარმართთა შეძინებისათვს თვისისა, მოუკუეთოს ყოველი მიზეზი, დაჯსნის ერთგულებასა“.³⁷

მკვლევარის აზრით, აქ ჩანს, რომ ის განუწვევებელი ომები, რასაც აწარმოებდა საქართველოს სამეფო XII-XIII სს-ში, ნაწილობრივ გამოწვეული იყო უცხო ლაშქრის შენახვის აუცილებლობით.³⁸ ამ ომებს მოქმონდა დიდძალი ნადავლი. უამრავი ტყვე, რაც აუცილებელი იყო ყიფიანთა და სხვა მოქირავნეთა სამსახურის ანაზღაურებისათვის. ამგვარი პოლიტიკა, ამასთანავე, საშუალებას იძლეოდა ასევე ნადავლისა და რკვეუბის, ნაწილობრივ კი დააყრობილ-შემოერთებული ქვეყნების ბოძების ხარჯსე დაეკმაყოფილებინა მსარდი მოთხოვნილებუბი. ასეთ ვითარებაში, როგორც გ. მელიქიშვილმა აღნიშნა, „ქართველთა ლაშქრის როლი მატერიალური დოვლათის „წარმოებაში“ სულ უფრო და უფრო წინა პლანსე გამოდიოდა, შეტევითი ომის ხეედრითი წონა დიდად გაიზარდა ქვეყნის ცხოვრებაში. თავის მხრივ, ეს პოლიტიკა მომგებიანი ჩანდა ცენტრალური ხელისუფლებისთვისაც, რამდენადაც ლაშქარი და დიდებულნი ასეთ პირობებში ქვეყნის ერთიანობის აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ და ანტიცენტრალისტური საქმიანობისთვის ვერ იკლიდნენ“.³⁹

³⁶ გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების სოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

³⁷ ქც. II, გვ. 130-131.

³⁸ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

³⁹ იქვე.

გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ „აღმოსავლეთისათვის (არაბები, სპარსელები და სხვ.)⁴⁰ დამახასიათებელი წესისამებრ ნაალაფეკის 1/5 სამეფოდ აიღებოდა, ხოლო დანარჩენი ლაშქარს უნაწილდებოდა“. მეორე ისტორიაში ვკითხულობთ: „აღივსნეს ყოველნი ველნი გარემო ტფილისისა და ვერღარა იტყვდა კაცსა, ცხენსა, ჯორსა... მოსაწყინელიცა იყო სიმრავლე იგი ტყუეთა, ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად და ერთად კურღად ფუკისად გაყიდიან... ზაქარია და ივანე აიღეს ფანჯიაკი საჩეფოდ და განაწყვეს ველისა დიდუბისასა აუკლამი“.⁴¹ „თამარის დროს უცხო მხარეთა რბევამ, ჩანს, უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო და გეგმასომიერად სწარმოებდა“⁴² – აღნიშნავს გ. მელიქიშვილი. „ახლა ლაშქრისა და დიდებულების მოთხოვნით კი არ ხდებოდა ლაშქრობათა წამოწყება, როგორც ეს გიორგი III-ის დროს მოხდა, არამედ სისტემატური მეთვალყურეობა იყო დაწესებული გარემო ქვეყნებზე და მოსარბევი ქვეყნები ვლინდებოდა „მონაპირეთა“ – ე.ი. სასაზღვრო ოლქთა მმართველების მიერ: „მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი“.⁴³

გ. მელიქიშვილმა განიხილა პირველსა და მეორე ისტორიებში დაცული ცნობები ქართლის კათალიკოსის შესახებ. კერძოდ, პირველ ისტორიაში ნათქვამია, რომ ქართლის კათალიკოსმა მიქაელ მირიანის ძემ მოიტაცა ჭყონდიდლობა,⁴⁴ ხოლო მეორე ისტორიაში კი ვკითხულობთ, რომ აღნიშნულ ქართლის კათალიკოსს „მოევერაგა უფლისგან“ „ჭყონდიდელ მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა“.⁴⁵

⁴⁰ ი. ჯაფახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 1907, გვ. 50.

⁴¹ ქც. II, გვ. 128.

⁴² გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

⁴³ ქც. II, გვ. 130.

⁴⁴ ქც. II, გვ. 32.

⁴⁵ ქც. II, გვ. 118.

ფეოდალური საქართველოს სამეფო დომენის მმართველობაში არსებობდა უხუცეს-ვაზირთა ინსტიტუტი.⁴⁶ ვაზირთა შორის განსაკუთრებულად მაღალი მდგომარეობა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ეჭირა. ამ ორი სახელოს გაერთიანებამდე ჭყონდიდელი განაგებდა სამეფო მონასტრებს. მწიგნობართუხუცესი ვაზირთა შორის პირველი იყო. იგი არ ცდილობდა მემკვიდრეობით განემტკიცებინა ეს ტიტული, მთლიანად დამოკიდებული იყო მეფის (კენტრალურ ხელისუფლებაზე და ყოველმხრივ ცდილობდა მის გაძლიერებას. დავით აღმაშენებელმა გააერთიანა ეს ორი სახელო, რის შედეგად ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი მეფის ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალად იქცა.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა (პირველი ვაზირის, ვაზირთა უპიველესის საჯელოს დაკავშირება „ჭყონდიდელბასთან“, ე.ი. ჭყონდიდის ეპისკოპოსობასთან) (კენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სვლა იყო საერო თუ საეკლესიო დიდებულებთან, მათ შორის, აღბათ, ქართლის (მცხეთის) ეკლესიის მესვეურებთან ბრძოლაში.⁴⁷, ამიტომაც სამეფო ხელისუფლება ასე ადვილად ვერ შეეცდოდა ამ სახელოს გადასვლას ქართლის კათალიკოსების ხელში. თამარმა, როგორც ჩანს, სცადა მიქაელის გადაყენება, მაგრამ ვერ შეძლო. მან სპეციალურად გამოიწვია იერუსალიმში მყოფი, შესაძლოა, მიქაელ მირიანის ძის მიერ ქართლის კათალიკოსობიდან გადაყენებული ნიკოლოზ გულაბერის ძე და სცადა მისი აღდგენა კათალიკოსის ტახტზე, მაგრამ ვერ მოახერხა. თამარის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, რომელსედაც ზემოაღნიშნული ნიკოლოზ გულაბერის ძე და ანტონ ქუთათელი საღირის ძე მოთავეობდნენ, შეეცადნენ ზემოაღნიშნულ მიქაელ მირიანის ძის გადაყენებას, მაგრამ „ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“, მხოლოდ „სხუანი“ კინძე ეპისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ წილ საღრმთონი კაცნი

⁴⁶ ი. ჯავახიშვილის აზრით ვაზირთა ინსტიტუტი საქართველოში XII საუკუნიდან ჩანს, იხ. *ი. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, თბ., 1928, გვ. 121; შ. მესხიას აზრით კი, ვაზირთა ინსტიტუტი საქართველოში XIII საუკუნიდან არსებობდა. იხ. *შ. მესხია*, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XIII ს-ის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 70-75.

⁴⁷ *ბ. მელიქიშვილი*, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

დასხნეს⁴⁸. ყოფილი ჭყონდიდელ-მწიგნობარ-უხუცესი ანტონი გლონისთავის ძე ამ დროს, ნანს, გარეჯის მონასტერში იყო გაძევებული ბერად. „მოიყვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით, რომელი პირველი ჭყონდიდელ იყო და მიქაელ კათალიკოსმან მას მისტაცა“⁴⁹.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება ანტონისათვის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელის დაბრუნების თარიღთან დაკავშირებით: – 1190-1191 წ.წ. (ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე), 1184-1185 წ.წ. (შ. მესხია, ნ. შენგელია), 1188 წ. (გ. ოთხმეზური).

თამარის მეორე ისტორიის ტექსტში მიქაელის გარდაცვალების თარიღი არ არის მოხსენებული, მაგრამ მოყვანათა თანამიმდევრობისა და სხვა წყაროთა ზოგი თარიღის გათვალისწინებით, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ მიქაელი გარდაიცვალა 1188 წელს.

თამარმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის პოსტი დაებრუნებინა ანტონ გლონისთავის-ძისათვის, როდესაც მიქაელ მირიანის ძე მიიცივალა. აღნიშნული ანტონ გლონისთავის ძე, როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, ნანს, განსაკუთრებით საძულველ პიროვნებას წარმოადგენდა გიორგი III-ის პოლიტიკის მოწინააღმდეგე დიდუბულთა შორის⁵⁰. მეორე ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, როგორც იმის მაგალითს, თუ რა შეიძლება მოაყვეს საქმის (ლაშქრობის) გარეშე ხალხის დატოვებას – ისინი ათახვეარ სისახისდრეს ნაიდენდნენ, როგორც ეს იყო თამარის მეფობის დასაწყისს („დაწყებასავე ამისსა მეფობისასა“), როდესაც „ორნი ძმანი ანტონ ჭყონდიდელისანი დაჯოკნეს“⁵¹. მართალია, მკვლელნი კახაბერისძეთა საგვარეულოდან თამარმა გააძევა ქვეყნიდან, მაგრამ თვით ანტონიც, როგორც ვიცით, სახელმწიფოს მართვა-გამგეობას ჩამოაცილეს და გარეჯის მონასტერში უკრეს თავი – აღნიშნავს გ. მელიქიშვილი⁵².

მკვლევარმა განიხილა გიორგი რუსის დაბრუნებასთან დაკავშირებული აჯანყებაც თამარის ისტორიებში. მან აღნიშნა,

⁴⁸ ქც. II, გვ. 118-119.

⁴⁹ იქვე, გვ. 122.

⁵⁰ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

⁵¹ ქც. II, გვ. 131.

⁵² გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

რომ ორივე ისტორიკოსი, გიორგის გაძევების მიზეზად ერთხმად ასახელებს მის ცუდ ზნეს. აგრეთვე – „როგორც ძირითადად იმერთა (ე.ი. ლიხს იქითა საქართველოს, დასავლეთ საქართველოს) განდგომა, კვალიფიცირებული აქვს ეს აჯანყება თამარის მეორე ისტორიკოსსაც“.⁵³

თამარის მეორე ისტორიაში დაცულ მასალას იყენებს ჯ. სტეფნაძე.⁵⁴ იგი აღნიშნავს, რომ „შამქორის ბრძოლას თამარის ორივე ისტორიკოსი უაღრესად დაძაბულად წარმოგვიდგენს“⁵⁵ (ქ.ცხ. გვ. 70-71, გვ. 125-127).

ჯ. სტეფნაძე იმოწმებს აგრეთვე მეორე ისტორიკოსის ცნობას – „ათაბაგმან ბუბაქარ აქო თუსი ღონე და ღონიერება, რაძეთუ მიწვენულმან ჳნარცუსა სადმე მკირესა მიწასა შინა დაფლა თავი თუსი“.⁵⁶ მკვლევარი აღნიშნავს, რომ სადრ აღდინის ცნობითაც აბუ-ბაქრი მოკლულებს შორის ეგდო.⁵⁷

მკვლევარი შენიშნავს, რომ თამარის ორივე ისტორია, 'სოკიერთ ფაქტს ერთგვარად გადმოსცემს:⁵⁸ ... განძასთან მიახლოებულ საქართველოს ლაშქარს წინ გამოეგებნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები და მშვიდობა ითხოვეს – შემდეგ დავითი და მისი თანმხლები პირნი ქალაქში შეიყვანეს და დიდი ზეიმი გამართეს. დარბაზობას ესწრებოდნენ შარვან-შაჰი და ამირ-მირმანი⁵⁹ (მირ-მირანი).⁶⁰

თამარის ეპოქის დახასიათებისას უხვ მასალას მეორე თხზულებიდან იყენებს მ. ლორთქიფანიძე.⁶¹ მკვლევარი განიხილავს ცნობებს მიქაელ მირიანის ძის შესახებ,⁶² თამარის პირველ გათხოვებასთან დაკავშირებულ ცნობებს ორსავე ის-

⁵³ იქვე, გვ. 98.

⁵⁴ ჯ. სტეფნაძე, საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობა XII-XIII სს-ის მიჯნაზე. – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970, გვ. 120.

⁵⁵ ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

⁵⁶ ქ.ც. II, გვ. 127.

⁵⁷ ჯ. სტეფნაძე, იქვე, გვ. 124.

⁵⁸ იქვე, გვ. 127.

⁵⁹ ქ.ც. II, გვ. 72.

⁶⁰ ქ.ც. II, გვ. 127.

⁶¹ М.А. Лордкипанидзе, История Грузии – XI начало XIII века, изд. "Мецниереба", Тб., 1974.

⁶² იქვე, გვ. 146.

ტორიაში⁶³. ცალკე განიხილავს მ. ლორთქიფანიძე სეკურადლებო (ვნობებს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებით, რომელიც მხოლოდ მეორე ისტორიაში მოხსენიებულია ადნიშნავს, რომ ამ დაშქრობის საბაბი გასდა თამარის მიერ დასაწუქრებული ბერების გაძარცვა, რომელნიც უცხოეთში მეოფ ქართულ მონასტრებში ბრუნდებოდნენ, სოფლო მიხეი კი ცხადი იყო – საქართველოს უნდოდა ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და შავი ზღვის სამხრეთ საზღვარზე, რომელიც ძირითადად დასებით იყო დასახლებული, შექმნა სახელმწიფო, რომელსაც დაუპირისპირებდა სელჯუკებო და იმპერიას. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ამ სახელმწიფოს მმართველად, იმპერატორის მაღალი წოდებით, დანიშნულა იქნა ანდრონიკე კომნინის შვილი – ალექსანდრე, რომელიც თამარს ნათესავად ეკუთვნოდა. მეკლევარი ადნიშნავს, რომ ეს ფაქტი მოტივირებულ იქნა, როგორც ბიზანტიელების კანონურ სასასღერო უფლებათა აღდგენა.⁶⁴

ქართული ხელისუფლება, სამართლიანად ადნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, გულგრილად ვერ შეხედებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან შექმნილ საშიშროებას. ბიზანტიას საფრთხე ემუქრებოდა ყოფილიყო დაპყრობილი სელჯუკებისაგან, დასავლეთიდან კი ჯვაროსნების შემოსევა იყო მოსალოდნელი. ყველაფერი ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ინტერესებთან და თამარმა შეკრიბა ლაშქარი, რომელმაც დაიპყრო წინა ასიის ქალაქები – ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია.⁶⁵ საიდანაც დაარსდა ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ ფაქტიურად მოლიანად საქართველოს დაქვემდებარებული სახელმწიფო – ტრაპიზონის იმპერია – ადნიშნავს მეკლევარი.⁶⁶

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების თარიღად ი. ჯავახიშვილი 1204 წელს თვლიდა. მისი აზრით, ამ მოვლენებს მოსდევდა რუმის სულთნის – რუქნ-ად-დინის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ და ბასიანის ბრძოლა.⁶⁷ ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში განნდა ახალი დათარიღება ად-

⁶³ იქვე, გვ. 148-149.

⁶⁴ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 161-162.

⁶⁵ ქც. II, გვ. 142.

⁶⁶ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 161-162.

⁶⁷ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანა, თხზულებანი, II, 1983, გვ. 273.

ნიშნული ფაქტებისა, კერძოდ, მეცნიერთა აზრით, ქართველებს ღაშქრობა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე, მოხდა ბასიანის ბრძოლის შემდეგ და რუქნ-ად-დინი წინ კერ აღუდგა საქართველოს ღაშქარს,⁶⁸ რადგან ბასიანის ბრძოლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ასეთი თანმიმდევრობით არის აღწერილი ზემოთაღნიშნული მოვლენები თამარის მეორე ისტორიაშიც.

ამრიგად, ასკენის მ. ლორთქიფანიძე, XIII საუკუნის დასაწყისში საქართველომ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა სამხრეთ საზღვრებთან და უსაფრთხოება მოიპოვა სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთიდან.

მ. ლორთქიფანიძე განიხილავს თამარის მეორე ისტორიაში არსებულ ცნობებს მონაპირეების შესახებ. მისი აზრით, — „მონაპირე ერისთავი თავის სამფლობელოში წარმოადგენს ისეთსავე ერისთავს, როგორც ჩვეულებრივი ერისთავები არიან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თავის საერისთავოში იგი ახორციელებს აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის ფუნქციას“.⁶⁹

მონაპირეობდნენ ოლქების მიხედვით ადგილობრივი ძალები ცნობილი სარდლების, სპასალარებისა და თვით ამირ-სპასალარების მეთაურობით. მონაპირეების ასეთი ძლიერი ინსტიტუტი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და ხალხის დარაზმულობას მოწმობს.⁷⁰

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ბევრ ისეთ ცნობას შეიცავს, რომელიც არსად სხვაგან დაცული არ არის და მნიშვნელოვანწილად ავსებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდეტანის“ მონაცემებს. ძეგლი იძლევა XII ს-ის დასასრულსა და

⁶⁸ ა. გამყრელიძე, ბასიანის ბრძოლის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების რამდენიმე საკითხი — კავკასიის ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 247-256; ა. აბდელაძე, ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის შესახებ — მაცნე, ისტორიის სერია, 1972, №1, გვ. 133-139; გ. ალასანი, ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის — მაცნე, ისტორიის სერია, 1975, №1.

⁶⁹ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171 (რუსულად, თარგმანი ჩვენია, მ.ქ.).

⁷⁰ იქვე, გვ. 174.

XIII ს-ის დამდეგის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გაშუქების საშუალებას.

თამარის მეორე ისტორიკოსი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სახელწიფოსა და ეკლესიის სოციეტო მესვეურთა შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე, თამარის სახლობასთან დაკავშირებით დიდებულთა მოქმედებასა და სხვადასხვა საკითხებზე.

თამარის მეორე ისტორიაში ხსენებულია „სიმდიდრით აღადგებულნი“. ეს „სიმდიდრით აღადგებულნი“ და „ამაღლებულნი“ ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენებიდან გამოსული ვაჭრები და ამ წრიდან დაწინაურებული პირები უნდა იყვნენ.⁷¹ ისინი – „ერთ-ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვეს(ვა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისევე ღრკუსა ძირსა ნაყოფთა ღიპარიტეთთა“...⁷²

რ. მეტრეველი განიხილავს თამარის ქორწინებასთან დაკავშირებულ მასალას ორსავე ისტორიის მიხედვით და შენიშნავს, რომ „მიქაელ პატრიარქი ორივე ისტორიკოსს უფლისწულის (გიორგი რუსის) მომხრედ ჰყავთ გამოყვანილი“.⁷³

მკვლევარი განიხილავს თამარის მეორე ისტორიაში დაცულ ცნობას თამარის ქმრად გიორგი რუსის მომყვანის შესახებ და იშველიებს გერმანელი მეცნიერის ფ. პოლდაკის აზრს. რომელიც თვლის, რომ „თუკი ზანქან ზორაბაბელი იმ პრინციპით იყო შერწყული, როგორც რუსი უფლისწულის ადგილსამყოფელის მცოდნე, ეს ვერავითარი ბედენაა, რადგან ასეთ შემთხვევაში მასზე მეგზურის მოვალეობის დაკისრება უფრო უმჯობესი იქნებოდა, ვიდრე მისიის მეთაურისა“.⁷⁴

აღსანიშნავია ისიც, რომ თხზულების ცნობით, თამარმა შემოიღო ათაბაგობა.

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ უხვ მასალას იძლევა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ. მასში დაცული მრავალი ტერმინი საშუალებას გვაძლევს საყურადღებო ცნობები იქნეს ამოკრებილი აღნიშნული წყაროდან.

⁷¹ რ. მეტრეველი. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, 1973, გვ. 151; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 106.

⁷² ქც., II, გვ. 131.

⁷³ რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

⁷⁴ იქვე, გვ. 184.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სამუშაო, რომლის შედეგადაც გაირკვა, თუ რა ტერმინები მოიპოვება მხოლოდ თამარის მეორე ისტორიაში, „ისტორიათა და აზმათა“-ს ტექსტთან შედარებით. ესენია – „აზადობა“,⁷⁵ „ანდერძ-ყოფა“,⁷⁶ „დარბაის-ერი“,⁷⁷ „ესოსმოძღვარი“,⁷⁸ „ხედამდგომელი“,⁷⁹ „თავდგმულობა“,⁸⁰ „მეებნე“,⁸¹ „მემროწლე“,⁸² „მეუდაბნოე“,⁸³ „მქსანგე“,⁸⁴ „მთიბავი“,⁸⁵ „მთხოველი“,⁸⁶ „მმართველი“,⁸⁷ „მნე“,⁸⁸ „ნიჯადი“,⁸⁹ „უამთაილმწერელი“,⁹⁰ „უაზნო“,⁹¹ „უჯი“,⁹² „ფანჯანობათ“,⁹³ „შანშეობა“,⁹⁴ „ჭყონდიდელ-მაწყუერელობა“.⁹⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი რიგი ტერმინები არის თამარის მეორე ისტორიის ტექსტის ან მხოლოდ პირველ ნაწილში, რომელმაც ჩვენამდე ჭალაშვილისეული ხელნაწერის

⁷⁵ ქც. II, 1959.141₂₂, ლექსიკონში ახსნილია „აზატად“, „თავისეულად“, გვ. 543.

⁷⁶ იქვე, გვ. 136,9

⁷⁷ იქვე, გვ. 130,7; ლექსიკონში ახსნილია – „დარბაისის წვერი“, „სახელმწიფო საბჭოს წვერი“, გვ. 559.

⁷⁸ იქვე, გვ. 136,10.

⁷⁹ იქვე, გვ. 147,24; ლექსიკონში: „მმართველი“, „ხედამხედველი“, „თანამდებობის პირი“. გვ. 564.

⁸⁰ იქვე, გვ. 115,16; ლექსიკონში: – „უპირატესობა“, გვ. 565.

⁸¹ იქვე, გვ. 146,19; ლექსიკონში: – „ებანის დამკერელი“, გვ. 574.

⁸² იქვე, გვ. 146,18; ლექსიკონში – „მწყემსი“, გვ. 274.

⁸³ იქვე, გვ. 117,17; 147,16-17; ლექსიკონში – „ბერი“, „განდუგილი“, გვ. 275.

⁸⁴ იქვე, გვ. 146,19; ლექსიკონში – „ჩანგის დამკერელი“, გვ. 275.

⁸⁵ იქვე, გვ. 141, 17.

⁸⁶ იქვე, გვ. 140,20; ლექსიკონში – „მთხოვენელი“, გვ. 576.

⁸⁷ იქვე, გვ. 118,11; ლექსიკონში – „მმართველი“, გვ. 579.

⁸⁸ იქვე, გვ. 118,18; ლექსიკონში – „მმართველი“, გვ. 579.

⁸⁹ იქვე, გვ. 127,6; ლექსიკონში – „დამხმარე, ჯარი“, გვ. 589.

⁹⁰ იქვე, გვ. 130,22; ლექსიკონში – „მემატიანე“, გვ. 591.

⁹¹ იქვე, გვ. 130,2; ლექსიკონში – „არაკეთილშობილი“, გვ. 604.

⁹² იქვე, გვ. 132,25.

⁹³ იქვე, გვ. 127,15.

⁹⁴ იქვე, გვ. 130,35; ლექსიკონში – „შაპინშაპის წოდება“, გვ. 613

⁹⁵ ქც. II, 1959, გვ. 118,26; ლექსიკონში – ჭყონდიდელ მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა, გვ. 626.

საშუალებით მოადღწია, ან მხოლოდ მეორე ნაწილში, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი. ჯავახიშვილის მიერ იქნა აღდგენილი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ საშუალებით.

კერძოდ, თამარის მეორე ისტორიის ტექსტის მხოლოდ პირველ ნაწილში გვხვდება ტერმინები – „ახნაური“,⁹⁶ „ათაბაგი“,⁹⁷ „ამირა“,⁹⁸ „ღარბაისური“,⁹⁹ „დედოფალი“,¹⁰⁰ „ებგური“,¹⁰¹ „ერისთავთ-ერისთავი“,¹⁰² „ექსორია“,¹⁰³ „ვაზირი“,¹⁰⁴ „თავდგამელობა“,¹⁰⁵ „თანა-საყდარი“,¹⁰⁶ „თემი“,¹⁰⁷ „მთავარი“,¹⁰⁸ „მეყვით-მეყვე“,¹⁰⁹ „მსარეული“,¹¹⁰ „მმათებელი“,¹¹¹ „მნე“,¹¹² „მონაპირე“,¹¹³ „მოქენე“,¹¹⁴ „მოძღუარი“,¹¹⁵ „მწიგნობართ-უსუცესობა“,¹¹⁶ „მხილებული“,¹¹⁷ „ნიჯადი“,¹¹⁸ „პატრიარქი“,¹¹⁹

⁹⁶ იქვე, გვ. 129,2.

⁹⁷ იქვე, გვ. 127,11; 127,20; 128,18.

⁹⁸ იქვე, გვ. 127,5.

⁹⁹ იქვე, გვ. 130,17.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 115,11; 121,15; 121,19; 119,6; 119,15; 115,13; 115,17.

¹⁰¹ იქვე, გვ. 118,19; ლექსიკონში – „ღარაჯი“, გვ. 562.

¹⁰² იქვე, გვ. 188,16.

¹⁰³ იქვე, გვ. 131,15; ლექსიკონში – „საზღვრებს იქით განდევნა“, „ბაძეეობა“, გვ. 563.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 123,4; 125,17.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 115,16; ლექსიკონში – „უპირატესობა“, გვ. 565.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 116,2.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 125,15; 116,23; 123,24; ლექსიკონში – „ადგილი“, „არე“, „მსარე“, გვ. 566.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 121,15.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 125,24; 116,21.

¹¹⁰ იქვე, გვ. 127,7.

¹¹¹ იქვე, გვ. 118,11.

¹¹² იქვე, გვ. 118,18; ლექსიკონში – „მმართველი“, გვ. 579.

¹¹³ იქვე, გვ. 129,20; 130,22; 129,25; 129,31; 129,32; 130,8.

¹¹⁴ იქვე, გვ. 129,7; 130,32; 129,7; ლექსიკონში – „მთხოვნელი“, გვ. 582.

¹¹⁵ იქვე, გვ. 118,40.

¹¹⁶ იქვე, გვ. 118,26-27; 123,5.

¹¹⁷ იქვე, გვ. 131,9.

¹¹⁸ იქვე, 127,6; ლექსიკონში – „დამხმარე ჯარი“, გვ. 589.

¹¹⁹ იქვე, გვ. 119,15.

„უამთააღმწერელი“,¹²⁰ „რაინდობა“,¹²¹ „სამფლობელო“,¹²²
 „საშუაღ მდგომნი“,¹²³ „სპასალარი“,¹²⁴ „სპასპეტი“,¹²⁵ „სეფე“,¹²⁶
 „უაზნო“,¹²⁷ „ესახელთენესი“,¹²⁸ „ფანჯანობათი“,¹²⁹ „ქუ-
 თათელი“,¹³⁰ „შანშეობა“,¹³¹ „წინამძღუარი“,¹³² „წელი“,¹³³
 „ჰყონდიდელი“,¹³⁴ „ჰყონდიდელ-მაწყუერელობა“,¹³⁵

ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ტერ-
 მინები, რომლებიც არ გვხვდება „ცხოვრება მეფეთ მეფისა
 თამარისის“ ტექსტის პირველ ნახეარში, გვხვდება ი. ჯავახიშ-
 ვილის მიერ აღდგენილ ნაწილში, რომელიც ტექსტს
 გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ისიც გასათვალ-
 ისწინებელია, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამარის მეორე
 ისტორიის ტექსტის მეორე ნაწილი, მხოლოდ ვახტანგისეული
 „ქართლის ცხოვრებით“ არის ჩვენამდე მოღწეული. ვახტანგის
 „სწავლულ კაცებს“ კი, როგორც ტექსტებსე დაკვირვებამ
 ცხადჰყო, ბევრი რამ შეუცვლიათ, დაუმატებიათ ჩვენთვის უც-
 ნობი წყაროებიდან, ან გამოუკლიათ თავიანთი სურვილის
 მიხედვით. აქედან, შესაძლოა, მრავალი ტერმინი, რომელიც
 თამარის მეორე ისტორიის ტექსტში მოიპოვება, ამჟერად,
 შეცვლილი ან დამატებული იქნეს გვიანდელ გადამწერთა მიერ.

¹²⁰ იქვე, გვ. 130,22.
¹²¹ იქვე, გვ. 122,2.
¹²² იქვე, გვ. 115,24.
¹²³ ქვ. II, 1959, გვ. 121,22.
¹²⁴ იქვე, გვ. 129,33; 119,4.
¹²⁵ იქვე, გვ. 119,15.
¹²⁶ იქვე, გვ. 129,2 (ტექსტის მხოლოდ მეორე ნაწილში კი
 გვხვდება „სეფის პირნი“, გვ. 149,27).
¹²⁷ იქვე, გვ. 130,2.
¹²⁸ იქვე, გვ. 128,16.
¹²⁹ იქვე, გვ. 127,15.
¹³⁰ იქვე, გვ. 118,4-5.
¹³¹ იქვე, გვ. 130,35; ლექსიკონში – „შაჰინშაჰის წოდება“, გვ. 613.
¹³² იქვე, გვ. 118,23; 120,6.
¹³³ იქვე, გვ. 124,13.
¹³⁴ იქვე, გვ. 126,12; 123,4; 125,18; 131,11-12; 122,23.
¹³⁵ იქვე, გვ. 118,26.

თამარის მეორე ისტორიის მხოლოდ მეორე ნაწილში: გხედებით ტერმინებს: „აგარა(კი)“,¹³⁶ „ავასაკი“,¹³⁷ „ასადობა“,¹³⁸ „ანდერძ-ყოფა“,¹³⁹ „არზანგი“,¹⁴⁰ „ესოსმოძღვარი“,¹⁴¹ „თავეჯი“,¹⁴² „მევირე“,¹⁴³ „მეუყე“,¹⁴⁴ „მთავრობა“,¹⁴⁵ „მთიბაე“,¹⁴⁶ „მთხოველი“,¹⁴⁷ „მკურნალი“,¹⁴⁸ „მოციქული“,¹⁴⁹ „მსახურება“,¹⁵⁰ „მწოდებელი“,¹⁵¹ „ნაკვალი“,¹⁵² „საზრდელი“,¹⁵³ „სამეუფო“,¹⁵⁴ „უმცროსი“,¹⁵⁵ „უფროსი“,¹⁵⁶ „უჯი“,¹⁵⁷ „ჯუარის მტერთველი“,¹⁵⁸

(ვალკე გამოვეყიფთ იმ ტერმინებს, რომელნიც ბოლო, საგარაუდო ნაკვეთში გხედება. ესენია, თამარის მეორე ისტორიის მეორე ნაწილშიც არსებული – „აგარა(კი)“,¹⁵⁹ „მსახურება“,¹⁶⁰ და „საზრდელი“,¹⁶¹ და აგრეთვე მხოლოდ ბოლო

¹³⁶ იქვე, გვ. 131,25; 144,23.

¹³⁷ იქვე, გვ. 141,3; 141,17.

¹³⁸ იქვე, გვ. 141,22; ლექსიკონში – „თავესუფლად“, გვ. 545.

¹³⁹ იქვე, გვ. 136,9.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 145,22; ლექსიკონში – „პატივი“, „ღირსება“, გვ. 545.

¹⁴¹ იქვე, გვ. 136,10.

¹⁴² იქვე, გვ. 137,20.

¹⁴³ იქვე, გვ. 135,3.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 145,30.

¹⁴⁵ ქც. II, 1959, გვ. 132,11.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 141,17.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 140,20.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 144,24.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 133,12; 132,4; 135,13; 133,23; 134,16; 132,13; 132,15; 134,16.

¹⁵⁰ იქვე, გვ. 133,2; 145,3-4; 134,16.

¹⁵¹ იქვე, გვ. 145,14.

¹⁵² იქვე, გვ. 134,1; 142-18.

¹⁵³ იქვე, გვ. 143,4.

¹⁵⁴ იქვე, გვ. 143,5; 142,25.

¹⁵⁵ იქვე, გვ. 139,3.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 142,18; 146,19.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 132,25.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 136,11.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 148,16.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 147,6.

¹⁶¹ იქვე, გვ. 147,21.

ნაკვეთში არსებული „სედამდგომელი“,¹⁶² „მეებნე“,¹⁶³ „მქორწოლე“,¹⁶⁴ „მენავე“,¹⁶⁵ „მეჩანგე“,¹⁶⁶ „მცველი“,¹⁶⁷ „სეფის პირნი“,¹⁶⁸ „ერმებრივი“,¹⁶⁹ „ხუცესი“.¹⁷⁰

როგორც ვხედავთ, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ შეიცავს უხე მასალას ტერმინოლოგიის მხრივაც. აქ არის იმდროინდელი საქართველოს ყოფის მრავალმხრივი კუთხით ამსახველი ტერმინები. წარმოდგენილია უხუცეს-ვაზირთა ინსტიტუტი, ქვეყნის სამოხელეო წყობა, ეკონომიკური, სოციალური თუ სამხედრო საქმიანობის ამსახველი ტერმინები მონაპირეობის ინსტიტუტი და მისი სტრუქტურა. მოცემულია პატრონყმობასთან დაკავშირებული, მუსიკალურ საკრავთა აღმნიშვნელი ტერმინები და სხვ. ამასთან ძეგლში უხვად გვხვდება ისტორიულ პირთა სახელები, რომელნიც სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

ძეგლის წყაროთმცოდნეობითი ღირებულების სრულად წარმოსადგენად საჭიროა თითოეული ამთგანის ცალკე განხილვა. მათი წარმოდგენა ისტორიულ ასპექტში, განსაზღვრა იმისა, თუ როდის, რა დროიდან გვხვდება ესა თუ ის ტერმინი ქართულ ისტორიულ საბუთებსა, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა თუ სხვა ისტორიულ წყაროებში. ამასთან თამარის მეორე ისტორიის ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შეჯერება თამარის პირველ ისტორიასთან და „ვეფხისტყაოსანთან“, ამ შეჯერების საფუძველზე სათანადო მეცნიერული ანალიზი და ჯეროვანი შეფასება, მასალის სიუხვე, ამ რიგის კვლევის მთელი სისრულით წარმოდგენა ძალიან გაზრდიდა ჩვენი ნაშრომის მოცულობას.

ამის გამო ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობას მხოლოდ ნაწილობრივ წარმოვადგენთ.

¹⁶² იქვე, გვ. 147,24.

¹⁶³ იქვე, გვ. 146,29.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 146,18.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 146,20.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 146,19.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 149,8.

¹⁶⁸ იქვე, გვ. 149,27 (ტექსტის პირველ ნაწილშია „სეფე“ – გვ. 129,2).

¹⁶⁹ იქვე, გვ. 149,14.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 147,19; 147,29.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფო კარზე არსებული უხუცესეუსირთა ინსტიტუტი დიდ როლს თამაშობდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობებში. საქართველოში ავღოსაველეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით არაერთი უხუცესეუსირთა არამედ რამდენიმე ვაზირი იყო.¹⁷¹ ი. ჯავახიშვილი ვაზირთა როგს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

1. მწიგნობართუხუცესი
2. ათაბაგი
3. მანდატურთუხუცესი
4. ამირსპასალარი
5. მეჭურჭლეთუხუცესი
6. მსახურთუხუცესი.¹⁷²

თამარის მეორე ისტორიაში მოხსენიებული უხუცესეუსირთა ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა — ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ანანს ეპიგრაფიკულ ძეგლებში.¹⁷³

ვაზირებში ყველაზე უფროსად მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა.¹⁷⁴ მწიგნობართუხუცესობისა და ჭყონდიდლობის შერთება 1103-1110 წლებში უნდა მომხდარიყო.¹⁷⁵ „ამიერიეთგან მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა ერთმანეთისაგან განუყრელი იყო“.¹⁷⁶ მხოლოდ ერთი მაგალითი მოიპოვება იმისა, რომ მიქაელ კათალიკოსმა ანტონს „მისტაცა“ ეს სახელეო. ეს ცნობა, როგორც უკვე აღინიშნა, თამარის ისტორიაში მოიპოვება და სხვა შემთხვევა იმისა, რომ ცალკე ყოფილაყოს მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა, არ მოიპოვება. ი. ჯავახიშვილის აზრით — „მწიგნობართუხუცესს ებარა სახელმწიფო სახლის „განსაგებელი“, სამეფოს სპა და თვით თამარ მეფის თანამეცხედრეც კი, დავით მეფე, მისი საზრუნაყი უნდა

¹⁷¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, თბ., 1928, გვ. 121.

¹⁷² ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123, 124.

¹⁷³ იხ. გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 50-51.

¹⁷⁴ ი. ჯავახიშვილი, მწიგნობართუხუცესი, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 270.

¹⁷⁵ იქვე, გვ. 272.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 272.

ყოფილიყო“.¹⁷⁷ „მწიგნობართუხუცესი ქვეენის უზენაესი მზრუნველი, სახოგადო კეთილდღეობისა და წარმატების მოურნე და პოლიტიკისა და მიმართულების საკეთმპყრობელი იყო“.¹⁷⁸

მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი მოვალე იყო სახელმწიფოს სახოგადო კეთილდღეობისათვის ესრუნა.¹⁷⁹ ამ საკითხს განიხილავს ი. სურგულაძე და აღნიშნავს, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ნიშნავს მთელი სახელმწიფოებრივი მმართველობის უფროსობას, მწიგნობართუხუცესი იყო მეფის მრჩეველი და „სავაზიროს“ უფროსი.¹⁸⁰

მწიგნობართუხუცესი ადრეც იყო, მაგრამ, დავით აღმაშენებელმა დააწესა, რომ ამ თანამდებობას იჭერდეს ჭყონდიდის ეპისკოპოსი. მეფის დამხმარე იყო სასულიერო პირი, აქედან მეფეს შეეძლო საეკლესიო საქმეებში ჩარევა, რაც აძლიერებდა მის უფლებებს.¹⁸¹

ი. ჯავახიშვილმა დაახასიათა თითოეული ტერმინი, რომელიც თამარის მეორე ისტორიაში მოიპოვება და რომელიც აქედან გამომდინარე XII საუკუნის ქართულ ძეგლებში გვხვდება პარალელურად. მათი დახასიათებით გამოიკვეთა თამარის დროს მოქმედი სახელმწიფო აპარატის მუშაობა და ეპოქისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

XII საუკუნისათვის დამახასიათებელი ტერმინები განიხილა ი. სურგულაძემ. მან აღნიშნა, რომ „ვაზირი“ XII საუკუნიდან განიდა ქართულ წყაროებში. ეს ტერმინი არაბულია, როგორც ეს ი. ჯავახიშვილმაც აღნიშნა,¹⁸² თუმცა ამ ქვეყნებში თითო-თითო იყო, საქართველოში კი ექვსი.

საქართველოში ვაზირი ხელმძღვანელობდა ცენტრალური მმართველობის ერთ-ერთ უბანს.¹⁸³ ვაზირები და მათი მოადგილეები წარმოადგენდნენ „სავაზიროს“, – რაც გახლავთ ფუნქციონირებული დაწესებულება იყო. მათი საშუ-

¹⁷⁷ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 274.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 274.

¹⁸⁰ И.И. Сургуладзе, История государства и права Грузии, Тб., 1968, с. 43.

¹⁸¹ ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

¹⁸² ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძეგლები, წ. II, ნაწ. II, გვ. 237-245.

¹⁸³ ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

აღებით მეფეს უნდოდა ფეოდალების დამორჩილება.¹⁸⁴ თამარ მეფემდე 4 ვაზირი იყო, თამარ მეფის დროს იქნა შემოღებული ათაბაგობა, ხოლო რუსუდანმა ვაზირთა რანგში აიყვანა მსახურთუხუცესი. ამრიგად, სულ 6 იყო ვაზირი – მწიგნობართუხუცესი, მწიგნობართუხუცესი და მსახურთუხუცესი.

მწიგნობართუხუცესი, როგორც ვაზირთა უფროსი, განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. დანარჩენები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: 1. ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, 2. მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

მწიგნობართუხუცესს „მეფის მამასაც“ უწოდებდნენ. თამარის ისტორიკოსთა თქმით მწიგნობართუხუცესი სცემდა ბრძანებებს ჯარის შეკრებაზე და თვით იღებდა მონაწილეობას ლაშქრობაში.¹⁸⁵ მას ანდობდნენ სახელმწიფო დროშას.

თამარის მეორე ისტორია გვაწოდის ცნობას იმის შესახებ, რომ ათაბაგობა თამარის დროს იქნა შემოღებული. პირველად სელჯუკებში წარმოიშვა. იგი მეფის წულის აღმსრდელი იყო და რაღა თქმა უნდა გაველენიანი და მნიშვნელოვანი პირი ხდებოდა სახელმწიფოში.

როცა ამირსპასალარი ზაქარია გარდაიცვალა, ეს წოდება თამარმა მის უმცროს ძმას ივანეს უბოძა. ივანემ მას ათაბაგობაც სთხოვა და კიდევაც მიიღო. ათაბაგობა ხშირად უთავსებოდა ამირსპასალარობას.¹⁸⁶

ამირსპასალარი მეფედ კურთხევის დროს ხმალს არტყამდა მეფეს. XII ს-მდე წყაროებში არ მოიხსენიება, თუმცა არის „სპასალარი“, რომელიც ადგილობრივი მხედართმთავარია.¹⁸⁷

მანდატურთუხუცესია მესამე ვაზირი. მანდატურთა უფროსი. მანდატურნი სხვადასხვა ვალდებულებებს ასრულებდნენ, მათ ფუნქციას ადმინისტრაციულ-შემსრულებელი ხასიათი ჰქონდა.

მეჭურჭლეთუხუცესს სამეფო ხაზინა ებარა.¹⁸⁸

¹⁸⁴ იქვე, გვ. 50.

¹⁸⁵ ქვ. II, 1959, გვ. 62,72,125.

¹⁸⁶ ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 54.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 56.

მსახურთუხუცესი ვეზირთა შორის უკანასკნელი მოიხსენიება. სავაზიროში რუსუდანის დროს შევიდა.¹⁸⁹

თამარის მეორე ისტორიაში არის ცნობა საერისთავოთა შესახებ. სახელმწიფო ამ დროს იყოფოდა საერისთავოებად, მათ ერისთავები განაგებდნენ. უფრო მსხვილ პროვინციებს განაგებდნენ ერისთავთ-ერისთავები. თამარის დროს ასეთი საერისთავო 9 იყო. უფრო შექმლებულნი მათ შორის მთავარნი არიან.¹⁹⁰

თამარის მეორე ისტორიაში არსებული ტერმინები განიხილა მ. ბერძნიშვილმა.¹⁹¹ მან დაახასიათა თითოეული მათგანი და მოგვცა მათი ახსნა თვით ტექსტის მიხედვით.

თამარის მეორე ისტორიაში არსებული ორი ტერმინის – „ფანჯანობათი“ და „უჯი“ – ახსნა მოგვცა გ. ალასანიამ. მან აღნიშნა, რომ თხზულების უახლესი გამოცემის ლექსიკონში „ფანჯანობათი“ განმარტებულია, როგორც „ერთგვარი ნობათი“.¹⁹² თამარის მეორე ისტორიაშია – „შეიყვანეს დავით დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტნოსა ზედა დასუეს ფანჯანობათასა სასულტნოსა უკრეს“.¹⁹³

მკვლევარის აზრით, ფანჯანობათი სულთნის პატივსაცემად სრულდებოდა. ამიტომ თხზულების აღნიშნული ადგილი ასე უნდა გავიგოთ, რომ დავით განძაში სულთნის ტახტზე ავიდა და მის, როგორც სულთნის პატივსაცემად ტრადიციის მიხედვით, ხუთჯერ დაუკრეს ნობათი.¹⁹⁴

გ. ალასანიამ განმარტა ტერმინი „უჯი“ („უჯი“). ტექსტში ნათქვამია – როდესაც ბასიანის ბრძოლის წინ რუქნ-ად-დინმა მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებს ლაშქრის გამოყვანა უბრძანა, ხოლო „თვით ამოისწრაფა და მიიწია უჯად სახელდებულთა მათ თურქთა თანა, რომელ არიან მკნე ბრძოლასა შინა

¹⁸⁹ ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

¹⁹⁰ იქვე, გვ. 58.

¹⁹¹ Жизнь царицы цариц Тамар, Перевод и введение В.Д. Дондуа, исследование и примечание М.М. Бердзенишвили, Тб., 1985.

¹⁹² გ. ალასანია, ორი ტერმინის განმარტებისათვის თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში, – აღმოსავლური ფილოლოგია, III, 1973, გვ. 205.

¹⁹³ ქც. II, გვ. 127.

¹⁹⁴ გ. ალასანია, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

და არიან სიმრავლითა ვითა მკაღნი“...¹⁹⁵ ამ ტერმინის მნიშვნელობა სხვადასხვა მკვლევრებს სხვადასხვანაირად ესმოდათ. მ. ბროსე თვლიდა, რომ „უჯი“ იგივე უუკინია. მ. ჯანაშვილის აზრით „უჯი“ – ტოპონიმია. ი. ცინცაძე „უჯს“ ტომის სახელწოდებად თვლის. ი. ჯავახიშვილისა და ს. ყაუხჩიშვილის თამარის ისტორიკოსის თხზულების გამოცემებში „უჯი“ საკუთარ სახელთა საძიებელშია შეტანილი.¹⁹⁶ გ. ალასანიამ განიხილა „უჯის“ არაბული მნიშვნელობა და დაასკვნა, რომ ქართველი ავტორი უჯად სახელდებულად გულისხმობდა თურქების იმ ნაწილს, რომელიც საზღვარზე (უჯზე) სახლობდა და იცავდა მას.

ამრიგად, სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად, რომელიც მხოლოდ თამარის მეორე ისტორიაშია, ტექსტში დატყობილია უხვი მასალა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება XII საუკუნეში არსებული ტერმინების ახსნა და აქედან გამომდინარე იმ პოლიტიკური თუ სოციალური ურთიერთობების დადგენა, რომელიც თამარის ეპოქის დახასიათების საშუალებას იძლევა.

თამარის მეორე ისტორია საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართული მუსიკის და მუსიკალურ საკრავთა შესახებაც. თხზულების ტექსტიდან ამოვკრიბეთ ტერმინები, რომელნიც ნათელს აჟენენ XII საუკუნეში საქართველოში არსებულ მუსიკალურ საკრავთა სახეობების მრავალგვარობის საინტერესო საკითხს და ამ საკრავთა გამოყენების ადგილსა და სიტუაციას, ტექსტში ეხვდებით მუსიკალურ საკრავთა აღმნიშვნელ ტერმინებს:

1. ებანი. – „...მოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელისა(კა) ებანსა...“.¹⁹⁷

„თამარის ქებათა მელექსეობდიან ერაცს მეოფნი მკებნენი...“¹⁹⁸

მკებნე – ებანის დამკვრელს ნიშნავს. როგორც თხზულების ტექსტიდანვე ჩანს, ებანი დასარტყმელი ინსტრუმენტი იყო.

¹⁹⁵ ქც. გვ. 132.

¹⁹⁶ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 41.

¹⁹⁷ ქც. II, გვ. 131,26.

¹⁹⁸ ქც. II, 146₁₈₋₁₉.

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში ამ სიტყვის განმარტება ასეა მოცემული: „ებანი – დაფი, დაირა, ებანიც ტყავისაგან არის“.¹⁹⁹

ი. აბულაძის ლექსიკონში ვკითხულობთ:

„ებანი – ქნარი, ჩანგი: „იმდერდა წინაშე დმროთისა... ებნითა, ბობღნითა და წინწილითა და ნესტვთა“,

„შემასხმელნი ქნართა და ებნითა და წინწილითა“...

„ებნა“ – ებანზე დაკვრა, „კეთილად უბნდ“.²⁰⁰

ჩვენის აზრით, „ებანის“ სულხან საბა ორბელიანისეული განმარტება უფრო სარწმუნოა, რადგან „ჩანგი“, ისევე როგორც „ქნარი“, არ არის დასარტყმელი ინსტრუმენტი (ი. აბულაძის ლექსიკონი), ხოლო დაფი და დაირა – ორივე დასარტყმელი ინსტრუმენტებია. ებანიც, ჩვენის აზრით, დასარტყმელ ინსტრუმენტთა რიგში დგას. ამას მოწმობს თხზულების ტექსტიც: „...მცემელიცა ებანსა“, მაშასადამე ებანი, ისევე როგორც დაფი და დაირა, დასარტყმელი ინსტრუმენტი იყო. ს.ს. ორბელიანი წერს: „...ებანიცა ტყავისაგან არს“.²⁰¹

ია კარგარეთელის „სამუსიკო ენციკლოპედიაში“ აღწერილია დაირა:

„იგი რგვლად მოღუნული ხის ქერქია, რომელსაც ეწოდება ქარა, ამ ქარას გადაკრული აქვს ერთი მხრიდან ან თუეზის ბუშტი, ან თხის ტყავი.“²⁰²

ამგვარი იქნებოდა ებანიც – „ტყავისგან არს“ (ს.ს. ორბელიანი).

თამარის მეორე ისტორიის ტექსტიდან ისიც ირკვევა, რომ ებანზე დაკვრა პროფესია იყო, რომელსაც გარკვეული პირი ეუფლებოდა და საჭირო სიტუაციაში თავის მოვალეობას ასრულებდა, მას ერქვა „მეებნე“. დღეისათვის ეს სამუსიკო იარაღი საქართველოში აღარ შემოგვრჩა. მისი სამშობლო ინდოეთია.

2. ჩანგი.

„...მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან“.

¹⁹⁹ ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV, 1965, გვ. 233.

²⁰⁰ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 145.

²⁰¹ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., იქვე.

²⁰² ია კარგარეთელი, სამუსიკო ენციკლოპედია, 1923 წ., გვ. 27.

ი. აბულაძის ლექსიკონში: მეჩანგე – ჩანგის მკერელო. მუტრიბი.²⁰³

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში: „მეჩანგე – ჩანგის მკერელო, მუტრიბი“.²⁰⁴

ჩანგის შესახებ ია კარგარეთელის სამუსიკო კონცერტოლოპედიაში ვკითხულობთ: „ჩანგი, ქნარის მინაგვარი, ს.ს. კუთხედით მოღუნული სამუსიკო იარაღია; ზედ ხუთი-ექვსი სიმა გაბმული. სიმები ან აბრეშუმისაგანაა დაგრეხილი, ან საქონლის წებებისაგან არის გამოყვანილი. ეს სამუსიკო იარაღი გავრცელებულია სვანეთში“.²⁰⁵ მეგბნის მსგავსად მეჩანგეც ძველ საქართველოში პროფესია ჩანს.

3. ორღანო

„ქრისტიაზეთა ორღანონი ჯმოვანებდეს კიდით კიდემდე...“²⁰⁶

ამ სამუსიკო საკრავს იღია აბულაძის ლექსიკონში. ახსნა არა აქვს. აქ მხოლოდ დამოწმებულია ძველ ქართულ ტექსტში მისი ხმარების ნიმუში.

„სახიობათა მათ წილ და ორღანოთა... ჯკოფ... ღოცვათა“.²⁰⁷

იმ პერიოდის საქართველოში ამ ინსტრუმენტის არსებობა ქართულ სამუსიკო ხელოვნების მაღალ დონეზე მოგვითითებს. ამასთან იგი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ერთგვარი ანარეკლია, რადგანაც ეს ინსტრუმენტი ჩვენს ბიზანტიიდან უნდა იყოს შემოსული. ია კარგარეთელი მუსიკალურ ენციკლოპედიაში წერს: „არსებობს გადმოცემა, რომ საბერძნეთში 280 წლის წინათ ჩვენს ხანამდე არქიმედმა გააკეთა რაღაც ორღანოს მინაგვარი საკრავი – გიდრავლოსი, რომელშიაც პაერის დასაბერი გუდები მოძრაობაში მოდიოდნენ წყლის საშუალებით. ბევრი ფიქრობს, რომ არქიმედის წყლის ორღანო არ უნდა იყოს დღევანდელი ორღანის პირველი პროტოტიპი. სპეციალისტებსა და ისტორიკოსებს უფრო შესაძლებლად მიიჩნიათ, რომ იგი განვითარდა საბერძნეთის სამუსიკო იარაღიდან“.²⁰⁸

²⁰³ ი. აბულაძე, დასახ. ლიტ., გვ. 236.

²⁰⁴ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ლიტ., გვ. 472.

²⁰⁵ ია კარგარეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

²⁰⁶ ქც. II, 13127.

²⁰⁷ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 334.

²⁰⁸ ია კარგარეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ორღანო XII საუკუნეში არ არის საბერეველიანი საკრავი.²⁰⁹

4. საყვირი

„მიმხედველთა თამარისთა, განიყარეს გლოვა და დასცეს საყვირსა“.²¹⁰

ილია აბულაძის ლექსიკონში აღნიშნული სამუსიკო ინსტრუმენტი განმარტებულია: საყური – „ნესტუ“, „სტური“.

„საყურსა დაეცეს და მკუდარნი აღდგენ“.²¹¹

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში: „საყვირნიცა მრავალრიგნი არიან, მსახებელნი მაღალ-მდაბლობითა; ბუკი, იობულისნი, ყვირო-სტვირი, ზროხაკუდი და სხვანიცა“.²¹²

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „საყვირი“ იყო ჩასაბერი ინსტრუმენტების ჯგუფის საერთო სახელწოდება. ეს ტერმინი აერთიანებდა რამდენიმე სახეობის მუსიკალურ ინსტრუმენტს.

ია კარგარეთელი აღნიშნულ ინსტრუმენტს მიაკუთვნებს სასულე-ჩასაბერთა ჯგუფს. იგი დღევანდელ საქართველოშიაც არის გავრცელებული“.²¹³

ამრიგად, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XII-XIII საუკუნეების საქართველოს კულტურული ცხოვრების მუსიკალური სფეროს შესახებაც. თხზულებიდან ირკვევა, რომ მუსიკოსობა პროფესია იყო. მუსიკა გარკვეულ ცხოვრებისეულ მომენტებთან დაკავშირებული, ერისა და მეფის განწყობის გამომხატველი იყო ჭირსა თუ ღხინში. ძეგლში არსებული მუსიკალურ საკრავთა აღმნიშვნელი ტერმინები კიდევ ერთი კუთხით აშუქებენ იმ პერიოდის საქართველოს ყოფას.

²⁰⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 140.

²¹⁰ ქც. II. გვ

²¹¹ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 376.

²¹² სელხან საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV₂, თბ., 1966, გვ. 66.

²¹³ ია კარგარეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

§3. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ და მისი მხატვრული ანალიზი

ყოველი ერის სულიერი ცხოვრება წარმოადგენს ერის, მთლიანს და მისი გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა ლიტერატურა. ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები რაც არ უნდა მკაცრ ჟანრობრივ ჩარჩოებში იყოს მოქცეული, მაინც განიცდის სხვა ჟანრების გავლენას და, თავის მხრივ, თვითონაც გარკვეულად ცვლის მათ. ეს ურთიერთგავლენა და ურთიერთგამდინრება თითქმის გარდაუვალი პროცესია, რადგან ამა თუ იმ ერის ლიტერატურა ერთსა და იმავე ნიადაგსა ადგილს იკავებს და მისი კულტურული მემკვიდრეობის ერთ მთლიან რგოლს წარმოადგენს. ერთ რომელიმე ეპოქაში მოღვაწე ნათლებულ პირთ რამდენადმე ერთამნეთთან აახლოებს საზოგადოებისა და იმ წრის გავლენა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ეს კი გარკვეულად თავს იჩენს მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებში. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა დიდი ნაწილი თამარის ერთ-ერთ ისტორიას შოთა რუსთაველს მიაკუთვნებდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ჟანრის გაყვლენა საისტორიო მწერლობაზე ვერ შლის და ვერ არღვევს მის ძირითად ჩარჩოებს. იგი მხოლოდ ამკობს თავის გარეგნულ ფორმას ამ ელემენტებით და იქვე აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ იგი – საისტორიო მწერლობა, ვერაფერს უზუსტობას ვერ იტყუებს, ეს გავლენა არ ხდება ფაქტობრივი სიმართლის ხარჯზე. საისტორიო მწერლობა არ შეიცავს მწერლის ფანტაზიას, როგორც ეს მხატვრულ ლიტერატურაშია: „რათა არა ტყუილი ყისმე ეკონოს და ზღაპარი გინდეს თქმულნი ესე მომავალთა ჟამთა“ – ამბობს თამარის მეორე ისტორიის ავტორი (II, 128).

„თამარის მეორე ისტორია“ ანუ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, რომელიც თამარ მეფის თანამედროვე პირის მიერ არის შეთხზული, მდიდარ ისტორიოგრაფიულ ტრადიციებზე დამყარებული ძეგლია და ამდენად თავის თავში შეიცავს სხვადასხვა ჟანრთა გავლენის სფეროებს. ეს ელენდება ძირითადად მხატვრულ ფორმათა ნიუანსებში, მათ მრავალფეროვნებაში. ლომი – მეფის ძლიერების სიმბოლური გამოხატვაა. ისტორიკოსი თამართან მიმართებაში მას შემდეგი ფორმით იყენებს:

„გარნა ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“ (II, 123). შედარება ლომთან ხშირად სახოტბო

პოეზიაშიაც გვხვდება: „ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება, მკუქს სურნელება შენგან მიეცა...“¹

თამარის მეორე ისტორიის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება თამარის პირველი ისტორიისაგან. თამარის მესამე ისტორიის ავტორი აღწერს არა მარტო ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, არამედ ამ ფაქტებისადმი თავის დამოკიდებულებასაც გადმოგვცემს. იგი საოცარი სიცხადით ასახავს თამარის ეპოქას. ნიჭიერი, განსწავლული ადამიანის სხარტი გონების თვალთ არის აღწერილი მოვლენები, ისტორიულ პირთა ხასიათები, გეოგრაფიული გარემო და ბრძოლის სურათები. მკვეთრი ენით, მოკლედ თქმული ხაზგასმებით იგი საოცარ ემოციურ სიმძაფრეს აღწევს და ეფექტიც ხილულის ვანკლას უახლოვდება.

მკითხველი აღტაცებაში მოდის, როდესაც ტექსტში თამარის გარეგნობის აღწერას კითხულობს. პოეტური შედარებები და თითქმის გალექსილ სიტყვათა რითმული წყობა ერთი შეხედვით უცნაურადაც გვეჩვენება ისტორიულ თხზულებაში – „ქართლის ცხოვრებაში“ შესატანად, მაგრამ იმდენად ჰარმონიულად ერწყმის ტექსტის შინაარსს, რომ სათქმელს უფრო მძაფრსა და დამაჯერებელს ხდის. თამარ მეფის დახასიათება მთელ თხზულებაშია გაბნეული. თამარის გარეგნობა, რომელიც სულიერ ღირსებებთან არის შერწყმული, მეფის სრულყოფილ პორტრეტს ქმნის:

„ტანსა ზომიერსა გრემანობა თუაღთა და ღაწუთა სპეტაკთა ზუდა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხვ ხედვა, ლალი მიმოსხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და უღისღო სიტყუს სინარნარე და ზრახვისა უწყუნობა“.²

თამარის სულიერი და ფიზიკური სრულყოფა ამავე პერიოდის სახოტბო პოეზიაშიც ასევე მაღალმხატვრული ფორმითაა წარმოდგენილი:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ჳმა-ნარნარი, პირ-მცინარი, მზე მცინარი, სამინარი, წყალი მქნარი, მომდინარი.
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მოქნარი უჩინარი.

¹ იოანე შავთელი, აბდუღმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 204.

² ქც. II, გვ. 116-8.

ვარდ-შამბნარი, შამბ-მადნარი, ღაწვი-მწყა'სარი, შუქ-მფინარი“.³
ან კიდევ:

„ღაწვთა არესა შუქნი მოვარესა, მელნისა ტბანი დგანან
მორევად...“⁴

ეპოქალური ნიშანია მეფისადმი „ქების“, „შესხმის“, „შესხმა-მითხრობის“, „ხოტბის“ და სხვა ამ ჟანრის ნაწარ-
მობითა შექმნა. ეს საერთო ტენდენცია აისახა საისტორიო
მწერლობაშიაც. აგრეთვე: „მიმოიხილა სიმახვლითა ცნობისათა
თვსსა გარემო ყოველი და მყისსა შინა შეემეცნა ხილვითა
ოღენ წრფელთა და დრკუთა, გულარძნითა და უმანკოთა,
ვროგულთა და ორგულთა, და სიბრძნითა განგებითა თვსითა
პირველად ყოველთა ზედა დასხა წყალობა. უხუებით, რათა
ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით მადლიერობდნენ, ხოლო
მეორენი უსიტყუელ იყვნენ მოგებისათვის სიმართლისა“.⁵

ძეგლის აღნიშნულ ადგილს იმავე ეპოქის მწერლობაში
ლიტერატურული პარადელეებიც დაეძებებება:

„მადალი, დიდი, უკლები, მშვიდი, წრფელი, უკრუო,
სცან უსაკეებად...“⁶

ან კიდევ:

„მჭნე, ღმობიერი, ქველი, ძლიერი, პაეროვანი, მტკიცედ
მეგლობელი,
შარაგანდ გმირი, ორგულთ გამგირი მტერთა ქვესკნე-
ლად დამამსობელი,
რიტორი ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეზთა ზედ მსპა-
რა'სნობელი...“⁷

იმავე ძეგლში მეფის სიუხვისა და სიბრძნის გამომხატ-
ველი სტროფია:

„თვალნი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლო სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქერიეთა, შიშველთ სამოსლად
მონიჭებული...“⁸

³ *ნახრეხაძე*, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის
ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ ყუბანეიშვილის მიერ,
თბ., 1949, გვ. 189.

⁴ იქვე, გვ. 192, სტრ. 42/49.

⁵ იქვე, II, გვ. 1174-9.

⁶ *ნახრეხაძე*, თამარიანი, დასახ. ლიტ., გვ. 195.

⁷ იოანე შავთელი, აბდულმესიანი, დასახ. ლიტ., გვ. 199.

⁸ იქვე, გვ. 205.

თხსულების ეს ადგილი მეფისათვის განკუთვნილი ეპითეტებით გვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ სტროფს: „იყო არაბეთს როსტეკან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ეძიანი. მისამართლუ და მოწყალე, მორგმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“.⁹

თამარის მეორე ისტორიაში ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების აღწერისას თამარის დიდებულება და ეპოქის სიდიადე გაწონასწორებულია. ისინი არ ჩრდილავენ ერთმანეთს. პირიქით, – მეძატიანის მიერ აღწერილი თამარის ეპოქა თითქოს ქმნის ფონს, რათა უფრო სრულყოფილად და მეტო სისავესით იქნეს წარმოსენილი მეფის სიდიადე. მოვლენათა აღწერისას ავტორი იქვე აწვდის მკითხველს თამარის უხვი მხატვრული ხერხებით შემკულ დახასიათებას. ყოველი ასეთი შექება-შესხმა ჩართულია სათანადო ადგილას, ჰარმონიულად ერწყმის ნაწარმოებს და ქმნის ერთ მთლიან გამას, რომელშიაც მწერლის საოცარი გამჭრიახობით ისტორია შესავეებულია პიძნების, პაგიოგაფიისა და ოდა-შესხმის სოგიერთ ელე-მენტთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიკოსის ალღო ძეგლის ავტორს სრულიადაც არ აკარგვინებს სომიერების გრძნობას. ძეგლი თავიდან ბოლომდე ისტორიული თხსულების ტრადიციულ ჩარჩოშია მოთავსებული.

თხსულებას ძირითად სოლად გასდევს მატიანესათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება: ფაქტების სიზუსტე, ისტორიულ მოვლენათა შეულამაზებლად აღწერა, ისტორიულ პირთა საქმიანობის გადმოცემა, სადაც სრულიად არ იგრძნობა არავითარი სიყალბე, არც მწერლის ფანტაზიის ჩართვა ან რაიმეს მიკერძოებულად გადმოცემის მცდელობაც კი.

თამარის მეორე ისტორიკოსი ცდილობს თამარი ყოველმხრივ შემკულ, სრულყოფილ პიროვნებად დახატოს. თამარი დიდებულია, უნაკლოა და ამავე დროს თავმდაბალია, განსაკუთრებით კი სასულიერო პირებთან ურთიერთობაში. რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის ღვთისმოსაობასაც. ტექსტში ნათქვამია: „მიეგებოდა მათ (სასულიერო პირთ საეკლესიო კრებაზე – მ.ქ.) თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოსთა და არა კაცთა“¹⁰ და

⁹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამომც. „მერანი“, 1986 წ., გვ. 38.

¹⁰ ქც. II, გვ. 118-7.

აგრეთვე: „თუთ დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით“.

თამარის სიბრძნისა და ორატორული ნიჭის გამოხატულება მის მიერ საეკლესიო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა. აღსანიშნავია ტექსტის მელოდიურობა, შიდა რითმები, რომლებიც მუსიკალურ ჟღერადობას აძლევს მას: „მ წმიდანო მამანო, თქვენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართველად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათუს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჭადეთ გულარძნილი, იწყეთ იქმ ზედა რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთისმბრძოლობისა, ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათუს. ნუცა გლახაკთა უღებ-ჰყოფთ სიმცირისათუს. თქვენ სიტყუთა, ხოლო მე საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განსჯალთ; თქვენ წურთით, ხოლო მე განწურთით, სოგად ჳელი მისცეკურ დაცკვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა არა სოგად ვისღვენეთ: თქვენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქვენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებკური“.¹¹

თამარის მემატინანე განსწავლული პირია. ტექსტში იგრძნობა პაგიოგრაფიის, კიმნოგრაფიისა და სახოტბო პოეზიის ერთგვარი გავლენა. ამასთან ავტორმა კარგად იცის ბიბლია და საჭირო შემთხვევაში ბიბლიური პერსონაჟების მოშეულიებით იძლევა თამარის პორტრეტს, მისი სულიერი მშვენიერებისა და სრულყოფის სურათს. ავტორი როგორც სასულიერო, ასევე საერო ლიტერატურის კარგი მცოდნეა.

თამარ – „არა ყერაგობისა ღონითა აცხოვნებდა ერს თუსსა, არამედ სიბრძნისა წინაძლომითა და სიმართლითა, და უმნკოებითა დაუთითანითა, სიმშუდითა იაკობის მსგავსითა, სიუსკთა აბრამისებრითა, მოწყალეებითა იესოს ღმრთისა მსგავსითა, და სიმართლითა მისისა მობაძავითა“¹² და ამიტომაც – „ვითარცა მზე სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თუსთა შარავანდედთასა“.¹³

უნებურად გვახსენდება „ვეფხისტყაოსნის“ სტროფი:

„კარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად

¹¹ ქც. II, გვ. 118¹⁰⁻¹⁹.

¹² ქც. II, გვ. 141⁸⁻¹¹.

¹³ იქვე, გვ. 147³¹⁻³².

მოეფინების...¹⁴

მეფის შედარება მსესთან ხშირად გვხვდება სახელტო პოეზიაშიც:

„გვმობ თამარ მსესა, უმსესად მით, რომელ უცხო ხარ
სახილველი,
უკლებლად სათნო გვისკრობენ ღაწვნი, გტურფონის
მოხედვა, ბროლ-ვარდობს ეკელი...“¹⁵

ან კიდევ:

„განათლებულო, განახლებულო, განბრწყინებულო
მსეო, ციერო
გალადებულო, გალომებულო, კვლავ გოლიათი
გულდამობიერო...“¹⁶

ლიტერატურული გავლენით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ჰიმნოგრაფიაში გაბატონებული ტრადიცია – ღმერთებისა და წმინდანების შემკობა ეპითეტებითა და მხატვრული შედარებებით, საისტორიო მწერლობამ მეფეების მიმართ გამოიყენა.

თამარის მეორე ისტორიის ტექსტის ზოგიერთი ადგილი თავისი მუსიკალურობითა და შიდა რითმებით იამბიკოთა და საგალობელთა მსგავსად აღიქმება. თუ მათ ლექსის ფორმით წარმოვადგენთ, ასეთ სახეს მიიღებს:

თამარ – „ისურებდა და სასურველ იყო
იწადებდა და საწადელ იყო,
იქებოდა და საქებელ იყო,
ნატრიდეს და სანატრელ იყო“.¹⁷

რადგან „სახარელ იყო თხრობათა შინა
და კდემელ განსწავლულობათა,
შემხებელ ღმობილობით და განმწურთელ
სიტკბოებით,
მგუმელ მოწყალეობით და შემრისხველ
თანაღმობით...“¹⁸

ანალოგიური შემთხვევის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ, როდესაც თამარის ისტორიის ტექსტის შიდა რითმული

¹⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1986, გვ. 40.
¹⁵ სახრუხაძე, თამარიანი, დასახ. გამოც., გვ. 193, სტრ. 50/70.
¹⁶ იოანე შავთელი, აბდულმესიანი, დასახ. გამოც., გვ. 208, სტრ. 97.
¹⁷ ქც. II, 148₁₂₋₁₃.
¹⁸ იქვე, გვ. 149₃₋₄.

დაყოფით მივიდეთ სასულიერო პოეზიის ქარგაზე აგებული საგალობელი. ამის ნათელსაყოფად თამარის ისტორიის ტექსტთან ერთად წყნ წარმოვადგენთ იოანე მინხის ერთ-ერთ საგალობელს:

თამარის მეორე ისტორია.
„სიმდაბლე უსომო,
სიმაღლე შეუსწორებელი,
სიმშვიდე საქებელი,
სიმქისე ჯეროვანი,
ღმობიერება მოწლე,
მოწყალება თანადმობილი
უმანკობა უსაკუელი,
სიწრფოება უსიკრუო,
სახიერება სოგადი,
სიუხუე აღუსუავებელი“.¹⁹

იოანე მინხი
მეფეთა სიმტკიცეო,
მთავართა დიდებო,
უძღურთა ძლიერებო,
მდაბალთა აღმაღლებლო,
გლახაკთა გამამდიდრებლო,
სათნოდ სიგლახაკესა შინა
იყაე შენ სიბრძნითა საყსმ
მართალ-განგებით მსაჯული,
ობოლთა მწყალობელი,
შემწმ დაწუნებულთა
და მსაჯული ქურთეთა“.²⁰

მხატვრული შედარების ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ტექსტიდან ქვემოთმოტანილი თამარის დასახიოებების ადგილები:

თამარ „ყოველსა სღუასა აღმოიწრედა თესად. ერთარცა ღრუბელი ყოველთა სედა მსხურებელი წვიმათა“.²¹

თამარ „სანთელ იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწყველ, ადური იყო უსუსოდ მკრთომელთა და დეს უდებთათუს, კანონი სირცხვლისა მოხუცებულთა და კურთხი რკინისა ჭაბუკათუს...“²²

დრომ თამარის გონებასა და სიბრძნეს ვერა დააკლო რა: „არაოდეს მომედგრდა ჟამისაგან, არცა უდებ იქმნა ხდესცა განგებისათუს არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათუს, არა დაუმძიმა ერთობასა გონებისასა დამსადეკლი რამე ნუკენებრივი, არცა სიმდაბლესა მირიდა, არცა სიმადლესა განეყენა, არცა სიტკბოება ჟამიერი უმთნო ყო; ყოველი განსაგა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისაგან წარმოამინოს

¹⁹ ქც. II, გვ. 147-5.

²⁰ იოანე მინხი, ჳსენებად ღმრთიუ-გურგუნოსანისა ქუკისა თევდოსი მორწმუნისა სასწაულთა მოქმედისად, წიგნნი: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, I, 1946, გვ. 332, სტრ. 25,27.

²¹ ქც. II, 148²⁷-28.

²² იქვე, გვ. 149⁵-8.

თაკსა შორის თუსსა“.²³ რამდენადაც თამარ მეფე ძლიერი და ბრძენია, იმდენად, როგორც ქალი, ნაზია. თუ ერთის მხრივ: „გარნა ღომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“.²⁴ ან კიდევ „უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დუდაკაცურითა სიტყუთა“,²⁵ მეორეს მხრივ იგი ფაქის, კდემამოსილ მანდილოსნად გვევლინება, როდესაც - წყდება მისი ქორწინების საკითხი გიორგი რუსთან: „ირემსა კმსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა, პილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა“.²⁶

როდესაც თამარს სენი გამოაჩნდება, ავტორი მისი სიღამაზის „ჩაქრობას“ მზის ჩასვლას ადარებს: „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად, და ჰაერმან სხუად ფერად უყვერულობა და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად და თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს. ველთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომიდთა იწყეს მოუძღურებად და ფერტთა მათ მარადის ღმრთისათუს მაშურალთა იწყეს შედრეკად; და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად ფერად იხილევბოდეს“.²⁷

ტექსტში სხვა პერსონაჟებიც არიან დახასიათებული. თსუელების ავტორი ყოველი ახალი პირის შემოყვანისას აცნობს მას მკითხველს, მოკლედ, მაგრამ მაინც ამომწურავად, ხაზს უსვამს მისი ხასიათის თავისებურებებს. ასეთებია – *დაკით სოსლანი* – „სრდილობითა კეთილად წურთილი, მკნე და მკვედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშკლდოსნობითა შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოველითურთ სრული სიკეთითა“.²⁸

ანტონ ხაღირის ძე – „დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყუთ“.²⁹

ყველა ამ დახასიათებისას ნათლად იგრძნობა ავტორის დამოკიდებულება გმირისადმი, განურჩევლად იმისა, დადებითია თუ, თუ უარყოფითი.

²³ ქც. II, გვ. 148₃₋₇.

²⁴ იქვე, გვ. 123₂₃₋₂₄.

²⁵ იქვე, გვ. 125₁₈₋₁₉.

²⁶ იქვე, გვ. 120₇₋₈.

²⁷ ქც. II, გვ. 144_{27-145₆}.

²⁸ იქვე, გვ. 122₁₋₃.

²⁹ იქვე, გვ. 118₄₋₆.

მემატრიანის. ტონი დამცინავია და ენაც გესლიანი, ცოდესაც ათაბაგ ბუბაქარს ახასიათებს: „ათაბაგმა ბუბაქარ აქო თუსი ღონე და ღონიერება, რამეთუ ჳნარცუსა საღმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თუსი“³⁰ – დაცინებით აღნიშნავს ცემ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ძეგლში ბრძოლის სურათების აღწერა: „დაშთომილნი მათნი“ (იგულისხმება ას. ვინც თამარის ლაშქარს გადაურჩა – მ.ქ.), ვითარცა მეღნი იხადვოდეს და ვითარცა მთხუნველნი ძურებოდეს მიწათა შინა“³¹

„ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოყვლი მკვლარი“³²

„ვითარცა არწივთა მიმართეს და ვითარ ვეფხხნი სიკეთენეს“³³

„ვითარცა თაგუთა მოსრვიდეს, და ვითარცა ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა“³⁴

„შემოკრებს ვითარცა ვეფხხნი სიკისკასითა, და ვითარცა ლომნი გულითა“³⁵

„ხოლო ნეშტთა ვითარცა მართუეთა ქათამთასა მთქრუფდეს და გაუშუებდეს აურაცხელსა სიმრაველესა...“³⁶

„ვითარცა იტყვან გძღარბისათუს კმელისასა, შვილმრავალ არს ცხოველი ესე და, რაჟამს იხილნეს ნაშობნი თუსნი მრავლად, გამოვალს ბუდით თუსით მართუეებით და განაწყობს და გოდლოის მათ ზედა. ხოლო ეგრეთვე ყო ნუქარდინცა: იხილნა რა ფრიადი იგი სიმრავლე შეკრებილად, რომელი ზეშთა იყო რიცხუსა, აღსუაენა გულითა, მსგავსად სენაქერემისა, და ამადლდა ღმერთსა ზედა, და არა შვიშინა პირველთა მათ მზაკუართა ფიცთაგან და სიყუარულითა აღთქუშათა, არამედ ფრიად წინაუკმო განმზადა თავი თუსი და მოიწია ქალაქად სევასტიად, და იწყუ მუნ განმზადებად წაღმართა მანქანათა“³⁷

ამრიგად, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისნი“-ს მხატვრული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ძეგლი

30 იქვე, გვ. 127-11-12.

31 იქვე, გვ. 125-3-4.

32 იქვე, გვ. 125-25-26.

33 იქვე, გვ. 127-2.

34 იქვე, გვ. 127-4-5.

35 იქვე, გვ. 134-9.

36 ქც. II, გვ. 1397-8.

37 იქვე, გვ. 1334-11.

კადრებსად საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისითაც. მისი ავტორი ღრმად განსწავლული პირია, აზროვნებს მხატვრული სახეებით, ქართული სიტყვის დიდოსტატი, პოეტური გაქანებისა და ამასთან ფილოსოფიურად მოაზროვნე. ნაწარმოების ყოველ ფრაზაში იგრძნობა თამარისადმი უდიდესი სიყვარული და თავყვანისცემა. საისტორიო ძეგლი თავისი მაღალმხატვრული ღირსებებით გამოირჩევა – ღამაში სამწერლო ენა, მოხდენილი შედარებები. ავტორი ცდილობს სხვადასხვა ხერხით შეამკოს ქების ობიექტი: უხვი შედარებები, ეპითეტები. მხატვრული სიტყვის ძალა იგრძნობა როგორც საზეიმო, ასევე სამგლოვიარო (კერემონიალის აღწერისას. ამ ასპექტში იგი ღებება თამარის მეხოტბეთა – ჩახრუხაძისა და იოანე შავთელის გვერდით.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული ძეგლის ავტორი იმავე განათლების, მხატვრული გემოვნებისა და იმგვარივე ლიტერატურული წყაროებით განსწავლული მწერალია, როგორც მისი ეპოქის კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწენი. ავტორის სწავლა-განათლება, სულიერი სამყარო ნათელი სურათითა იმდროინდელი საქართველოს გარკვეული წრის სწავლა-განათლებისა და კულტურისა.³⁸

³⁸ ი. დოღლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა უინაობის პრობლემა, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რუსთველოლოგიური ძიებანი, 3, თბ., 1961.

დასკვნა

ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს შეადგენდა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს როგორც საისტორიო წყაროს დირექტულების განსაზღვრა-შეფასება. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ უნარობრივად ისტორიოგრაფიული თხზულებაა, განეკუთვნება ნარატიულ წყაროთა ჯგუფს.

ნატარებული კვლევის შედეგად:

1. ნაშრომში შესწავლილ იქნა ხელნაწერი კრებულის ე.წ. „ჭალაშვილისეული ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა. გაკეთდა კრებულის არქეოგრაფიული აღწერილობა და პალეოგრაფიული ანალიზი.

აღნიშნული ნუსხის ადრინდელი ნაწილისა და ე.წ. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ (Q-795) პალეოგრაფიული თვალსაზრისით ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ „ჭალაშვილისეული“ ნუსხის ძველი ნაწილი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ე.წ. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ (Q-795) ნუსხას. ეს უკანასკნელი ნ. შოშიაშვილმა XVI საუკუნის დასასრულით ან XVII საუკუნის პირველი ნახევრით დაათარიდა.

2. ჩვენს მიერ ნატარებული კვლევისას საშუალება მოგვეცა გაცნობოდით ი. ჯავახიშვილის სამუშაო ღაბორატორიას, შეგვესწავლა მისი შემოქმედებით პრინციპები, ტექსტის ადდგენის მისეული მეთოდი, რის საფუძველზეც მიღებულია შემდეგი შედეგები:

ა. დადგინდა თამარის მეორე ისტორიის ტექსტი.

ბ. გამოიკვეთა ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მეშაობის მეთოდი.

გ. კვლევამ ცხადჰყო, რომ ვახტანგისეული რედაქციის საშუალებით ადდგენილი მონაკვეთი (ბასიანის ბრძოლის შემდეგ – 1202 წლიდან) თხზულების ორგანული ნაწილია. სადავოა დასასრულის მიკუთვნება ძირითადი ტექსტისთვის. ასევე საეჭვოა ამ უკანასკნელის კავშირი შოთა რუსთაველთან.

3. ტექსტში არსებული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით გაირკვა, რომ „ცხოვრება“ თხზულებაში არსად, არც შინაარსობრივად და არც ასრობრივად, არ არის ტერმინ „ისტორიის“ ადეკვატური. ძეგლის ავტორი ხმარობს სიტყვა „მატიანეს“. ამიტომ, ძეგლის პირობითი დასათაურება „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ტექსტს არ მიესადაგება.

ჩვენ ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თხსულებას პირობითად ვუწოდებთ „თამარ მეფის დროინდელ მატრიანეს“, ხოლო მის ავტორს თამარის უამთაადმწერელს.

4. თხსულების ავტორი სასულიერო პირია. ამის კარგო თხსულების ავტორად ბასილი ეზოსმოძღვარი ვერ წაითვლება.

5. ტექსტიდან ირკვევა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი თამარის თანამედროვე და ტექსტში აღწერილი ფაქტების თვითმხილველია.

6. თამარის „პირველი“ და „მეორე“ ისტორიების ერთიერთშეჯერების საფუძველზე მეტი სისრულით წარმოსდგა თამარის ეპოქა.

7. შეფასდა ძეგლის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება, მასში დაცული ცნობების სანდოობა.

8. მწერლობის საინტერესო განვითარების გზა ნათლად აირეკლა ჩვენს მიერ საკვლევ ძეგლშიაც. ძიების შედეგად გამოიკვეთა მასში შრეებად დალექილი სხვადასხვა კარონოზის დამახასიათებელი შტრიხები, გაივლო მათთან კარადელი, რამაც ძეგლის ავტორის ისტორიოგრაფიულ თვალსაზრისსაც ნათელი მოჰყინა და ამასთან შესაძლებლობა მოგვცა რამდენამდე წარმოგვედგინა მისი შემოქმედებითი პორტრეტი.

9. ნაშრომში მოცემულია თხსულების მატრიანეს ანალიზი.

10. „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს შესწავლით დადგინდა მისი მრავალმხრივი მნიშვნელობა. თხსულებასში დაცული უხვი მასალა თანაბრად საინტერესოა როგორც ისტორიაში, ასევე ფილოლოგიაში მომუშავე პირთათვის.

თამარ მეფის ღრმინდელი მატინა

(„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“)

„დაჯდა მეფედ გიორგი ძე დემეტრესი, დავიდეს შვილისა...“ Q-207 (ჭალაშვილისეული ქართლის ცხოვრება, 253r, /ლგ/ზ/ წინა ფურცელს აწერია ლგ, ე.ი. ლგ, შემდეგ ლგ-ი იგულისხმება 1. შემდეგ ლგ-ბ.

ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული ქართლის ცხოვრების ტექსტში თამარის ცხოვრება იწყება ზემოთ მოტანილ ფრაზით.

Q-207 (253r)

253r

„დაჯდა მეფედ გიორგი ძე დავითისი დემეტრეს შვილისი ქორთონიკონსა სამას სამოცდა თხუთმეტსა. ამან დაიწინა მორგმასა შინა ყოველნი უამრი და დღენი მისნი და იმგავა კეთილითა მეფობითა და მატა ყოველთა საყდართა მონასტერთა და ებისკოპოსთა. ამას შვილი არა ესუა და მისაჟერ მწუხარე იყო უშვილოებისათუის. მერმე ინება ზეგარდასი მოწყალებამან ღვთისამან. დაიწყო მობერეად ნიაემან ამონახ და იშვა მათგან ქალი ქმნილი კეთილ ყოვლი – თურთ უნაკლულო და შესატყვისი. ამას დაარქუა სახელი თამარ. გარდაცდეს ამას შინა წელნი რაოდენნიმე და გარდაიკვალა მცხე გიორგი და (253v) იქმნა გლოვა და მწუხარება უსონო უფროსდა დასა თუისსა რუსუდანს. ესე იყო სძალ ყოვილდ დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოველისა ხუარასნელთა უფლებისა რომელი სიჭურვიისა თუის თუისადკე მამულად მოყვანებული, დედოფლად დაჯდა ქართველთად უფროსდა დაბად სახლისა თუისისად და ყოველისა ამის სამეფოსა ამას წინაშე იყო თამარ. მაშინ ვითარცა თუისსა მამდასა თანა დითურთ, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად რომლისათუის აწ დამაკლებს წინა მდებარე ესე მითხრობად თუ რაოდენ შუენიერება და თავდგმიულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა ვიკადროთ რამე რამეთუ ითხმოცისა წელიწადისა დღემან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული და მუენ პირველსავე სიტყუვასა წარუძღუეთ [გლოვა იყო (254r) ნამდულივე ღირსთა არამედ არა თავს იდევს წარჩინებულთა სამეფოსათა მიმხედველთა თამარისთა განიყარეს გლოვა და დასცეს საყურისა ვითარცა ოდესმე სოლომონისთუის და დადგეს სუიანი

¹ აქ ფორზაცზე მიწერილია სინგურით „გიორგი მეფე“

ტახტი ვახტანგეთი საყდარი დავეითიანი რომელი პირველ მთავარისა განამზადა მეფეთ მეფემან საბოუთელიო სამფლობელოდ სღუითი სღუამდი და მდინართგან კიდემდი სოფლისა აღმართეს სკიპტრა დიდებულთა ძელი ჯუარისა და მისთასა დროშა დავეითისი არაოდეს მობერილი წინა აღმავლობითგან ნივთთა და ყოველთა ერთა ჳმა ქმნილნი აწუიეს თამარს ჳრმალი მამული თანა საყდართურთ მამისა მინიჭებულით. [ლ]იტონადმე მიიღოა დიდმან ამან გონებამან. არა ხუ იყოფინ უმწუენოდმე შეიწყნარა იგი გუირგუინმან და მეფობამან ანუ არა მადნანტ ექმნა ყოველსა თუაღსა თუისად ვინ ძუელი სიტყუა აქა ახლად (254V) ვიკმართ – ბრმა შობიღმან ბრმაღვე წარვლო, უმხედველომან თამარისმან. ტანსა ზომიერსა გრემანობა თუაღთა და დაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრიუ ყუროვნობა, მორცხუივ ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და უღისღო სიტყუის სინარ[ნ]არე და სრახვისა უწუენობა. არა ცუდად დასდვა დმერთმან მაღლად თამარს ესრეთ შემყულობა, რომლისათუის არა უჯურო მიწის თქმაღ, ყითარმედ, პირი ამისი პირველვე იქო დავეითის მიერ თქმიოა, რათა ლიტონებით თაყუანის სცემდენ მეფეთა მთავარნი და მიძღუნეობდრენ ნათესაენი. [ე]სრეთ იდიდა ღთი ყოველთა პირთაგან იხილეს რა ჳვლითა მდღელთ მიძუართათა მეფე გუირგუინოსანი და ქება შეასხეს ძალითა საქებელსა ჳმითა ოსრიხათა და სთქუმცა თუ ყოველნი ძაღნიცა ზუციისანი თანა უმწუე არიან სიხარულსა (255r) ქუეყანისათა და ესე უსაკუირველეს მიწის ყოვლისამე, რომელ სხუა მწედარი არაოდეს იხილა მის ჟამისათა მამადებრ მეფედ და ყოველნი ვითარ გამოცდილნი სასოებითა წინა სწრობითა უძლოდა ერთი ერთსა და სიხარულითა სავსენი ღთსა ჳმადლობდეს, მეფესა აქებდეს და თაუთა პნატრიდეს დაჯდა ნებითა ღთისათა² თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექუსითას ექუსას ოთხმოცდა ექუსსა³ ქორონიკოსსა⁴ ოთხას და სამსა. შვილი მეფეთ მეფისა გიორგისი დიდისა დავეითის ძისა დემეტრეს ძისაგან, ცოლისაგან ბურდუხან ოვსთა მეფისა ასულისა, რომელი ჳმატდა სიკეთესა დედათასა სხუითა ყოვლითა გარნა თამარის დედობითა. სხალი

² ღვთისათა

³ №-2135 სათაურად არის გამოყოფილი ეს ფრაზა.

⁴ ამის ნაცვლადია: „ქრისტეს აქეთ, ათას-ას ორმოცდა ათ-ექუს-მეტსა...“

საუკუნე მისებრი მაშინ არა ეხილება ქართლისა თემსა და შემდგომითი შემდგომად აქონ ამიერიტგან. რა ჯერარს (255v) თამარისი თქუქმად არნა მონაცვალებობა ღთისა⁵ სამეფოსა და ერისათუის რამეთუ აღიღონ გონება მადლად და მდაბლითა სულითა და განიცადა სიდიდე საქმისა მისდა რწმუნებულისა, შიდაყენა მუქანებელსა თუისსა ხედვა და⁶ იწყო განგებად, ვითარ თგი მობერვიდა⁷ სული მიძიხილა სიმახუილითა ცნობისათა თუისსა გარემო ყოველი და მუისსა შინა შეემეცნა ხილვითა ოდენ წრფელთა დრკუთა და სიბრძნითა განგებითა პირველად ყოველთა ზედა დასხა წყალობა, რათა ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით მადლიერობდენ, ხოლო მეორენი⁸ უსიტყუელ იყუნენ მიგებისათუის⁹ სიმართლისა¹⁰, ხოლო სჯულთათუის¹¹ სუკლითთა მეორე კოსტანტინე იქმნებოდა და მისებრევე ჰგორიონებდა¹² დაწყებასა საღმრთოსა, რამეთუ იწყო აღლესვად ორპირსა მახუილსა¹³ მოსასრველად თესლთა ბოროტთა და (256r) იწება რათა იქნას შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ და მსაფელითთა პირველთა აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იელუსარქმით¹⁴ ნიკოლაოსს გულაბურისძესა, რომელსა სიმდაბლისა ძალათა ეჯგნა ქართლისა ქათალიკოზობისაგან, ესერა მოიფუანა შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თუისსა მღდელთმთადლუარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი, სჯულისა საღმრთოსა და მოსწრაფე იყო, რათა ზედა თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თუისისა, რომელი ესე ადრე განემარჯუა სასოებისა კეთილისა მქონებელსა, ხოლო შემორაკრბეს¹⁵ ორისავე სამთავროსა ებისკოპოსნი, რომელთა პირად¹⁶ აქუნდა ზემომოცსენებული ნიკოლაოს, მსგავსი სეხნისა თუისისა და ანტონი ქუთათელი საღირისძე, დიდად გან-

⁵ ღვთისათა

⁶ აქედან ჩართულია ვახტანგისეულ ქცხ-ში

⁷ H-2135-„მოჰბერვიდა“

⁸ H-2135-„დრკუნი და განდრეკილნი გულითა“

⁹ „მუერველად წყალობათასა“

¹⁰ H-2135-ში ჩართულია I ისტორიის ტექსტი

¹¹ H-2135-„მსჯულთათეს საღმრთოთა“

¹² H-2135-„მოსწრაფე იყო“

¹³ „სამსილგებულად უღმრთოთადა“

¹⁴ „იერესალემით“

¹⁵ „შემოკრბეს ყოველით კერძო სამთავრო მისისა“

¹⁶ „პირველად“

თქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და (256V) სიტყუით მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა¹⁷ კაცია¹⁸ და არა¹⁹ მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეკრიბნა ყოველი ერთსა სადგურსა და დასხნა საქედრებითა, ხოლო თუით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა: შოი, წმიდანო მამანო, თქუეწღთისა მიერ განსინებულ ხარო მოძღურად ჩუენდა და მმართებლად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყუის მიცემა სულთათუის ჩუენთა გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჭადეთ გულარონილი. იწყეთ ჩემსედა, რამეთუ შარაყანდი ესე მეფობისა არს და არა ღთისა. მბრძოლობისა, ნუ თუად ახუამთ მთავართა სიმადრისათუის, ნუკა გლახაკთა უდებ პყოფთ სიმცირისათუის, თქუენ სიტყუითა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით (257r), თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, სოგად ჳელი მიესცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა არა სოგად ვისლუიენეთ თქუენ, ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე, თქუენ ვითარცა მწენი, ხოლო მე ვითარცა უგბური. ესმნეს რა სიტყუანი ესე ყოველსა მას კრებულსა მამათასა მადლობდეს ღთსა და თანად შეყვსა ღთივ განბრძნობილსა ჯდა უკუე თამარ მცირედ ჟამ შორის მათსა, მერმე მიიღო კერთხევა მათგან და წარვიდა პალატად თუისად. ხოლო წინამძღურთა კრებისათა ნიკულას და ანტონი, რომელნი ვითარ პირმეტყუელნი მთიებნი უძლოდეს მომრგულებასა ცაებრისა მის ვარსკულავეთა კრებულისასა²⁰, არა ინებეს²¹ შორის მათსა ყოფად [მაშინდელი იგი ქართლისა ქათალიკოსი]²² რამეთუ წინა უკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა²³ და ჳყონდიდელ მაწყუერელთ უხუცესობაცა²⁴ [სოფერაბა (257v) ჟამისაგან]²⁵ არამედ ვერა განაყენეს დაღაცათუ

17 „ერთი“

18 „შეურაცხი“

19 „ვითარცა“

20 „ვარსკულავეისასა : ხოლო“

21 „მაშინდელმან მან მიქაელ კათალიკოს-მან“

22 H-2135-ში ეს ფრაზა არ არის

23 საეკლესიოთა

24 ხუხცესობა მას მოუხვეჭა უფლისაგან

25 H-2135-ში ეს ფრაზა არ არის

ფრიად იღუაწეს, რომელი ადრე თუით განაყენა სჯულმან
 დიოსამან²⁶, ხოლო სხუანი ვინმე ებისკოპოსნი შეიცვალნეს
 მათ წილ საღმრთონი კაცნი²⁷ დასხნეს და სხუანი საეკლესი-
 ალური წესნი განმართნეს უდებთა მიერ დაკსნილნი, ხოლო
 აღუცხოდა რა კრება²⁸ შემოვიდეს²⁹ ყოველნი³⁰ სპასალარნი და
 ერისთავნი [სამეფოსანი]³¹ და მოაქსენეს მამათა³², რათა ზოგად
 ილქაწონ შემოყუანებად სიძისა თამარისათუის³³, რომელი
 ექუცა და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და გან-
 ზრასეთთა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამე-
 ფედ კრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათუის მათ
 ნათესავთასა და³⁴ ესე ვერა³⁵ კეთილად [განაგეს]³⁶, რამეთუ
 არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა
 ძველიერ იყუნეს რომელსა იგი მოიყვანებდეს შემდგომად
 კამისა მოიწია კაცი იგი (258r) წარვლინებული და მოიყვანა
 კაცუ ღიდად გუარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის
 კურთხათა და სახითაცა³⁷ არა უმარჯუი³⁸, რომელიცა იხილეს
 ყოველთა [კაცთა]³⁹ სთნდა⁴⁰, [რამეთუ]⁴¹ არა არს მეცნიერ
 იყუნეს⁴² ჩუეულებისათუის⁴³ მისისა [აცნობეს]⁴⁴ თამარს და

26 დეიოსამან
 27 და მეცნიერნი სჯულისანი
 28 აქ წართულია უკვე სხვა ტექსტი და შემდეგ I ისტორიიდან
 ვრცელი ჩანართი
 29 ნაცვლად II-2135-ში „მაშინ შეკრბეს“
 30 „ამის სამეფოსა დიდებულნი“
 31 ნაცვლად ამისა არის—„წინაშე პატრიაქისა და ეპისკოპოსთა“
 32 „მათა“
 33 შემდეგ არის I ისტორიის ტექსტი
 34 „არამედ“
 35 „განიზრახეს“
 36 არ არის
 37 „სხვითაცა“
 38 „არამედ პირითა შევნიერი სრული ანაგებიითა და მჭვრეტო-
 გან ღიდად საჩენი“
 39 არ არის
 40 „ხილვა მისი არამედ შინაგანსა მისსა“
 41 არ არის
 42 „არცა“
 43 „ჩუეულებასა“
 44 „მოაქსენებდეს“

აწუვედეს ქორწინებასა და ასწრაფობდეს ამის პირისათვის, არამედ იგი მიუტებდა, ვითარმედ კაცხო, ვითარ ღირს შეუტყუებელი⁴⁵ ესე⁴⁶ კმნად არა ვიცით კაცისა ამიერ უცხოსა⁴⁷ [ქმნა]⁴⁸ და⁴⁹ საქმე [არა მკვედრობისა]⁵⁰ არცა ბუნებისა⁵¹ და არცა ქვევისა. მაკალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი, ხოლო იგინი წინა აღუდგებოდეს უშვილოებასა, მოაკსენებდეს სახლისა მისისასა უნაყოფოებასა, ღრტუინვიდეს წინამძღუარსა სპათასა, ითხოვდეს და ყოველთურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა. პილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა (258v) და ყოველთურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ესეოდენ მიძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს⁵² რახალი. [შემდგომად მრავლისა ცილობისა თუინიერ ნებისა მისისა ევეს ქორწილი და მრავალჯამ იყუნეს განცხრომასა შინა მსგავსსა საქმისასა]⁵³. არა მრავალთა⁵⁴ დღეთა შემდგომად მიიღო⁵⁵ აღსასრული სიტყუამან თამარისმან [და გამოაჩინებოდეს რუსსა სკუითურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი]⁵⁶ და სიმორვალეთა შინა საძაგელთა უწესობად [იწყო მრავალთა]⁵⁷, რომელთათუის ნამეტნავ არს წერად⁵⁸ [და რათა არა სიგრძედ მისიწიოს სიტყუა]⁵⁹ ორისა და ნახევრისა [წელთა. ვითარ გურდემლი მოითმენდა მკნე თამარ]⁶⁰ უკეთურებათა რუსისათა.

45 „შეუტყუებლად“

46 „ვითარისა საქმისა“

47 „არცა ქვევა“

48 არ არის

49 „არცა“

50 არ არის

51 „და ჩვეულებებისა, არცა მკვედრობისა და სიქველისა“

52 ამის შემდეგ ჩართულია I ისტორია

53 ეს გამოტოვებულია, ამის ნაცვლად H-2135-ში ვრცელი ჩანართია თამარის I და უცნობი ისტორიებიდან

54 „მრავლისა ჟამისა“

55 „მიიღეს“

56 H-2135-ში არ არის. შეესებულება I ისტორიიდან.

57 H-2135-ში არ არის

58 ამის შემდეგ არის კვლავ I ისტორიის ტექსტი

59 H-2135-ში ეს ფრაზა არ არის

60 ამის ნაცვლადაა H-2135-ში ჟამთასა

[გარნა]61 სხუა ვერღარაეინ მოითმენდა.62 დაიწყეს ჭრტინეად63, [არამედ]64 ცილობათა მათ თუის პირველთა65 რ(კხუენოდა ყოველთა თამარისგან66, ხოლო ბრძენმან თამარ იძია მრავალს ღონე განკურნებისა მისისა და67 (259r) უბრძანა სარწმუნოთა მონა'სონთა პირითა მრავალგ'ის დაღათუ ყოლად არა სარგებელ ეყო რუსსა. ამისთუისცა თუით პირის იწყო მხილებად მისდა, არამედ უფროს განძუნდებოდა რუსი, ვითარცა ღ'თისაგან საფარველ-მოძურცილი, ვითარ იტყუის წერილი – „იკურნებდით ბაბილონს და არა იკურნებოდა. არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძიურესთა მიმართ იწყო და 'შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოგდებითა ტანჯნა. შეუძნდა ესე ყოველი თამარსცა და წინაშე ყოველთასა ესრეთ თქუა, დაღათუ „სადმროთსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე არა განშორებად პირველსა საწოლსა, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თუისი წმიდად, არა ჯერარს მისთანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღ'თისა და მე არა მიძლავს ანრდილისა მრუდისა ხისას განმართვად და უბრალოდ (259v) განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა 'შენ მიერ. ესე თქუა და აღდგა და დაუტევა იგი, ხოლო რაჟ68 დედოფალმან და ყოველთა მთავართა საწყალობელად განაძეს იგი და არა ეგეოდენ უბადრუკი მეფობისაგან დამჯობითა, რაოდენ შეუნიერებისაგან თამარისსა დაკლებითა.69 კვალად იწყეს ურვად ყოველთა, რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდ და მარტოსა მკუიდრად სახლისა თუისისა. იყო უკეთუ 'მეილი

61 „რომელსა“

62 ჩართულია კვლავ I ისტორიიდან

63 „დრტინეად“

64 არ არის

65 „რომლითა აიძულებდეს შერთვასა მისსა“

66 H-2135–„ჯერცა მოწყალისა და განურისხებულისა“

67 H-2135–„გარნა ვერარას სარგებელ იყო“

68 ხელნაწერში „რუსუდან“ გადაშლილია და ფორ'საც'სე (არ-შია'ზე) არის სხვა მელნით და განსხვავებული ხელით მინაწერი: „აქ ვინცადას რუსუდან მოუშლია და თამარ ჩაურთავს ვითომ გაუკეთებია. რუსუდან თამარის მამიდას ერქვა ოსო მეფის ცოლი იყო და დავით მისი გერი იყო და მისგან გა'სრდილი, აქ აკლია“

69 აქ H-2135-ში კვლავ I ისტორიაა ჩართული

ოუსთა მეფისა გა'სრდილი⁷⁰ დედოფლისა ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა. სხუთა კჳლა სრდილობითა კეთილად წურთილი მკნე და მკეადარი ძლჳერი, რაინდობითა უსწორო, მშუილდოსნობითა შემმარ-თუბელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა. ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღ'თსა⁷¹ მიანდევს.⁷² [მიემორჩილა (260r) ნებასა მათსა მეცნიერებისა თუის ყრმისა არღარა ყოვნეს არამედ შეიყარნეს დიდუბეს და სეროთეს დავით თამარს].⁷³ შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტასტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მსენი, ორნი გან-მანათლებელნი. განიხარა დიდითგან მკირედმედ ყოველმან ერ-მან და ნიშანნი ცხორებისანი მაშინვე იხილუებოდეს მათ ზედა. იყუნეს ღაშქრობანი გამარჯუებულნი ზემოთ და ქვემოთ და არა სჯდათ ვინ წნდა წინააღმდეგომი.⁷⁴ მოკუდა ქართლისა ქათალიკო'სი ჰყონდიდელ მწიგნობართუხუცესი, ქართველი, შირიანის ძე მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთავისიცა და არავინ შეწყუნა მისთუის არცა დიდი, არცა მცირე. რამეთუ ყოველნი სძულობდეს. [მოკუდა ამისპასალარი გამრეკელი და ესე ყოელთა იგლოეს. ამას ჟამსა მკირედ რამე აღიძრნეს იმერულ სუანნი მსგავსად წეუელობისა ურჯუეობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა (260v) კუალად განსამეფებლად. ეუბნებოდეს მესხ-თაცა მირთვასა, რომელი ვერა უძლეს, არამედ, უფროსდა შუიმტერნეს, გააქცივნეს და წავიდეს სირცხუილჳელნი რამეთუ ღ'თი თამარისთუის მოურნეობდა].⁷⁵ ხოლო თამარ ევედრებოდა ღ'თსა და იგონებდა თუ ვის მიანდოს დავით და სპა თუისი და განსაგებელი სახლისა თუისისა, რომლისათუისცა არა არ-ცხუინა ღ'თმან, არამედ აღავსო სიბრძნითა და მეცნიერებითა და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თუისსა მთავართა და განიცადა თუალითა გონებისათა. მიანდო ღ'თსა საქმე. მოიყ-ვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით, რომელ პირველ ჰყონდიდელ იყო და მიქაელ ქათალიკო'სმან მან მისტაცა მოძ-მა(კვიით ვიეთმე მეფისა განმწირახთათა. ესე მოიყვანეს ნამ-

⁷⁰ აქაც „რუსუდან“ გადაშლილია

⁷¹ დმერთსა

⁷² აქ კვლავ I ისტორიაა H-2135-ში

⁷³ ეს ამოღებულია H-2135-ში

⁷⁴ H-2135-ში ნართულია I ისტორიის ტექსტი

⁷⁵ H-2135-ში არ შესულა

დუილვე კაცი ღირსი ქებისა [ჭეშმარიტი ქრისტიანე]⁷⁶ მართალი, წრეული, უმანკონი სახიერი, მოწყალე ყოველთა (261r) ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული, [უ]სომოდ⁷⁷ ეკლესიათა⁷⁸ და მონასტერთათუის რადღა საჭმარ არს, თქუმაჲ თუით წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან ვითარცა მღუიძესა და კლარჯეთს თუით მის მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა⁷⁹ ესე დასუეს ვაზირად. მისცეს ჭყონდიდა, სამთავისი, კისისკევი და მწიგნობართუხუცესობა, რამეთუ მართაღსა უკეთუ უბრკუმეს არავე დაეცეს.⁸⁰ იწყეს განსრახეთა კეთილთა სამეფოსათუის და ერისა უმჯობესთა.⁸¹ მოიყვანეს⁸² სარგის ამირსპასალარისა, მკარგობელისა ორნი ძენი საქარაა და ივანე კაცნი ბრძენნი, მკნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი ამისთუის დიდად შეეუარებულნი თუით თამარის პაპ[ა]თა და მამათაგანცა. ამათ მიხედნა თამარ და ესეცა დ^ეთსა მიანდო და შეიწყალნა და საქარიას უბოძა ამისპასალარობა და უმცროსსა (261v) დღითა ივანეს მსახურთა უხუცესობა. ესე კაცნი ღირსნი იყუნეს კაცობისანი დაღაცათუ სჯულითა სომეხნი იყუნეს გარნა ყოველითურთ მართმადიდებლობისა მოსაენი. ესე ივანე წერილთა ზედა მიწეენისა სწავლული იყო, რომლისათუისცა გულისკმა ჰყო სიმრუდე სჯულისა, სომეხთასა ნათელილო და იქმნა ჭეშმარიტ ქრისტიანე. და შემდგომად ამისსა მოიყვანეს ჭიაბერი. კაცი ესეცა მართალი და ერთგული და მისცეს მანდატურთუხუცესობა და დღითიდღე წარემატებოდეს საქმენი თამარისნი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად განგებისათუის. ამიერითგან განგება ღირს, რომელმან შეუძლრს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თუითუელად ვერავით აღრიცხუნეს, ვერეთვე ვერცავინ ესენი აღწერნეს და რომელთაცა ოდენ შეუძლოს საეჭუელ მინნს მომავალთა (262r)გან შემდგომად არადარწმუნებად. გარნა ლომი

76 H-2135-ში გამოტოვებულია

77 H-2135-ში გამოტოვებულია

78 H-2135-ში – და შემეცნებული სიურავთა ეკლესიათა

79 H-2135-შია – შეიღთავე სამეფოთა და დიდებულთა განსრახეთათა

80 ამიერითგან

81 H-2135-ში ჩართულია I ისტორიის ტექსტი

82 „მოიყვანეს“ – განსხვავებული მელნითაა დაწერილი

ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან ვის უნდეს ცნობად იხილნეს ქალაქნი ციხენი და თემნი სულტანთა ხასხლომნი მისგან ახმულნი. მსღუარნი, რომელნი მას დახუჯეს მას გარეთ მისსა სამეფოსა ორად განფართებულნი და ასისგან ცნას მეძიებელმან საქმეთამან, მერმე ცნას ერაყამდის ქუქქათ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარღამდის და თუით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა არს ქუეჯდომით მოქმედისაგან. ითქუმოდენ წერილისა. მოაკლდენ ძალი ბაბილონისა და აღაშენა მთა ემორისა.⁸³ განქარდა კვაბლი სუბაკთა და განძლიერდეს ბჭენი სილიმისანი. ესე ვითარცა წყალობათა შინა დთოსთა იშუებდა ვრი ქრისტიანეთა. გარნა წუხდეს და იურვოდეს უნაყოფოებისათუის თამარისსა არამედ დთმან, რომელმან მოხედნა პირველ მანოს (262V) და აბრამს და მდედართაცა ანნას და ელისაბედს არა ყოვნა არცა აქა, რამეთუ შემდგომად მკირედიისა ჟამისა დაორსულდა თამარ და ცნეს ყოველთა, იწყეს ლიტანიობითა დთოს ვედრებათა მარხვითა, ლოცვითა და ცრემლითა, რათა მისცეს დთმან შედლი წული, რომელი ესე იქმნაცა და შვა შვილი ყოველითურთ მსგავსი პაპისა და დააქუეს⁸⁴ სახელი გიორგი და განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა და შემდგომად წელიწდისა კუალად დაორსულდა და შვა ასული თუისი შემსგავსებული რუსუდან, რომლისათუის კუალად უფროსი სიხარული შეიქმნა ყოველთა ზედა და უმეტეს გარდაეძატა ზედნიერობით ქუეყანა ყოველითა კეთილითა და განმარჯუებითა ლაშქართათა იწყეს ყოველგნით რბევად სპარსეთისა და აქმნუბოდეს განმარჯუებანი საკუირველნი. ციხეთა მქონებულნი ბრძანებითა (263r) ოდენ დასცლიდეს. ტყუსა და აღაფისაგან აღიესო ყოველი კაცი, ხოლო დაშთომილნი მათნი ვითარცა მელნი იმაღვოდეს და ვითარცა მოხუნველნი ძურებოდეს პოწათა შინა. შეიწრდეს ყოველით კერძონი სპარსნი და უდონიუბამან მოიცუნა და მხოლოდ ერთიდა სასოება ცხორებისა მოიპოეს, ესე იგი არს სიკუდილითა ცნნა თავისა, ამისთვისცა შეკრბეს ყოველით კერძო შეთქმულებითა, შეიღებნეს სამოსელნი და პირნი და მივიდეს წინაშე ხალიფასა. აუწყეს თუისი ჭირი და აწუევედეს რათა უბრძანოს ყოველსა სპარსეთსა შეწყვენად მათდა, რომელი ესე ყო ხალიფა. განახუნა

⁸³ ს. ყაუხჩიშვილთან არის „ერმოინისა“

⁸⁴ დაარქუეს

ძველნი საგანძურნი და იღუმალ წარავლინა კაცო ყოველსა შინა სპარსეთსა. მისცა ოქრო აურაცხელი რათა შეკრიბონ ყოველით კერძოთ ღლაშქარი ურიცხუი და მისცა ბრძანება (263v), რათა, რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდენ თუით მათ ზედა მისლვითა იავარ იყუნენ. ესე ესრეთცა იქმნა, იქვეს ამოღმართ რომ გუიროს და ინდოეთისა და ქუემოთ სამარყანაძდი, დარუბანდაძდი შეკრბა ესეოდენ, ვიდრემდის არცა რიცხუი იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს არდაბადაგანს და მაშინდა გაამჟღავნეს წაკიდება თუისი.⁸⁵ ესმა ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თუისთა და შეიქნა გამორჩევა უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა აუითა გუელითა, არცა დედაკაცურითა სიტყუთა, არამედ ესრეთ ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფელ შემოკრბეს მკვედრობა და კუალად მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამის თევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდინ ყოველსა აღვილსა და წარ(264r)გზავნეთ ფრიადი საფასე და საცმარი გლახაკათუის, რათა მოიცადონ ღოცვად და მოწყალე ყონ ღთო. ნუ სადა თქუან წარმართთა სადა არს ღთო იგი მათი. ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენტა მოყრინდა ყოელი მკვედარი ყოელით კერძო საესენი სიხარულითა,⁸⁶ რომელნი ძალით იპყრობდეს თაუთა შინა. შეკრბეს სომხითს და მივიდა თამარ, იხილნა. დაყუნეს მკირედნი დღენი მათცა ღოცვისათუის. მერმე რქუა მათ: „ძმანო ჩემო! ყოელად ნუ შეძრწუნდებიან გუენი თქუენნი სიმრავლისა მათისათუის და სიმცირისა თქუენისა. რამეთუ ღთო ჩუენთანა არს, გასმია გედეონისთუის სამასნი და სიმრავლე ურიცხუი მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი კუალად ასურასტანელთა ბანაკი ღოცვითა ესეკიელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი (264v), მხოლოდ ღთსა ოდენ მიენდევინით და გუენი თქუენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათად შეწევინთა ყოვლად წმიდისა ღთის მშობელისათა და ძალითა უძლეველითა ჯუარისათა წარემართენით. ულოცა მათ და შეაყუედრნა ღთსა წარუძღუანა ძელი ცხორებისა და თანა

⁸⁵ აქ კვლავ H-2135-ში I ისტორიის ტექსტია

⁸⁶ H-2135-ში ჩართულია I ისტორიის ტექსტი

წარატანა ანტონი ჭყონდიდელი. ხოლო თუით წარიკადნა ხა-
 მოსელნი ფერკთანნი და ფერკიე შიშულთა ფერკითა მიიწია
 ტაძარსა ღმრის მშობელისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას⁸⁷
 წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად ვე-
 დრემლის სრულ ყო ღმრის სათხოელი მისი.⁸⁸ რამეთუ შექ-
 დგომად მკირუდთა დღეთა მოიწია სარგის მკარგრძელი თმო-
 გუელი და მოართუა სახარება ღაშქართა განმარჯუებისა და
 ყოვლითურთ (265r) უნაკლულოება მვედრებისა. არამედ აწ
 ჯერარს მოვსენებად, თუ ვითარი შეწვენა მოიღეს თაძარის
 ცრემლთაგან სპათა ჩუენთა. შევიდეს უკუე ქუეყანად მათდა და
 იხილნეს განძას და შამქორს საშუად მდგომნი, რომელნი სომ-
 რავლით უმეტეს იყუნეს. რიცხუსა ვითარცა მკალნი, რეის გარ-
 დავიდეს ცხენთაგან ყოველნი თაყუანისცეხს ღმრისა და წმი-
 დასა ჯუარსა ევედრნეს ცრემლითა და ვითარ არწიუთა ძე-
 მართეს და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს და პირველსავე წყობასა
 ათევეცი რაზმი მათი დაჯსნეს და შესდევს მახუელი მათი და
 ძალი ღმრისა და ვითარცა თაგუთა მოსრვიდეს და ვითარცა
 ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა მათთა ბადდადელთა
 და მუსულელთა ავრიელთა და ერაყელთა და ადარბადა-
 განელთა და ერანელთა და სხუათა მრავალთა ადგილთასა
 რომელნი ნიჯდად (265v) ჰყევს, ვითარ ვთქუა ინდოეთთგან
 მსარეულნი წუერითა. სიღვით მოიყვანებდეს წინაშე დავით მე-
 ყისა.⁸⁹ და იხილვებოდა დიდი საკრველი და გარდამატებული
 შეწვენა ღმრისა, რამეთუ თუით მოიღებდეს საქონელთა მათთა
 და თუით მოასხმიდეს აქლემთა და ჯორთა კიდებულთა და
 თუით იყუნეს მსახურ იავარისა მათისა და ნატყუენავისა,
 ხოლო ათაბაგმან ბუბაქარ აქო თუისი ონე⁹⁰ და ღონიერება,
 რამეთუ მიწვენულმან წნარცუსა სადმე მკირუსა მიწასა შინა
 დაფლა თაყი თუისი. ესრეთ მოწყალეებათაგან ღმრისათა
 აღვსებულნი მიიწივნეს განძად და გამოეგებნეს მოქალაქენი
 თავთა თუისთა მშუიდობა ითხოეს და ქალაქი ნებისთ
 შესწირეს.⁹¹ შეიყვანეს დავით დარბაზსა შინა ტახტსა სასულტ-
 ნოსა სუდა. დასუეს ფანჯანობათსა სასულტნოსა უკრეს და

87 ხელნაწერშია მათს

88 აქ ჩართულია H-2135-ში I ისტორია

89 აქ კვლავ I ისტორიის ტექსტია H-2135-ში

90 ღონე (?)

91 კვლავ I ისტორიის ტექსტია H-2135-ში

ღორის ჯორკითა დიდად ძალი პურობა გარდიჯადეს (266r).
 კოკელთა მას წინაშე განძელთა დიდი ძღუენი და ხარაჯა
 შესწირეს, გაჯსნეს საჭურჭლენი მათნი და მრავალი ტურფა
 ფიალ ჯამი და ფეშხუნები სხუისა თანა განძისა მრავლისა
 წარმოიღეს და გარეგან ქალაქისა დაიბანაკეს მკვირელთა
 დღეთა, რამეთუ ეძიებდეს ათაბაგსა და ვერა პოეს.⁹² ეგრეთვე
 მაქორელთა ითხოეს მშუიღობა და მონება. აქა ვერა კეთილად
 განაგეს საქარია და ივანე და ესეოდენ იქმნა დაკლება ამას
 განძარჯუებასა შინა. ყო⁹³ ვინმე კაცი სპარსი შარვანშეთ სიძე,
 სახელით მირმირან. ესე შემოხუეწით იყო წინაშე თამარისსა
 სათხოელისა, რომლისათუისმე და მაშინ დაეთეს წინაშე
 სამსახურად ამან მირმირან გამოითხოა განძა ცნობადმდე
 თამარისსა და მისცეს შესანახავად. რაჟამს ბუბაქარ ცნა
 რეენთა ლაშქართა შინა მოსულა, გამოინდა და განძელთა
 ქალაქი მასვე მისცეს, თუცა მირმირან (266v) შიშითა ცოცხალი
 გამოუშუეს. ვითარცა ვთქუ მცირენი რა დღენი გარდაჯდეს
 წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მოხარულნი ულიმპიანს ამას
 ზედა ძღუევასა ფრიად უადრესსა საქებელისა მისგან ძღუეისა,
 რომელი იყო ალექსანდროს და რიოსს ზედა. ვითარცა მიუ-
 ახლნეს მოუგებოდა მათ თამარცა.⁹⁴ [რამეთუ მისრულ იყო
 ხარგის თმოგუელი მახლობელად]⁹⁵ იხარებდა და მადლობდა
 ღმერთსა, მოიკითხვიდა თუითუელსა, ვითარცა შუიღთა და
 იშუებდეს ივინი ხილვითა მისითა. აღივსნეს ყოელნი კელნი
 გარემო ტფილისისა და ვერღარა იტევედა კაცსა, ცხენსა,
 ჯორსა და აქლემსა და ესეოდენ მოსაწყინელიცა იყო სიმ-
 რავლე იგი ტყუეთა. ვიდრემდის შეიყუანიან ქალაქად და ერ-
 თად კეტლად ფეკისად გაყიდიან და ამისი მოწამე თუით იგი
 ღმერთი უტყუელი არს და რათა არა ტყუილი ვისმე და ზღაპარი
 გასრდეს თქმულნი ესე მომავალთა (267r) ჟამთა, ამდუილვე ერ-
 მიონთასა უსახელოვნოესთა მათ კაცთა საქარია და ივანე აი-
 დეს ფანჯავი სამეფოდ და განაწყევეს ველსა დიდუბისასა
 აუჭალამდ აქლემი ყუალა ტუირთითა, ცხენი ყუალა შეკახ-
 მული ეგრეთვე ყოველნი იგი, ამირანი თუისთუისითა დროშითა.
 პირუელად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა შემდგომი შემ-
 დგომად გააწყევს კართგან ქალაქისათა ჳევაამდე გლდანისა.

⁹² H-2135-ში აგრძელებს I ისტორიას

⁹³ იყო

⁹⁴ H-2135-ში აგრძელებს I ისტორიის ტექსტს

⁹⁵ H-2135-ში ეს ფრაზა გამოტოვებულია

რქმ⁹⁶ ყოველი. განიყვანეს თამარ და შესწირეს და ათაყუანნეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი. მერმე თუითცა თაყუანისსცეს და მიულოცეს ბედნიერი მეფობა ღთისა მიერი. ამისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად და თუითუელმან იწყო ძღუენტთა მოღებად ოქროსა და სამკაულისა და ჭურჭელთა მასთა⁹⁷ თუალთა პატიოსანთა და მარგალიტთა [უსასყიდლოთა]⁹⁸ ჯაჭუთა, მუხარადთა, ვრმალთა ამათ გამოცდილთა ნაქსოთა, ფერად ფერადთა ოქროქსოვილთა (267V) და შესამოსელთა მრავალ სასყიდლოსანთა ცხენთა და ჯორთა მანიაკითა ოქროსათა, თუალიან მარგალიტიანთა, სულნელთა მრავალფერთა და ალვისა ხეთა სპილენძებითა ტუირთულად. იწყეთ ანაკოფის ციხით, ვიდრე ციხედმდე გულისტანისა. სეფენი ასნაურთანნი აღივსნეს ტყუითა რჩეულითა და ყოველნი საგანძურნი ოქროთა ვითარცა მიწათა და ინდოურითა ქითა და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხუთა.⁹⁹ [გარნა¹⁰⁰ ამას ყოველსა ზედა აღზუავენა გული თამარისი, განლაღნა ერთგვისცა წარბსა აღებითა. არა, ნუ იყოფინ, არამედ უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღთისა მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა. აღავსებდა ველსა მოქენეთასა და წიაღებსა გლახათასა განამდიდრებდა სამზრუნველოთა ეკლესიათა ქურიეთა და ობოლთა და დავრდომილთა ზოგად ყოველთა ზედა ღთისა ველობად (268r) მიუპყრობდა მასვე ძღუნად, რომელმან არწმუნა განგებად და მასვე მიუზღვიდა, რომელნი მისცემდა მდიდართაგან და მოუკლებელთა წიაღთა ძუელთა აკმსგავსოვებდა თუისთა საქმეთა ზედა. ახალთა წარვდებოდა, ვითარცა უახლესთა მოქმედი ვინა ზემოვე ვთქუა, არამედ ჩუენ ვიტყოდეთ წერილისასა იყო სიმტკიცე ქუეყანასა ჩუენსა და მშუიღობა თავსა მათათასა არაოდენ ქუეყანა იავარსა განადიდებდა თამარ, არამედ სარწმუნოება განმტკიცნებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკობოდეს მრავალ ფერთა მიერ სამკაულთა, ღოკვანი და ღამის თევანი გამრავლდებოდეს, უფროსდა თუით პალატსა შინა, წმიდათა საიდუმლოთა სრულყოფანი მიმდემნი და რასა მრავალსა ვიტყოდი წყალობა

⁹⁶ ტყვე – H-2135-ში. ამის შემდეგ H-2135-ში არ არის

⁹⁷ H-2135-შია მრავალ სახეთა

⁹⁸ H-2135-ში ამოღებულია

⁹⁹ H-2135-ში აგრძელებს I ისტორიას

¹⁰⁰ H-2135-ში ეს ნაწილი არ არის შესული

ღთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა მოუძღურდებოდა, ყოველნი (268v) თუის თუის იღუწიდეს, რათამცა თამარ მოიმაღლეს და ვინაცა გამოაჩინეს საქმეთა შინა საქებელთა. მონაპირენი, რომელნი იყუნეს ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებელად და რომელნი შიგნით იყუნეს იგინი სანაპიროთა იაჯდეს და ესე ვითარმან გულსმოდგინებამან და მოსწრაფებამან ყოველთამან ესე ვითართა მიაწია სამეფო, რამეთუ პირველ ქუემოთი სანაპიროი გაგი იყო, რომელნი ჰქონდა საქარიას მკარგრძელსავე, ვარამის მამასა. და ესენი მუნ მონაპირობდეს. კაცნი მკნენი, ბრძოლასა შინა მრავალგზის გამოცდილნი და განმარჯუებულნი და შიშითა ღთისათა და პატრონისა ერთგულობითა დიდად საქებელნი. ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ საქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ღომურად ზემოთ და ქუემოთ და ყოველსა ადგილსა (269r) და ზემოთ ჯაგახეთი, სადა სარგის მკარგრძელივე თმოგუელი და შადკა თორელსი მონაპირობდეს, ზედათ არტანი სადა მესხნი მონაპირობდეს. რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, კაცი ჯაყელი, დიდად გამარჯვებული და ერთგული მეფეთა. შავშეთით სპერით კერძო ბანასკერტი¹⁰¹ იყო ამის შავშეთისა დიდოთა შინა გამოსნდა ვინმე კაცი ასპაანისძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არცა, ღმერთო, უბედო. ამას საქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხუინა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა თუისსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერთოთაჲი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა. აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ცისენი და ადგილნი ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის ძენი და უყროსდა ტბელი და მაჯატლისძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარდავს (269v) ყრმა მკირე ვერ აუტირდებოდა დედასა და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკუარის პირსა საძოვარსა აწყენდეს, ესე ყოველი რა გესმოდის ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თუინიერ თამარისსა რამე ქმნილიყო ვიგანცა, არამედ ესრეთ განიგონე, მონაპირეთა მონახიან საქმე. ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატყუელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაჯსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის უკუყოღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა უბრძანის საქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი თუით. დავით მეფე წავიდის და

101 ფანასკერტი

არა სადათ შემოქცეველი ცუდად. უკეთუ უმცირესი რამე იყვის
 ჰყის შესხნის დარბაისერნი თუისნი და ვითარ შავარდენთა
 მოისაქმიან, თუ თუით იყვის, ანუ მიხდორით ნადირობასა შინა,
 ანუ შინა მყოფსა და ესმის რამე და შესხნის მუნ (270r), ღირ-
 სნი მისნი ვითარ არწივთა კაკაბნი ეგრეთ დანაბნიან ყოველნი
 წინა აღმდგომნი. არცა თუით უქმობდა და არცა თუისთა ყმათა
 აუქმებდა, ვითარ იგი იტყუის ვინმე ჟამთა აღმწერელი აღუ-
 ქანადრესთუის და ამან სარწმუნო ყოს სიტყვა ესე, რამეთუ
 დიდად სახელგანთქმულისა ქალაქისა ტფილისისა შემოსავალი
 წელიწდისა მასვე და ერთსა წელიწადსა არა ეყვის გასაცემ-
 რად მახარობელთა ზედა მრავალგზის და ერთსა მასვე დღესა
 სჰნი და ოთხნი მოვიდიან მახარობელად და თუ ვითარ ისმინე
 ქმნიან რამე ერთი საქმე და წარმოავლინიან ამბავი გამარჯუ-
 ბისა. და მას დღე მას არა დასჯერდიან და კუალად სხუა რამე
 წარუმართის დმერთმან და სხუაცა მახარობელი წარმოგზავ-
 ნიან და სხუანი ესე ვითარნი აურაცხელ არიან, რამეთუ
 ზემონი სხუათა იქმოდინან, ხოლო ქუემონი სხუათა და ერთსა
 შინა (270v) დღესა მოიწიის მრავალი ამბავი და მახარობელი,
 რომელთა ნამეტნავ არს და შეუძლებელ არს აღწერა ესე
 დმერთმან უწყის თუით ამას ყოველსა დაუშრომელად რა მო-
 ქმედებდა არა თუისისა ქონებისა მოქმე იყო და არცა სამე-
 ყოდ იმკირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ
 თუით მათეუ მისცემდა, რომელთა აუცალოებდა თუისთა
 ლაშქართა ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახელი
 სომეხთა მეფეთა. ანისი, რომელი წარუდო სპარსთა შანშეობი-
 ძა.¹⁰² თანა, მრავალ ჟამ მათგან ქონებული. ხოლო სპარსთა
 სახლი სახელგოვანი დვინი და ამათ ორთა პირთათუის იქმოდა
 პირველად, რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ
 ერთმანერთისა წარმართთა შეძინებისა თუის თუისისა და მეო-
 რედ, რათა მოუკუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაჯნის
 ერთგულობასა და კუალად ამისთუის არა უდებებდა (271r),
 რათა არა მოკლილთა გასუენება¹⁰³ სინუკენდ განსცენთავი და
 სხუათა განსრახვითა დამოუკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა
 აღადებულთა, ანუ ერთი ერთისა მტერობად მოიცილიდეს და
 ბრძოლად, ვითარ ყვესცა. ვიეთმე დაწყებადსაყედ ამისსა მეფო-
 ბისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტგტთა შეილთა
 კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმაცუად და ბრძოლად მიხლო-

¹⁰² შანშეობითა

¹⁰³ განსუენება

ბელთა თუისთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათ-
 თუის დაწერილი კუალად განახლდეს და კედსა¹⁰⁴ ძაღლისასა,
 გინა კუეთხსა თელახისასა ემსგავსებოდეს და ქმნესცა დიდი
 ბოროტი და ორნი ძმანი ანტონი ჭყონდიდელისანი დაჯოცხეს
 და ამით შეაწუხეს მართალი ოგი და განარისხეს თავთა
 თუისთა ზედა ღთი და თამარ, რამეთუ ჭაღასა მდგომამან
 მოუწოდა ხუთთავე და სიბრძნითათუის (271v)ითა შეიპერნა და
 თუითო თუითოსა ციხესა შესუა, რათამცა განიწუარონეს, არა-
 მედ იგინი იგივედ იყუნეს. ამისთუის ექსორია ყუნა მაკედონიას
 საბერძნეთისასა და მუნ მოსწედეს ყიფნაყთა მიერ კარგნი
 ჭაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმა. ამისთუის არაგის
 მისცემდა მოკალეუობასა, ანუ იყუნიან წინაშე მისსა. ახარებდის
 და საბოძვართა ღირსებისაებრ სწყალობდის და განრესუე-
 ნებდის, ანუ თუით წარუძღუის იორისპირი და მტკერის პირი
 მოინადირის. მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდის, კი-
 დრემდის თოვლმან არა დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შე-
 მოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა და ამას შინა თურმე
 სადით ესმის, ანუ ნახიან ყოლად არა მომედგრდებოდეს გან-
 სუენებისა ძილითა, არცარას დააკადებდეს, რომელიცა რა
 წინა აღმდგომი ცნიან სამეფოსა და თამარისი.¹⁰⁵ აიესებოდა
 ნილოსი და იე (272r) ესე ვითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის
 მიერ შეუუარებულმან ღთს თამარს გარნა არცა ესე უდებ
 იქმნა მოქმედებად საქმეთა სათნოთ ღთისათა ამისთუის ჭელ
 ყო აღშენებად საყოფელსა განმამარჯვებელსა თუისსა ზემთა
 კურთხეულისა ვარძიისა ღთის მშობელისასა ზემო ვარძით,
 ქუმო ვარძით მიცვალებით, რომელიცა კლდისაგან გამოეკ-
 ვეთა თვთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფელი სენა-
 კები, რომელი მტერთაგანცა შეუალ და უბრძოლელ ყო. ხ ესე
 ვარძია პირველად და ეწუნ¹⁰⁶ სანატრელსა მამასა მისსა გიორ-
 გის. გარნა ვერ სრულ ექმნა და დაუტევა, რომელ დიდმან ძმან
 აღასრულა და შეაჩყო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და
 დიდროანნი სოფლებნი და შეუშადა ტრაპეზისა შემოსავალნი

104 კუდსა

105 აქამდე ეს ნაწილი არ შესულა H-2135-ში. 271v-ზე ფრაზა
 წყდება, 272r-ზე იწყება განსხვავებული ხელით. ამ ფრაზის
 გაგრძელება იხ. 273v-ზე

106 ეწვიენ

და სხვანი შემკობილებანი, რომელი ყოველისავე მოთხოვრება მხელ არს და თუ ვისმე ნებაეს იხილენ ვარძია და საქმენი მისნი (272v) ნაშენებნი და ქუაბნი გამოკვეთილნი, ვითარ მკვეყ-
 მან თამარ გუელსიდგინა მსახურებად უბიწოსა და გან-
 საკრთომელისა სასწაულთა მოქმედისა ვარძიისა დ¹⁰⁷თოსწმო-
 ბელისა. ამისთვის უმეტეს იდიდა მეფობაე მისი. ხ¹⁰⁸ სხვანი
 საქმენი ამის მეფისა თამარისნი აღშენებანი და შეწირვანი
 მონასტერთანი ისმინენით არა ხ¹⁰⁹ თუ ოდენ საქართველოსა
 მონასტერნი აღაშენნა და შეამკო ა¹⁰⁷ პალესტინეს და
 იერუსალიმს, აღაშენნა პირველად მონასტერი კ¹⁰⁸ კპორუს და
 დალიას. შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი
 და შეამკო ყოველითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა და
 კ¹⁰⁹ კონსტანტინეპოლს აღუშენნა მეტოქენი მათნი. გრძელ
 სადმე არს ყოველისა მოთხოვრებობა, რომელნი საბერძნეთს
 და ყოველსა ელადას შინანი მონასტერნი უხუად წყალობაა იო-
 ყენილ ყუნა და საქართველოსანი მცირეთვან მონასტერით
 საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელი არა წყალობითა
 აღავსო ესრეთ კეთილად აღეპყრა გონება საუკუნეთა მიძარს.
 კეთილთა (273r). ხ¹⁰⁹ მომნიჭებელი წყალობათა წარუმართებლა
 საქმესა დღეკეთილობასა შინა და ყოველნი გარემოსმყოფნი
 ქალაქნი და ამირანი ძღუენითა და ხარკის მოღვეითა
 მოამშვიდებდეს პირსა მწნეთა სპათა მისთასა და არბუვლიან
 ყოველთა ურნითა მათთასა. ხ¹⁰⁹ აქამომდე კარი თურქთა კქანდა
 და წარავლინნა ღაშქარნი გარე მოდგმად, ხ¹⁰⁹ სცნეს რამ თურ-
 ქთა მყის დაადდეს კარი და იელტოდეს. ხ¹⁰⁹ მეფემან აღიღო
 კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე და
 ანინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთა ამირაობა,
 რომლისათვისცა დიდი წყენა შეექმნა თურქთა რ¹⁰⁹ დიდად აენე-
 ბდა და წაულო თურქთა გარეშემონი ქუეყანანი აღიხუნა და
 მიითუალნა და წარმოგზავნა მახარობელი მეფის წინაშე და
 დიდად დაიმაძღლა და ივანესვე უბოძა კარული და მისი მიმ-
 დგომი ქუეყანანი და წარემართებოდა სამეფო თამარისი და
 დღითი დღე შეემატებოდა და შიში და ზარი დიდი იყო
 ყოველთა სულტანთა ზედა (273v). აღიხსებოდა ნილოსი და

107 ამაღ

108 კუალად

109 კუალად

იუ¹¹⁰ფობდა¹¹¹ ეგვიპტე, მოაკლდებოდა ისმაელს განიქიტნებოდა აგარ, იკურთხეოდა ისაკ, ესე სხვამან ვინმე სხვისათვის თქუა და მე აქა ამსოვს წინა სიტყვა ვყოფ რ~ მაკლდებოდა ძალსა მაჰმადიანთასა და მცემელიცა ებანსა რ~ ქრისტიანეთა ორდანიონი ჳმოვანობდეს კიდით კიდემდე დაშრტა სასოება მუსურქანთა და ყოვლითურთ უღონონი დ¹¹²ნე¹¹² ყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის მოყუარე თამარ: ამისთვის კ¹¹³დ¹¹³ წარვიდეს ხალიფასა არღარა პირველებრ ა¹¹⁴დ¹¹⁴ ფ¹¹⁵დ¹¹⁵ შეცვალეპით და შესახვედ წელთა სიტყუათა მოახსენებდეს, რათა ეკედროს თამარს აღებად ხარკისა ოდენ მახვილი მსრველი დააყენონ და ჯაჭვი შემკერელი, რომელი ესე ყო ხალიფამან და წარმოავლინა მოციქული [ორგზის]¹¹⁶ ამის პირისათვის და დიდნი და მრავალფერნი სამეფონი ძღუნენი უცხონი წარმოგზავნნა და დიდითა სიმდაბლითა შემოეხუეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და დააცადოს რბევა. ისმინა თამარ ამისი ვედრება და ესრეთ მისცა პასუხი – აღმისრულებიეს თხოვა შენი და რომელთაცა ინებონ მშვიდობა (274r) თავთა თვისთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათვის შენისა, რომელი ესე ესრეთ იქმნა.

[ხ¹¹⁷ ვთქვათ ესეცა, რ~ ყოველისა]¹¹⁸ საბერძნეთისა სულტანსა მადლის ჩარასღანის ძესა, სახელით ნუქარდინს, რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხვათა ყოველთა სულტანთა, რომელი მთავრობდა დიდსა საბერძნეთსა ასიასა და კაპადუკიასა, ვიდრე პონტოდ ზღუადმდე. ესე იხემებდა ზაკუით სიყვარულსა და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვს მრავალჯამ და ძღუნეთა შეუენიერთა მრავალთა. ეგრეთვე თამარ ყოფდა ნაცვალსახედ მოციქულთა წარაველენდა ძღუნითა. გარნა იგი ზაკუასა ფარეიდა და ფიცთა მიერ განმსტრობად მოსწრაფე იყო ამის სამეფოსა.

110 აქამდე ეს ნაწილი არ არის შესული H-2135-ში

111 271v-ზე შეწყვეტილი ფრაზა

112 დონე

113 კუალად

114 არამედ

115 ფრიად

116 H-2135-ში არ არის

117 ხ~ ვთქვათ – ეს ორი სიტყვა სინგურითაა დაწერილი

118 H-2135-შია – ესე რა ელმოდა

ხ⁷ ამან მოუწოდა ყოველს სიმრავლესა სპათა მისთასა და შეკრიბა ოთხმეოცი ბევრი, რომელ არს [ოთხასი ათასი]¹¹⁹ განახუნა¹²⁰ პაპა-მამურნი¹²¹ საუნჯენი და გამოეარნა ოქრო აურაცხელნი და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათვის მკვედრობისა (274v) და ამცნებდა, რათა ორსა კეცსა მისცემდენ განჩენილისასა. და წარავლინნა ყოველთა სასდუართა თვისთა და იწყუო მოსოპოტამს,¹²² კალონეაროთ, გალატიას, დანგრას, ანკიურიას, ისაყურიას, კაპადუკიას, დიდსა სომხითს. ბითუნიას და სასდუართ ფებლაღონისათა და არა დაუტევა, თუნებრ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა ა⁷დ¹²³ ყოველნი აამკვედრნა. ხ⁷ თუით ამოისწრაფა უჯად სახელდებულთა მათ თურქთა თანა, რომელ არიან მცნე ბრძოლასა შინა და არიან სიმრავლითა ე⁷ა მკაღლი, გინა ჯინქუელნი. ამათ მისცნა ოქრო მრავალნი და კ⁷დ ნიჭნი დიდნი ესე ოდენ ვიდრე ასი ათასი მკვდარი შეკასმული გამოიეუნა მადგან და კ⁷დ მიირთნა თუნებრ ნებისა მათისა შიშით ესინკელნი, ხალფერდელნი და კარნუ ქალაქელნი. სალდუხის ძე, რომელსა ნაცვლად მსახურებისა მიუღო კარნუ ქალაქი და თვისი ძმა დასვა მუნ. ე⁷ა იტყუიან გძღარბისათვის კმელისასა შეიღ მრავალ არს ცხოველი ესე და რაჟამს იხილნეს ნაშობნი თვისნი მრავლად გამოვალს ბუდით თვისით მართუებით და განაწყობს და გოლლოის მათ ზედა (275r). ხ⁷ ეგრეთვე ყო ნუქარდინცა. იხილნა რამ ფრიადი იგი სიმრავლე შეკრებულად, რომელი ზეშთა იყო რიცხვისა აღსუაენა გულითა მსგავსად სენაქერუ მისა და ამაღლდა დ⁷თისა ზედა. არა შეიშინა პირეულთა მათ მსაკეართა ფიცთაგან და სიყვარულისა აღთქუმათა ა⁷დ ფრიად. წინა უკუმო განმსადა თაე თუსი და მიიწია ქალაქად სევა სტიად და იწყუო [მათგან]¹²⁴ განმსადებად საომართა მანქანათა.¹²⁵ წარმოავლინა მოციქული წინაშე თამარისა ესე ვი-

119 ამის ნაცვლად H-2135-შია რვა ათ-ასი

120 აქედან ჩართულია I ისტორიის ტექსტი H-2135-შიც და Q-207-იც იგივეა

121 H-2135-შია – მამა-პაპურნი

122 მესოპოტამიას

123 ამაღ

124 მუნ

125 მაშინ

თართთა წიგნითა, რომელსა წერილ იყო სახე ესე ვითარი. მე ნუქარდინ სულტანი [ფ-ნე ღსა]¹²⁶ (კასა ქუეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული [ქლიერებასა])¹²⁷ ანგელოზისა თანა მდგომი ღთისა მოვლინებული დიდითა მოჰამედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს: ყოველი დიაცი რეგენია. შენ ციბრძანებია ქართველთად აღებად ხრმალთა და ღთისაგან სა-კლარელისა ისლემთა ერისა და ხოცად¹²⁸ მუსულმანთა და კდ ნათესავსა ზედა თავს უფალსა დადებითად ხარკი ყმებური და აწ შე მოვალ, რათა უსაჯულ სამართალი სახლისა სპარსთასა (275v) და განგწუართო მეფე შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად¹²⁹ აღებად ხრმლისა, რომელი ღთისა ჩუენდა უბოძე-ბია. ხოლო ცხენებით¹³⁰ იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწი-ნარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანის მცვეს წინაშე კარისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰამად მოციქულისა და უარ ყოს სჯული შენი და ხელითა თვისითა იწყეს წინაშე ჩემსა ღეწად ჯკარისა, რომელთა მიმართ ვიცით ცუდი სასოებაჲ და აწ მოვლოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეთამთხვიე სპარსთა.

და¹³¹ ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანნეს თამარს წინაშე და წიგნიცა მისცა წარდგა და იწყო რა უკადრებელთა სიტყუათა ესრეთ თქმა, უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჯად სულტნისა: ხოლო ვითარ ამპარტავენად იტყოდა სიტყუათა ამით, წარმოდგა ზაქარა ამირ სპასალარი და უხეთქნა კელთა პირსა და ეცა და ვა მკუდარ დაედვა, ვი-თარ ახიდნეს და აღმართნეს და ცნობად მოვიდა ჰრქუა (გვ. 276r) ზაქარა, თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმო-კუეთა იყო სამართალი შენი და მერმელა თავისა კადნიერად კადრებისათვის. აწ რაჲ არს სიტყვა ესე. [წიგნი¹³² ეა მთართვეს და იხილა თამარ ყოვლად არაჲ აჩქარდა და სხვა ესეკია იქმ-ნებოდა სიმდაბლითა და განმარტა წიგნი იგი წინაშე ღვთისა სული ითქვნა სიღრმით გულისაჲთ და ცხელთა კრემლთა და-

¹²⁶ ეს არ არის II-2135-ში

¹²⁷ არ არის II-2135-ში

¹²⁸ II-2135-შია – დაჯოცად

¹²⁹ არ არის II-2135-ში

¹³⁰ ცხონებით. II-2135-შია – ცხოვრებით

¹³¹ კვლავ I ისტორიის ტექსტს მისდევს Q-207

¹³² აქედან ეს ნაწილი მთლიანად ჩართულია II-2135-ში

მოდიწებითა და ღთისა მიმართ სასოებისა დამდებელმან: მერმე მოუწოდა მაშინ, რომელნიცა დახედეს და ესრახა მათ ამის პირისათვის, არცა ჩუქნად, არცა მდედრად, არცა განუბრძობელად].¹³³ მაშინ¹³⁴ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა ნიკოფსით, ვიდრე დარუბანდამდე და¹³⁵ ბრძანება და წიგნები ქროდა მალე მსრბოლთა და ცოტათა შინა დღეთა შემოკრბეს ენა ვეფხინი სიკასკასით და ენა ღომინი გულითა. ქრისტესა დღთსა ესვიდეს¹³⁶ [და შეკრბეს ჯავახეთს, და არღარა ყოვნეს აღ, მსწრაფლ მიმართეს ტაძარსა ყოვლად წმიდისა დღთის მშობელისასა]¹³⁷ ვარძიას¹³⁸ და ვარძიისა დღთის მშობელს (გვ. 276v) წინაშე ცრემლით შევეედრნა სოსლან დავით და სპა მისი და დროშა ბედნიერად ემარებული და წარგზავნა ვარძიით ღლაშქარნი,¹³⁹ რომელთა¹⁴⁰ თვით თამარ უძღოდა წინა შიშულთა ფერკითა და ცრემლითა ასოვლებდა დაწუთა თვისთა: და მაშინდა წარგზავნნა მოციქულნი სულტნისა და წარატანა თანა მოციქულიცა თვისი და მოუწერა ნაცვალი წიგნის ესრეთ – ძალსა დღთისასა ყოველისა მპყრობელისასა მინდობილმან და მარადის ქალწულის მარიამის მევედრებელმან და პატოსნისა ჯვარისა სასოებით მოსავმან წარვიკითხე დღთისა განსარისხებელი წიგნი შენი. ში, ნუქარდინ და ესცან სიცრუენი შენნი, რათა ბჭე დღთი იყოს არა გასმიერა რე ყოველი ცრუდ მფუცავ სახელსა დღთისასა მის მიერ აღიჯოცოს. შენ ოქროსა შეკრბულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილხარ, უმეცარი მსჯავრსა დღთისასა. მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლისა, არცა არას სხვასა კაცობრიესა საქმესა მინდობილყარ, აღ ძალსა დღთისა ყოველისა მპყრობელისასა და (გვ. 277r) შეწვენასა ქრისტეს ჯვარისასა, რომელსა შენ გმობ: ესე რა შემოგუთვალა წარმომივლენიან მვედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენად თაყვანის ცემად და დამჯობად ზუავსა

133 აქამდე

134 კვლავ I ისტორიის ტექსტს ემთხვევა

135 I ისტორიიდან არ არის

136 აქამდე

137 არ ეკუთვნის I ისტორიას

138 კვლავ I ისტორიის ტექსტია

139 აქამდე

140 კვლავ არ ეკუთვნის I ისტორიას

მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა: რათა განისწავლო
 ღთისა მიერ არღა გმობად სახელსა მისსა იყავნ ნება ღთისა
 და ნუ შენი. [სამართალი მისი და ნუ შენი]¹⁴¹ ხ[~] მე უწყი
 დაჯსნილობა მსახურთა შენთა ამისთვის წარმოვივლენიეს
 მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას
 და განგაკრძალოს, რა ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა
 ფერკნი ესე, რა კართა შენთა ზედა დგანან. მისცა ესე ვითარი
 წიგნი და მერმე შემოსეს და უბოძეს ნიჭი და წარავლინა მო-
 ციქული სულტნისა: ხ[~] თვით უბძანა თვისთა სპათა ყოველთა
 შესხდომა და თვით განვითა უმაღლესსა ადგილსა, სადათ
 ყოველთა ხედვიდა და დავარდა მუკლთა თვისთა ზედა დიდხან
 და ტიროდა წინაშე ღთისა. მერმე ადდგა რად, იხილუებოდა
 (გვ. 277v) ადგილი იგი ყოველად დაღტობილად (კრემლთაგან
 მისთა. მერმე მოიყვანნა წინაშე თვისსა ყოველნი წარ-
 ჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათ თვითეული მათი
 მოვიდოდის წინაშე წმიდასა ჯვარსა და თაყვანის ცემდენ და
 შემთხუეოდინან და იწყეს მოსვლად ყოველთა და ტირილით
 ვედრებად და თაყვანის ცემად პატიოსნისა ჯვარისა და ამ-
 ბორის ყოფად და ეგრეთვე შემთხუევად ჳელსა თამარისასა და
 ანდერძ ყოფდეს ყოველნი სახლთა შვილთა და სულთა წინაშე
 მისსა. ხ[~] ერთითა ჳელითა თვით მას ეპყრა ძელი ჯარისა, ხ[~]
 ერთითა ეზოს მოძღვარსა ბასილის და ჯვარის მტვირთველსა.
 სრულ იქმნა რად ყოველთაგან ესრე სახედ თაყვანის ცემა
 ჯვარისა. მერმე თვით მიიქცა პატიოსანი იგი ჯვარი ჳელითა
 თვისითა და ამჳედრებულთა ზედა ყოველსა მკარსა ნიში
 ჯვარისა გამოსახა სამგზის და ულოცა და ეგრეთ წარემართ-
 ნეს მინდობილნი ღთისანი და თამარის (კრემლთანი: ხ[~] (გვ.
 278r) წინა მბრძოლად იყო ზაქარია მკარგრძელი ამირ
 სპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალ ციხელი შადლვა და
 ივანე დაღათუ მანდატურთაუხუცესი იყო ჳიაბური და სხვანი
 თორელნი და წარემართნეს ბასიანის კერძოსა და¹⁴² მჳევე
 თამარ მოიქცა სამცხეს და მოვიდა ოძრჳეს და მოიცავდა ღო-
 ცვად და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თუედორე ქართლისა
 კ[~]ოზი. კაცი წმიდა და სახიერი და მასთანა მრავალნი ეპისკო-
 პო[~]სნი და მონაზონნი ღთისა სათნონი, რომელთან თანა იყო

¹⁴¹ H-2135-ში არ შევიდა

¹⁴² აქედან ეს ტექსტი I ისტორიაში არ არის, მაგრამ შესულია H-2135-შიც.

იოანე შვეთელი, კაცო ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწეობათა შინა და ლექსთა გამომთქმელი და ევლოგი ქრისტესთვის სულელი, რომელსა მოედო მადლი წ^წარ მცნობელობისა. იყვნეს მიმდევნი ღამის თევანი და ლიტანიობანი. ამასთ¹⁴³ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ყოველ ღოჯვიითა და ფსალმუნებითა დათემინებულად განათიის და ყოველგან საყდართა მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღ^ღთისა (გვ. 278v) აწ¹⁴⁴ ჯერარს მოჯსენებად, ვითარ იგი წყალობა ყო ღ^ღთნ ერსა თვისსა ზედა მეობებითა ყოვლად წმიდისა ღთის მშობელისა და შეწვენითა ცხოველის მყოფლისა ჯვარისათა: ვითარ მოლი ადგილსა მიწ^წვინიეს ქუეყანად ბასიანისა, მუნ იყო სულტანი დაბანაკებული ადგილსა ბოლოს ტევად¹⁴⁵ წოდებულსა და იახლნეს რამ ბანაკსა სულტნისასა არა იყო რიცხვი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათისა კარვებისა და სარა ფარდებისა მათის მინდორი იგი ძლით იტევდა კარვებსა მათსა. ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს და არამ უდგა დარაჯანი სულტანსა: მუნ დააწყვეს რა^სმი ქართველთა და მუნ წინა მბრძოლად იყო 'საქარა მჯარგრძელი ამირ სპასალარი და ახალ ციხელი შალვა და ივანე და სხვანი თორელნი. და ერთ კერძო აფხაზნი [და იძქრნი]¹⁴⁶ და ერთ კერძო ამერნი და შრ კახნი. და ვითარ იხილნეს სულტანი, ცოტად ცხენნი ააქარნეს და მიმართეს, ვითარ იხილნეს სპარსთა რ^რ აუ^სიდავედ მიდიოდეს, დააგდეს სადგომი ძათი და სიმაგრეთა მიმართეს. რ^რ მიაველინა მათ 'სუდა ღ^ღთნ შიში დიდი. ხ^ხ ქრისტიანეთა იხილნეს რამ მათ წინაშე (გვ. 279r) გაქცეულნი, მიეტვენეს და არამ უტვენეს წარსვლად და გარე მოიცვნეს და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი და განგრძელდა მყოვარ ჯამ და მოსწყუდეს ორგნითე. ხ^ხ უმეტეს სულტნისა სპანი მოისროდეს და ესოდენ განგრძელდა ომი, რომელ ცხენი მოუკლეს მსახურთ უხუცესა 'საქარიას გრიგოლს და ხალ ციხელთ შალვას და ივანეს და სხვათა. მრავალთა თაყაღთა და კნინდა სიველტოლად

¹⁴³ აქედან კვლავ I ისტორიის ტექსტია და ასევეა ჩართული H-2135-ში

¹⁴⁴ არ არის I ისტორიის ტექსტი. მთლიანად მოსდევს ვ-ს.

¹⁴⁵ H-2135-შია – ბოლო სიტყვად. ს. ყაუხჩიშვილთან – ბოლო ციხედ

¹⁴⁶ H-2135-ში არ არის

მიდრიკნეს ქართველნი და ქვეითად დარჩეს რა'სმსა შინა მკვნი ქართველნი.

მაშინ ვა ეხილნეს ლაშქართა თვის თვისი პატრონი ქუეითონი გაწირნეს თავნი სიკვდილად ჩამოკდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გვერდსა დაუდგეს ქუეითთა, და ეგრეთ ძლიერი იმი შეიქნა. და ვითარ იხილნა დაეით მკვნიმან მორიდა ერთ კერძო და მარჯუენისა მკვარსა მორიდა საქარია მკვარგრძელმან და ვითარ ქართველთა განეშორნეს, რათა რა ცხენთა მათთაგან დაითრგუნოს ქუეითნი და მიმა(279V)რთნეს სპარსთ კერძო. მსწრაფლ მიეტევენეს ერთ კერძო სოსლან დაეით და ერთ კერძო საქარია, და ვითარ მგელნი ცხოვართა. ეგრეთ შეუკვივდეს ურიცხვთა მათ სპათა სულტნისათა, და პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ვმალთასა მოხედნა წყალობა აურაცხელმან ღთნ მოსავთა ჯვარისათა და განადიდა დიდება დაეითისი და თამარისი ვარძიისა ღთის მშობელმან. და ანაზღად ეგეოდენი იგი სიმრავლე განსქდა, იძლია და დაიფანტა. და ამას გვანდა თუალ გარდაუწლომელი [იგი ლაშქართა სიმრავლე, ვითა]¹⁴⁷ მადნარი მიწითურთ მოგლეჯილყო და განქცეულ და სადეცადცა თუალი მისწუთებოდა, ყოელგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილევებოდა ღატოლვილად: ხ ჯერარს ამისიცა მოხსენება, რომელ მეფისა თამარისა ოძრკეს ყოფასა შინა იყვნეს რა მიმდემნი ღოცვანი და ღამის თევანი დღესა ერთსა აღესრულა რამ საღთო უამის წირვა ზემოცსენებულისა ევლოგის მიერ განკვირება დაეცა ევლოგის და იწყო დადადებად სულელის მსგავსად და (გვ. 280r) იწყო აღმართ ხედვად. და ვითარ ხედვიდა ევლოგი ვმა ყო ჭმუნვის სახედ და სამგზის დაეცა და მეყსეულად აღხლტნა და არიტყუელნი კელნი-აჰა, დიდება ღთისა, ქრისტე ძლიერ არს. კელნო ევლოგისნო სპარსთაგან არამ გეშინის. განუტევეთ, რათა ვიდოდის მშუდობით. ცნეს ყოველთა რ წყალებით იყო სიტყუა მისი და ევლოგი არავისრა გამოუცხადა საიდუმლო, თვინიერ იოანე შავთელსა. რ მას ოდენ აუწყა ვდ უამსა ამას მოსცნა ღთნ ბარბაროსნი საძლეველად კელთა ქრისტიანთასა და მყის წარვიდა ევლოგი [პირისაგან მათისა და დაი-

¹⁴⁷ H-2135-ში არ შესულა

მაღაქ¹⁴⁸ ხ⁷ ქართუელთა იხილნეს რად განქცეულნი წინამე
მათსა მტერნი, თვისნი აღსხდეს ჰუნეთა მათთა და დევნა
უყუეს, ჳოცდეს და იპყრიდეს და სიმრავლისაგან ვერ იელტო-
დეს და ურთიერთას და სორგუნვიდეს. ხ⁷ ერი ქართუელთა
უენებელად დაიკვნა (გვ. 280v) დ⁷თნ რომელ არცა ერთი ვარგი
მეფისაგან შესწავებული კაცი მოკუდა და ვგეოდენი სიმრავლე
საისა მათისა იელტოდა და სპანი თამარისნი უენებელად
დაიკვნა მოწყალებაჲმან დ⁷თისამან. რ⁷ მისცნა დ⁷თნ ჳელთა
მათთა და იხილევბოდა საქმე საკვირველი, რ⁷ თვით იყენეს
მსახურ თვისისა შეკეორისა¹⁴⁹ რომელნი განერნეს პირსა მახ-
ვილისასა უდიდესი მათია შეიკროდა უმცროსისა მიერ თვისისა
და – უწარსინებულესი მათი მოიყუანებოდა გამობმული ძუასა
ცხენისასა და ერთითა საბლითა ერთისა მიერ კაცისა შეიკვ-
როდა ოცი და თმითა გამოებბოდა ერთი ერთსა ყრმისა მიერ.
მცირისაა უმჯობესნი მბრძოლთანნი მოიყუანებოდეს ვ⁷ა თიკანნი
გამოიძივნეს ყოველნი ადგილნი და გაქცეულთა ჳოცდეს, მ
ნეშტთა ვ⁷ა მართუეთა ქათამთასა მოქერყედეს და გაუშევრდეს
აურაცხელსა სიმრავლესა, რ⁷ ასსა სპარსსა ერთი ქრისტიანე
ძლით მიხუდებოდა წარმომყუანელად. ესრეთ აღსრულა
წწყალობა ევლოგისი მასვე ეამსა შინა ქმნითა, რომელსა შინა
იხილა ჩვენება იგი. ესე (გვ. 281r) ოდენი დიდებული ძლევა მი-
მადლა დ⁷თნ ცრემლთა და სასოებისა სიმტკიცეთა თამარისათა
– ესე ყოველი რად ესრეთ იქმნა მოუჯდეს ბარგსა მათსა,
რამეთუ არა იყო განცდა და აღრიცხვა სიდიდეთა ოქროსა და
ვერცხლისა ჳურჯელთა ნაქსოეთა სიმრავლე აურაცხელი, სას-
მურნი ოქროსანი, თუალ მარგალიტოვანი ღანკნები და პი-
ნაკები ღაგვინებისა და ქუაბებისა თანა ყოველითურთ საკსეთა
მიუწდომელითა ალაფითა. მ ცხენ-ჯაორისა და აქლემებისა
სიმრავლე და კარავთა და საფენელთა ურიცხუება, რომელ და
ყარეს ვინმე აღრაცხნეს, რ⁷ საესე იყო ყოველი საბანაკო მათი.
ესრეთ ძლევა შემოსილნი და მადიდებელნი დ⁷თისანი შე-
მოიქცეს და დადგეს კარავთა შინა მათთა. ამისა შემდგომად
შეეკასმა მოქალაქეთა დიდითა შეკასმულობითა ქალაქი

¹⁴⁸ H-2135-ში არ შესულა. H-2135-შია – „და იელტოდა და აღ-
ვიდა მათსა რომელსა ჰქვიან არაგანნი“. შემდეგ კი არის
ტექსტი I ისტორიიდან.

¹⁴⁹ H-2135-შია – შეკრვისა

ტყვილისი და შევიდა თამარ და დავით ეა მზისა შარავანდუდი მიიყენითა და შეიღეს დროშა ნუქარდინისი. შეიყვანეს პირველად ესინკელი და მერმე სხვანი იგი (281V) წარჩინებულნი. მოიყვანნა, რომელნი სთნდეს წინაშე თვისსა თამარს. ყოველთა ნუგეშინის(კა და დიდად სახელოვნად სერითა ისტუმრნა და უბოძა ყოველთა შესატყვისად და წარგზავნნა ციხეთა შინა ყოველსა ადგილსა თვნიერ ესინკელისა ად იგი. დაიმჭირა ტყვილის პატიმარად პირველისა პატივისა და სიყვარულისა [მისისა]¹⁵⁰ წილ უკანასკნელ ეგეოდენი სახელოვანი კაცი და დიდებული განჯდა¹⁵¹ ნალად ცხენთა, რომელი ესე ყო თამარ პატივად სახლისა თვისისა და დიდებად, რომელი ესე არაოდეს ვისგან ქმნილიყო დასაბამითგან ესე ყო დიდებად და სახსენებულად თვისა.

წ კდ აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა ოქროსათა, რომელთა მიწისა მსგავსად შეასხმიდეს ოქროსა თუალს და მარგალიტსა წუევით დასდებდეს ოქრო ქსოვილთა ბერძნულთა და სხვათა ნაქსოვთა ძერად საპოვნელთა ეა ცუდთა სამოსელთა ურიცხეთა დაურიდეს ვეცხლისა ჭურჭელთა არღარა აქუნდა პატივი პალატსა (282r) შინა მეფისასა რ ყოველნი ოქროსა და ბროლისა წინა დაგებული იყო ინდოურთა ქვათაგან შემკობილი, რომელითა აღავსნა ყოველნი ეკლესიანი, რომელთა მიანიჭა სამსახურებულად სიწმიდეთა საიდუმლოთასა და აღავსნა [ყოველნი ქუეღნი]¹⁵² მთხოველთანი და განაძლინა ყოველნი გლახაკნი და აღუესო წიაღნი მათნი [უხუებით].¹⁵³

ესრეთ აღიდებს ღთი მადიდებულთა თვისთა, ესრეთ აღამადლებს წინაშე თვისსა მდაბლთა. ესრეთ შემწე არს მოსაყთა მისთა, ესე ვითართა ნიჭთა მიანიჭებს მინდობილთა თვისთა, რამეთუ არარად სხვა დაიდვა თამარ გულსა თვისსა, ვითარ დასაბამი იგი სიბრძნისა შიში ღთისა და სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა იყო დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვიდობა განეყინა მადლი ბაგეთა მისთა ამისთვის აკურთხა იგი ღთნ უკუნისამდე და დაადგრა

¹⁵⁰ H-2135-ში არ არის

¹⁵¹ H-2135-შია – „განყიდა“

¹⁵² H-2135-ში არ არის

¹⁵³ H-2135-ში არ არის

თავსა მისსა გვირგვინი პატიოსნებისა და დასდვა წყელთა მისთა მახვილი ძლიერებისა (282v) და წარემართა სუფევად "უკუნისამდე ჭეშმარიტებისათვის სიმშუილისა და სიმართლისა" ჯერარს ამისთვიცა თქმად ედ ქმნეს მრავალთა დელათა ძლიერება, ად არა ესრეთ, ვითარ ამან, არა ვერაგობისა დონითა აცხოვნებდა ერსა თვისსა, არამედ სიბრძნისა წინა ძლომითა და სიმართლითა და უმანკოებითა დავეითიანითა, სიმშუიდითა იაკობის მსგავსით, სიუხუითა აბრამისებრითა მოწყალებითა იესოს დთისა მსაგვსითა და სამართაყლითა მისისა მბაძვითა დღეთა შინა თამარისთა არაგინ გაძოსნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა არცაგინ დასჯელს თვინიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავასაკათა სუდა ძელსა სუდა წამორჩობა, თუთ არცა ვით ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატივისასა მიეჭადა თანანადები. არცა ვინ ბრძანებითა მისითა ასო მოკუეითლ იქმნა და არცა სიბრძნით, დაისაჯა, თვინიერ გუზან ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულუებით განდგა და კილას სადმე მათათა შინა ავასაკობდა (283r) მაღლით. ესე შვიპყრეს მთიბავთა თვისათა და დავეით მეფისა წინაშე მოიყვანეს, ხოლო მან იკოდა დიღო მოწყალება თამარისა, ამისთვს მისსა შეკითხვამდის თუქალნი დასწუნა ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა: არაოდეს თვისსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა ად¹⁵⁴ ყოველთა ქრისტიანეთათვის და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა ყოველთა მიუმცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდენ შიშითა და სიყუარულითა მისითა: წარავლენდის სარწმუნოთა თვისთა და დავედროს ესრეთ იწყეს აღუქსანდრეთა ყოვლისა თანა ლუბისა სინისა მთისა მათისა და მათ კერძოთა ეკლესიათა მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის, ხოლო იერუსალიმისათვის რადდა საკმარ არს თქმად რა წარგსავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა სამურაევებსა და მონასზონთა და გლახაკათათვს. ოქროთა აურაცხელთა, ცყუენი განთავისუფლენის და ხარკი ერისა(283v)თვით უკუნსცის და ყოველი ჭირი და ჭირებული აღიღოს მათგან: ედ კერძოთა ელაღისათა და მოაწმდას ეგრეთვე მაკედონიისა და ბიჭრილოხოს¹⁵⁵ კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონას-

154 ამად

155 H-2135-შია - პიტრილონს. ს. ყაუხნიშვილთან - პეტრიწონს

ტრებთა რომანას და ყოველგან კ`დ ისავერისა კურუსეთს და ყოველთა მათსანახებთა შავისა მთისათა და კვპრისათა ესე ყოველნი ადავსნა ქველის საქმითა, რომლისათვის ისმინეთ თუ ვითარ მოხედვიდა ღ`თი საქმეთა მისთა: მოიწინეს ოდესმე წყევლებისაებრ ქველისმოქმედებათათვის ამისთა მონაზონნი შავისა მთისა ანტიოქიით და კვიპრისა ჭალაკით ეგრეთვე მოაწმიდით და მრავალთა ადგილთათ შეიწყნარნა თამარ [წყევლებისაებრ]¹⁵⁶ ვითარ ანგელოზნი და მრავალ დღე არა გააქმენა მერმე მისცნა ყოველთა დიადი და ადავსნა ყოველთა საჭმლითა უკანასკნელ. მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო თვით მათვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწვნეს რამ კოსტანტინეპოლ(284r)ედ ესმა მეფესა ბერძენთას ალექსის ანტარსა, რომელმან ძმას თვისსა ისაკს თუალნი დასწუნა და მეფობა წარულო ესე ყოველთურთ ბოროტი კაცი იყო შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათვის ვის საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარულო მათ მონაზონთა ცნა რამ ესე თამარ მეფემან ნაცვლად სხვა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ და ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკი ხ` განარისხნა მეფესა ზუდა ბერძენთას წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუდეს ლაზია. ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერსენდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსა ანდრონიკეს შეილსა. რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი. (284v) ხ` ესმა ესე ფარანგთა, რ` მოელო ბერძენთა შეწენა. აღმოსავლეთით გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუდეს ქალაქი მეფობისა თანა და შეიხვეწა უბადრუკი იგი ალექსი ბორღალეთს თვისისა სიძისა თანა. იხილა რამ ბორღალელთა მეფემან სიძემან მისმან, შეიყუანა ციხესა ერთსა და დაუფინა წინაშე მისსა ოქრო დიადი და პრქუა ესრეთ – აჰა, ალექსი გულის სათქმელი იგი შენი ოქრო ესე, მიიღე თვინიერ სხვისა, რომლისამე საზრდელისა და წყლისა წილ რ` ამისთვის წარწყმიდე სახლი სამეუფო ქრისტიანეთა და დაჯსენ თვით მპყრობელობა ბერძენთა და ესრეთ მოკუდა საწყალობელი იგი სიყმილითა დაკლებული შეწვენისაგან ღ`თისა: ესრეთ საზარელ იყო

¹⁵⁶ H-2135-ში არ არის

თამარ მტერთა ზედა და კ`დ ესე ოდენ ტკბილ და ძვირ უკსუნებელ, ვიდრემდის ესმა. რამ ესე ყოველი დიდითა ტკივილითა იგლოვცა, დადათუ არა ღირს იყო მისთვის ტკივილი, (285r) რ`რაცა ვის არა ჭეშმარიტებით აქუნდეს არა იპყრობს დიდხანს. კარნა თამარ უცხოსაცა ზედა და დავრდომილთა ღმობიერ იყო მტკივნეულობათა და წყალობათა ვითარ აწ ამასცა ზედა:

ესრეთ დღითი დღე წარმატებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრის მპყრობელთა ყოველთა შორის უბრწყინვალესი თამარ ხ`უმეტეს [შეუმატებდა]¹⁵⁷ ღ`თის მსახურებასა ეკლესიათა და მონასტერთა კა`ხმასა და შენებასა ობოლთა და ქურიკთა შეწყალებასა და სამართლისა მიფენასა. ამას შინა იშვებდეს და იხარებდეს სამეფონი მისნი ჟამ გარდვიდიან [აფხაზეთს]¹⁵⁸ და განავნიან საქმენი მანდაურნი და მოინადირნიან. კეთილი იყო სანადირო გეგუთი და აჯამეთი მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს მერმე დადგიან [დუ`ინს],¹⁵⁹ მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღმართ ქალაქნი, გასაფხულ აღმოვლიან სომხითი, მოილიან ხარაჯა ნახტევნელთა და წარვიდიან კილას თავსა არტანისასა (285v) და მუხით მოილიან ხარაჯა კარნუ ქალაქით და ეზინკით და სხვათა გარემოსთა ქალაქთა.

[ხ` წარმოვთქვათ ესეცა რ`]¹⁶⁰ ოც და მესამედ გინათუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა, რ` მრავლითა ჟამითგან ბრძოდეს სარგის თმოგუელი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერა რამ ღონე ქნეს ადებისა, რ` სამთრის მკსინეარებისაგან და სიცივისა უღონო იყვნეს მოდგომად. ხ` ჟამსა ყინვისასა წყლისაგან გაყინულისა ვერ შეუძლებდეს ბრძოლად. გარე შემოიხუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი და იგი მხოლო მარტოე ჰქონდათ სპარსთა. ამისთვის განი`სრახა [კეთილისა გონებითა]¹⁶¹ და წარავლინა დავით ზემოთ ლაშქრითა, წაატანა ზაქარია და ივანე და უბრძანა, რათა დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ და ხანგრძლად იქმნა ესე. და თვით თამარ დადგა ჯავახეთს და

157 H-2135-ში არ არის

158 H-2135-ში არ არის

159 H-2135-ში არ არის

160 აქედან I ისტორიის ტექსტი არ არის

161 H-2135-ში არ არის

მუნ მოელადა ამბავსა მათსა. [ხ⁷ იგინი მივიდნეს]¹⁶² ებრძ(286r)ოლნეს უკუე შეკრულსა მას ღობესა¹⁶³ წყლისათვის და მრავალთა შინა დღეთა განტეხეს ადგილი იგი და გამოსცალა წყალი და მისთანა უმრავლესნი მოქალაქენიცა. ხ⁷ და მთომილთა მათ ითხოეს დავითისგან, რათა თვით თამარ მივიდეს და მას მიენდვნენ, რ⁷ ეშინოდათ სიტყუათა მათთვის გინებისათა, რომელთა ციხით გამოიტყოდეს პირველ... მაშინ მოაწსენეს ესე [ყოველი]¹⁶⁴ თამარს [ხ⁷ იგი]¹⁶⁵ მივიდა და მიიხუნეს [ციხოვანთა მათ]¹⁶⁶ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშვიდობასა და ფიცსა, რათა არამ განსცეს კარი ვითარ ანისი და დვინი ად სამეფოდ დამიჭიროს. ამისთვის მისცა სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა თვისსა გიორგის, რათა შევიდეს და თვით მოითუალოს ქალაქი და ციხე თვისად,¹⁶⁷ რომელი ესე ესრეთ იქმნა. და ესე ვითარი¹⁶⁸ ქალაქი და ციხე თვისად დაიჭირა. მათ ყოველთაგან, რომელნი აიხუნა ზორაკერტით რაყსამდის, გავით განძამდის და ჯავახეთით (286v) სპერამდის. და ვისცა ასიყიდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისგან გემკრებიან და მისთა ლაშქართაგან, წელიწდისა ერთისა დღეთა, თუ ვითარ შეუძლო ყოველთა მათ გარეთა აღმართ ოდენ, მუხედენ რომელნი ჰქონან ციხენი მკარგრძელთა ოდენ სახლთა სემოთ და ქემოთ.¹⁶⁹

ხ⁷ ამა სიხარულსა შეუდგა მწუხარება, რ⁷ მიიცვალა სოსლან დავით, კაცი აღსავეს ყოვლითა კეთილითა საღ⁷თოთა და საკაცობოთა შესახედავითა განშუენებული, ხ⁷ წყობათა და ომსა შინა მცნე უხუი და მდაბალი და სხვითა ყოვლითა სიკეთე აღმატებული: და დაუტენა ორნი ძენი ყრმა ვიდრემე

¹⁶² H-2135-ში არ არის

¹⁶³ H-2135-შია – ღონესა

¹⁶⁴ H-2135-ში არ არის

¹⁶⁵ H-2135-ში არ არის

¹⁶⁶ H-2135-ში არ არის

¹⁶⁷ „თვისად“ გადაშლილია Q-207-ში

¹⁶⁸ H-2135-შია – ერთი

¹⁶⁹ აქამდე I ისტორიის ტექსტი არ არის. განსხვავებულია. აქედან კვლავ I ისტორიის ტექსტს მიჰყვება

ლაშა გიორგი, ხ⁷ ასული რუსუდან და იტირეს [და იტყებეს]¹⁷⁰ და დაუტყვეს მწუხარება ყოველსა მკვიდროვანსა. მათ უკუე უამთა არა მკვირედსა ჟამსა მშვიდობა იყო ყოველგან და მეფე იყო გეგუთს, რ⁷ იყო წმი(287r)დანი მარხვანი, ორნივე მეფეს წინაშე იყვნეს: და ვითარ ცნა არ დაეღუეთის სულტანმან აღძრა მკერობა ქრისტიანეთა ზედა. მოუწოდა სპათა თვისთა და წარმოსართა. უწყოდა მხარგრძელთა შინა უყოფლობა. წარმოვიდა და აღმოვლო რაცისის პირი. გზა გზა არაეის ავნო და უგრძობელად მოვიდა და მოიწია ანისის ქალაქის სიახლესა და დიდსა შაბათსა მწუხრი მორა ეახლა ქალაქსა და ვითარ ცისკარი მოეახლა, და პკრეს ძელსა და განახენეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტვენეს კარსა ქალაქისასა. შეუტევეს ცხენი და ვერდარა მოასწრეს კარნი და შევიდეს ქალაქად, იწყეს ხოცად და კვლად და ტყუობად. უმრავლესი ერი იყო ეკლესიათ შინა ვითარ შეკავეს ქრისტიანეთა სჯულსა, რომელნიმე შეივლტოდა დარანოათა შინა და მუნ გამაგრდიან და რომელნიმე ქვაბოვანთა შინა, რომელსა ქარტუნობით უწოდეს. არამედ არა განერა, ანუ ციხესა ანუ ქარციუნსა შინა, რომელსა შინა არა შევიდა რ⁷ გარეშემო სამგნით ქარაფ (287v) იყო კლდოვანი და ქვაბოვანი, ესრეთ ველთ იგდეს რა ქალაქი, ყოყელი ერთი ბეერი და ორი ათასი კაცი ეკლესიათა შინა ვ⁷ა ცხოვარი და კლეს თვინიერ მისი, რომელი უბანთა და ფლორცთა შინა მოიკლა. ესოდენ მძუ⁷ინვარედ მოაოკრეს ანისი და სავსენი ტყვითა და აღაფითა ურიცხუითა წარვიდეს და მიიწინენეს [სახლად თვისად].¹⁷¹

ხ⁷ ესე ანისის მოოკრების ამბავი ახალ კურიაკესა დღესა აცნობეს მეფესა თამარს გეგუთს სცნეს რა ამირ სპასალარმან საქარიამ და მსახურთ უხუცესმან ივანემ, დიდად დამძიმდენ და მწუხარებამან მოიცვნა და გულის მათნი ცეცხლებრ ენთებოდა და რამცა ყვეს არა უწყოდეს. ხ⁷ მეფე და ყოყელნი სპანი მისნი, მწუხარებითა და გულის წყრომითა მოცულნი სპარსთა მიმართ ბრძოლისა ყოფად აღევ⁷ნეს: მაშინ მკარგრძელთა პრქუეს მეფესა, მოიწია ბოროტი ჩუენ ზედა გარდასვლითა მცნებათა დ⁷თისათა, რომელ ესე ოდენი სული ქრისტ(288r)იანე მოისრა ცუდ რჯულთა სარკინო⁷თა მიერ

170 H-2135-ში არ არის

171 ამის ნაცვლად H-2135-შია „შინა“

ცოდვათა ჩუენთათვის. ად ვესაჲ წყალობასა დთისასა და პატიოსანსა ჯვარსა, რათა არა მისცნეს მოსაენი ჯვარისანი სრულიადსა წარწყმედასა. ად ჩუენცა შური ვაგოთ და ჩაკვლისა ქმნად განუმსადნეთ და სიცრუე მათი მათდაჲე მცესცეს. შენ, მეფეო, ამცენ სპათა შენთა, რალა მსა იუენენ არდაველს სულტანსა ზედა წარსვლად. პირველად წარვიდეთ ანის და ეონ სადა ეპოოთ სპართაგანი მოვინადიროთ. და რათა არა ცნან მკირედითა ღაშქრითა წარვიდეთ უკეთუ დიდნი წარვადლო სცნობენ და სიმაგრეთა შეველენ ად მკირითა ღაშქრითა შემეწიე რაჲმს შეგინებული მარხვა მოვიდეს მსამცა არიან რაჲმს ჩუენ მოგახსენოთ:

სონდა მეფესა თქმული მათი და უბძანა სპათა თვისთა რათა მსა იუენენ. და მკარგრძელნი წარმოვიდეს ანის და იწყეს კაზმად და მოიახლა ბილწისა სჯულისა მათისა მარხვა. (288v) წარმოავლინეს წინაშე მეფისა კაცი ღაშქრისა მთხოველად.¹⁷² მაშინ უბრძანა მესხთა, თორელთა, თმოგველთა, შრკახთა, სომხითართა. ხ ქართველნი არა წარატანა, რათა არა აგრძნან არდაველს იყოფთა [შეკრბეს ანის და წარემართნეს არდაველს]¹⁷³ გარდაველს გელაქუნი და ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ხუდაფორინის ჳიდსა და მიმართეს არდაველს. ესრეთ მოუწონეს უამი, რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი. და მას ღამესა გარე მოადგეს არდაველს. ხ ვითარ ჳმა ეო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მათისამან და გაჳწირდა მუყრთა ყივილი ყოველგნით, ცხენი შეძოუტევეს მკარგრძელთა. და უომრად ჳელთ იგდეს სრულობით ქალაქი იგი და სულტანი და ცოლნი და შვილნი მისნი და ყოველი სიმდიდრე სულტნისა და ქალაქისა. ესრეთ აღივსნეს სიმდიდრითა აურაცხელითა, თუალითა მარგალიტითა, ოქროთა, ვერცხლითა, ჳურჳლითა ოქროსა და ვერცხლისათა (289r), შესამოსლითა და საფენლითა და ყოველითა სიმდიდრითა ევოდენ გამდიდრებულისა ქალაქისა რომელ მოთხრობა შეუძლებელ არს, აღივსნეს ცხენითა ჳორითა და აქლემითა და საქონელი მათი თვით მათთაჲე საჳედართა აღვიდეს და ესრეთ წარმოემართნეს. ხ სულტანი არდაველისა მოკლეს და ცოლნი და შვილნი მისნი ტყუედ წარმოიყვანეს და ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიძვითა შინა მათთა დაკლეს, ვითარ იგი მათ

¹⁷² H-2135-ში მოსდევს არდაველისა სულტანსა ზედა

¹⁷³ H-2135-ში ეს ფრაზა ორჯერაა გამეორებული

ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა. სხვა უმრავლესი ერთ მოკლეს და სხვა ტყუე წუეს.

აღმოიარეს იგივე გზამ და ესრეთი ძლევა შემოსილნი მოიწივნეს ანისს და დიდად ნუგეშინისიციკეს და ესრეთ მოიწივნეს წინაშე მეფეთ მეფისა და დედოფალთ დედოფლისა თამარისა. მოიღეს ძღუენი და არმაღანი, აღავსნეს მეფე და ყოველნი წინაშე მისსა მეოფნი, რ^ე უამსა მას კოლას დგა მეფე აღივსო ყოველნი სამეფონი ამისნი სიმდიდრითა (289V) აურაცხელითა, ოქროთა, ვერცხლითა და სხვითა ყოველითა სიმდიდრითა, რომელიცა მიიღეს საქარია და ივანე, რომლისა თვისცა დიდად მადრიელმან მეფემან უბოძა მრავალნი ციხენი და ქალაქნი და ქუეყანანი ესრეთ მადიდებელნი დ^ეთისანი იშუებდეს და იხარებდეს და ნებიერად იყოფოდეს და მოუძლიოდა გარემემოთა მყოფთა მეფეთაგან ხარაჯა და ძღუენი ურიცხვი.

სხვასა უამსა მოვიდეს მეფის წინაშე მკარგრძელნი საქარია სპასღარი და მსახურთ უხუცესი ივანე და ვარაზ გაგელი და მოახსენეს — ძლიერო კელმწიფეო და შარავასდეთა შორის უმეტეს აღმობრწინებულო იხილე და განიცადე სამეფო თქვენი და სკან სიმკნე და სიქველე სპათა მენათა გულის ხმა ყავ, რ^ე მრავალნი ახოვანნი მკვნენი და ქველნი იპოებიან სპათა შენტა შორის, რ^ე არა ვინ არს წინა აღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამა თქვენმან, რათა არა ცუდათ ვაუქმოთ სპანი თქვენნი და დაეიწყებასა მიეც (290r) ეს სიმკნე მათი ა^ნდ. აღვამკედროთ ერაეს რომგუარს ზედა, რომელ არს ხვარასანი, რათა ცნან ყოველთა სპათა აღმოსაყდელთისათა ძალი და სიმკნე ჩუენი. აწ უბძანე სპათა საქართუელთათა, რათა მ^ესა იყვნენ ლაშქრობად ხვარასანს. დადაათუ არა ვინ ქართველთაგანი მიწუენულ არს მუნ ხვარასანს და ერაეს ა^ნდ ბძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდის აღიჭურონ და მ^ესა იყვნენ. და ვითარ ესმნეს თქმულნი ესე მკარგრძელთანი მეფესა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა ამერთა და იმერთა, აუწყა თქმული მათი. ხ^ე ვითარ ესმა ლაშქრად წვევა მკარგრძელთაგან, სთნდა ყოველთა მათი და დასკუხეს ლაშქრობა და იწყეს კაზმად. და ვ^ეა მოიწია არე სოფლისა, მოვიდეს ტფილის, მეფისა წინაშე და განიხილნა რა სპანი თვისნი მეწონა აბჯართა განწყობილება და ცხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმკნე სპათა მისთა და შურითა სპარსთათა აღსავსება. და მოიღო დროშა (290v) სუინად კმარებელი გორ-

ვასლიანი და ღვეთიანი და შევედრა მასვე ვარძიისა ღთის
ქშობულსა დროშა და ლაშქარი დაულოცა და წარავლინა
სპარსეთს. მისცა დროშა ამირსპასალარს ზაქარიას და წარე-
მართნეს სპარსეთად. ჩავლეს პირი ნახჭევნისა და განვიდეს
ჯუღას და რაჭისისა პირსა და შევლეს იწრო იგი კვევი და-
რადუშისა და აღვიდეს მარანდსა, ხ მარანდელნი ამისი მცხო-
ბელი შეივლტოდეს კლდეთა შინა ხ ესენი მარანდს რა
მივიდეს არა პოეს კაცი. ეგონა მთასა მარანდისასა ყოფა
სპათა და არბადაგანისათა. ამისთვის დარჩიეს ხუთასი რჩეული
მკვედარი დიდებული და აზნაური აჩინეს მკვედართ მთავრად
თაყიადინ თმოგველი. წარემართნეს და აღვლეს აღმართნი მა-
რანდისანი და აღვიდეს ვაკესა თაესა მას მარანდისასა და
დადგეს მთასა მას ზედა, რ ესრეთ ემცხო ზაქარიას, რათა
არავის ებრძოლონ მიღმართ ვიდრემდის არა მივიდეს იგი. და
თუ დიდი ლაშქარი ნახონ აცნობონ ზაქარიას და რ (291r) აცა
რქუას მათ ყონ იგი და დადგა ხუთასი კაცი წარჩინებული ხ
ვ ა იხილეს მით მარანდელთა, რომელნი შელტოლვილ იყვნეს
ღირღალთა და კლდეთა შინა მადალთა, რომელ არს ზენა
კერძო მთასა მარანდისასა უმაღლესი სხვათა მთათა სავსე
ქვითა და კლდითა იხილეს მცირე ლაშქარი და აღიჭურვნეს
მოუკვდეს ზარითა და ამბოხებითა მარანდელნი. რ საწუნელ¹⁷⁴
უნჩდეს ქართუელნი სიმცროთა მათთა თვისა ხ ესენი მიეტე-
ნეს ესოდენ ძლიერად და აოტეს, რომელ მცირედნი განერნეს
და უმრავლესი მოკლეს და სხვათა დევნა უყვეს გრძლად. მა-
შინ აღვიდეს უმრავლესიცა იგი ლაშქარი ქართველთა და
იხილეს ნაომარი ადგილი მკვედრითა კაცითა და ცხენითა
სავსე. და ქართველი კაცი არცა ერთი იპოებოდა და ესე ოდენი
ძღვევა მისცემოდათ ღთისაგან, რომელ ხუთასი შუბი ხუთასს
კაცსა და ცხენსა ზედა ესეა. ხ ესე რაჲ იხილეს,
გან(291v)კვირდეს და ქართველისა კაცისა ვერპოვნა უკვირდათ.
ამისთვის უღონო ქმნილი და მწუხარე ზაქარია, იგონებდა და
არაჲ უწყოდა, რამცა ყო. ვ ა მცირედი ხანი დაეყოვნათ,
გამოჩნდეს დევნისაგან შემოქცეულნი ლაშქარნი. იხილა რა
ზაქარია, დიდად გამხიარულდა და მადლობაჲ შეწირა ღთსა,
რომელ არცა ერთი კაცი ქართველი მომკლარ იყო. და ესეთი

¹⁷⁴ კვლავ მისდევს ე-ის ტექსტს

ძღვევა მისცემოდათ ღთისაგან. ხ¹⁷⁵ დაღათუ ესრეთ გამარჯვე-
 ბოდათ, გარნა ყოელადეუ აბრალეხედეს თაყიადინს და უმეტეს
 საქარია, მქისუდ ეტყოდა ამბის უცნობელად შებმისათვის და¹⁷⁶
 ესრეთ განმხიარულეხუღნი და მმადლობელნი ღთისსანი გა-
 მარჯვეებისათვის წარმოემართნეს და მომართეს ქალაქსა თაფ-
 რეჟისასა და გარდავლეს მთა დევროფნად წოდებულთ. და ეთ-
 თარ ესმა თაერეს მყოფთა მისვლა ქართველთა დაშქართა,
 ამისთვის განკრთეს და ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვი-
 დრნი თაერეჟისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი და
 მიმდგომნი თაერეს ქალაქისანი. მაშინ განიზრახეს, რათა სა-
 ვისა (292r) მიცემითა და ძღუნითა და შეერდომითა და
 სენარისა თხოვითა დაამშვიდონ. პირნი ქართველთა საათანი
 წარმოავლინნეს მოციქულნი და ითხოვეს მშვიდობა არა
 მოსკრებად ქალაქისა მათისა. აღუთქვეს ძღუენი ურიცხვი
 ოქრო, ვერცხლი, თუალნი პატიოსანნი და მარგალიტნი ძუსრ
 ფასისანი. განკვირდეს ყოველნი წარჩინებულნი ქართველთანი
 საქარია და ივანე მკარგრძელნი. აღუთქვეს მშვიდობა და უნ-
 ვებელად განვლა ქუეყანისა მათისა მოიმტკიცეს ფიცისა მიერ.
 და მოვიდეს ყადნი ხოჯანი და ყოველნი თავადნი თაერეჟისანი
 და მოვიდეს ოქრო, ვერცხლი, ღარი, თუალ-მარგალიტი, შესა-
 მოსელნი, ცხენი, ჯორი და აქლემი და საზრდელნი კმა საყ-
 სფელი დაშქართათვის. აღავსნეს დიდნი და მცირენი. და
 დაუდგინნეს ქალაქსა მკველნი: და წარვიდეს მუნით და
 განვლეს ადარბადაგანი და მიმართეს მიანას. და ცნა მეღიქმან
 მიანისამან მისვლა ქართველთა (292v). და ეთ თაერეჟელითა
 ქმნეს, მანცა ითხოვა მშვიდობა და აღუთქვეს მოცემად
 ურიცხვი საქონელი. უსმინა საქარიამ და მოიყვანეს მშვიდობის
 ყოფად. და მოვიდო მანცა ოქრო და ვერცხლნი და ქვანი ძუსრ
 ფასისანი და აღივსნეს მუნცა ყოვლითა სიმდიდრითა. და დაუ-
 ტვეს მცუელნი და წარვიდეს მშვიდობითა და მიიწივნეს მცი-
 რესა ქალაქსა სანგანს და იყო აღიზის სღუდით განმაგრე-
 ბული. ხ¹⁷⁶ ქალაქი ძლიერად განამაგრეს და იწყეს ფიცხლად
 ბრძოლად. ვითარ განგრძელდა ომი, განიყვეს თემთა და თემთა
 სღუდე ქალაქისა რათა შესთხარონ. მაშინ იწყეს თხრად სღუ-

¹⁷⁵ ამ ადგილას H-2135-ში წართულია — „რომელ ხუთ ასსა
 კაცსა ხუთ ასი შუბი ხუთ ასისა კაცისა, და ცხენისა თვით
 დაესვათ და ესრეთ იხილეს“.

¹⁷⁶ კვლავ აგრძელებს ვ-1 ქ(ზ თამარის I ისტორიის ტექსტს

დეთა. პირველად მარჯუენესა მჯარსა მესხთა შეჯურიტეს და უწინ შევიდეს ქალაქსა შინა. და რომელნიცა დახუდეს შიგნით მყომარნი, იწყეს ჳოცად და სრუად. აღივსნეს მესხნი ურიცხვითა საქონლითა და მერმე შემოუჯურიტნეს ყოველგნით წარმოატყვენეს და აღივსნეს საქონლითა და მჯირედ განისუენეს.

და მერმე ამჯედრდეს და წარემართნეს ხვარასნით და მჯუხს(293r)ხრსა მივიდეს მჯირესა სოფელ ქალაქსა მუსელმანსა. იგიცა მოტყვენეს და. და მჯირედ განისუენეს და მერმე წარვიდეს ქალაქსა ხორასნისასა და ყასმინს. რად მიიწიენეს აიყარნეს და ვერ წინააღუდგეს ყასმინელნი და ივლტოდეს მთად. მოარბიეს იგიცა და აღივსნეს საქონლითა. და აღვიდეს¹⁷⁷ საქონელი მათი მათსავე საქედართა. კაცთა არად აენებდეს ად ტყვედ წარმოიყვანდეს კაცთა და მჯირეთა ვაჟთა და წარემართნეს მთად ლტოლვილთა მიმართ და მიეწიენეს. აღივსნეს მუნცა ოქროთა და ვერცხლითა და ცოლთა მათთა სამკაულითა უშინაგანეს რომგუარისა მიმართ მიიწინეს, რომელ არს ხორასანი. რად¹⁷⁸ გრძელი სიტყუა ვითარ მიიწინეს ვიდრე ქალაქად გურგნისად და მოაოჯრეს ქუეყანა იგი და ვერღარა ძალედვა წიად სვლა ალაფისაგან. შემოიქცეს გამარჯუებულნი და ძლევა შემოსილნი ქართველნი, რაქამომდე არა ვინ ქართველთა ნათესავი მიწიენულ იყო ლაშქრად, არა მუყუ. არცა მთავარი და ვერავინ წინა აღუდგა სპარსეთს შესლუასა (293v) მათსა, ვერ ხვარასნის სულტანი, ვერცა ვრაცი და ვერ რომელი თემი სხუად:

ესრეთ უზომოთა და ურიცხვითა სიმდიდრითა აღვსებულნი და განმდიდრებულნი შემოიქცეს. და მოვიდეს კერძოთა ვრაცისათა და ვითარ გურგნის ქუეყანისა ამბავი ქართველთა მიერ ქმნილი უცნაურ ქმნილ იყო ყოველთა მიერ და ვრაციის სულტნის მოსვარა კაცი ვინმე მისრულ იყო მინას სულტანსა თანა, ესე ვითარი ტყუილი ეთქვა, ვად,¹⁷⁹ მოვიდა თვით დიდი სულტანი და გილანელი სულტანი ხვარასნისა და ვრაციის სულტანი და გილანელთ ყოველგნით გსა შეუჯრეს ქართველთა. და მოსრნეს, რომელ არცა ერთი კაცი ქართველთაგანი განერა ეკოლენისა სიმრავლისაგან, არცა მთხრობლი მივა საქართველოსა. ხე ესე რად ესმა მელიქსა მიანისსა და მიანელთა დი-

¹⁷⁷ H-2135-შია - „აღვიდეს“

¹⁷⁸ H-2135-ში გრძელდება I ისტორიის ტექსტი

¹⁷⁹ H-2135-ში - ვითარ

დათ განიხარნეს. და ქართველთაგან დატევებულნი მცველნი ქალაქისანი და ვოცნეს. და ძელსა ზედა ჩამოჰკიდნეს, გარნა ერთი კაცი ქართველი დაიშალა მცველთა მადგანი ქალა(294r)ქსა შინა და ეა მოვიდეს ქართველნი ძლევა შემოსილნი და განმდიდრებულნი, მიანას წინა გაეგება სულტანი მიანისა დიდითა ძლუნითა. ხ̄ ეგონა დაფარვა ნაქმრისა მათისა. იხილნა რად საქარია, იკითხა მცველნი მათგან დატევებულნი. ხ̄ მათ რქცეს¹⁸⁰ ვ̄დ¹⁸¹ თავრიუს წარვიდეს მუნ დატევებულთა მცველთა თანა:

მაშინ მოვიდა დამალული იგი კაცი და აუწყა ნაქმარი მიანელთა მცველთა, მოწყუედა, ტყავის გაჯდა და ძელსა ზედა დაკიდება. და შესწამა პირის პირ მელიქსა და იგინი იდგეს უსიტყუელნი და ვითარ ესმა ესე საქარიას და ივანეს დიდად განმწარდეს და ძნელად აღუნდეს. ესე შეიპყრეს მელიქი და ყოველნი სახლეულნი და თუსნი მისნი და ყოველნი სიკუდიდ დასაჯნეს თუით იგი და შვილნი მისნი ტყავები დაჯადეს და ძელსა ზედა ჩამოკიდნეს და ქალაქი მოაოკრეს, მოწვეს და ტყვე ყვეს. ხ̄ სიმდიდრე, რომელ წარმოიდეს შეუძლებელ არს (294v) აღრიცხვა მათი. ესრეთ მომართეს გზასა, რომელ აღმოველოთ. ადარბადაგნით მოვიდეს და მოეგებნეს პირველად უქანით და მერმე თავრეველნი მითვე ძლუნითა, და მოართვეს სიმდიდრე აურაცხელნი, რომლითა აღივსნეს სრულიად სამეფოსი და თვით მეფეთ მეფისა თამარისთვის წარმოგზავნეს თუალნი დიდფასისანი, ძვირად საპოვნელნი და ჭურჭელნი უცხონი. და დაუტევენეს მშვიდობით მყოფნი ადარბადაგანისანი. და გამოვლეს რაცსი. და ამოვლეს პირი ნახტევნისა და მოვიდეს ტყვილისს მეფისა წინაშე. მხიარულ იქმნა მეფე მმადლობელი დ̄თისა და მხიარულითა პირითა გაეგება ზიემითა და დიდებითა. იყო ჳმა ბუეთა და დუმბულთა, რომელ არცა ძუელ ოდესმე ქმნილ იყო ესე – ვითარი გამარჯვება, არცა მეფეთაგან, არცა მთავართაგან. შევიდეს ისანთა და დაჯდა მეფე ტახტსა ზედა სამეფოსა. შეუძლუა ამირ სპასალარი. და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ და მოიღეს არმალანი. ურიცხუი და დადევს მეფისა წ̄ე (295r). განკვირდა მეფე, რომელ არავის ქართველთაგანსა ენახნეს ეზომნი სიმდიდრენი აურაცხელნი, თუალნი და მარგალიტნი. ხ̄ მეფე თამარ

¹⁸⁰ H-2135-შია – პრქვეს

¹⁸¹ ვითარმედ

არა უმაღლო იპოვა ღთისა მიმართ აღასრულებდა ღიჯანიობათა და ღამის თევითა. მრავალი განსცა ობოლთა და ქურციკთა ზედა და ეკლესიანი აღავსო სიმდიდრითა და ლაშქართა ზედა განყო საჭურჭლუ. დიდი იყო მადლობა ღთისა. ესე ვითარისა გამარჯვებისათვის [ყოველნი აღიღებდეს ღთსაჲ]¹⁸²

მაშინ მოიწია მწუხარება დიდი, რ მიიცვალა საქარია ამირ სპასალარი, ძე სარგის¹⁸³ ამირ სპასალარისაჲჲ, კაცი დიდად გადიდებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, რომელიცა იგლოვა მეფემან და ყოველმან კაცმან საქართუელოსამან, რ არავინ მცნედ გამონენილ იყო მთავართა შორის უამთა ამით რ გუარისაგანცა მოვუკაქუნდა, რომელი იყო ნათესავით არტაქსესი ჳელგრძელისა.¹⁸⁴ და იყო სარწმუნოებით სომეხი ად ყოველნი სათნოებანი (295v)¹⁸⁵

(296r) ღთისანი და საკაცობონი აქუნდეს და დაუტევა შვილი ერთი. მაშინ მოუწოდა მეფემან ივანეს მსახურთ უხუცესსა, ძმასა ამის საქარიასსა. და ინება აღუუანება პატივსა ძმისა მისისასა და უბოძა ამირ სპასალარობაჲ. ხ ივანე საქმისა ამისთვის განკვირებული ეტყოდა მეფესა – პატივი ესე, რომლითა პატივ გიცემიეს ჩემდა დიდად დიდებულ არს. და მე უღირს ვარ ად. ამას გევედრები, რათა ძმისა ჩემისა სახელსა არა აკსენებდეს ჩემ ზედა, რათა არა მრცხუენეს ნაკვლად მისსა დგომად, ად ათაბაგობითა პატივ მეც, რ საქართველოსა შინა არა არს ესე წესად თქვენ მეფეთა წინაშე ათაბაგობაჲ. ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რათა ახალსა უადრესსა პატივსა ღირს მეო და ათაბაგობა მიბოძო. ეა წესი არს სულტანთა, რომელი მეფეთა გამსრდელთა და სულტანთა ათაბაგობით უკმობენ. ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა:

¹⁸² ეს არ არის H-2135-ში

¹⁸³ H-2135-ში – სარგის

¹⁸⁴ H-2135-შიც არის – „არტაქსესი ჳელგრძელისა“

¹⁸⁵ გვერდის ნაწილი დაწერილი გადაშლილია ჯვარედინი ხაზებით. ბოლოში ძველი სლავურით არის მინაწერი სინგურით (წითელი მეღნით). არის ქართულადაც: ესე წერილი რესულასო არს – მე ერაჯ ჳალაშვილს დამიწერია: ესე სწერია:

[მაშინ მეფემან]¹⁸⁶ უსმინა ვედრება მისი და უბოძა ათაბაგობად (296v), რომელ არა ყოფილიყო ქართველთა მეფეთა წინაშე და არცა ვის ბოძებოდა მსახურთ უხუცესობა, უბოძა კარამს საქარიას გაგელის ძესა, კაცსა საპატიოსნა და ღაშქრობათა შინა გამარჯუებულსა. ესრეთ იყვნინ მარადის მეფისა წინაშე. ხ⁷ მეფე თამარ სამთარ დუინს იყვის და საფხულ კილას და ცვლის ტბას, სოგჯერ გარდვიდის აფხაზეთს, გეგუთსა და ცხუმს:

ხ⁷ მათ უკუე უამთა შინა იწყეს კაცთა მთელთა განდგომად ფხოელთა და დიდთა,¹⁸⁷ რ⁷ დიდონი მშთვარსა და უხარმაქსა ჭამენ. და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებენ ცოლად და რომელნიმე უწინარსა რასამე ეშმაქსა თაყვანისცემენ. და სოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა და ამას ესე ვითარსა ყოფენ. ხ⁷ ფხოელნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იხეშებენ. ამათ იწყეს რბევად, კოცად და ტყვეობად ცხადად და ღამით. მაშინ მეფემან თამარ მოუწოდა ათაბაგსა ივანეს და ყო(297r)ველთა მთიულთა, დვალთა, ცხრაშქელთა, მოჭვეთა, ვადელთა, ცხავატელთა, ჭართაღთა და ერწო თიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინნა მათ სედა ხ⁷ ივანემ გონიურად ყო, აღვიდა მთასა ვადისასა და წარვლო წყერი მთისა და წარადგა მთასა ფხოელთასა და დიდოთასა, რომელი ესე არავის ექმნა, არცა პირველ და არცა შემდგომად. ერთ კერძო დაურჩა ღურბუკეთი და ფხოელი. და ერთ კერძო დიდოეთი (ჩნეს რამ მისვლა ათაბაგისა. მოვიდეს ძღუენითა მეფენი ღურბუკეთანი მოსცნეს ღაშქარი და დაუდგეს გვერდსა და იწყეს სეიდამ ბრძოლა, რბევა და კლევა და ტყვეობად. და დაწუკა და მოსწვეიტეს ურიცხვი კაცი დიდო და ფხოელი. და დაევეს სამნი თუენი იენისი, ივლისი და - აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისაგან მოსცეს მძეულები, აღუთქვეს მსახურებად და ხარაჯა და მსცეს პირი¹⁸⁸ სი(297v)მტკიცისა. ქმნეს საენი და წარმოასხა მძეულებ და ესრეთ გამარჯუებულნი მოვიდეს წინაშე მეფისა. რქვა¹⁸⁹ - ძლიერ მეფეო, იქმნა ბრძანება შენი და მოვაოჭრენ ურწნი¹⁹⁰ [მეფო-

186 H-2135-ში არ არის

187 H-2135-შია - „დიდითა“

188 H-2135-შია - „მოსცეს“

189 მოსლევს H-2135-ში: „ივანე ათაბაგმან მეფესა თამარის:ში

190 H-2135-ში: „ბრძანებისა“

ბისა¹⁹¹ შენისანი დიდოეთი და ფხოელი. ხ⁷ მეფემან დიდად დაიმაღლა და უაღრესა პატივსა აღიყვანა. და იყო ყოველგან მშვიდობაჲ და წარმატებაჲ და დღითი დღე შემატებაჲ საძეფოსა ღ⁷თივ დაცულისა მეფისა თამარისათა: ხ⁷ სპანა მისსი განისუენებდნენ ნადირობითა და ბურთობითა და თჳით თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფესა წინაშე იყვნინან, ასარებდეს და აღიყვებოდეს ნიჭითა და საბოძერითა მეფისა ძიერმათისა.¹⁹²

მხიარულად¹⁹³ ამბისაგან მეტყუელი პირი აწ მწესაძე-ბისა მიმართ მიიქცევის, რ⁷ მეგულეების აწ წარმოთქმა ყოველისა სოფლისა საგლოველისა ამბისა,¹⁹⁴ რ⁷ ვითარ დიდისა კოსტანტინეს ძმისწულის ივბიმიანოსისათვის წერილ არს. რომელ რქუა ანგელოზმან მონაზონსა ვისმე რ(298r)ომელი იგლოვდა სიკუდილისათვის ივბიმიანოსისთვის, ე⁷დ, რასა დააკლო ღ⁷თნ ქრისტიანეთა ესე ვითარი მეფე, რომელსა ანგელოზმან დაადგა გვირგვინი სახილველად ყოველთა და ეტყოდა ანგელოზი – რამ არს. ბერო რასა გამოეძიებ შენ მსჯავრთა ღ⁷თისათა. აწ გიბრძანებს დასცხერ გამოძიებისაგან მაგის ბოროტისა. არა უწყი, რომელ აღმოსაყლეთით, ვადრე დასავლეთამდე, უკეთუ მართლმადიდებელი იყოს, არცა იგი ღირს იყო მეფობასა ივბიმიანოსისა, არა თუმცა საბერძნეთი ოდენ ეგრეთვე აწცა იქმნა ამის დიდისა მეფისა საქმე არა თუ ოდენ საქართველო ა⁷დ არცა თუ ოდენ ყოველი ქუეყანა ღირს იყო მეფობასა თამარისასა.

ნაჭარმაგვეს¹⁹⁵ გარდმოვდა მეფე თამარ და მის წინაშე იყვენ ეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი. დაიურგნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი და უფროსდა ეკლესიათა და მონასტერთანი. და მუნ დგომასა შინა გამოაჩინდა სენი რამე მომაოვრებელი ჩუენი, რომელი დღითი დღე დამძიმდებოდა (298v) მის ზედა და დიდხან ფარვიდა, რათა არავინ

¹⁹¹ H-2135-ში არ არის

¹⁹² H-2135-შია – თამარისა

¹⁹³ აქედან კვლავ არ არის I ისტორიის ტექსტი. ჩუენის აზრით, ეს ნაწილიც II ისტორიას ეკუთვნის

¹⁹⁴ აქამდე. აქედან კვლავ I ისტორიის ტექსტის ნაწილია

¹⁹⁵ ეს ტექსტიც განსხვავებულია I ისტორიისაგან. ჩუენი აზრით, ესეც II ისტორიას ეკუთვნის

შეაწუხოს. გარნა ურგებელ იქმნა რამ ჭირი არა მიმოუღელედი კურნებისა, მაშინდა განაცხადა, რ` დელობრივმან უძღურებანიან განგრძობილთა შინა მკედრობათა არა თავს იღვა შეუქმნივე ველად მიშუება აგებულებისა. და აქა საბრალოდელ მინს და დად ერთგულნი იგი კაცნი თუ ვითარ უგულებელს ევეს ევოლენი ტკივნეულობა მისი: რ` წარმოიყვანეს კუბოთა ტფილის და შემდგომად მკირედთა დღეთა ენებათ ნუელებისაებრ, რათა დასას განვიდენ, ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად განძნელდა სენი იგი უწყაღდა. კ` წარმოიყვანეს აგარათა ციხესა და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა. მკურნალთა ჯელოვნების ამისთვისცა იყვნეს თვით მუნ და ყოველსა ადგილსა ლიტანიობანი და დამის თევანი მიმდებნი და ცრემლთა დინებანი იხილევებოდეს მდარათა და გლახაკათანი სწორებით. გარნა განჩინება წინა აღუდგომელი იყო და დღემან (299r) იწყო მდრეკად და მხგმან დასვლად და ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა და ცისკარსა დლისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა დრებელთა, დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად და თუალთა მათ ტბებერ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს, ჯელთა მათ მსახურებისაგან გლახაკათასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად და ფერჯთა მათ მარადის დ`თისათვის: მაშურალთა იწყეს შედრეკად და ყოველნი ნიშნი ცხვირებისანი სხვად და სხვად ფერად იხილევებოდეს.

სოგადმან უღონობამან მოიცვნა ყოველი და არა უწყოდეს, რამცა ევეს. მთავარნი იცემდეს პირთა, გლახაკნი იტყებდეს თავთა და ყოველნი ნაცვლად მიუპერობდეს თავთა თვისთა და შვილთა თვისთა დ`თსა და ითხოვდეს მის ზედა მომავალსა სიკუდილსა, რათა მარტო ესე დარჩეს და ნუნე ყოველნი მოგესრენ, ამას ჯმობდეს და მოეცვათ სასუქებელი პალატისა, რომელსა (299v) აქუნდა ცხედარი უბადრეკებისა ჩუენისა და ღონე, თუმცა იყო ეცდებოდეს, რათა არა აეფდონ სიკუდილსა შემოსვლად რა იყო, რომელი არა იხილევებოდა მუნ, ანუ სავედრებელთაგანი გინა მწუხარებათა, გარნა მწოდებელი კართა ზედა დგა და მბრძანებელისა წინა აღდგომა შეუძლებელ იყო: ბრძენმან ბრძნისა ნეტარება აქაცა მოდოთამარ, რ` შემოუწოდა ყოველთა სამეფოსა თვისისათა წინაშე მისსა განიმტკიცა თავი თვისი და მკნედ მჯდომარე ესრედ ეტყოდა – „მანო ჩემნო და შვილნო, მე ესურა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა უსაშინელესისა უფროს ჩუეუთა

ქუეყანისათა, რომელმან მიუხუნის სულნი მთავართანი. თქვენ
ყოველნი თვით მოწამე ხართ, რ^ა თავისა ჩემისა თანა მაქუნდა
სიქუარული თქვენი და სარგებელსა და სათნოსა თქვენსა არა
დავაკლუ თვითოუელისაებრ არზანგისა¹⁹⁶ ვიდრემდის განგე-
ბითა ღ^მთისათა ვიყავ თქვენ ზედა მეფედ. აწ (300r) მეცა წარ-
ვად მაძათა ჩუენთა თანა გსასა ჩემგან უცხოსა ბრძანებითა
საშინელითა და განყოფითა საკვირველითა გევედრები
ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნენ მაჭსუნებულ
ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ,
რომელნი მომცნა ღ^მთნ შვილნი ჩემნი გიორგი და რუსუდან.
კენი მიიხუნით ჩემ წილ და მაგათ აღმოგიესონ დაკლებული
ჩემი. შევედრნა ყოველთა და მიუთუალნა წინაშე ხ^რტსა ქრისტ-
ესსა და ჯვარსა ცხოველს მყოფელსა და მერმე უკანასკნელ
კმა აღმოუტევა, და ყოველთა მშვიდობა მისცა ესრეთ მე-
ტყველმან ქრისტე ღ^მთო მხოლოდ დაუსრულებულო მეუფეო
კათა და ქუეყანისაო შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას რომელი
შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა
შენითა მოსყიდულსა და შეილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ
მომცენ, და მე რამე სულსა ჩემსა (300v) მაშინ განვიდეს ყო-
ველნი მწარედ მტირალნი და თამარ დაიძინა ძილი იგი მარ-
თალთა თუესა იანვარსა იმ და აღივსო მზე ქართლისა და
საყვლაგმან სადიდებულად თვისად დაგვაჭირვა ცხოვრება
მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა აქა რაღა ჯერარს თქმა
გარნა ბავთის დადადი ბნელი უნათლო და გლოვა უნუბე-
შინისცემო რ^ა ვინ იყოს ნუგეშინის მცემელი. ოდეს მწუხარება
სოგადი იყო ყოველთათვის სატუხელ იქმნა პირი ქუეყანისა
აღუპარსა ყოველთა თავისა თმანი მხოლოდ სახელისა ოდენ
მქონებელთა კმასა თანა ვაებისასა ქვესკნელნიცა შეიძრნეს
ყოველნი ფლასითა ესრეთ გვანდა დაღათუ ჩუენ თანა იგლოვ-
სცა და ყოველი სოფელი:

მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა
მსკეთად დადევს და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს
დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა დიდ(301r)ებად მუნ შინა
დაამკვიდრებულთა პაპთა და მაძათა მისთა სახელოვანთა

¹⁹⁶ H-2135-შია – არძანგისა-ებრ

დიდთა მეფეთა თანა.¹⁹⁷ იცვალა ფერი ქართველთა მხიარულუ-
ბისა რ⁷ განბიძენს ბაგენი მათნი რომელთა პირსა შინა პირ-
ველ სხვა არა რა მოაქუნდა ვითარ თამარ რ⁷ სახლთა სველა
აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს ბეჭედთა სველა
და დანათა და არგანთა შეამკობდეს და სველა თამარის ქებასა
დასწერდეს და ყოველთა პირნი ერთბაშად მსა იყენეს რათა
ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყვა აღმოთქვან: ღრმნი
მემროწლენი განაპებისა შინა ორნატასა თამარის ქებასა რ⁷
ლუქსეობდიან ერაცს მყოფნი მეგბენი გინა მქანაგენი თამარის
შესხმათა მუსიკელობდიან ფრანგნი და ბერძენნი სდკასა შინა
მენავენნი ნიაც კეთილობათა შინ თამარის ქებათა იტყვიდნ
ესრეთ ყოველნი სოფელი სავსე იყო მის მიერთთა ქებითა და
ყოველი ენა აღიდებდა რომელსაცა ოდენ სახელი მისი ას-
მიოდეს (301V) ხ⁷ საქმეთა მისთა თვის რადლა საჭმარ არს
თქმად რ⁷ კიდით კიდემდე განისმინეს ე⁷ თვით მოწამე არს ყო-
ველი ჩუენი მიერ ხილული სიტყვისაებრ ბრძინსა. არა უც-
თომელობა მგონიეს ძალისა უსეშთესსა მეცადინობა რ⁷ დაწ-
ყება და აღსასრული ამის ჴელყოფისა სრულებით წანს
სიმძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქვეტისა ნა-
მუსრევი. რ⁷ ვინ რა წარმოთქვას ღირსი ამისთვის გინა რამ ვინ
პირველ აქოს ანუ რომელ უკანასკნელ: სიმდაბლე უსომო სი-
მაღლე შეუსწორებელი სმშვიდე საქებელი სიმქისე, ჯეროვანი,
ღმობიერება მოწლე, მოწყალება თანა ღმობიერი უმანკოება,
უსაკველი სიწრფოება უსიცრუო სახიერება სოგადი სიუხუევე
აღუსუაგებელი და თავი ყოვლისა კეთილისა შიში ღ⁷თისა და
მსახურება მისი შეუორგულებელი რომელი ესე ყოველი ამარ
ესრეთ მოიგო ვითარ ვერცა ერთი სხვამან ვერვინ და წამებს
ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლ(302r)ისა
თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა
რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნცა სამეფო თვისი რაოდენნი
განდევნილნი სამეფოდ თვისად კვალად აგნა და რაოდენნი
სიკედლიად დასჯილნი დანათავისუფლნა: და ამისი მოწამე
არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდულთა ღუნძთა ოვსთა
ქაშაგთა კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თა-

¹⁹⁷ აქ H-2135-ში კვლავ I ისტორიის ტექსტის ნაწილია: „დაუ-
ტევა სამეფო ძესა თვისსა ლაშას.“ და ისევე II ისტორიის ტე-
ქსტი გრძელდება H-2135-ში

კის უყვლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყენეს და მტერთაგან უხსრუნველობასა:

ხ^ნ სჯულთა მიმართ საღ^ნთოთა ვინ იყო ესრეთ მო-
შურნე გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ რ^ნ თვედოსი დი-
ღისაცა აღუმატებოდა ღოცვანი და ღამის თევანი რომელნი
პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს საეჭუელ მიხნს
მკუდაბნოეთაგანცა! ხ^ნ მარხვისათვის რაღა ვთქვა რ^ნ წესი იყო
მონაზონთა და მაჩხილებულ უდებთა ერი პალატისა ეგრეთვე
სიყუარულისათვის ხუცესთა და მონაზონთასა ნამეტნავ არს
თქმად რ^ნ წესიერად ცხოვრებულნი კაცნი (302v) მარადღე იყე-
ნიან წინაშე მისსა და მახლობელად სასუენებელისა მისცის
მათ საყოფელი და თვით სრდიდის სასრდეღითა და ყოველითა
საჭმრითა რაცა უნებრ და უკეთუ მათგანი ვინმე იყვის უძღურ
თვით მივალნ მოხილვად და ნუგეშინისცემად და თვით გა-
ნუქსადებნ ცხედარსა და სარეცელსა! ხ^ნ გლახაკათათვის განე-
ნინეს სარწმუნონი ზედამდგომელნი და ყოველისა სამეფოსა
მისისა შემოსავალნი რაცა იყო შინათ და გარეთ ყოველისა ნა-
ათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა
მარცვლამდეცა და ამას ყოველადვე არაჲ გონებდა ქველის
საქმედ მითუაღულად წინაშე ღ^ნთისა რ^ნ რაჟამს მოიცალის
მარტოებით ყოფად მყის აღიღის სასთუელი გინა საკერავი და
ნაშრომსა მას თვისთა ჳელთასა ხუცესთა და გლახაკთა გა-
ნუყოფნ თვისითა ჳელითა:

ესრეთ წესითა განმტკიცებულთა ღ^ნთისათა სახიერისა
სათნობისათა არა დაწყებისასა მიხედვიდა ა^ნდ აღსასრული-
სათა. და ე^ნა მ^ნე სწორპატიობით ყოველთა ზედა განუ(303r)გა-
ნუტეობდა ნათელსა თვითსთა შარავანდედთასა ესრეთ წყალო-
ბითა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღ^ნთსა ესრეთ
გამოიფრთიდა ჟამთაგან ესრეთ განაძღერებდა მეგობართა და-
ღათუ არა რათ სიცრუით მოგებულთა და უსამართლოთა. არა
ოდეს მომედგრდა ჟამისაგან არცა უდებ იქმნა ოდესცა განგე-
ბისათვის აროდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმი-
თათვის არა დაუმძიმა კრთომას გონებისასა დამზიდველი რამე
სუეყნებრივი არცა სიმდაბლესა მირიდა არცა სიმადლესა
განუყენა არცა სიტკობებასა ჟამიერი უმოთნო ყ^ნ არცა საში-
ნელება შეურაცხყო ყოველი განზავა ყოველითა რათა სრულე-
ბით სრულისაგან წარმოაჩინოს თავსა შორის თვისსა:

უდაფრობა მაარსებელისა განუგმობელად დაიცვა რათა მოქცევისა შინა სიმრგულისასა არა რად ელმად და უცხოოდ მიდრკეს არცა გარდაეყვს სავსებელისა (303v) დუღილსა შინა არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბღლისასა ანდ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოელის ფერა გარემოდ რათა მოქცევა თვისი მარტოობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა ისურვებდა და სასურველ იყო იწადებდა და საწადელ იყო იქებოდა და საქებულ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო. და არა რად იყო სხვა კეთილი რაცა იგი არა იყო მის შორის. ურჩინი თვისნი დაამდაბლნა და მოყვარენი აღამაღლნა არა იღუწიდა უმეხოობლობასა არცა შერთეიდა სახლსა სახლსა ზედა არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოთა ანდ თვისი მამული ძუელი კმა იყო რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუჭვლად, ვინადგან სამართალ მანცა სენამან უბო მართალსა არა შინებით უთქმიდა მეხობელთა ანდ უფროსდა სცვიდა მაშინებელთაგან და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა შორს განიოტა წურბლის მსგავსი ვერ მადძრისობა, ვინ არა გე(304r)სლოვან ნაყოფი. და არცა ბუგრიან ნაშრომი. ბჭედ ჯდა შორის თაეისა თვისისა და მეხობელთა მეფეთა არა მიშუებად ბრძოლისა არცა გარდადებად უღელსა მძავრობისასა ურთიერთას და სახედ თაესა თვისსა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორედ სოლომონ იქმნა მეფეთა შორის და არა ერთი საბუდი აღძრა სურვილად ანდ ყოველნი რომელთა ესმა სახელი მისი ვინა დიდთა მეფეთა ცუდად შერაცხეს თვისი ბედ კეთილობა ვერ ხილვისათვის მისისა კინნდა და ყოველსა ზღვასა აღმოიწრედდა თვისად ენა ღრუბელი ყოველთა ზედა მსახურბელი ტკბილთა წუიმათა. განიგემნე ყოველნი მატინენი ძუელთა გინა ახალთა მეფეთა მაქებელნი რ გარდაემატა სამარის საქმეთა ჭეშმარიტებით საქებულობა სიტყვისაებრ პირვეთასა სახარულ იყო თხრობათა შინა და კდემულ განმსწავლულობათა შემსებულ ლბილობით და განმწურთელ სიტკბობით მგუემელ მოწყალეობით და შემრისხუელ (304v) თანა ღამობით რათა ყოვლად ყოველითურთ განუგმობელ არუნოს ღვისება დთისა. სანთელი იყო გონიეთა და უგუნურთა, პირველ განმანათლებელ და მეორეთა დამწუელ. აღვირი იყო უწესოდ მკრომელთა და დეზ უდებთათვის, კანონი სირცხვილისა მოსუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკათათვის, კეთილ მა-

ვალთა სიბრძნით მცველ, ხ^ნ მბორგალეთა თუაღუხუად მგუჟ-
მელ:

მღრდელთ მოძღვართა შეიმოსეს შიში მღრდელთა
დაიცვეს წესი თვისი მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა
მთავარნი განისწავლნეს სწმიდითა ცხოვრებად და სიმართლით
სლვად ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღ^თისა და ერთ-
გულეებით უფალთა თვისთა ყრმანი განიწუართნეს მოძაგებად
ეჯერსა უსჯულოებისა რ^ნ ბილწებამან უწესომან და ყრმე-
ბრიემან მბორგალებითმან ბორგნეულობამ, ვერცა თუ კჳალი
პოუა (305r) დღეთა თამარისთა ვინა და თვით გინებადცა შორს
იყვნეს რომელნიცა პალატსა შინა ყირს იყვნეს გინა კარსა
